

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო
ძ ი ე ბ ა ნ ი

XXIV

Linguistic
P a p e r s

თბილისი 2006 Tbilisi

81.2
800
ს 157

„საენათმეცნიერო ძიებანის“

XXIV წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

“Linguistic Papers“ volume 23 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, **გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, მ. კობიაშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ჭ. ქირია, მ. ქურდიანი ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **L. Goksadze** (editor of the English part), N. Daraseli-a, **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, M. Kobiashvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Ch. Kiria, M. Kurdiani N. Chumburidze, N. Jorbenadze

ლელა ავალიანი

დალალი და დალაჟი სიტყვათა ფორმოზრის-სემანტიკური ანალიზისათვის

ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს არაბულიდან ნასესხები სიტყვები და გამოთქმები. ჩვენი მიზანია, ლექსიკონების საფუძველზე გავაშუქოთ არაბული წარმოშობის რამდენიმე სიტყვა (**დალალი**, **დალაჟი**) ქართულში და წარმოვადგინოთ ის ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებები, რომელიც აღნიშნულმა ლექსემებმა განიცადა.

დალალი — dalāl: 1. მათწყებელი; 2. მაკლერი, შუამავალი; 3. აუქციონერი (ბარანოვი, 1989, 259). არაბულში აღნიშნული სიტყვა-ფორმა dalla ზმნიდან მომდინარეობს: „მიუთითა“, „მიანიშნა“, „გაუშვა სწორი მიმართულებით“, „სიტყვების საშუალებით მიუთითა გზა სასურველი საგნისკენ“ (ლენი, 1867, 900); შდრ.: **დალალი** — ფერეზიკი, წვრილმანით მოვაჭრე (საბა, 1991, 192); მეწვრილმანე (ჩუბინაშვილი, 1984, 374). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: 1. საქონლის მყიდველისა და გამყიდველის მომრიგებელი ფასში, შუამავალი (ვაჭრობაში), მაკლერი, შუამავალი, მაჭანკალი; 2. ფეხზე მოვაჭრე. ასეთივე მნიშვნელობით დასტურდება **მიიულურ**, **მოხურ**, **ფშაურ** დიალექტებში (შანიძე, 1984, 310; ხორნათული, 2000, 75); შდრ.: **ჩავახური: დალალი** — გზირი, რომელიც მოსახლეობას ხმამაღლა რაღაც ამბავს ატყობინებს; „ერთი ფაშა არის, დალალს აძახებს“ (მარტიროსოვი, 1984, 229); **აჭარული: თელღალი** — 1. დალალი, მაკლერი, შუამავალი; 2. საჯარო გამოცხადება, სახელმწიფო საზოგადო საქმისათვის ხალხის მოხმობა (ნიჟარაძე, 1961, 249). **დალალის** სინონიმებია: **ფერეზიკი** (საბა, 1991, 192), **შუამავალი**, **შუაკაცი**, **მოციქული** (ნეიმანი, 1978, 132).

„ვეფხისტყაოსნის“ მასალების მიხედვით, **დალალი** დასტურდება „შაჰნამეში“, „შაჰნავაზიანში“, „მე-17 საუკუნეში ჩაწერილ ზღაპრებში“ და სხვ.

საბა საანალიზო ტერმინს თურქულიდან მომდინარედ მიიჩნევს, დ. ჩუბინაშვილი კი მას სპარსულად თვლის. **თელლალი** ფორმის არაბული წარმომავლობა პირველად ნ. მარმა აღნიშნა (მარი, 1911, 61). საკვლევი ლექსემის წარმომავლობა განმარტებით ლექსიკონში აღნიშნული არ არის.

სპარსულში საკვლევი ტერმინს არაბულ ნასესხობად მიიჩნევენ მ. გაფაროვი (გაფაროვი, 1974, 344) და მ. მოინი (მოინი, 1996, 1547). ოსმალურში დადასტურებული **tālaal** სიტყვის არაბულ წარმომავლობას მიუთითებს ვ. რადლოვი (რადლოვი, 1905, 1087). საანალიზო სიტყვას არაბულიდან ნასესხებად მიიჩნევს სირიულში კ. ბროკელმანი (ბროკელმანი, 1928, 154).

ქართულში **დალალ** სიტყვის სპარსულიდან შემოსვლას გვაგარაუდებინებს „ვეფხისტყაოსნის“ მასალები (შდრ.: სპარსული **даллал** — მაკლერი, კომისიონერი; მილერი, 1950, 361). აჭარულსა და ჯავახურში დადასტურებული ვარიანტები დამკვიდრებული ჩანს თურქულის გზით (შდრ.: ოსმალური **таллал, дэллал** — 1. დალალი, მაკლერი, შუამავალი; 2. მათწყებელი, მაცნე (ბუდაგოვი, 1869, 564). თურქულის მეშვეობაზე მიანიშნებს სემანტიკური თანხვედრა.

დალაქი ← **dallāk**: მასაჟისტი (ბარანოვი, 1989, 260). ამოსავალია **dalaka** ზმნა: გაწმინდა, დაპრესა (დააწვა) ხელით; გაუკეთა მასაჟი (ლენი, 1876, 906); შდრ.: **დალაქი** ვარსიმი, თავის მპარსველი (საბა, 1991, 192; ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 191; დ. ჩუბინაშვილი, 1984, 375). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით: თმისა და წვერის გამკრეჭი და გამპარსავი ხელოსანი, პარიკმახერი (ძველად დალაქი შინაურ აქიმობასაც მისდევდა); შდრ.: **ინგილოური დალაგი** (დამბაშიძე, 1988, 142). **დალაქის** სინონიმია **ვარსამი** (ნეიმანი, 1978, 132).

დალაქი სპარსული წარმომავლობისად მიიჩნიათ დ. ჩუბინაშვილი, ი. ყიფშიძესა (ყიფშიძე, 1994, 426) და ჯ. ნოლაიდელს (ნოლაიდელი, 1936, 44). განმარტებით ლექსიკონში მისი წარმომავლობა მიუთითებული არ არის.

საანალიზო ტერმინი, როგორც არაბული ნასესხობა, სპარსულ ენაშიცაა დადასტურებული ი. ვულერსის (ვულერსი, 1855, 892), მ. გაფაროვის (გაფაროვი, 1974, 344) და მ. მოინის მიერ (მოინი, 1996, 1547). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სალიტერატურო ქართულში ამ სიტყვის სემანტიკა სპარსულთან („დალაქი“, „აბანოს მსახუ-

რი“) უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს, ვიდრე შესაბამისი სიტყვის მნიშვნელობასთან არაბულში, შესაძლებელია დავუშვათ აღნიშნული სიტყვის სპარსულის გზით შემოსვლა. **დალაგი** ფორმა ინგილოურში აზერბაიჯანულის გზით უნდა იყოს შესული; შდრ.: აზერბაიჯანული **даллак**: მექისე, დალაქი (ჰუსეინოვი, 1941, 103; აზიბეკოვი, 1965, 126). ბოლოკიდურ პოზიციამში **k** ბგერა ძირითადად გამყდრებულია და გადმოცემულია სათანადო **g** ნიშნით; მაგ., ქურაგი ← **kürük** „ბეჭი“, დირსაგი ← **dirsäk** „დაყვი“ (აბულაძე, 1968, 37).

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ არაბული წარმოშობის სიტყვები (დალალი, დალაქი), რომლებიც სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში სხვადასხვა გზით დამკვიდრდა.

ლიტერატურა

აბულაძე, 1968 — ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., 1968.

აზიბეკოვი, 1965 — Азербайджанский словарь. Составитель Х. А. Азиев, Б., 1965.

ბარანოვი, 1989 — Х. К. Баранов, Арабско-русский словарь, М., 1989.

ბროკელმანი, 1928 — С. Brockelmann, Lexicon Syriacum, Gottingae, 1928.

ბუდაგოვი, 1871 — Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, 1869, т. II, 1871.

გაფაროვი, 1974 — М. А. Гафаров, Персидско-русский словарь, М., 1974.

„ვეფხისტყაოსნის მასალები“ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდი.

ვულერსი, 1855-1864 — I. Vullers. Lexicon Persico-Latinum Etymologicum, Bonnae ad Rhenum, t. I, 1855, t. II, 1864.

ლენი, 1863-1893 — E. W. Lane, Arabic-English Lexicon, 1863-1893.

მარი, 1911 — Н. Марр. Георгии Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, Дневник в Шавшетию и Кларджетию, тр. I, VII, 1911.

მარტიროსოვი, 1984ქ — ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

მილერი, 1950 — Б. В. Миллер, Персидско-русский словарь, М., 1950.

მოინი, 1996 — М. А. Мо'ин, Persian Dictionary, Tehran, 1996.

ნეიმანი, 1978 — ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

ნიჟარაძე, 1961 — შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული - დიალექტი, ბათ., 1961.

ნოლაიდელი, 1936 — ჯ. ნოლაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათ., 1936.

რადლოვი — В. В. Радлов, Опыт словаря тюрских наречий, т. I, 1893, т. II, 1899, т. III, 1905, т. IV, 1911.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, I, თბ., 1991, II, თბ., 1993.

ღამბაშიძე, 1988 — რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988.

ყიფშიძე, 1911 — И. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке, С.-П., 1911, "Типография императорской академии наук"; Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-П., 1914, "Типография императорской академии наук" (იხ. ი. ყიფშიძე, რჩეული ფეხვლებანი, თბ., 1994).

შანიძე, 1984 — ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1984.

ჩუბინაშვილი, 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984.

ხორნაული, 2000 — გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.

ჭუსეინოვი, 1941 — Азербайджанско-русский словарь под редакцией Г. Гусейнова Б., 1941.

LELA AVALIANI

Formal and Semantic Analysis of the Words dalali and dalaki

Summary

The paper examines some phonetic and semantic peculiarities of the Georgian words dalali and dalaki.

dalali → dalāl: 1. informer, announcer; 2. mediator; 3. auctioneer (Kh. Barnov); Cf. dalali _ vendor (Saba). The same meaning is evidenced in the Mtiulian, Mokhebian and Pshav dialects (Ak. Shanidze).

In the Javakhetian dialect **dalali** means: 1. a messenger who announces some news to the population (A. Martirosov). In Acharan **tellali** means: 1. the same as dalali i. e. mediator; 2. to make a public announcement, to summon people to a public event (Sh Nizharadze). The Acharan and Javakhetian variants seem to have been borrowed via Turkish dalaki → dallāk; masseur (Kh. Barnov); Cf. - barber (Saba) Ingiloan - dalagi (R. Ghambashidze). dalaki might have come into Standard Georgian via Persian. The semantics of the Georgian word seems closer to that of the Persian word than to the Arabic one: Cf. Persian - dalaki - bathservant; The Ingiloan word **dalagi** seems to have been a borrowing from Azerbaijani - dällek - in the ultimate position **k** is voiced and conveyed by means of **g**.

წესთან აკოზია

პრაგმატული კატეგორიების განხილვა
საზაფხულო სტატიის მიხედვით

ცნობილია, რომ ყოველი მეცნიერება ან მეცნიერების ცალკეული დარგი არსებობს იმდენად, რამდენადაც მას გააჩნია საკუთარი კატეგორიარული აპარატი. კომუნიკაციური მოდელის შექმნასა და კონსტიტუირებაში კომუნიკაციური აქტის კომპონენტებთან ერთად (ადრესანტი, ადრესატი, რეფერენციული სიტუაცია და ა.შ.) მონაწილეობს ენის სისტემა, ხოლო მთელი ენობრივი სისტემის განსახიერებად უნდა ჩათვალოს ენობრივი ნიშანი, რომლის სამ განზომილებად თანამედროვე ლინგვისტიკას მიაჩნია სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატული განზომილებანი. ენობრივი სისტემის ყველა კატეგორია მიეკუთვნება ამ სამი განზომილებიდან რომელიმეს.

ვინაიდან მე სტატიაში პრაგმატული კატეგორიების საგაზეთო ტექსტის მიხედვით განხილვას ვაპირებ, აქცენტს პრაგმატიკაზე ვავაკეთებ.

იმისათვის რომ გავიგოთ პრაგმატიკა და მისი ცალკეული კატეგორიები, საჭიროა ორი პირობა:

1. გავითვალისწინოთ, თუ ნიშნის რომელ განზომილებას ეკუთვნის ეს კატეგორია.

2. როგორ უნდა გავიგოთ ენობრივი სუბიექტი და საერთოდ, სუბიექტურობის ცნება თვით კომუნიკაციურობის ფარგლებში.

როდესაც ლაპარაკია სუბიექტზე კომუნიკაციის აქტის თანამედროვე მოდელის თვალსაზრისით, მაშინ მხედველობაში მისაღები სუბიექტურობის სამი აუცილებელი მომენტია:

1. კომუნიკაციის ყოველი აქტი გულისხმობს მეტყველ სუბიექტს, ანუ ადრესანტს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაგმატიკის ფარგლებში უნდა გვქონდეს კატეგორიათა სისტემა, რომლებიც ასახავენ სწორედ ადრესანტის მთელ პოზიციას კომუნიკაციურ აქტში.

2. უნდა გვქონდეს კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება მსმენელ სუბიექტთან, ანუ ადრესატთან.

3. კომუნიკაციის ყოველ აქტში გვაქვს არა მარტო ორი სუბიექტი, არამედ ურთიერთმიმართება მათ შორის, ანუ ინტერსუბიექტურობა.

დღეისათვის პრაგმატულ კატეგორიათა ის სისტემა, რომელიც უკავშირდება მეტყველ სუბიექტს, ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე დანარჩენი ორი ქვესისტემის კატეგორია, მაგრამ კომუნიკაციური ლინგვისტიკის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია სუბიექტურობის ორი დანარჩენი ფაქტორის გათვალისწინება.

შესავალში უბრალოდ მინდა ჩამოვთვალო ცალკე პრაგმატული კატეგორიები, რომლებიც უკავშირდებიან და ასახავენ მეტყველი სუბიექტის როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში და პრაგმატული კატეგორიები, რომლებიც უკავშირდებიან და ასახავენ მსმენელი სუბიექტის როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში.

მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან შემდეგი პრაგმატული კატეგორიები:

- ლოკაციის კატეგორია,
- მოდალობის კატეგორია,
- შეფასების კატეგორია,
- ემოციურობის კატეგორია,
- დისტანტურობის კატეგორია.

მსმენელ სუბიექტს კი უკავშირდება სამი პრაგმატული კატეგორია:

- ინფორმაციულობის კატეგორია,
- ექსპრესიულობის კატეგორია,
- გამჭვირვალობის კატეგორია.

თითოეული ამ პრაგმატული კატეგორიის განხილვას საგაზეთო სტატიის მიხედვით შევეცდები.

სტატია აღებული მაქვს ბრიტანეთის ყოველდღიური გაზეთ "The Daily Telegraph"-ის, 2003 წლის 25 აპრილის ნომრიდან.

განსახილველი სტატიის სათაურია "Britain's complacent' policy on Sars attacked as virus claims more victims".

ვიდრე საკუთრივ პრაგმატული კატეგორიების დასახელებული სტატიის მიხედვით განხილვაზე გადავიდოდე, მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა საერთოდ სტატიის აგებულებასა და მეტყველი სუბიექტის მიერ გასათვალისწინებელ მოთხოვნებზე.

სტატია შედგება პარაგრაფებისაგან და ეს პარაგრაფები ქმნიან ტექსტს. თითოეული პარაგრაფი თემატურად ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

საერთოდ სტატიაში, საგაზეთო იქნება თუ ჟურნალიდან იქნება აღებული, მეტყველი სუბიექტის სუბიექტური აზრი არ უნდა ჩანდეს. მსმენელმა მისი სუბიექტური აზრი კი არ უნდა მოისმინოს, არამედ კონკრეტული მოვლენისა თუ ფაქტის შესახებ უნდა მიიღოს გარკვეული ინფორმაცია, ანუ, შეიძლება ითქვას, მეტყველი სუბიექტის მიზანია რაღაც ამბავი მოგვითხროს ობიექტურად.

სტატიის დამწერმა, ანუ ადრესანტმა (მეტყველმა სუბიექტმა) გარკვეული მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოს. კერძოდ ის, რომ სიტყვების რაოდენობა უნდა იყოს განსაზღვრული; ადრესანტმა უნდა შეარჩიოს ისეთი სათაური, რომ მკითხველი, ანუ ადრესატი მიიზიდოს. სწორედ ეს არის ნებისმიერი სტატიის მიზანი. სტატია შეიძლება იყოს ოფიციალური (ფორმალური) ანდა არაოფიციალური (არაფორმალური). ეს დამოკიდებულია მსმენელ აუდიტორიაზე; სტატიამ მკითხველის ყურადღება უნდა მიიქციოს. მისი პირველი პარაგრაფი იმდენად საინტერესო უნდა იყოს, რომ მსმენელმა სუბიექტმა მისი წაკითხვა მოინდომოს. გამოყენებული უნდა იყოს საინტერესო სიტყვები და გამოთქმები, ზედსართავი სახელებისა და გამაძლიერებელი ზმნიზედების ჩართვით. ისეთი გაცვეთილი და პრიმიტიული სიტყვები, როგორებიცაა "nice", "good" "very" და ა.შ. სტატიაში მეტყველმა სუბიექტმა არ უნდა გამოიყენოს.

ახლა, რაც შეეხება ჩემ მიერ გასაანალიზებელ სტატიას; ჯერ ვნახოთ, რამდენად ამართლებს იგი ზემოთ დასახელებულ მოთხოვნებს და შემდეგ განვიხილოთ იგი პრაგმატული კატეგორიების მიხედვით.

ჩემ მიერ განსახილველად აღებული სტატია მართლაც მიიქცევს ადრესატის ყურადღებას; მისი სათაური ძალიან მიმზიდველია ("catchy"): **"Britain's complacent' policy on Sars attacked as virus claims more victims"**. მკითხველი, ანუ ადრესანტი სათაურის წაკითხვისთანავე მოინდომებს სტატიის წაკითხვას. პირველი პარაგრაფიც საინტერესოდ იწყება: **"The Government's policy on Sars, the potentially fatal pneumonia virus, was severely criticised yesterday as thousands of schoolchildren and students returned from the Far East"**. ყოველივეს წაკითხვის შემდეგ მკითხველი, ანუ ადრესატი თავს კი არ დაანებებს კითხვას, არამედ ღრმად დაინტერესებული — დაუყოვნებლივ გააგრძელებს.

ამ სტატიაში მეტყველი სუბიექტის სუბიექტური აზრიც არ ჩანს. იგი ობიექტურად, ყოველგვარი ემოციის გარეშე მოგვითხრობს ვირუსული პნევმონიის შესახებ.

აღნიშნულ სტატიაში პრიმიტიული და მოსაწყენი სიტყვები გამოყენებული არ არის, იგი საგსეა საინტერესო სიტყვებითა და გამოთქმებით: **"to corral people", "immense allarm", "feeble", "complacent"**, და ა.შ.

როგორც დავინახეთ ჩემ მიერ ამორჩეული სტატია საგსებით ამართლებს ზემოთ დასახელებულ მოთხოვნებს.

ახლა კი მინდა განვიხილო ეს სტატია ჯერ მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული კატეგორიებით, რადგან, როგორც ვიცით, კომუნიკაციურ აქტში ჩვენ გვყავს არა ერთი სუბიექტი, არამედ ორი: მეტყველი სუბიექტი ანუ ადრესანტი და მსმენელი სუბიექტი ანუ ადრესატი და არსებობენ კატეგორიები, რომლებიც მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან და კატეგორიები, რომლებიც მსმენელ სუბიექტს უკავშირდებიან.

თუ გვსურს, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში გავაანალიზოთ რომელიმე ენობრივი მოვლენა და გავაანალიზოთ იგი პრაგმატულად და პრაგმატული აქცენტის დროს აქცენტი გავაკეთოთ მეტყველ სუბიექტზე, მაშინ გასაანალიზებელ ენობრივ მოვლენას უნდა მივუყენოთ შემდეგი კატეგორიები:


- ლოკაციის კატეგორია,
- მოდალობის კატეგორია,
- შეფასების კატეგორია,
- ემოციურობის კატეგორია,
- დისტანტურობის კატეგორია.

ხუთივე კატეგორიის გამოყენება ანალიზის დროს, თუ მხოლოდ რამდენიმე მათგანის, დამოკიდებულია თვით განსახილველი მომენტის რავგარობაზე, იმაზე თუ ენობრივი სისტემის რომელ დონეს ეკუთვნის იგი. რაც უფრო მაღალია ეს დონე, მით უფრო შესაძლებელია, მივუყენოთ მას ხუთივე ეს კატეგორია. თუ ტექსტის ანალიზს ვახდენთ — უნდა მივუყენოთ ყველა ეს კატეგორია. მაგრამ თუ ვახდენთ რომელიმე ლექსიკური ერთეულის, ლექსემის ან ლექსემათა ჯგუფის ანალიზს, ძნელი იქნება მივუყენოთ მას ლოკაციის ან მოდალობის კატეგორია, თუმცა არა მხოლოდ ლექსიკური ერთეულის ანალიზისასაა შეუძლებელი მთლიანად ყველა კატეგორიის მიყენება, ტექსტის სტილს და დონესაც გააჩნია. ასეთი რამ საგაზეთო სტატიას არ ეხება.

მინდა აღვნიშნო, რომ მეტყველი სუბიექტის საკითხს სხვაგვარად უნდა მივუღდე. აღვნიშნავ, რომ მეტყველი სუბიექტი ამ ტექსტში პი-

რადად არ ჩანს, თხრობა III პირში მიმდინარეობს. იგი მითითებულია სტატიის თავში. ჩემი აზრით, ამ ტექსტში გვაქვს ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და რამდენიმე მისი ქვე სუბიექტი. ახლა, მოდიტ გავერკვეთ, რას ნიშნავს ჩემ მიერ შემოტანილი ტერმინი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტი?!

ცნობილია, რომ მეტყველი სუბიექტი არის, ვინც შექმნა ტექსტი და ვინც პირადადაც არის ჩართული ტექსტში. საგაზეთო სტილის ტექსტში ერთმა მეტყველმა სუბიექტმა შექმნა, ანუ დაწერა ჩემ მიერ დასახელებული სტატია; მისი სახელი მითითებულია სტატიის თავში, **Celia Hall ---- medical editor**. საკუთრივ ტექსტში კი გამოყვანილია სხვა სუბიექტები, რომლებიც იცვლებიან, სწორედ ამათ ვუწოდებ ქვე სუბიექტებს. თითოეული მათგანი პირადად არის ჩართული ამ ტექსტში და თავის შეფასებას ახდენს სტატიაში აღნიშნულ პნევმონიის ვირუსზე. შემოიღია ნათქვამი სქემითაც წარმოვადგინო:



ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, მინდა განვიხილო პრაგმატული კატეგორიები მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე და პრაგმატული კატეგორიები მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე. როგორც დავინახეთ გვაქვს ერთი მეტყველი სუბიექტი და მასთან დაკავშირებული ცხრა ქვე სუბიექტი.

თავდაპირველად, საგაზეთო ტექსტის ანალიზს, მეტყველ სუბიექტიდან გამომდინარე პრაგმატული კატეგორიებით დავიწყებ; ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან: პერსონალური ტემპორალური და ლოკალური, მხოლოდ პერსონალური არ ჩანს ტექსტში, თუმცა იგი არსებობს. მართალია ამ კატეგორიის სამი კოორდინატიდან: მე-აქ-ახლა, ჩვენ არ გვაქვს არც სიტყვა "მე", არც ე.წ. "პირველი პირი", მაგრამ ეს "მე", როგორც კოორდინატი ჩართულია მთელ ამ ტექსტში.

ტემპორალური ასპექტი სტატიის პირველივე პარაგრაფში გვხვდება: **"The Government's policy on Sars, the potentially fatal pneumonia virus, was severely criticised yesterday..."**

ხოლო ლოკალური ასპექტს ტექსტის სათაურშივე მივაგნებთ: **"Britain's complacent' policy on Sars attacked as virus claims more victims"**; აშკარაა, რომ მოქმედება ბრიტანეთში ხდება. როგორც ვნახეთ ლოკაციის კატეგორია პირველი შემთხვევისათვის ამგვარად ხორციელდება.

რაც შეეხება მოდალობის კატეგორიას, ისევ და ისევ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, საგაზეთო ტექსტს ორი სახის მოდალობიდან ---- სუბიექტური და ობიექტური, ობიექტური მოდალობა შეეფერება. ობიექტური მოდალობა გამონათქვამში ასახული სიტუაციის რეალობასთან დამოკიდებულებაა. ძირითადი მეტყველი სუბიექტიც თავის განცდებსა და ემოციებს სტატიაში არ გამოხატავს. იგი სრულიად ობიექტურად ასახავს ამა თუ იმ მოვლენასა და ფაქტს.

ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე განვიხილავ ემოციურობის, შეფასებისა და დისტანტურობის კატეგორიებსაც. ამ შემთხვევაში ემოციურობის კატეგორია საგაზეთო ტექსტს არ მიესადაგება, რადგან ძირითადი მეტყველი სუბიექტი, ანუ წამყვანი აღრესანტი, თავის ემოციებს სტატიაში არ გამოხატავს.

ვერც შეფასების კატეგორიას მივუყენებდი ამ სტატიაში ძირითადი სუბიექტიდან გამომდინარე, რადგან მასში იგი იმას კი არ გვიჩვენებს, თვითონ როგორ აფასებს ტექსტში ნახსენებ პნევმონიის ვირუსის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, არამედ მხოლოდ გვატყობინებს ამ ინფორმაციას.

ვერც დისტანტურობის კატეგორიას ვერ მივუყენებდი, აღნიშნული შემთხვევიდან გამომდინარე, ამ სტატიაში, რადგან ძირითადი სუბიექტი პირადად არაა ჩართული მოცემულ ტექსტში.

ახლა განვიხილოთ პრაგმატული კატეგორიები ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან პერსონალური ასპექტი შეიცვლება; თითოეული მათგანი პირადად არის ჩართული ტექსტში და თავისი აზრი და შეხედულებები გააჩნია არსებული სიტუაციის მიმართ. დანარჩენი ორი ასპექტი — ტემპორალური და ლოკალური კი უცვლელია. აღვნიშნავ, რომ ამ საგაზეთო სტატიაში გვაქვს სულ, ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და ცხრა მისი ქვე სუბიექტი.

მინდა, ჩამოვთვალო ისინი:

1. The Government's policy
2. The World Health Organisation
3. Dr. Liam Fox
4. The Public Health Act
5. The Liberal Democrats
6. Prof. Sir Liam Donaldson
7. A spokesman
8. The Department of Health
9. Dr. Julie Hall

ეს რაც შეეხებოდა იმ ქვე სუბიექტებს, რომლებიც მე გამოვყავი.

ახლა კი, გადავიდეთ მოდალობის კატეგორიაზე. ორი სახის მოდალობიდან, ამ შემთხვევისთვის, სუბიექტურ მოდალობას მივუსადაგებდი ამ სტატიას; შეიძლება ითქვას, ამ საგაზეთო სტატიისადმი ორივე სახის მოდალობის მიყენება შეიძლება. სუბიექტურს იმიტომ მივუყენებდი, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტები თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავენ ტექსტში ასახული სიტუაციის მიმართ. ობიექტურს იმიტომ მივუყენებდი, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი თავად არ არის ჩართული ტექსტში; მასში ნაჩვენებია გამონათქვამში ასახული სიტუაციის დამოკიდებულება რეალობასთან.

შეფასებისა და ემოციურობის კატეგორიების მიყენება დასახელებული საგაზეთო სტატიისადმი, ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რადგან თითოეული ქვე სუბიექტი თავისებურად აფასებს ტექსტში გამოხატულ სიტუაციას. მაგალითისთვის მოვიყვან ერთ-ერთ ნაწყვეტს ტექსტიდან:

"Dr. Fox accused the government of being "feeble", "complacent", and "irresponsible..."

თითოეული ქვე სუბიექტის მიერ მოვლენის შეფასებაში გარკვეული ემოცია დევს; ვინაიდან ემოციები განყენებულად არ არსებობენ და ისინი ამ ქვე სუბიექტებს ახლავს, სწორედ ამიტომ ვუყენებთ ემოციურობის კატეგორიას ამ საგაზეთო ტექსტს. სწორედ ძირითადი მეტყველი სუბიექტთან დაკავშირებული ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე სტატიისადმი დისტანტურობის კატეგორიის მიყენებაც სავსებით შესაძლებელია. ეს ქვე სუბიექტები ხომ პირადად არიან ჩართული ტექსტში.

ყოველივე ზემოთ თქმული მოწმობს, რომ საგაზეთო ტექსტში, პრაგმატული კატეგორიები, რომლებიც მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან, უნდა განვიხილოთ არ მხოლოდ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, არამედ მასზე დამოკიდებული ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, შედეგი განსხვავებულია.

ახლა კი გადავიდეთ მსმენელ სუბიექტზე, ანუ ადრესატზე ორიენტირებული კატეგორიების განხილვაზე, დასახელებული საგაზეთო სტატიის მიხედვით. ცნობილია, რომ ადრესანტმა უნდა გაითვალისწინოს ადრესატი, ეს კი საკომუნიკაციო აქტის ეფექტურობის საფუძველია. ეფექტურობის მისაღწევად კი არ არის საკმარისი, რომ გამონათქვამი შეიცავდეს ლოკაციას, მოდალობასა და ა.შ. გამონათქვამი უნდა იყოს ინფორმაციული, ექსპრესიული და გამჭვირვალე.

საერთოდ, ნებისმიერი ტექსტი თავის თავში შეიცავს ინფორმაციულობას. გამონაკლისს არ წარმოადგენს დასახელებული სტატიაც. ისიც გარკვეული ინფორმაციის მატარებელია და ამდენად, ინფორმაციულია.

გამჭვირვალეობის თვალსაზრისით საგაზეთო სტატია, შეიძლება ითქვას, გამჭვირვალეა, რადგან მასში გამჭვირვალეობის ყველა ფაქტორი არის მოცემული; ტექსტში ასახული რეფერენტული სიტუაცია ერთნაირია ორივე სუბიექტისთვის; კომუნიკაციური სიტუაცია იდენტურია; კომუნიკანტთა თეზაურუსები, ფონური ცოდნა და სამყაროს ხატიც ერთნაირია. რადგან ყველა ფაქტორი უკლებლივ არის განხორციელებული საგაზეთო ტექსტში, იგი აბსოლუტურად გამჭვირვალეა. კომუნიკაციური ეფექტიც უმაღლეს დონეზეა მიღწეული. მეტყველ სუბიექტსა და მსმენელ სუბიექტს შორის კავშირი აშკარად ჰარმონიულია.

რაც შეეხება ექსპრესიულობის კატეგორიას, დასახელებულ საგაზეთო ტექსტში ექსპრესიულობის ორი ფუნქციური მომენტი ერწყმის ერთმანეთს. ადრესანტი საგაზეთო სტატიის შემთხვევაში ჩაფიქრებულ ზეგავლენას ახდენს; კომუნიკაციური ეფექტურობაც ემყარება არა მარტო მის კომუნიკაციურ ინტენციას, არამედ მის მიერ სამყაროს იმ ხატის ადეკვატურ გათვალისწინებასაც, რომელიც დამახასიათებელია ადრესატისთვის.

განხილვიდან გამომდინარე, საგაზეთო ტექსტი ინფორმაციული, გამჭვირვალე და ექსპრესიულია. ამ მხრივ კომუნიკაციაც ძალიან ეფექტურია.

ლიტერატურა:

- იული, 1996** — Yule. G. , Pragmatics, Oxford University Press, 1996.
- ლევინსონი, 1983** — Levinson Stephen C. , Pragmatics, Cambridge University Press, 1983.
- კუკი, 1994** — Cook G., Discourse and Literature, Oxford University Press, 1994.
- ლიჩი, 1983** — Leech G. N., Principles of pragmatics, London N.Y, 1983.
- ნიკოლაევა, 1978** — Николаева Т., Лингвистика текста.
- იზენბერგი, 1978** — Изенберг Х., "О предмете лингвистическое теории текста",
- სგალი, 1978** — Сгалл П., "К программе лингвистики текста",
- ვეუბიცა, 1978** — Вежбицка А., "Метатекст в тексте",
- ბარტი, 1978** — Барт П., "Лингвистика текста",
- ვარ დეიკი, 1978** — Ван деик Т., "Вопросы прагматики текста". Из книга "Новое в зарубежной лингвистике", выпуск VIII, лингвистика текста, Москва, "Прогресс", 1978.
- არუთინოვა, 1985** — Арутюнова Н. Д., "Истоки, проблемы и категорий прагматики",
- იფერი, 1985** — Кифер Ф. О., роли прагматики в лингвистическом описании",
- სგალი, 1985** — Сгалл П., Значение, содержание и прагматика", Из книга "Новое в зарубежной лингвистике", выпуск XVI, лингвистическая прагматика, Москва, "Прогресс", 1985.
- სტოლმეიკერი, 1985** — Столнейкер Р. С., "Прагматика", Из книга "Новое в зарубежной лингვистике", выпуск XVI, лингვистическая прагматика, Москва, "Прогресс", 1985.
- გალპერინი, 1981** — Гальперин И., "Текст как объект лингвистического исследования", Москва, Наука, 1981.
- პრობსტი, 1978** — Пробст М., "Текст в системах коммуникации", в: "Проблемы структурной лингвистики", Москва, 1978.
- ტურაევა, 1986** — Тураева З., "Лингвистика текста", Ленинград, 1986.
- "Языковая деятельность в аспекте лингвистической прагматики"

(сборник), Москва, 1984.

ლებანიძე, 1998 — გ. ლებანიძე, "ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა", "ენა და კულტურა", თბილისი, 1998.

სერგია, 1989 — ვ. სერგია, "ტექსტის ლინგვისტიკა", თბილისი, განათლება, 1989.

შენგელაია, 1987 — ნ. შენგელაია, ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1987.

ენუქიძე, 1990 — რ. ენუქიძე, ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1990.

NESTAN AKOBIA

Investigating Pragmatic Categories In Newspaper Articles

Summary

The paper deals with the realization of pragmatic categories in newspaper articles. The results of the study are illustrated on the example of the newspaper article.

"Britain's complacent policy on Sars attacked as virus claims more victims" ("The Daily Telegraph", 2003, April 25).

The paper focuses on two pragmatic categories - the category of the addressor and that of the addressee.

As news articles are mostly the third person narratives, the addressor is not presented in them. As a result of the study the category of the addressor is subdivided into subcategories.

The study has shown, that such notions as informativeness, expressiveness, and transparency are closely connected with the category of addressee. Successful realization of the three notions determine the efficiency of newspaper communication.

განა არაზიძე

სამიტური წარმოავლობის ერთი სიტყვის მნიშვნელობისათვის
ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ბევრი ისეთი სიტყვა გვხვდება, რომლებიც შემდგომ აღარ შეუტანიათ სხვა ლექსიკოგრაფებს თავიანთ ნაშრომებში, ანდა, პირდაპირ გადააქვეთ საბასეული განმარტება. ერთ-ერთი ასეთი ლექსიკური ერთეულია **მანშური**, რომელიც ასე განიმარტება: „სხვათა ენაა, სიგლისთვის დაუტრქმევიათ ცუდად“. ეს **ZA** ხელნაწერის მიხედვით, ხოლო სხვა (**Cb**) ხელნაწერში სულხან-საბა აღნიშნავს: „**მანშურისას** მეცილებიან და ვიეთნიმე იტყვიან სპარსთა ენისა არსო... ესე **მანშური** არა თუ საღთოთა წერილთა შინა ძეს, არამედ გარეშეთა. წიგნი(ა) დასამტკიცებელი (**CqDE**). სიგელი კი განიმარტება „წყალობის წიგნად“ (**ZABC**) (საბა, 1965).

დ. ჩუბინაშვილი, როგორც წესი, იმეორებს სიტყვების საბასეულ განმარტებებს. ამ შემთხვევაში სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. **მანშური** დ. ჩუბინაშვილს თავის ლექსიკონში არ შეუტანია. **მანშური** არც ძველი ქართული ენის ლექსიკონებში დასტურდება.

მანშური სიგელის მნიშვნელობით გვხვდება „შაჰ-ნამეს“ ქართულ თარგმანში: „**მანშურითა** დაუმტკიცეს შირაზი და ხვარისანი...“ (შაჰ. ნ. 2093, 3), „დედისაგან დავედრულსა მაზედ ვხედავ მანშურათა...“ (შაჰ-ნ. 2831, 1).

მანშური „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანის ლექსიკონში სპარსულ სიტყვადაა მიჩნეული. იქვე მითითებულია პარალელური ფორმა **მანაშური**. „მანშური || მანაშური ← სპ. **mansūr** — სიგელი, მოწმობა, დიპლომი, სიმტკიცის საბუთი, ფირმანი, ბრძანება“ (შაჰ-ნ. 1916, 813).

გვხვდება **მანშუარი** ფორმაც: „ესე წყალობისა პიტაკი, სიგელი და **მანშუარი** (sic) განაჩენი, ამისად გიბოძეთ და შეგიწყალებთ...“ (საქ. სიძ. 1926, 436).

ჩვენი აზრით, მანშური უნდა უკავშირდებოდეს სემიტურ **nšr** ძირს, რომლის მნიშვნელობაა „გავრცელება, გამოქვეყნება“. აქედანაა ნაწარმოები არაბ. **manšūr** ფორმა, რომელიც I თემის ვნებითი გვარის მიმღებობას წარმოადგენს. მისი მნიშვნელობაა „გამოქვეყნებული, გამოცხადებული, დაბეჭდილი. გავრცელებული“. **მანაშური** კი არაბული **manšūr**-ის ე. წ. მსხვერუელი მრავლობითის ფორმა უნდა იყოს (ბარანოვი, 1977, 802-803).

რაც შეეხება მანშუარ ფორმას, იგი არ გვხვდება არც არაბულსა და არც სპარსულ ენებში.

ამრიგად, **მანშური** ქართულში მწიგნობრული, თანაც გაშუალებული (სპარსული) გზით შემოსულ ლექსიკურ ერთეულთა რიგს მიეკუთვნება.

ლიტერატურა

საბა, 1965 — ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1965.

ბარანოვი, 1977 — X. K. Баранов, Арабско-русский словарь, М., 1977.

შემოკლებათა განმარტებანი

შაჰ-ნ. — შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტ. აბულაძემ, თბ., 1916.

საქ. სიძ. — საქართველოს სიძველენი, III, თბ., 1926.

MAYA ARESHIDZE

The Origin and Meaning of the Word *manšur* in Sulkhan-Saba Orbeliani's Dictionary

Summary

Some of the words encountered in Sulkhan-Saba Orbeliani's dictionary are not evidenced in the lexicographic works of the later period. The lexical unit *manšur* being one of them.

According to Sulkhan-Saba *manšur* a Persian borrowing, synonymous to the Georgian word *sigeli* meaning 'charter'. The given word with the same meaning is evidenced in the Georgian translation of "Shāh-Nāmeḥ".

Presumably, *manšur* is connected with the Arabic root *nšr* (meaning to spread, to issue) and might have come into Georgian via literary Persian.

ციური ახვლედიანი

საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკა

ენობრივი სიტუაცია განისაზღვრება სახელმწიფოში გამოყენებულ ენათა და მათ სახესხვაობათა ერთობლიობითა და მათ შორის ფუნქციების განაწილებით. ერთი შეხედვით, ენობრივი სიტუაცია საფრანგეთში წარმოგვიდგება არართულად: საფრანგეთის ერთენოვან მცხოვრებთა 95% ლაპარაკობს ფრანგულად. ფრანგული ენა ოფიციალური ურთიერთობების, სწავლების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და ქვეყნის საგარეო ურთიერთობებისათვის ერთადერთი ენაა. მაგრამ ამ გარეგნული უბრალოების ქვეშ დაფარულია არსებითი ენობრივი განსხვავებანი, რომლებიც წარმოშობენ სხვადასხვაგვარ პრობლემებს. საფრანგეთისათვის მნიშვნელოვანია ენობრივი სიტუაციის შემდეგი ასპექტები:

1. ფრანგულ ენასა და ეროვნულ უმცირესობათა ენებს შორის ურთიერთობა;
2. ფრანგული სალიტერატურო ენის ურთიერთობა მის ტერიტორიალურ, ფუნქციონალურ და სოციალურ მოდიფიკაციებთან;
3. ურთიერთობა ფრანგულ ენასა და უცხოურ ენებს შორის საფრანგეთის ტერიტორიაზე.

ეთნიკურ უმცირესობათა ენები ფრანგულ ლიტერატურაში მოხსენიება როგორც რეგიონალური ენები, უმცირესობათა ენები, „დაქვემდებარებული“ ენები და ა. შ.

თანამედროვე საფრანგეთი, თავისი მოხაზულობით, ექვსკუთხედს გვაგონებს (კორსიკის ჩათვლით). ექვსკუთხედის თითოეულ კუთხეში ცხოვრობს რომელიმე ნაციონალური უმცირესობა. გარდა ამისა, ქვეყნის სამხრეთი მხარე წარმოადგენს ოქსიტანური (პროვანსული) ენის გავრცელების ზონას. 7 რეგიონალური ენიდან — სამი რომანულს განეკუთვნება: ოქსიტანური, კატალანური და იტალიურის კორსიკული დიალექტი, 2 ენა — გერმანიკულია: გერმანული ენის

ელზასური კილოკავები და ნიდერლანდურის ფლამანდური კილოკავები. ერთი ენა — ბრეტანული — კელტურ ჯგუფს განეკუთვნება, არის რა მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი ევროპულ კონტინენტზე. დაბოლოს, ბასკური ენა, რომელსაც უჭირავს ქვეყნის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი კუთხე — არის გენეტიკურად იზოლირებული, არაინდოევროპული ენა. ამ ენათა (ე. ი. რეგიონალურ ენათა) მატარებლების საერთო რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 10 მლნ ადამიანს, ე. ი. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს. მათ შორის უმეტესი ნაწილი ორენოვანია და არაიშვიათად ისინი ფრანგულ ენას უკეთ ფლობენ, ვიდრე მშობლიურს.

ეს ორენოვნება არათანაბარუფლებიანი დიგლოსიის ფორმას იღებს. საფრანგეთში მხოლოდ ფრანგული ენა გამოიყენება ყოველგვარ საკომუნიკაციო სფეროებში და აქედან გამომდინარე, იგი წარმოადგენს ფუნქციონალურად სრულყოფილ ენას. დანარჩენი ენები გამოიყენებიან მხოლოდ საყოფაცხოვრებო და მხატვრულ სფეროებში.

საფრანგეთის მმართველი კლასები, თავიანთ ენობრივ პოლიტიკაში, ბრწყინვალედ აცნობიერებდნენ ენის, როგორც სწავლების საშუალების როლს. საფრანგეთში არასოდეს სხვა ენები ოფიციალურად არ იდევნებოდნენ, არ იკრძალებოდნენ, ყოველთვის შეიძლებოდა ნაწარმოების გამოქვეყნება სხვა ენებზე; მხოლოდ სკოლა, ადმინისტრაციასთან ერთად, იყო ერთადერთი ადგილი, საიდანაც იდევნებოდნენ ეროვნულ უმცირესობათა ენები.

ფრანგი ხელისუფლები, XV საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ჩვენს დღეებამდე, ატარებდნენ მიზანდასახულ პოლიტიკას, რომლის ამოცანაც იყო ერთიანი ფრანგული ენის ფუნქციონირების უზრუნველყოფა საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე. XVI საუკუნეში, ენის ერთიანობის უზრუნველყოფა მდგომარეობდა, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ დიალექტთა შევიწროებაში. XV საუკუნის ბოლოდან, ფრანგმა მეფეებმა დაიწყეს ორდონანსების გამოქვეყნება, რომელთა მიხედვითაც სასამართლო პროცესები და გადაწყვეტილებანი სავალდებულო იყო წარმოებულიყო არა ლათინურ, არამედ ფრანგულ ენაზე. მსგავსი დადგენილებები გამოქვეყნდა 1490, 1510, 1535 წლებში; მათ შორის ყველაზე ცნობილია ვილერ-კოტრეს ორდონანსი, რომელიც გამოიცა 1539 წლის 15 აგვისტოს; იგი ითვალისწინებდა ფრანგული ენის რეგულარულ გამოყენებას ხომალდთწარმოებაში, კიცხავ-

და გაუგებარი ლათინური სიტყვების ხმარებას და ბრძანებდა ყოველგვარი სასამართლო დადგენილების შედგენას „მშობლიურ ფრანგულ ენაზე და არავითარ შემთხვევაში სხვაგვარად“. თუმცა ეს ორდონანსი ყურადღებას ამახვილებდა ლათინურ ენაზე, მაგრამ იგი მალე იქცა ადგილობრივ დიალექტთა გამოყენების არასასურველობის გამოხატულებადაც. ამ ორდონანსის მიხედვით, სამეფოს მთელ ტერიტორიაზე, ოფიციალური ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად გამოცხადდა ილ-დე-ფრანსის ფრანგული ენა, „სამეფო ენა“. ენის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ, თუ 842 წელს გამოქვეყნებული „სტრასბურგის ფიცები“ იყო „ფრანგული ენის დაბადების მოწმობა“, მაშინ 1539 წლის ორდონანსი წარმოადგენს მის „სიმწიფის ატესტატს“, მოწმობას იმის შესახებ, რომ მას (ფრანგულ ენას) შეუძლია შეასრულოს საზოგადოებრივ ფუნქციათა მთლიანი მოცულობა.

მაშასადამე, ენობრივი პოლიტიკის სფეროში პირველ აქტებად ითვლება ფრანგ მეფეთა ორდონანსები (XV ს.-ის ბოლო და XVI ს.-ის დასაწყისი). თუმცა ფრანგული ენა იწერებოდა ადმინისტრაციასა და სასამართლო წესებში, მაგრამ XVII-XVIII საუკუნეების ცენტრალიზებული მონარქია არ ატარებდა მკაცრ ენობრივ პოლიტიკას. თუმცა ყოველი ახალი უცხოენოვანი პროვინციის შემოერთებისას ხელისუფლება აქვეყნებდა ედიქტს ფრანგული ენის აუცილებელი ხმარების შესახებ (1684 წ. — ფლანრიისათვის), 1685 წ. — ელზასისათვის, 1700 წ. — რუსილონისათვის, 1748 წ. — გერმანული ლოტარინგიისათვის, 1768 წ. — კორსიკისათვის), მაგრამ მათში გამოიხატებოდა მხოლოდ ზრუნვა ფრანგულ ენაზე მიღებული სახელმწიფო დადგენილებების გაგებისათვის და არა ფრანგული ენის დანერგვისათვის სკოლის გზით. სკოლებში ბავშვებს ასწავლიდნენ თავდაპირველად ლათინურს, ხოლო შემდეგ ფრანგულ ენას, ამასთანავე მრავალ პროვინციაში სწავლება მიმდინარეობდა ადგილობრივ დიალექტებზე. ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ ფლობდა ფრანგულ ენას. ფრანგული ენა ვრცელდებოდა ბუნებრივი გზით, პროვინციებს შორის გაცვლა-გამოცვლის გაძლიერებითა და ეკონომიკის შემჭიდროებით, ნაბეჭდ გამოცემათა გავრცელებით, კერძოდ, გაზეთების; ენის გაძლიერებას ხელი შეუწყო აკადემიის შექმნამაც (1635 წ.) და მისმა განყოფილებებმაც პროვინციულ ქალაქებში; ასევე ფრანგული ნაციონალური ენის მზარდმა პრესტიჟმა, რომელმაც ლიტერატურულ ბრწყინვალეებას მიაღწია XVII-XVIII საუკუნეების კლასიკოსთა ქმნილე-

ბებში. აღსანიშნავია, რომ შორსმჭვრეტი მინისტრები — კოლბერი, შემდეგ კი ლუგუა — იწყებენ შემოერთებულ უცხოურენოვან ოლქებში ფრანგული ენის მასწავლებელთა გაგზავნას.

ახალი ენობრივი პოლიტიკა ყალიბდება საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქაში (1789-1794). 1790 წლის აგვისტოში რევოლუციის ერთ-ერთმა მოღვაწემ, აბატმა გრეგუარმა, დამფუძნებელი კრების მითითებით, მთელ საფრანგეთში დაგზავნა სოციოლინგვისტური შინაარსის ანკეტები. ანკეტების შედეგებმა აჩვენა, რომ ქვეყნის 26 მლნ მცხოვრებიდან ფრანგული ენა მშობლიური იყო მხოლოდ 11 მლნ.-სათვის, რაც შეეხება დანარჩენებს, მათგან 6 მლნ.-მა საერთოდ არ იცოდა ფრანგული, 6 მლნ.-ს ძლივს ესმოდა ამ ენაზე და მხოლოდ 3 მლნ.-ს შეეძლო ფრანგულად, როგორც მეორე ენაზე, ლაპარაკი, წერა კი ნაკლებად იცოდნენ. ისინი იყენებდნენ რეგიონალურ ენებს ან ფრანგულ დიალექტებს, რომელთა რიცხვი 30-ს აღწევდა. მაშინ ფრანგული რევოლუციის მოღვაწეებმა, დასავლეთ ევროპაში პირველებმა, სცადეს შეემუშაებინათ და ცხოვრებაში გაეტარებინათ ფართო ენობრივი პოლიტიკა. მისი აუცილებლობა დაკავშირებული იყო რევოლუციის იდეების პროპაგანდასთან და ხალხის შემჭიდროების ამოცანასთან. დიალექტთა არსებობა განიხილებოდა, როგორც ძველი რეჟიმის გადმონაშთი, ენის მთლიანობა კი — როგორც მოქალაქეობრივი ერთიანობისა და თანასწორობის საფუძველი. მალე დადგა საკითხი ფრანგული ენის აუცილებელი სწავლების შესახებ უცხოურენოვანი ოლქების დაწყებით სკოლებში. კონვენტის სხდომაზე გამოსვლისას, საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის სახელით, ბ. ბარერმა, თავის მოხსენებაში „ენის შესახებ“, განაცხადა: „კანონები გაუგებარნი რჩებიან; ემიგრაცია და რევოლუციისადმი სიძულვილი ლაპარაკობენ გერმანულად, კონტრრევოლუცია დაპარაკობს იტალიურად, ფანატიზმი კი — ბასკურად. დავანგრიოთ ეს ვნებისა და ცდომილების იარაღი; თავისუფალი ხალხის ენა ერთიანი და ერთნაირი უნდა იყოს ყველასათვის“. 1794 წლის ივლისში, მიღებული განსაკუთრებული დეკრეტის შედეგად, დადგინდა, რომ ქვეყანაში ყველა ოფიციალური დოკუმენტი შედგენილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ფრანგულ ენაზე. ზოგმა ამას „ლინგვისტური ტერორი“ კი უწოდა. ოფიციალურად მხოლოდ ფრანგული ენის ხმარებისა და სხვა ენათა განდევნის პოლიტიკა საფრანგეთში დღემდე გრძელდება. საფრანგეთის რევოლუციამ ქვეყნის ყველა მცხოვრები გამოაცხადა ფრანგად,

მიუხედავად მათი ეთნიკური ან ენობრივი კუთვნილებისა. ამგვარად, ნაციის ცნება დაემთხვა სახელმწიფოებრივი კუთვნილების ცნებას და ეს ტრადიცია განმტკიცდა ფრანგულ ენაშიც. ფრანგული სიტყვა **nationalité** ჩვეულებრივად აღნიშნავს პიროვნების სახელმწიფოებრივ კუთვნილებას, მოქალაქეობას.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა რეგიონალური ენებისა და დიალექტების შევიწროება ფრანგული ენის მიერ. საფრანგეთში არ ტარდებოდა ოფიციალური რეპრესიული პოლიტიკა ადგილობრივი ენების მიმართ, არ იკრძალებოდა ისინი, დაშვებული იყო პუბლიკაციები ამ ენებზე, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს არ აიძულებდნენ გაფრანგებას, გვარების შეცვლას და ა. შ., მაგრამ სკოლაში სწავლების ერთადერთი ენა იყო ფრანგული, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სახელდობრ, სკოლა გახდა სხვა ენებთან და დიალექტებთან ბრძოლის ძირითადი ადგილი. განათლების უწყების ხელმძღვანელები იმ საბაბით, რომ ადგილობრივი ენები ხელს უშლიან ფრანგული ენის ათვისებას, მათ დევნიდნენ სკოლიდან; მათ არა მარტო არ ასწავლიდნენ, არამედ მოსწავლეებს სჯიდნენ კიდევ, თუ ისინი ერთმანეთს შორის მშობლიურ ენაზე ან დიალექტზე დაილაპარაკებდნენ: მოსწავლეს, რომელიც დაილაპარაკებდა მშობლიურ ენაზე, კისერზე კიდებდნენ სამარცხვინო ნიშანს (მაგ., საბოს), რომელიც მას უნდა ეტარებინა, ვიდრე არ შენიშნავდა სხვა რომელიმე მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე მოსწავლეს და არ დააბეზლებდა მას. 1925 წ., მაშინდელი განათლების მინისტრი ამბობდა: „საფრანგეთის ენობრივი ერთიანობისათვის ბრეტონული ენა უნდა გაქრეს“. მიმართავდა რა ელზასის სკოლებს, მინისტრი ამბობდა: „მე ვისურვებდი, რომ ყოველ დღე თქვენ დაგემახსოვრებინათ ერთი ახალი ფრანგული სიტყვა და დაგევიწყებინათ ერთი გერმანული“. ყველაზე უმნიშვნელო სამოქალაქო თანამდებობის მიღწევაც კი მოითხოვდა სალიტერატურო ფრანგული ენის კარგ ცოდნას. პირები, რომელთაც არ იცოდნენ ფრანგული ენა, თავს გრძნობდნენ სოციალურად დამცირებულად, განიცდიდნენ არასრულფასოვნების კომპლექსს. ბევრი შეგნებულად უარყოფდა მშობლიურ ენას, რომ თავი ეგრძნოთ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.

რასაკვირველია, პარალელურად წარმოიშვა რეგიონალურ ენათა დაცვის მოძრაობები. 1870 წ. სამმა ფილოლოგმა პეტრიციით მიმართა საკანონმდებლო კორპუსს, დაწყებით სკოლებში ადგილობრივ ენებზე

სწავლების ნების მიცემისათვის, ასევე მათი ფაკულტატიური შესწავლის ორგანიზაციისათვის; ეს პროგრამა, რა თქმა უნდა, არასრულყოფილად, განხორციელდა მხოლოდ 80 წლის შემდეგ. ეს პროგრესი იყო მომხრე მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებისა, თვლიდა რა, რომ ეს ხელს შეუწყობდა ბავშვთა გონებრივ განვითარებას. მიუხედავად ამისა, 1880-დან 1938 წლამდე განათლების სამინისტროს ოფიციალური ინსტრუქციები წინააღმდეგობას გამოთქვამდნენ ადგილობრივ ენათა მიმართ, გამოდიოდნენ რა ფრანგული ენის სწავლების გაუმჯობესების ინტერესებიდან.

1951 წლის 11 იანვარს მიღებულ იქნა დექსონის კანონი (მაშინდელი განათლების მინისტრის სახელის მიხედვით), რომლის მიხედვითაც, საფრანგეთის ისტორიაში პირველად, დაშვებულ იქნა რეგიონალური ენების ფაკულტატიური სწავლება სკოლაში; იგულისხმებოდა 1 სთ კვირაში, აუცილებელი ჩათვლის გარეშე. უმაღლესი განათლების სფეროში გათვალისწინებულ იქნა პროვანსული ენისა და ლიტერატურის, ბრეტონულის, ბასკური და კატალანური ენების კათედრების შექმნა სხვადასხვა უნივერსიტეტში, დისერტაციების დაცვის უფლებით. დექსონის კანონი 7 რეგიონალური ენიდან მხოლოდ 4-ს ეხებოდა: პროვანსულს, ბრეტონულს, ბასკურსა და კატალანურს. ფლამანდური, კორსიკული და ელზასური განიხილებოდნენ როგორც დიალექტები, შესაბამისად, ნიდერლანდურის, იტალიურისა და გერმანულისა, რომლებიც საშუალო სკოლებში ისწავლებოდნენ, როგორც უცხოური ენები. დექსონის კანონის სფეროში მოექცა კორსიკულიც, რადგან კორსიკელებმა მოახერხეს დაემტკიცებინათ, რომ ისინი აპირებენ არა სალიტერატურო იტალიურის სწავლებას, არამედ განსაკუთრებული კორსიკულისას; მაგრამ დექსონის კანონი ნაკლებფექტური იყო და იგი ქაღალდზე რჩებოდა მატერიალური ბაზის (სახელმძღვანელოების, მასწავლებლების) უქონლობის გამო. 1958წ. რეგიონალური კულტურისა და ენების დაცვის ეროვნულმა საბჭომ მიაღწია იმას, რომ რეგიონალური ენის გამოცდა გათვალისწინებულ იქნა ბაკალავრის ხარისხის მისაღებად, უცხოური ენების გვერდით და ასევე იმას, რომ დაიწყეს რადიო- და ტელეგადაცემები ადგილობრივ ენებზე.

რეგიონალურ ენათა სწავლების მომხრეები ეყრდნობიან სამ ფაქტორს: ეკოლინგვისტურს, პრაგმატულსა და ეთნონაციონალურს.

პირველი მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა შევინარჩუნოთ

ყოველგვარი ენობრივი სისტემა, რამდენადაც იგი წარმოადგენს სამყაროს ასახვის განუმეორებელ საშუალებას. ყოველი ენის გაქრობა — გამოუსწორებელი ზარალია კაცობრიობისათვის. თუ დიალექტები განწირულნი არიან გაქრობისათვის, ენები, რომლებიც ფლობენ სპეციფიკურ წყობას, უნდა ვასწავლოთ, რომ შენარჩუნებულ იქნენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭებათ განსაკუთრებულად თავისებურ ენებს: ბასკურსა და ბრეტონულს.

პრაგმატული ფაქტორი მდგომარეობს იმაში, რომ „ტვინის ვარჯიშისათვის“ ფრანგული ენის შეპირისპირება მშობლიურთან არანაკლებ სასარგებლოა, ვიდრე, მაგალითად, ლათინურთან, რომლის სწავლებაც ხშირად გამართლებულია ამ მოსაზრებით.

ეთნონაციონალური ფაქტორი ვარაუდობს, რომ ენის სწავლება, მისი განვითარება საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ იმ ადამიანთა სულიერი ერთობა, რომლებიც განეკუთვნებიან ერთ ეთნიკურ ჯგუფს, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურის, ფოლკლორისა და ა. შ. შენარჩუნებას.

დექსონის კანონმა რეგიონალური ენები აქცია არა სწავლების ენებად, არამედ მხოლოდ შესასწავლ ენებად, უცხოურთა მსგავსად. მთელ საფრანგეთში სწავლება დღემდე გრძელდება მხოლოდ ფრანგულ ენაზე და გვიან ეტაპზე ჩაერთვება, თანაც ფაკულტატიურად, არჩევით, მშობლიური ენის გაკვეთილები. რეგიონალური ენები უფრო საშუალო სკოლაში ისწავლება, ვიდრე დაწყებითში. საბავშვო ბაღებში ზოგან ცდილობენ შექმნან ჯგუფები რეგიონალურ ენებზე მოლაპარაკე ბავშვებისაგან; დაწყებით სკოლაში (6-11 წელი) ნავარაუდევია ადგილობრივი ენებისა და კულტურის სწავლება 1-3 სთ-ის მოცულობით კვირაში. საშუალო სკოლის პირველი ციკლის დროს (კოლეჯში, 11-16 წლის ასაკი) რეგიონალური ენებისათვის გამოყოფილია 1 სთ ფაკულტატიური სწავლებისათვის; მეორე ციკლის დროს (ლიცეუმში, 17-19 წლის ასაკი) შეიძლება ამორჩევა რეგიონალური ენისა, უცხოური ენის ნაცვლად, „ცოცხალი ენების“ სპეციალიზაციის ჩარჩოებში ან ფაკულტატიურად დამატებითი ენის სახით. საშუალო სკოლის კურსის გამოცდებზე რეგიონალური ენები დაშვებულია ფაკულტატიური საგნის სახით, ნაცვლად ძველი ან უცხოური ენისა. უცხოური ენების სახით საფრანგეთში ისწავლება გერმანული, ინგლისური, ესპანური, იტალიური, რუსული, პორტუგალიური, არაბული; რეგიონალური ენების სახით: ბრეტონული, ბასკუ-

რი, პროვანსული, კატალანური, კორსიკული.

ფრანგ ხელისუფალთა ხუთსაუკუნოვანმა ენობრივმა პოლიტიკამ გამოიღო ნაყოფი: სალიტერატურო ფრანგული ენა (სახელმწიფო ენა) ადმინისტრაციისა და სწავლების ერთადერთი ენაა მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზე. ეთნიკური უმცირესობები ან კარგავენ თავიანთ ენას, ან ხდებიან ბილინგვები ფრანგული ენის უპირატესობით. ადგილობრივი ენები შემოიფარგლებიან საყოფაცხოვრებო ურთიერთობის, ფოლკლორისა და მხატვრული შემოქმედების სფეროებით.

TSIURI AKHVLEDIANI

Language Policy in France

Summary

The language situation in a state is conditioned by the variety and unity of the languages used and their functional distribution. In France French is the only language for official communication, education, administration, law, foreign affairs etc. This, at first sight simple language policy is the result of the five-century struggle beginning with the 15th c. ordinances issued by the French kings up to Dexon law (20c); Throughout this period the authorities have narrowed the sphere of usage of the seven regional languages (Occitan, Catalan, the Corsican dialect of Italian, Flemish, Basque, Breton, Alsatian).

Heads of the education system realize the importance of the French language, as a means of education, for the stability of the political system in the country.

The regional languages are only for oral communication, folklore and artistic creativity.

ენის ბაზრათმცოდნეობა-ლინგვისტიკური

პირთა კომბინაციების შედეგად გამოვლენილი ზოგბი თავისებურება ორპირიან ზმნებში

ქართული ზმნის ძირითადი თავისებურება, როგორც ცნობილია, სწორედ მის მრავალპირიანობაშია, რაც გულისხმობს სუბიექტურ და ობიექტურ პირთა წარმოჩენას ზმნის ფორმაში სათანადო ნიშნებით. მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული პირები სხვადასხვა მიზეზთა გამო ზოგჯერ ავლენენ ნიშანს ზმნაში და ზოგჯერ არა, რაც განპირობებულია ხან ფონეტიკა-ფონოლოგიური და ხან მორფოლოგიური ფაქტორებით. ჩვენ წარმოვადგენთ პირთა კომბინაციებს, როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ორპირიან ზმნებში.

S_1O_2 და S_2O_1 პირთა კომბინაციები

კომბინაციაში $S_1O_2^{ind}$ (გ-ვედრები, გ-პატრონობა), $S_1O_2^d$ (გ-პოვებ, გან-გ-კურნებ) — S_1 -ის ნიშანი |ვ-| არ არის წარმოდგენილი და არც არასდროს ყოფილა. როგორც თ. უთურგაიძე აღნიშნავს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს მორფონოლოგიასთან. |ვ| ერთი მორფემის ფარგლებში დაუშვებელი კომპლექსია, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ |ვ-| პრეფიქსის დაკარგვა ამ ფორმებში სიმულტანური პროცესია (ანუ იკარგება გაჩენისთანავე), ე.ი. ყოველთვის ამ პოზიციაში ნულოვანი ალომორფი ივარაუდება. ამასთანავე ის ფაქტი, რომ ამ კომბინაციების $S_1^pO_2^{ind}$ (გ-ვედრები-თ, გ-პატრონობა-თ), $S_1^pO_2^d$ (გ-პოვებ-თ, გან-გ-კურნებ-თ) მრავლობითი რიცხვის ფორმებში სუბიექტური პირის მრავლობითობა -თ ბოლოსართით არის გამოხატული, იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული პირი ზმნაში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. როგორც ა. შანიძე წერს: „რიცხვი ...ზმნაში მხოლოდ პირს აქვს“ (შანიძე, 1973, 195), მაშასადამე, -თ სუფიქსი უკვე გამოხატულ პირს უნდა გასჩენოდა.

მოცემული ფორმები ასეთ სახეს მიიღებს:

\emptyset -გ-ევედრები ~ \emptyset -გ-ევედრები-თ ($S_1O_2^{ind} \sim S_1^P O_2^{ind}$)
 \emptyset -გ-პატრონობ ~ \emptyset -გ-პატრონობ-თ ($S_1O_2^{ind} \sim S_1^P O_2^{ind}$)
 \emptyset -გ-პოვებ ~ \emptyset -გ-პოვებ-თ ($S_1O_2^d \sim S_1^P O_2^d$)
 გან- \emptyset -გ-კურნებ ~ გან- \emptyset -გ-კურნებ-თ ($S_1O_2^d \sim S_1^P O_2^d$)
 ასევე რეკონსტრუირდება S_2O_1 კომბინაციებში |ხ-|, სადაც ყოველთვის ნულოვანი ალომორფით იქნება წარმოდგენილი სუბიექტური მეორე პირი:
 * ხ-მ-ევედრები — \emptyset -მ-ევედრები ~ \emptyset -მ-ევედრები-თ ($S_2 O_1^{ind} \sim S_2^P O_1^{ind}$)
 * ხ-მ-პატრონობ — \emptyset -მ-პატრონობ ~ \emptyset -მ-პატრონობ-თ ($S_2 O_1^{ind} \sim S_2^P O_1^{ind}$)
 * ხ-მ-პოვებ — \emptyset -მ-პოვებ ~ \emptyset -მ-პოვებ-თ ($S_2 O_1^d \sim S_2^P O_1^d$)
 * გან-ხ-მ-კურნებ — გან- \emptyset -მ-კურნებ ~ გან- \emptyset -მ-კურნებ-თ ($S_2 O_1^d \sim S_2^P O_1^d$)

SO კომბინაციებში ძველ ქართულში I სერიის ფორმებში გამოიხატებოდა მხოლოდ სუბიექტის მრავლობითობა, რომელიც სახელობითში იდგა, ხოლო მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი, გარდა I პირისა, ვერ ითანხმებდა ზმნას რიცხვში. ამიტომ მოცემულ ფორმებში წარმოდგენილი იყო მხოლოდ სუბიექტის მრავლობითობა -თ სუფიქსით: მე გევედრები შენ /თქვენ, მე გაპატრონობ შენ /თქვენ, მე გაპოვებ შენ /თქვენ, მე განგკურნებ შენ /თქვენ.

ახალ ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში ობიექტური წყობის დროს, ისიც არსებითად I და II პირში, III პირში შეთანხმება შედარებით იშვიათად გვაქვს.

ი. კიკნაძეს თანამედროვე ქართული მწერლობიდან წარმოდგენილი აქვს ზმნის ფორმები, რომლებშიც დასტურდება რიცხვში შეთანხმება III პირშიც. ეს ეხება როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ ობიექტს: „გაჟა... ჩასჭიდებდათ... თითებს (გ. დოჩ.), თავბრუს დაახვევდათ... (გ. დოჩ.), რიხით გამოუცხადათ პაპა კარლსონმა (თ. ჩალაური), ვილაც წამოადგათ თავს (ჯ. ქარჩხ.), ქიშმიშს არ ჩაუყრიდათ მუჭში (ო. ჭილაძე), ვერავინ მოაკაკუნებდათ შუალამისას (ო. ჭილაძე), აუჩუყათ გული (ო. ჭილაძე), საათის ხმა... ახსენებდათ (ო. ჭილაძე), პაპამ ქამარი მოუნაცვლათ (ო. ჭილაძე), ის ჩაუპარტყუნებდათ... თავში (ო. ჭილაძე), გაანებებდათ ის მათ, უბორკავდათ ის მათ მას, აბიჯებდათ ის მათ, ჩამოუტანათ მან მათ ის, უმოწმებდათ ის მათ მას, უქარწყლებდათ ის მათ მას, აკავებდათ ის მათ, უსმენდათ ის მათ,

ახალისებდათ, იზიდავდათ, აფრთხობდათ, ამოძრავებდათ, აფრთხილებდათ...“ (კიკნაძე, 1983, 75-87).

გამოხატულების პლანში ერთმანეთს ემთხვევა, ერთი მხრით, $S_1^P O_2^{ind}$, $S_1^P O_2^d$ და, მეორე მხრით $S_1^P O_2^{indp}$, $S_1^P O_2^{dp}$, გრამატიკულად კი ისინი სხვადასხვაა. თუ მათ წარმოდგენთ მორფემულ დონეზე, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ძვ. ქართ. ჩუენ შენ გ-ევედრები-თ ~ ჩუენ თქუენ გ-ევედრები-თ
 ახ. ქართ. ჩვენ შენ გ-ევედრები-თ ~ ჩვენ თქვენ გ-ევედრები-თ- \emptyset
 ძვ. ქართ. ჩუენ შენ გ-პოვებ-თ ~ ჩუენ თქუენ გ-პოვებ-თ
 ახ. ქართ. ჩვენ შენ გ-პოვებ-თ ~ ჩვენ თქვენ გ-პოვებ-თ- \emptyset

ნულოვანი ალომორფი ახალ ქართულში აუცილებელია, რადგან არსებობს გ-ევედრები-თ მე თქვენ (მდრ. ძვ. ქართული გ-ევედრები მე თქვენ)

ახალ ქართულში $S_1^P O_2^{indp}$, $S_1^P O_2^{dp}$ კომბინაციაში თავს იყრის ორი -თ-თ. როგორც ვიცით, ქართულისთვის არ არის დამახასიათებელი გემინირებული თანხმონები ერთი მორფემის ფარგლებში და, ბუნებრივია, მორფემათა საზღვარზე დაიკარგა ერთ-ერთი, რომელიც წარმოდგენილია ნული სიმბოლოთი.

ძველი ქართულის I სერიის ფორმებში $S_1O_2^{indp}$, $S_1O_2^{dp}$ გამოხატულების პლანით ემთხვეოდა $S_1O_2^{ind}$, $S_1O_2^d$ (მე განგადიდებ შენ/თქვენ, მე გაპატრონობ შენ/ თქვენ). როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი არ ითანხმებდა რიცხვში ზმნას და არც ამ კომბინაციებში გამოიხატებოდა, გარდა I პირისა.

ახალ ქართულში კი შეთანხმება ხდება ობიექტური წყობის დროს II პირშიც და მოცემული კომბინაციები შემდეგნაირად ჩაიწერება:

	ძვ. ქართული	ახ. ქართული
მე თქუენ	$\left\{ \begin{array}{l} \text{გ-ევედრები} \\ \text{გ-პოვებ} \\ \text{გან-გ-კურნებ} \end{array} \right.$	$\left\{ \begin{array}{l} \text{გ-ევედრები-თ} \\ \text{გ-პოვებ-თ} \\ \text{გან-გ-კურნავ-თ} \end{array} \right.$

როგორც ვხედავთ, II პირში საჭირო გახდა მრავლობითის აღნიშვნა, რისთვისაც პირდაპირ გადმოტანილი იქნა S_1 და S_2 მრავლობითის -თ სუფიქსი.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტი მრავლობითში წარმოდგენილი იყო =ენ~=ნ სუფიქსით. იგი ყოველთვის ითანხმებდა ზმნას რიცხვში II სერიის მწკრივებში I, II, III პირში. ახალ ქართულში {=ენ} აღარ იხმარება, მის ნაცვლად ვხვდებით -თ სუფიქსს, რომელიც ზმნაში ჩნდება იმ შემთხვევაში, თუ სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი სულიერია, სხვა შემთხვევაში იგი არ აღინიშნება.

$S_1O_3^{ind}$, $S_1O_3^d$, $S_2O_3^{ind}$, $S_2O_3^d$ პირთა კომბინაციები

კომბინაცია $S_1O_3^{ind}$, $S_1O_3^d$ ძველ ქართულში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ხ-უ-ევედრები, ხ-უ-პატრონობ, ხ-უ-პოვებ, გან-ხ-უ-კურნებ... *ვ-ხ- თანმიმდევრობაში I-პრეფიქსმა მეტათეზისი განიცადა; I-ს მომდევნოდ [ვ] გადადის წყვილბაგისმიერ [უ] თანხმოვანში, რომელიც რიგ შემთხვევაში იკარგება (შანიძე, 1976, 22) ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ხვს მიმდევრობა ერთი მორფემის ფარგლებში არ გვხვდება, ხოლო ხუს მეტად გავრცელებული მიმდევრობაა ძვ. ქართულში როგორც ზმნებში, ასევე სახელებშიც: ვფხუ, ლახუ-არი, შემთხვევა, მსხურპლი, მცხუედი, რიცხუ, ხახუ, ხუადი, ბუარბალი, ხუასტაგი, ხუაშიადი, ხუედრება, ხუევა, შეხუევა, ხუეტა, ხუეწა, ხუეჭა, ვერხუ... (ი. იმნაიშვილი, 1971, 7–8).

I სერიის ამ კონკრეტულ მაგალითებში ივარაუდება შემდეგი მორფონოლოგიური ცვლილება: *ვ-ხ-ევედრები→ხ-უ-ევედრები, *ვ-ხ-პატრონობ→ხ-უ-პატრონობ, *ვ-ხ-პოვებ→ხ-უ-პოვებ, *გან-ვ-ხ-კურნებ→გან-ხ-უ-კურნებ.

კომბინაციაში $S_2O_3^{ind}$, $S_2O_3^d$ — სხვადასხვა ფუნქციის ორი ხ-პრეფიქსი ხვდება ერთმანეთს უშუალო მეზობლობაში. ერთ-ერთი მათგანი რჩება ფორმაში, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი ერთნაირი თანხმოვანი ერთი მორფემის ფარგლებში არ არის დამახასიათებელი ქართულისათვის. ა. შანიძე ამ მოვლენას განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არის კომბინაცია $S_2O_3^{ind}$ და აღნიშნავს, რომ ორი ერთნაირი თანხმოვნიდან ერთ-ერთი იკარგება, მაგრამ კონკრეტულად რომელი პირი, ამაზე პასუხს არ იძლევა (შანიძე, 1981, 148).

ვფიქრობთ, ამ კომბინაციაში იკარგებოდა S_2 პირის ნიშანი I-ს, რომლის ძალაც თანდათანობით სუსტდებოდა და დღეს, ახალ ქარ-

თულში, ის თითქმის აღარ იხმარება. თ. გამყრელიძის სუბიექტ-ობიექტური პირის ნიშანთა „სიმძლავრის“ თეორიას თუ გავითვალისწინებთ (გამყრელიძე, 2000, 145-146), შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კომბინაციაში $S_2O_3^{ind}$, $S_2O_3^d$ — O_3^{ind} და O_3^d ნიშანი უფრო „ძლიერი“ იყო S_2 პირის ნიშანზე.

ახალ ქართულში, როგორც ცნობილია, O_3^{ind} ნიშანი I-ს ხმოვნების, სონორებისა და ჩქამიერი ნაპრალოვნების წინ იკარგება და ნულოვანი ალომორფით იქნება წარმოდგენილი, ასევე არ გამოიყენება I-ს პირველ სუბიექტურ პირთან — I-ს-ს, მოცემული კომბინაცია ახალ ქართულში ასე ჩაიწერება:

$S_1O_3^{ind}$ — ვ-უ-ევედრები ვ-უ-პატრონობ

$S_2O_3^{ind}$ — უ-ევედრები უ-პატრონობ

რაც შეეხება O_3^d ნიშანს, ახალ ქართულში სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით მას III პირში ნიშანი არა აქვს. იგი \emptyset ალომორფით იქნება წარმოდგენილი:

$S_1O_3^d$ — ვ-უ-პოვებ S_2O_3 — უ-უ-პოვებ

გან-ვ-უ-კურნავ გან-უ-უ-კურნავ.

ამავე პირთა კომბინაციების მრავლობითი რიცხვის ფორმებში: $S_1^pO_3^{ind}$, $S_1^pO_3^d$, $S_1^pO_3^{indp}$, $S_1^pO_3^{dip}$, $S_2^pO_3^{dip}$, $S_2^pO_3^d$, $S_2^pO_3^{indp}$, $S_2^pO_3^{dip}$, როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში აღინიშნება სუბიექტური პირის მრავლობითობა -თ სუფიქსით. რაც შეეხება $S_1O_3^{indp}$, $S_1O_3^{dip}$, $S_2O_3^{indp}$, $S_2O_3^{dip}$ კომბინაციებს, I სერიის ფორმებში ობიექტების მრავლობითობა არ აღინიშნება არც ძველ და არც ახალ ქართულში.

$S_1^pO_3^{ind}$, $S_1^pO_3^{indp}$

ძვ. ქართ. ხ-უ-ევედრები-თ ახ. ქართ. ვ-უ-ევედრები-თ
ხ-უ-პატრონობ-თ ვ-უ-პატრონობ-თ

$S_2^pO_3^{ind}$, $S_2^pO_3^{indp}$

ძვ. ქართ. უ-ევედრები-თ ახ. ქართ. უ-უ-ევედრები-თ
უ-ხ-პატრონობ-თ უ-პატრონობ-თ

$S_1^pO_3^d$, $S_1^pO_3^{dip}$ (I სერია)

ძვ. ქართ. ხ-უ-პოვებ-თ ახ. ქართ. ვ-უ-პოვებ-თ
გან-ხ-უ-კურნებ-თ გან-ვ-უ-კურნავ-თ

$S_2^pO_3^{indp}$, $S_2^pO_3^{dip}$,

ძვ. ქართ. უ-ხ-ევედრები-თ ახ. ქართ. უ-უ-ევედრები-თ
უ-ხ-პატრონობ-თ უ-პატრონობ-თ

\emptyset -ბ-პოვებ-თ
 გან- \emptyset -ბ-კურნებ-თ
 $S_3O_1^{ind}$, $S_3O_2^{ind}$, $S_3O_3^{ind}$, $S_3O_1^d$, $S_3O_2^d$, $S_3O_3^d$, მოცემულ კომბინაციებში მხოლოდითი რიცხვის ფორმებში ორივე პირის ნიშანია მოცემული ზმნაში, რადგან S_3 პირის ნიშანი სუფიქსებია, ხოლო ობიექტების კი — პრეფიქსები და არ ხდება პირის ნიშანთა შეხვედრა:

	S_3O_1	S_3O_2	S_3O_3
ძვ. ქართ.: მ-ევედრები-ს	მ-ევედრები-ს	გ-ევედრები-ს	ბ-ევედრები-ს
ახ. ქართ.: მ-ევედრებ-ა	მ-ევედრებ-ა	გ-ევედრებ-ა	\emptyset -ევედრებ-ა
ძვ. ქართ.: მ-პატრონობ-ს	მ-პატრონობ-ს	გ-პატრონობ-ს	ბ-პატრონობ-ს
ახ. ქართ.: მ-პატრონობ-ს	მ-პატრონობ-ს	გ-პატრონობ-ს	პ-პატრონობ-ს
ძვ. ქართ.: მ-პოვებ-ს	მ-პოვებ-ს	გ-პოვებ-ს	ბ-პოვებ-ს
ახ. ქართ.: მ-პოვებ-ს	მ-პოვებ-ს	გ-პოვებ-ს	\emptyset -პოვებ-ს
ძვ. ქართ.: გან-მ-კურნებ-ს	გან-მ-კურნებ-ს	გან-გ-კურნებ-ს	გან-ბ-კურნებ-ს
ახ. ქართ.: გან-მ-კურნავ-ს	გან-მ-კურნავ-ს	გან-გ-კურნავ-ს	გან- \emptyset -კურნავ-ს
$S_3O_1^{indp}$, $S_3O_2^{indp}$, $S_3O_3^{indp}$, $S_3O_1^{dp}$, $S_3O_2^{dp}$, $S_3O_3^{dp}$, — ძველ ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი, როგორც ვიცით, არ ითანხმებდა ზმნას რიცხვში და არც ამ კომბინაციებში გამოიხატებოდა, ხოლო ახ. ქართულში ობიექტური წყობის დროს ხდება ზმნის რიცხვში შეთანხმება I და II პირში, III პირში კი — იშვიათად.			

ძვ. ქართ. ახ. ქართ.

$S_3O_1^{indp}$ გუ-ევედრები-ს	გვ-ევედრება
$S_3O_2^{indp}$ გ-ევედრები-ს	გ-ევედრება-თ
$S_3O_3^{indp}$ ბ-ევედრები-ს	\emptyset -ევედრებ-ა // \emptyset -ევედრება-თ
$S_3O_1^{dp}$ გუ-პოვებ-ს	გვ-პოვებ-ს
$S_3O_2^{dp}$ გ-პოვებ-ს	გ-პოვებ-ს-თ → გ-პოვებ-თ
	(-სთ კომპლექსი გამარტივდა და -ს დაიკარგა)
$S_3O_3^{dp}$ ბ-პოვებ-ს	\emptyset -პოვებ-ს.

რაც შეეხება $S_3^p O_1^{indp}$, $S_3^p O_2^{indp}$, $S_3^p O_3^{indp}$, $S_3^p O_1^{dp}$, $S_3^p O_2^{dp}$, $S_3^p O_3^{dp}$ (I სერია) კომბინაციებს ძველსა და ახალ ქართულში, ყველაგან წარმოდგენილია III სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშანი — სან/-ენს. მნიშვნელოვანია $S_3^p O_1^{indp}$, $S_3^p O_1^{dp}$ კომბინაცია, სადაც წარმოდგენილია როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის მრავლობითობა, ე.ი. ზმნის ერთ ფორმაში ორი სხვადასხვა ნიშნით გადმოცემულია სხვადასხვა აქტანტის მრავლობითობა. რაც განამტკიცებს რანგთა სისტემაში მა-

თი ცალკე გამოყოფის საკითხს.

	$S_3^p O_1^p$	$S_3^p O_2^p$	$S_3^p O_3^p$
ძვ. ქართ. გუ-ევედრები-ან,	გუ-ევედრები-ან,	ბ-ევედრები-ან.	
ახ. ქართ. გვ-ევედრები-ან,	გ-ევედრები-ან- \emptyset ,	\emptyset -ევედრები-ან.	
ძვ. ქართ. გან-გუ-კურნებ-ენ,	გან-გ-კურნებ-ენ,	გან-ბ-კურნებ-ენ.	
ახ. ქართ. გან-გვ-კურნავ-ენ,	გან-გ-კურნავ-ენ- \emptyset ,	გან- \emptyset -კურნავ-ენ.	
პირთა კომბინაციები და მათი მატერიალურად გამოხატვა უნდა განიხილებოდეს მორფონოლოგიის დონეზე. ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად ნათელი გახდა, რომ იქ, სადაც მორფოლოგიურად აუცილებელია პირის ნიშნის გამოხატვა, ენაში არსებული ფონოლოგიური წესების გამო ზოგი პირის ნიშანი იკარგება და ნულოვანი ალომორფებით წარმოგვიდგება. სწორედ ამის შედეგია ერთგვარი ფორმების არსებობა გამოხატულების პლანში, რომელიც გრამატიკულ დონეზე სხვადასხვა კომბინაციების შედეგად არის მიღებული და მათ, როგორც ენობრივ ნიშნებს, სისტემაში განსხვავებული ღირებულება აქვთ.			

ლიტერატურა

გამყრელიძე, 2000 — თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.
იმნაიშვილი, 1971 — ი. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ II, თბ., 1971.
კიკნაძე, 1983 — ი. კიკნაძე, ერთი ენობრივი ტენდენციის შესახებ თანამედროვე ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.
შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, მორფოლოგია, თბ., 1973.
შანიძე, 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
შანიძე, 1981 — ა. შანიძე, თხზულებანი, II, თბ., 1981.

NINO BAGRATION-DAVITASHVILI

**Some Peculiarities of Bipersonal Verbs Revealed
as a Result of Person Combinations**

Summary

The paper examines the expression of person combinations in Georgian verbs on the morphophonological level. Under the influence of phonological rules some person markers are lost. The result of this is the similar plan of expression for different combinations on the grammatical level. The markers in question show different degrees of relevance in the system.

ეთერ ბაღიაშვილი

**საინფორმაციო საბაზეთო სტატიათა სემანტიკური
კვლევის ფორმები (5Ws & H)**

ტექსტი არის სუბიექტურობის რეალიზაცია ობიექტურად არსებული ენის მეშვეობით, ე.ი. ყოველი ტექსტი სუბიექტურობის პრინციპს ეფუძნება, ენობრივ ერთეულთა არჩევანი კი პრაგმატული ფაქტორებით განისაზღვრება. ამ არჩევანის საფუძვლად კი მოსაუბრის მოტივი და მიზანდასახულობა უნდა ჩაითვალოს.

მართალია, ტექსტების ტიპები ძალზე მრავალფეროვანია, მათი ძირითადი მახასიათებლებიც ზოგჯერ ძალზე რადიკალურად განსხვავდებიან, მაგრამ მაინც ვთვლით, რომ შესაძლებელია საერთო მახასიათებლების გამოყოფა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მათი სემანტიკურ-პრაგმატული კვლევისთვის.

კომუნიკაციის ყოველი აქტი, და ჩვენს შემთხვევაში საგაზეთო კომუნიკაცია, ყოველთვის გულისხმობს მეტყველ სუბიექტს/ადრესანტს (სტატიის ავტორს — ე. ბ.), მსმენელ სუბიექტს/ადრესატს (გაზეთის მკითხველს — ე. ბ.) და მათ შორის ურთიერთმიმართებას, ანუ ინტერსუბიექტურობას, რომელიც გულისხმობს პირთა პოლარულობას — დიალოგურ სიტუაციაში „შენ“ ხდება „მე“ (ბენვენისტი, 1974, 294). ამის გარდა, ჩვენ გვაქვს მიმართება მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის. გამონათქვამის შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ სად, როდის და ვის მიერ არის ეს გამონათქვამი პროდუცირებული. ეს სამი კოორდინატი: სუბიექტური, დროული და სივრცობრივი ქმნის ლოკაციის სისტემას, სადაც დროული და სივრცობრივი კოორდინატები თავს იყრიან სუბიექტის, როგორც ორიენტირის გარშემო: „მე-აქ-ახლა“.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა სემანტიკურ-თემატური კლასიფიკაციისას ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია საგაზეთო სტატიის თემა. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო საგაზეთო სტა-

ტიების თემატიკა მრავალგვარია, ვთვლით, რომ მაინც შესაძლებელია საერთო კრიტერიუმების გამოყოფა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მათი განხილვა.

სემანტიკური დაყოფა მხატვრულ ნაწარმოებში სუბიექტურობის ელემენტს შეიცავს, საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში კი ეს სუბიექტურობის მომენტი მოხსნილია. მართალია, ყველა საგაზეთო სტატიას აქვს ერთი კონკრეტული თემა, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ერთ ძირითად თემასთან ერთად შეიძლება შეგვხვდეს ერთდროულად რამდენიმე თემა. ასეთი შემთხვევები ძირითადად დამახასიათებელია ინტერვიუსა და რეპორტაჟებისთვის.

საგაზეთო სტატიის თემის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. *თემატურ წინადადებას (Topic sentence)*, რომელშიც გამჟღავნებულია ავტორის ძირითადი აზრი. ამგვარი წინადადებები ძირითადად საინფორმაციო საგაზეთო სტატიების სათაურებში ან ქვესათაურებშია. თემატური წინადადებების გარდა, საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში შესაძლებელია საკვანძო სიტყვების (*key words*) გამოყოფაც, რომლებიც განსაზღვრულ თემატურ ჯგუფს ქმნიან იმ სიტყვებთან ერთად, რომლებიც საკვანძო სიტყვებთან ასოცირდებიან. სწორედ თემატური წინადადებები და საკვანძო სიტყვები იყო ის ობიექტური ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა საგაზეთო სტატიათა სემანტიკურ-თემატური კლასიფიკაცია.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავიანთი დამოუკიდებელი ხასიათის გამო საინფორმაციო საგაზეთო სტატიები სემანტიკურად თითქოს ერთი შეხედვით ყველაზე ნაკლებად არიან დაკავშირებული ავტორთან, მაგრამ ეს ასე ჩანს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან სტატიების უმეტესობა გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების, იდეოლოგიის, ქვეყნის ინტერესების გამომხატველია.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა სემანტიკურ კლასიფიკაციას მნიშვნელოვნად აადვილებს მათი სათაურებიც, რომლებშიც სტატიის ავტორი კონკრეტულად აყალიბებს იმ ძირითად აზრს, რომელზედაც იქნება საუბარი ამა თუ იმ კონკრეტულ საინფორმაციო საგაზეთო სტატიისთვის.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველი საინფორმაციო სტატია, იქნება ეს ცნობა, ანგარიში, რეპორტაჟი თუ ინტერვიუ პასუხობს შეკითხვებს: **What? Who? Where? When? Why? How?** (რა? ვინ? სად? როდის? რატომ? როგორ?) ანუ **“five W’s and an H”**. ეს ერთი

შეხედვით, მარტივი ექვსი კითხვა ინტერპრეტაციის მთელ სტრუქტურას მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ ყველა სტატიაში იგულისხმება ზემოთ მოყვანილი შეკითხვები და მათზე პასუხი ანუ, რა, სად, როდის, როგორ და რატომ ხდება? ან, ვინ არის ამ მოვლენის სუბიექტი? თუმცა ერთ სტატიაში ყურადღების ცენტრშია პიროვნება (**Who?**) და მოვლენა (**What?**) დროისა (**When?**) და ადგილის (**Where?**) მითითებით, სხვა სტატიაში დრო და ადგილია ამბისთვის უფრო მნიშვნელოვანი.

აქედან გამომდინარე, საგაზეთო და მოცემულ შემთხვევაში საინფორმაციო საგაზეთო ჟანრობრივი სახეობების სემანტიკური კვლევის ფორმებად გამოვყავით შემდეგი კრიტერიუმები:

1. ვინ? (**Who?**) — მოქმედების სუბიექტი ან ინფორმაციის წყარო.
2. რა? (**What?**) — რაზე მოგვითხრობს პრესა, ანუ „ფაქტები“ და „ახალი ამბები“.
3. როდის? (**When?**) — დროის მითითება (ე.წ. **deadlines, datelines and history**).
4. სად? (**Where?**) — ადგილი, გეოგრაფიული გარემო.
5. რატომ? (**Why?**) და როგორ? (**How?**) — ფაქტის, მოვლენის, ახალი ამბის ახსნა.

ამ კითხვების მოზიდვა საგაზეთო ტექსტის ანალიზისთვის პირველად ხდება, მაგრამ ზემოთ მოყვანილი კითხვების მნიშვნელობას მხატვრული ტექსტის ანალიზის დროს ადრეც აღნიშნავდნენ. კ. ბერკის ცნობილი ექვსი შეკითხვა: **who, when, where, what, why, how** აუცილებელია ნებისმიერი მხატვრული ტექსტის ანალიზისთვის. კ. ბერკის მიხედვით, მისი ეს ექვსი ცნობილი შეკითხვა ლირიკულ პოეზიაში დრამატული სიტუაციის ანალიზისთვისაა საჭირო. ჯ. მაკლეი წერს, რომ **„Burke’s famous questions ...have provided many critics with a means of studying the dramatic situation in Lyric poetry”**. (რ. ენუქიძე, 1987, 56).

აღნიშნული შეკითხვები, უფრო სწორად კი, მათზე პასუხი, მიუთითებს მხატვრული ტექსტის სიტუაციის ყველაზე არსებით ელემენტებზე არა მარტო ლირიკაში, არამედ ნებისმიერ ჟანრში. ამ კითხვებიდან პირველი სამი შეესაბამება ქრონოტოპული სისტემის კოორდინატებს: **who** (სუბიექტი), **where** (სივრცე), **when** (დრო). ეს სამი კომპონენტი ქმნის გარემოს, სადაც ხდება მოქმედება (**what**) და, სადაც

წარმოდგენილია ამ მოვლენასთან დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი (why) და მოქმედების „რავარობა“ (how). (რ. ენუქიძე, 1987, 56-57).

ჩვენ მიერ საინფორმაციო საგაზეთო ტექსტების სემანტიკური კვლევის ფორმებად გამოყოფილი კრიტერიუმები სტატიის გარკვეულ სქემას, ჩარჩოს ქმნის და ამ საფუძველზე დაყრდნობით იწყება თხრობა (ნარაცია), რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ნებისმიერ სხვა ასპექტებს.

როდესაც ისმება კითხვა — ვინ? (Who?), მხედველობაში გვაქვს:

ა) მოქმედების სუბიექტი;

ბ) ახალი ამბის წყარო;

გ) ის, ვინც ქმნის ამ ამბავს, ცნობას.

შეკითხვაში — რა? (What?), ანუ რას მოიცავს, რაზე მოგვითხრობს პრესა იგულისხმება ახალი ამბები, ფაქტები, ყველაფერი ის, რაც მთავარია; მათ შორის სიმბოლური მოვლენები, პროგნოზები, ცნობები, რომლებმაც შეიძლება გაზეთს წარმატება მოუტანოს.

ზემოთქმული მოკლედ რომ შევაჯამოთ, შეკითხვა „რა“ შეეხება ფაქტებსა და ახალ ამბებს, ცნობებს, მოკლედ — ყველაფერს.

როდის? (When?) დროის მითითებას გულისხმობს. ზოგჯერ სტატიასა და მოვლენას შორის ტემპორალური დრო მინიმალურია, მათ შორის განსხვავება ერთ დღეს წარმოადგენს. სხვა შემთხვევაში მანძილი მოვლენის დროსა და სტატიის დროს შორის უფრო დიდია. საინფორმაციო სტატიებში დროზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ წარსული დროის, აწმყო განვრცობითისა და მომავალი დროების ხმარება.

ახალი ამბების უმრავლესობა იწყება ადგილის მითითებით, ანუ იმით, თუ, სად (Where?) მოხდა ესა თუ ის მოვლენა, ადგილი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც :

ა) გეოგრაფიული გარემო.

ბ) ავტორიტეტი.

გ) ინფორმაცია.

დ) სიუჟეტური ქარგა (ჩარჩო).

ე) თემა, საუბრის საგანი, ქვემდებარე, სუბიექტი.

ვ) გეოპოლიტიკა.

უნდა შევნიშნოთ, რომ საინფორმაციო სტატიების საკმაო რაოდენობა იწყება სწორედ ადგილისა და დროის მითითებით.

რატომ? (Why?) და როგორ? (How?) ჟურნალისტიკის ყველაზე პრობლემატური საკითხებია. რატომ? და როგორ? გულისხმობს იმას, თუ რა გვინდა გამოვიტანოთ კონკრეტული ახალი ამბიდან. შეკითხვა ხშირად უპასუხოდ რჩება სტატიაში. რატომ? (Why?) შეიძლება ორნაირად გავიგოთ:

1. რამ ამოარჩევინა ჟურნალისტს ესა თუ ის თემა, ანუ, რატომ გააკეთა ჟურნალისტმა კონკრეტული არჩევანი.

2. სტატიაში მოთხრობილი ამბის (მოცემული ინფორმაციის) ანალიზი (ეს უკვე საგაზეთო ჟანრების ანალიზურ ჯგუფში გვხვდება).

ყოველი სტატიის ავტორი სვამს შეკითხვებს Who, What, When, Where, Why და How, მაგრამ როგორ ხდება რეპორტიორი, რა დროს რომელი შეკითხვა უნდა დაისვას, რომელი უნდა დომინირებდეს, ვინ ითვლება ახალი ამბისთვის ღირებულ (newsworthy) Who-დ? რა ფაქტები და მოვლენები კვალიფიცირდება საჭირო პასუხებად კითხვაზე “What?” ცნობაში, ანგარიშში, ინტერვიუსა და რეპორტაჟში? ან, რა დროს ითვლება ერთი შეხედვით უმარტივეს შეკითხვებზე “When?” და “Where” პასუხი ფასეულად? ზოგჯერ სტატიაში ე. წ. dateline, ანუ ის სტრიქონი, სადაც რიცხვი და ადგილია მითითებული სრულყოფილ ინფორმაციას გვაძლევს. მაგ., “Washington, D. C., April 18, At white House today...” რა ითვლება აღნიშნულ სტატიაში Who-ს მეტაფორად? — პრეზიდენტი. პრეზიდენტი ხშირად „ერის“ მეტაფორა და აშშ კი — უფრო დიდი გეოპოლიტიკური ერთეულის, ვთქვათ, თავისუფალი მსოფლიოს “free world“-ის მეტაფორაა.

ყველა სტატიაში რაღაც ერთი შეკითხვა ყოველთვის უფრო აქცენტირებულია. ჟურნალისტს, რომელიც სვამს შეკითხვას “What”, განსაზღვრული აქვს გაიგოს ფაქტის და მოვლენის რაობა, შეკითხვაზე “Who” რეპორტიორი ვარაუდობს იმ მოსაზრებას, თუ „ვინ“ არიან ახალი ამბისთვის ლეგიტიმური რესურსები მსოფლიოში. შეკითხვაზე “When” — ისტორიის განსაზღვრული ვერსია იგულისხმება; “Where” — პოლიტიკურ გეოგრაფიას გულისხმობს. “Why” და “How“-ც განსაზღვრული დასკვნის მატარებელია. ეს ერთი შეხედვით მარტივი შეკითხვები თხრობის მთელ სქემას ქმნის.

არის თუ არა ისტორია კოჰერენტული მთლიანობა? აქვს კი გაზეთში რაიმე დატვირთვა იმას, თუ რომელ გვერდზეა განთავსებული

ესა თუ ის სტატია? რა უფრო მატებს სტატიას მნიშვნელობას — რეპორტაჟი (coverage), თუ ერთსა და იმავე მოვლენაზე დღეებისა და კვირების მანძილზე გადმოცემული ისტორიების მთელი ჯაჭვი, ანუ ანგარიში?

ნარატივი არ არსებობს კონტექსტების გარეშე, რომლებიც აყალიბებენ და თვითონ ყალიბდებიან იმ ამბის მიხედვით, რომლის შესახებაც ხდება ინფორმირება. საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში ნარატივი წარმოდგენილია, როგორც მოვლენათა შესახებ ინფორმაციის თანმიმდევრობა, რომელსაც ლოგიკური და კოჰერენტული სტრუქტურა გააჩნია:

- დრო — ქრონოლოგიური მიმართება თხრობასა და ისტორიას შორის.
- კილო — ასპექტი, რომელიც საფუძვლად უდევს ხედვის/თვალსაზრისის პერსპექტივას.
- გვარი — ვერბალურ ქმედებასა და მოლაპარაკე სუბიექტს შორის მიმართება.

ნარატივებს ძირითადად იერარქიული სტრუქტურა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი პირველ ადგილზე დგას, ანუ პირველ აბზაცში ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მოცემული. ნარატივის პირველ აბზაცში ხშირად წარმოდგენილია **5Ws: Who? What? When? Where? Why?** იშვიათად, მაგრამ მაინც შესაძლებელია **How?**

საინფორმაციო საგაზეთო ჟანრობრივი სახეობების სემანტიკური კვლევის ფორმებად ჩვენ მიერ გამოყოფილი თითოეული კრიტერიუმის ცალ-ცალკე განხილვამ შემდეგი სურათი მოგვცა:

პირველი სემანტიკური კრიტერიუმის დროს — **ვინ? (Who?) — მოქმედების სუბიექტი ან ინფორმაციის წყარო**, გვაქვს ერთი მხრივ — ვინ? Who? — ამბის (ცნობის, ანგარიშის, რეპორტაჟის, ინტერვიუს) მთავარი მოქმედი პირი, და მეორე, (თუმცა არა ყველა სტატიაში), მაგრამ თითქმის მსგავსი ვინ? Who? — ამბის წყაროს სახით (ამერიკულ პრესაში ეს თეორი სახლია, პრეზიდენტია, ბრიტანულში — დედოფალი ან პრემიერ-მინისტრი და ა.შ.) თუ ჩვეულებრივ ყოველდღიურობაში ვინ? Who? — გამოკვეთილია და რამდენიმე პოლიტიკური ლიდერით შემოიფარგლება, საქმე სხვაგვარად გვაქვს არჩევნების წინ. აქ ყველა საინფორმაციო სტატიაში მკვეთრად გამოკვეთილი ვინ? Who? — სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდე-

რები არიან, და რა? What? — მათი ამოცანებია. პირველი წინასაარჩევნო კამპანიისა და პრაიმერის შემდეგ კი უკვე თვალნათლივ ჩანს თუ ვინ დარჩება ცნობაში, ანგარიშში, რეპორტაჟსა და ინტერვიუში, და ვისი იგნორირება მოხდება. ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტატიების უმრავლესობაში ავტორები ცნობილ ადამიანებზე — ცნობილ ვინ? Who?-ზე აკეთებენ აქცენტს.

მეორე სემანტიკური კრიტერიუმია: **რა? (What?) — რაზე მოგვითხრობს პრესა, ანუ „ფაქტები“ და „ახალი ამბები“.**

საინფორმაციო საგაზეთო სტატიები აღწერს ყველაფერ იმას, რაც ყოველდღე ხდება — „ახალ ამბებს“, „ფაქტებს“, მოვლენებს, ანუ ყველაფერ იმას, რაც მნიშვნელოვანია, ანუ “... the old-fashioned view that ‘news’ is simply a mirror placed before reality still lives” (Reading the News, 1986, 39).

როდესაც მეორე სემანტიკურ კრიტერიუმზე — რა? What? ვსაუბრობთ შემდეგ ხუთ არსებით საკითხს უნდა შევხვით:

1. რას მოიცავს, რას აღწერს პრესა? — თუ კონკრეტულად ვიმსჯელებთ, ამ პირდაპირ ემპირიულ შეკითხვას პირდაპირი ემპირიული პასუხი შეგვიძლია გავცეთ: პრესკონფერენციებს, სამიტებს, შეხვედრებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სპორტულ მოვლენებს და ა. შ.

2. გადაწყვეტილებები, რაც მართავს რეპორტაჟებს რაციონალურია და არა უბრალოდ ნამდვილი (ჰემმარიტი, შემთხვევითი ან საგანგებო).

3. პრინციპები, რომელიც ამ გადაწყვეტილებებს წარმართავს „მეცნიერული“ არ არის.

4. ის, რასაც პრესა აღწერს ყოველთვის არ არის ის, რაც მან უნდა აღწეროს.

5. ჟურნალისტები რომ ხვდებოდნენ, მათ მიერ მკითხველისთვის აღწერილი ფაქტები და მოვლენები არ არის ჰემმარიტების სარკისებრი ასახვა, არამედ ის სამყაროს შესახებ თანმიმდევრული (კომპეტენტური) თხრობაა, რომელიც განსაზღვრულ მიზნებს ემსახურება, ყოველივე ამის აღქმის შემდეგ, გაზეთში დაბეჭდილი საინფორმაციო სტატიები უფრო უკეთ დააკმაყოფილებს ჩვენს (მკითხველისა და ავტორის) მოთხოვნებს. ქურთის მაქდუგალი გამოყოფს ახალი ამბის ხუთ ტრადიციულ ფასეულობას:

ა) დროულობა (timeliness)

- ბ) სიახლოვე (proximity)
- გ) დიდი მნიშვნელობა (prominence)
- დ) შედეგი (consequence)
- ე) ადამიანური ინტერესი (human interest)

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში აღწერილია უამრავი ფაქტი, "...fact" is a word that describes language about the world, and not the world itself". (Reading the News, 1986, 63).

მაშასადამე, საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში გვაქვს "hard" facts — რეალური ფაქტები, რომელიც ყველგან არის და ისეთი ფაქტები, რომელიც თვით საგაზეთო სტატიის ავტორის მიერ არის შექმნილი. ე.წ. "hard" facts, ანუ რეალური ფაქტებით სავსეა საინფორმაციო საგაზეთო სტატიების მთელი ჯგუფი, რომლებიც ქათმის გრიპზე დაიბეჭდა გაზეთებში: "The Guardian", "The Observer" იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილისა და მაისის ნომერებში. განვიხილეთ 20 ასეთი საინფორმაციო სტატია (ცნობა, ანგარიში, რეპორტაჟი, ინტერვიუ), ამ სტატიების უმეტესობა ამომწურავად პასუხობს კითხვას — რა? What? — ზოგ მათგანში სხვადასხვა რეალური ფაქტებია მოყვანილი, რამდენიმე მათგანი მთლიანად ეთმობა იმას, თუ რა პრევენციული ზომები უნდა იყოს მიღებული და ა.შ.

ამრიგად, საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში გვხვდება შემდეგი ტიპის ფაქტები:

- რეალური „ფაქტები" (hard "facts")
- ისტორიული „ფაქტები" (historical "facts")
- მეტოქე „ფაქტები" (rival "facts")
- ავტორის მიერ შექმნილი „ფაქტები" (Facts made by the reporter)

აღნიშნული ფაქტები რეალიზებულია ცნობაში, ანგარიშში, რეპორტაჟსა და ინტერვიუში, ანუ ახალ ამბავში — იმაში, რაზეც მოგვითხრობს თითოეული საინფორმაციო სტატია, რომელთაგან ჩვენ მიერ გამოყოფილი 5 Ws და H-დან უმთავრესია შეკითხვა რა? - What? ე.ი. რაზეა, რა ამბავზეა თხრობა. "Breaking" news breaks when we let it break. "Spot" news implies that we've decided where the spot is. A "scoop" takes place when enough people think that it matters who runs a story first. As in the case of facts, we characterize news —it does not arrive on some divine daily budget." (Reading the News, 1986,75)

როგორც უკვე აღვნიშნეთ **მესამე სემანტიკური მაჩვენებელია**

— **When? როდის? (დროის მითითება (ე.წ. deadlines, datelines and history).**

საინფორმაციო საგაზეთო სტატიის იდეალური პასუხი შეკითხვაზე "When?" აუცილებლად უნდა იყოს ახლახან, ცოტა ხნის წინ — ანუ დრო, მოვლენის დროსა და სტატიის დროს შორის მინიმალური უნდა იყოს. ჩვენ შევეცადეთ, რომ გამოგვეყო "When?" სემანტიკური მაჩვენებლების აუცილებელი კომპონენტები.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში გადმოცემულია თანხვედნილი, ერთდროული და შესაფერისი, მოხერხებული, სათანადო ამბავი, რომელიც რაც შეიძლება ახლოს არის ინფორმაციის მიწოდების ბოლო ვადასთან.

ამრიგად, When?-ის სემანტიკური კრიტერიუმის გამოყოფისას იკვეთება შემდეგი ასპექტები:

- დროულობა ("timeliness") — ანუ ინფორმაციის უახლესობა (timely), დაუყოვნებლობა (immediate).
- ერთდროულობა, შესაფერისობა/მოხერხებულობა (coincident, convenient news).
- პირველობა (the first).

When? სემანტიკურ მაჩვენებელზე საუბრისას ჩვენ გამოვყოფთ ხუთ მომენტს:

1. წარსული დრო: წარსულის სიღრმე გაზეთის პირველ გვერდზე.
2. აწმყო განგრძობითი: ახალი ინფორმაცია, ისტორია, როგორც მოვლენა, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე მიმდინარეობს, მოვლენა, რომელიც ხანგრძლივობით ხასიათდება.
3. მომავალი დრო: ხვალ — გაზეთის პირველ გვერდზე.
4. ახალი ამბის რიტმული თვისება/ხარისხი.
5. კავშირებითი კილო: ვარაუდი, განზრახვა პრესაში.

დროის განსხვავებული განზომილებები, რომელიც გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილ ცნობებში გვხვდება, განსხვავდება ამბის საგნისგან და იმ ოფიციალური პირების ინტენციებისგან, ვის მიერაც არის მოწოდებული ეს ახალი ამბები.

პოლიტიკურ საინფორმაციო სტატიებში უთუოდ გამოყოფილია ორი When? :

1. ადამიანის ცხოვრების პერიოდი (human "lifetime").

2. ომის შემდგომი სამყარო ("Postwar world"). (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი).

სხვა სახის ანგარიშებისთვის დროის სხვა განზომილებებია თავისთავად დამახასიათებელი. მაგ. ეკონომიკური სტატიებისთვის:

1. კვარტლური ან 2. წლიური **When?**; სპორტული მოვლენებისთვის — სეზონურობის განზომილება და ა.შ.

საინფორმაციო სტატიების უმრავლესობაში თემა უცებ გაიყვანება, მაგრამ მოთხრობილ ისტორიებში ის ამბავია მნიშვნელოვანი, რომელიც გარკვეული დროის ხანგრძლივობით ხასიათდება. გაზეთის სათაურები (**headlines**) თითქმის ყოველთვის აწმყო დროშია, მაგრამ თავად საინფორმაციო საგაზეთო სტატიების უმეტესობაში წარსული და აწმყო სრული დროები გამოიყენება. თუმცა მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამბები, რომელზეც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იბეჭდება საინფორმაციო სტატიები (ე.წ. **"developing" story**), ავტორები თითქმის უმეტესად აწმყო განგრძობით დროს გამოიყენებენ. ნებისმიერი **"Developing story"** იწყება ინფორმაციით. ამ კუთხით განვიხილეთ ფრინველის გრიპზე დაბეჭდილი საინფორმაციო სტატიები. მაგალითისთვის შემოვიფარგლეთ 2006 წელს ამ თემაზე გამოქვეყნებული სტატიებით. გაჩნდა თუ არა ინფორმაცია (საინფორმაციო ცნობაში) ქათმის გრიპზე, ამბავი თავიდანვე მიმოიღველად დაიწყო (თუმცა არის სხვა შემთვევებიც, როდესაც არამომზიდველი სიახლე გაზეთის ერთ-ერთ მთავარ ამბად ქცეულა — ე. ბ.). ჟურნალისტებმა მომენტალურად აიტაცეს ეს ისტორია და შემდეგი სურათი შეიქმნა:

13 იანვარი — **Guardian Unlimited** — **"Bird flu: should we start worrying?"**; 16 იანვარი — **Guardian Unlimited** — **"UN urges bird flu vigilance in Middle East"**; 27 თებერვალი — **"Niger confirms bird flu cases"**;

შემდეგ ინფორმაცია ახალ ფაზაში გადადის (პრევენციის საშუალებები):

29 მარტი — **"Clues from 1918 pandemic could help stop bird flu"**; 5 აპრილი — **Guardian Unlimited** — **"New bird flu warning: keep cats indoors"**; 6 აპრილი — **The Guardian** — **"From east to west in 14 weeks / How the virus spread through Europe"**; 6 აპრილი — **Guardian Unlimited** — **"We must vaccinate and educate"**; 7 აპრილი — **The Guardian** — **"A wing and a prayer"**; 7 აპრილი — **Guardian Unlimited** — **"Bird flu advice"**; 8 აპრილი — **Guardian Unlimited** — **"It's part of our lives, we know**

how to live with it";

შემდეგი სტადია (პანიკის შესაჩერებელი სტატიები):

9 აპრილი — **The Observer** — **"We can beat bird flu if Europe helps the world"**; 9 აპრილი — **The Observer** — **"One swan doesn't make a pandemic"**; 10 აპრილი — **The Guardian** — **"One dead swan doesn't make a summer of panic"**;

რაც უფრო დიდხანს გრძელდება ერთი და იმავე თემატიკაზე სტატიები, მკითხველის დასაინტერესებლად სულ ახალ-ახალი ინფორმაციაა საჭირო. თითოეული ეს საინფორმაციო სტატია ფრაგმენტული ამბავია ერთი დიდი მეგაისტორიის/მეგაამბის — ფრინველის გრიპის. მსგავსი შემთხვევები ყოველთვის პირველი გვერდისთვის განკუთვნილი მასალაა, მაგრამ არის ისეთი ამბებიც, მაგალითად, უცნობი ადამიანის მკვლელობა, რომელიც თავიდან არამომზიდველი ამბავია, მაგრამ, გარკვეული დეტალების დამატების შემდეგ, ახალი სტატიებით უკვე გაზეთის ე.წ. პირველი გვერდის (**page one story**) ინფორმაციად იქცევა.

ამრიგად, საინფორმაციო საგაზეთო სტატიები გვბასუხობს კითხვაზე როდის? **When?** და აღწერს:

- დროულ ამბებს.
- ამბებს, სადაც დასასრული ჩანს (არჩვენებს, ან რაიმე თამაშს მოიგებენ ან წააგებენ, გატაცებულს მოკლავენ, ან გამოუშვებენ, პაციენტი გადარჩება ან მოკვდება, დაკარგულ ბავშვს იპოვიან ან ვერა და ა.შ.)
- საბიუჯეტო/ეკონომიკური სტატიები, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანისთვის იწერება.

ახალი ამბის რიტმი განისაზღვრება გამეორებითაც (იგულისხმება კვირის და წლის ციკლი). ეს ძირითადად კვირის გაზეთებს შეეხება. **The New York Times** და სხვა მის მსგავს გაზეთებს აქვს ე.წ. კვირის იმპროვიზირებული ციკლი: ორშაბათი — სპორტი, სამშაბათი — მეცნიერება, ოთხშაბათი — ცხოვრების წესი, ხუთშაბათი — სახლი, პარასკევი — კვირის ბოლო (**weekend**). სტატიის რიტმს კარნახობს ქვეყნის კალენდარი, ტრადიცია, დღესასწაულები. ყოველთვის არის შობის, ახალი წლის, პელოვინის, მადლიერების დღის და ა.შ. ისტორიები, იუბილეები, წლისთავები და სხვ.

ამრიგად, საინფორმაციო საგაზეთო სტატიაში სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთიანდება დროის ბიოლოგიურ და კულტურულ გა-

მოცდილებასთან, რაც ახალი ამბის ფუნდამენტურ სტრუქტურას ქმნის.

ჩვენ მიერ გამოყოფილი ხუთივე მაჩვენებელი — ვინ?, რა?, როდის?, სად?, როგორ? და რატომ? (5Ws & H) სტატიის ახსნის (ანუ, რა ხდება?-ს) მცდელობას წარმოადგენს.

ყველა სტატიაში იმპლიცირებულია სტატიის მნიშვნელოვანი ფაქტები, საინფორმაციო სტატიაში წარსული დროის ხმარება მკითხველს მიანიშნებს, რომ ნებისმიერი სტატია, რასაც მკითხველი კითხულობს ისტორიას (ის შეიძლება დოკუმენტურ მასალად იქცეს, დადასტურდეს ან მცდარად ჩაითვალოს). როგორც მაიქლ სჩადსონი წერს : "... hard news covers what is "timely"(but it should be clear by now how flexible a category "timely" is) and features cover what is timeless. Some feature stories do focus on what is considered eternal or universal in human affairs, but another common brand of features do not deal with what is but with what might be. I call this *Subjunctive* reporting. The subjunctive is a grammatical form that people regularly use without being aware of it. According to the dictionary, the subjunctive is "that mood of a verb used to express supposition, desire, hypothesis, possibility, etc., rather than to state an actual fact, as the mood of *were*, in 'if I *were* you.' " (Reading the news, 1986, 106).

ჩვენ მიერ გამოყოფილი სემანტიკური კვლევის ფორმებიდან შემდეგი კრიტერიუმია შეკითხვა **Where? — სად? — ადგილი, გეოგრაფიული ვარემო.**

ნებისმიერი საინფორმაციო სტატია გვპასუხობს კითხვაზე სად? **Where?**; თვითმფრინავი ჩამოვარდა — სად? წყალდიდობა — სად?, აფეთქება — სად?, დელეგაცია — სად ჩავიდა? ან საიდან წამოვიდა? და ა.შ. როდესაც ჟურნალისტი ადგილს მიუთითებს, ამით ის ზოგჯერ უბრალო ფაქტის კონსტატაციას ახდენს, უმეტეს შემთხვევაში კი მას უფრო მეტი დატვირთვა აქვს. ამრიგად, საინფორმაციო სტატიებში ადგილი შეიძლება იყოს:

- ვიწრო გაგებით სად? **Where?** მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული არეალი და,
- ფართო გაგებით სად? **Where?**. მარტივი გეოგრაფიის მიღმა — მსოფლიო პოლიტიკური სისტემის იმიჯი, მაგ. თავისუფლებისა და ტოტალიტარიზმის იმიჯი.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში პასუხი კითხვაზე **Where?**

სად? ფართო და ვიწრო გაგებით ახალი ამბის ბევრ განსხვავებულ ფუნქციას გვიჩვენებს. ბევრი სხვადასხვა მიზეზია, რის გამოც ავტორი გეოგრაფიულ ლოკაციას ახსენებს. გამოყოფთ ადგილის ექვს ასეთ ფუნქციას:

1. ადგილი, როგორც ავტორიტეტი (**Place as Authority**).
2. ადგილი, როგორც ინფორმაცია (**Place as Information**).
3. ადგილი, როგორც სოციალური კავშირი (**Place as Social Connection**).
4. ადგილი, როგორც სიუჟეტური ქარგა (**Place as Setting**).
5. ადგილი, როგორც სუბიექტი, საუბრის თემა (საგანი) (**Place as Subject**).
6. ადგილი, როგორც გეოპოლიტიკა (**Place as Geopolitics**).

ამრიგად, გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიებში კითხვა **Where?** სად? დომინირებს იმ საინფორმაციო სტატიებში, სადაც ახალი ამბავია — პოლიტიკური მოვლენა, მიმდინარე ამბები, სპორტი, ეკონომიკა და ა.შ.

სემანტიკური კვლევის შემდეგ ორ კრიტერიუმად მივიჩინეთ კიდევ ორი შეკითხვა: **რატომ? (Why?) და როგორ? (How?) ~ ფაქტის, მოვლენის, ახალი ამბის ახსნა.**

მოვიყვანთ ერთ მაგალითს. აღნიშნული ანგარიში — "Father of tennis stars 'poisoned son's rival' — დაიბეჭდა გაზეთში **The Guardian Weekly, August 14-20, 2003**. ანგარიშში მოთხრობილია მისტერ ფოვიოს, ჩოგბურთელების მამის შესახებ, რომელმაც გადაწყვიტა შვილისთვის კონკურენტების ჩამომორება. მან შვილის კონკურენტები მოწამლა, მათგან ერთი დაიღუპა, რამდენიმე მოიწამლა. ბრალდებულმა დანაშაული აღიარა. სტატიაში ყველა ჩვენ მიერ გამოყოფილი სემანტიკური კრიტერიუმი — კითხვებზე პასუხი გვაქვს. პასუხი კითხვაზე **What?** რა? სტატიის სათაურშივეა — "Father of tennis stars 'poisoned son's rival', **Who?** ვინ? — მისტერ ფოვიო, მისი შვილები, ჩოგბურთელები, იურისტები, **When?** როდის? — ტურნირის დროს — ივნისის თვეში. **Where?** სად? — სამხრეთ საფრანგეთის პატარა ქალაქ დესქში. **Why?** რატომ? — რატომ მოწამლა ბრალდებულმა ისინი? მათი ჩამომორების მიზნით, უფრო ვრცელი პასუხი კი ახსნილია მთელ სტატიაში. აქვეა პასუხი კითხვაზე **How?** როგორ? — სასმელში ძლიერი ანტიდებრესანტის გარეგით.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში **How?** როგორ? და **Why?**

რატომ? უფრო ნაკლები მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე ანალიზურში, ამიტომ ზოგჯერ შეიძლება, რომელიმე მათგანზე პასუხი სტატიაში არც კი იყოს. რასაკვირველია, **How?** უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე **What? Who?** ან **Where?** და **When?**; ზედაპირულ დონეზე, ეს ერთი შეხედვით მართლაც ასეა, ხოლო უფრო სიღრმისეული ანალიზის დროს, აღნიშნული პასუხი მოვლენისა და მოქმედების უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს, რასაც კონკრეტულ დასკვნამდე მიყვავართ. **How?** როგორ? — ავსებს სივრცეს, ის გვიჩვენებს, თუ, როგორ ხორციელდება ინტენცია. **Why?** რატომ? მიზეზის მაჩვენებელია (ანუ პასუხი კითხვაზე **Why?** ხსნის **What?**-ს). მოყვანილ მაგალითში, ჩოგბურთელი მოკვდა — ეს შესაძლო გარემოებაა. ის მეორე ჩოგბურთელის მამამ მოკლა — ფაქტების მთელი ჯაჭვი ჯერ გამოძიების, შემდეგ სასამართლო პროცესზე განიხილება, ყველაფერ ამას კი საშინელ, პათოლოგიურ შედეგთან მიყვავართ — მამა კლავს შვილის ერთ კონკურენტს, წამლავს რამდენიმეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მის შვილზე უკეთესი მოთამაშეები არიან.

საინფორმაციო სტატიებში, როდესაც ბოლომდე ამოიწურება პასუხი შეკითხვაზე **When?**, ამოტივტივდება **Why?** — ანუ აღწერა ახსნად გადაიქცევა. ის შეეხება მოვლენებს, მოქმედებებს და ფაქტორებს. "A story is worthless if it doesn't tell me why something happened", says Allan M. Siegal, news editor of the New York Times." (Reading the News, 1986, 140). მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას, რადგან მსგავს შემთხვევაში მრავალი საინფორმაციო ცნობა, ანგარიში, რეპორტაჟი თუ ინტერვიუ აღარ ჩაითვლება ფასიულ სტატიად. რაც არასწორი მიდგომაა.

სხვა სემანტიკურ მაჩვენებლებთან შედარებით **Why?** და **How?** ყველაზე პრობლემატური შეკითხვებია. **Why?** და **How?** ნიშნავს:

1. იმას, რაც ყველაზე მეტად გვინდა შევიტყოთ სტატიიდან.
2. რასაც ზოგჯერ სტატიიდან პირდაპირ ვიღებთ.
3. ზოგჯერ კი მკითხველი თავად უნდა ჩასწვდეს სტატიის პერლოკუციურ მიზანს.

ჩვენი ინტერესი „რა არის ახალი?“, „რა ხდება?“ უბრალოდ კოგნიტიური და ესთეტიკური არ არის. ზოგჯერ მკითხველი საინფორმაციო სტატიიდან უბრალო ფაქტებზე მეტს მოითხოვს. მკითხველმა ასევე უნდა იცოდეს, როგორ მიიღოს ესა თუ ის მოვლენა. ამრიგად, **Why?** და **How?** ილოკუციურ მიზანს და პერლოკუციურ შედეგს ემ-

სახურება. პასუხით კითხვებზე **Why?** და **How?** სტატია უფრო ღრმა აზრობრივ დატვირთვას იძენს. პირდაპირ თუ არაპირდაპირ აღნიშნული კითხვები სტატიების უმრავლესობის საკუთრებაა. ამ თვალსაზრისით საინფორმაციო სტატიები შემდეგნაირად შეგვიძლია დავაჯგუფოთ:

- მოკლე სტატიები — ძირითადად ცნობები, შიშველი ფაქტები, მოვლენები, სადაც **Why?** და **How?** იშვიათად ჩანს.
- ანგარიში — ასახული მოვლენის დეტალური აღწერა, სადაც **Why?** და **How?** უმეტეს შემთხვევებში გვაქვს.
- ინტერვიუ — მოვლენის კომენტარი მესამე პირების მიერ და რეპორტაჟი — მოვლენის განვითარების შესახებ თხრობა, აქ **Why?** და **How?**-ს არსებობა თითქმის სავალდებულოა.

ამ კუთხით მრავალი სტატია განვიხილეთ და შემდეგ დასკვნამდე მივედით:

1. ყოველდღიურ გაზეთებში გამოქვეყნებული საინფორმაციო სტატიები ფაქტებს და მათ აღწერას გვთავაზობს. ზოგიერთში გვაქვს ახსნაც. საინფორმაციო სტატიებისგან განსხვავებით ანალიზურში ახსნა ყოველთვის გვაქვს.

2. მცირე ზომის საინფორმაციო ცნობებში მნიშვნელოვანი აღწერილობა და ახსნა იკარგება.

3. ეკონომიკურ საინფორმაციო სტატიებში რიცხვობრივი მონაცემები გვიჩვენებს, თუ რა მოხდა და რა შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა შედეგის თავიდან ასაცილებლად. მსგავს სტატიებში რიცხვი მოვლენის კონსტატაციას ახდენს. ე.ი. როდის? — აღნიშნულ სტატიებში მითითებულია დრო. სად? — ჩვეულებისამებრ ადგილის მითითებაა. ნაკლებად არის პასუხი კითხვაზე ვინ?, ხოლო, რაც შეეხება რატომ? და როგორ? ამ კითხვაზე უმეტეს ეკონომიკურ სტატიებში პასუხი არ გვაქვს. მაგრამ მათზე მსჯელობა და ანალიზი მკითხველისათვისაა მინდობილი.

4. სამეცნიერო სტატიებში ექვსივე სემანტიკური კრიტერიუმი გვხვდება.

რატომ? და როგორ? ეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირია, ანუ კავშირი ინტენციასა და დასრულებას შორის. ამ ორივე შეკითხვაში იმპლიცირებულია ახსნის მომენტი. ე.ი. ის საინფორმაციო სტატიები, რომლებიც გვცემენ პასუხს ჩვენ მიერ გამოყოფილ კიდევ ორ სემან-

ტიკურ კრიტერიუმზე, არა მარტო ამბის კონსტატაციას ახდენენ, არამედ გარკვეულ ანგარიშსაც გვაწვდიან. აღნიშნული ანგარიში შემდეგი ოთხი ფორმიდან ერთ-ერთს გულისხმობს:

- მოტივების განსაზღვრა.
- მიზეზების ახსნა/გაგება.
- შედეგების განჭვრეტა.
- მნიშვნელობის შეფასება.

გარდა ამისა, ყველა სტატიაში მეტნაკლებად შემდეგი კრიტერიუმები შეგვხვდა:

1. ობიექტურობის კრიტერიუმი.
2. სამხილის სისტემატურად მოყვანის მეთოდის არარსებობა.
3. სტატიის ავტორის მხრივ ექსპლიციტური იდეოლოგიური ვალდებულების არარსებობა.

Who?, What?, When? და Where? შედარებით მკაფიოა, **Why?** - უხილავი. **Who?, What?, When? და Where?** ემპირიულია, **Why?** — აბსტრაქტული. **Who?, What?, When? და Where?** შეეხება ზედაპირზე მყოფ მოვლენას, **Why?** — რაღაც ისეთს, რაც დაფარულია. **Who?, What?, When? და Where?** ასახავენ რეალობას და მათზე პასუხი საყოველთაოდ მიღებულ კონვენციებს ემყარება. ხოლო რაც შეეხება მიზეზს **Why?** — ვერავინ ვერ ხედავს მას. მოვლენის თხრობისას, შედეგი ახსნილი არ არის.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფაქტი ქმნის სტატიას. მიზეზი, შედეგი და მოტივი კი, რა თქმა უნდა, ფაქტები არ არის. **Why?** და **How?**-ზე მსჯელობისას უთუოდ უნდა გამოვყოთ ის სტატიები, რომელსაც ფრანგები: "faitsdivers", ხოლო ამერიკელები: "fillers", ჯეიმზ ვ. ქერი კი "random, uncanny occurrences" უწოდებს. აქ შეიძლება გაერთიანდეს ის საინფორმაციო სტატიები, რომლებიც მოგვითხრობს მფრინავ ობიექტებზე (UPOs), შიდსზე (AIDS), ინპლანტაციებზე და ა.შ. მსგავსი საინფორმაციო სტატიები ყოველკვირეული ტაბლოიდების მთავარ სტატიებად ითვლება, უმეტეს მათგანში პირდაპირ იმპლიცირებულია **Why?** და **How?**

ამრიგად, მოვლენის მიზეზი ფარულად უკავშირდება შედეგს და ამდენად, ყველა საინფორმაციო სტატია, რომელიც მიზეზის გარკვევით მოვლენას ხსნის, მეტ-ნაკლებად პირდაპირ ხსნის შედეგს. საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში (თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ უფრო ხშირად ანალიზურში) მიზეზი უფრო ხაზგასმულია, ვიდრე

შედეგი, რადგან შედეგი მომავალშია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **Why?** სემანტიკური კრიტერიუმებიდან ერთადერთი შეკითხვაა, რომელიც საინფორმაციო საგაზეთო სტატიების დიდ ნაწილში პასუხგაუცემელი რჩება.

ნაშრომის შეზღუდვებიდან გამომდინარე ქვემოთ მხოლოდ ერთი სტატიის ანალიზს მოვიყვანთ: "Labour: the party that likes to listen" (The Guardian Weekly, December 4-10, 2003)

ამ სტატიის სათაური წარმოადგენს სათაურ-ცნობას, სადაც გადმოცემულია ის ძირითადი თემა, რასაც სტატია შეეხება და რაზეც ტექსტი იგება. ამ პოლიტიკურ სტატიაში ძირითადი თემაა ლეიბორისტული პარტიის გეგმები, მასებთან ურთიერთობის გზები და დიდი დიალოგის (Big Conversation) მაგალითები, რათა მესამედ მიაღწიონ წარმატებას არჩევნებში, ყველაფერი ეს პასუხია შეკითხვაზე **What?**, რა? — "New Labour's latest Big Idea is to have a Big Conversation with the British people."; "...he appealed to voters to face up to the social irresponsibility that underpins poor parenting, unhealthy diets and anti-social behaviour. It was vintage Blair wide-horizons stuff, ranging over such ills as city-centre drunkenness, smoking in public places, and the need for "reform" of the public services." "The Prime Minister set the tone with a schoolmasterly reminder to the citizenry that they too have a role to play in creating the New Jerusalem.."

ლეიბორისტული პარტია განსაზღვრულია, როგორც მოქმედების ობიექტი, რომელმაც ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო, ე.ი. კითხვა **Who?** ვინ? ამ და ყველა შემთხვევაში გულისხმობს მოქმედ სუბიექტს, რომელიც აქტიურად მოღვაწეობს, აქტიურად არის ჩაბმული აღნიშნულ ქმედებებში.

ტექსტის შემდეგ წინადადებებში ლეიბორისტული პარტია დაკონკრეტებულია, ანუ დაკონკრეტებულია პარტიის ლიდერთ, რომელიც ხელმძღვანელობს აღნიშნულ პროექტს "...creating the New Jerusalem.", ანუ **Who?** ვინ? — ტონი ბლერი, პრემიერ მინისტრი: "Tony Blair and cohorts of ministers have started to sweep around the country, turning up at otherwise innocuous meetings and conspicuously listening to what the people are saying.";

"The Prime Minister set the tone with..."; "... he appealed to voters..."; "Mr Blair and his team are said to have been galvanised by the arrival of Michael Howard as Conservative leader."

როგორც ვხედავთ სტატიაში **Who?** ვინ? — ტონი ბლერი, პრემიერ-მინისტრი და მისი გუნდია, მაგრამ, როგორც ბოლო წინადადებაში ვნახეთ, გვაქვს მეორე-მეორეხარისხოვანი **Who?** ვინ? — მაიქლ ჰოვარდი, კონსერვატიული პარტიის ლიდერი.

სტატიაში ზუსტი დრო არ არის მითითებული, კითხვაზე **When?** როდის? ზუსტი დრო მითითებული არ გვაქვს, მაგრამ ამოსავალ წერტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ გაზეთის გამოცემის თარიღი, მაშასადამე, სტატიაში, აღნიშნული კამპანიის (**Big Conversation**) დასაწყისად, სტატიაში შემდეგი წინადადება გამოდგება: **"In all likelihood the election is 18 months distant, ..."** ე.ი. არჩევნებამდე 18 თვით ადრე. უფრო კონკრეტულად, კი შემოდგომაზე: **"It was vintage Blair wide-horizons stuff, ..."**.

სტატიაში არც ადგილია ზუსტად მითითებული, მაგრამ მკითხველისთვის პირველივე წინადადებიდან ნათელია პასუხი შეკითხვაზე **Where?**, სად? — ინგლისში. მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, თუ, რატომ გადადგა მთავრობამ ეს ნაბიჯი: ანუ **Why?** რატომ? **"So does the need to set the tone for his tilt at an unprecedented third successive Labour election victory."** ასევე მოცემულია საშუალებები, რომლითაც ლეიბორისტულმა პარტიამ უნდა მიაღწიოს წარმატებას, — ე.ი. პასუხი კითხვაზე **How?** როგორ? — **"New Labour's latest Big Idea is to have a Big Conversation with the British people."**

აღსანიშნავია, გრამატიკული დროები, რომლებიც ამ სტატიის ტექსტის კონსტრუირებისთვისაა გამოყენებული, ძირითადად ეს არის აწმყო დროები (უმთავრესად, აწმყო განუსაზღვრელი და აწმყო სრული დროები): **"Labour: the party that likes to listen."**; **"New Labour's latest Big Idea is to have a Big Conversation with the British people"**;

მოვლენების ამგვარ გადმოცემას მისდევს ჩვეული საინფორმაციო საგაზეთო სტატიების აგების, ანუ ნარაციის ჩვეული სტილი, რომელშიც ავტორის ხმა, მისი პოზიცია იმპლიციტურად არის გადმოცემული: **"Tony Blair and cohorts of ministers have started to sweep around the country"**; **"Mr Blair and his team are said to have been galvanised by the arrival of Michael Howard as Conservative leader."**

ამგვარად, გაანალიზებულ საინფორმაციო ცნობაში ძირითადი თემა ინფორმაცია, გადმოცემული კითხვით **What?**, ანუ ახალი ამბავი, დაკონკრეტებულია მოქმედი სუბიექტები: ტონი ბლერი, პრემიერ-მინისტრი და მისი გუნდი (**Who?**); ძალიან მოკლედ, მაგრამ მაინც

დაფიქსირებულია საშუალება — **How?** და ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი — **Why?**. მითითებულია დრო — **When?**, სტატიის საათურივე გზავნით მოქმედების ადგილს — **Where?**.

ამრიგად, ამ და სხვა გაანალიზებული საინფორმაციო საგაზეთო სტატიებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ საინფორმაციო სტატიათა უმრავლესობაში წარმოდგენილია შემდეგი სემანტიკური მაჩვენებლები:

Who? ვინ? — რომელზეც პასუხი ყველა საინფორმაციო სტატიაშია, — ანუ მოქმედი სუბიექტი, ინფორმაციის წყარო. პოლიტიკურ საინფორმაციო სტატიების უმრავლესობაში აღნიშნული კითხვა შეესაბამება სტატიის ძირითად თემას და წარმოდგენილია, როგორც მოქმედი სუბიექტი, რომელიც მოვლენათა ეპიცენტრშია.

What? რა? — ანუ ახალი მოვლენა, ფაქტი, რომელიც ბრიტანული, ამერიკული და საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ამბავს გადმოსცემს. ასევე ფაქტი, რომელიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა და საყოველთაო განხილვის საგანს წარმოადგენს.

When? როდის? — მოქმედების დრო, ხშირ შემთხვევებში ზუსტად არის მითითებული. მოქმედების დრო პოლიტიკურ საინფორმაციო სტატიებში ხშირად ახლო წარსულს ეკუთვნის. ამ საინფორმაციო სტატიათა უმრავლესობა დროის მითითებით იწყება.

Where? სად? — მოქმედების ადგილი, გეოგრაფიული გარემო.

Why? რატომ? — მიზეზი, ამა თუ იმ მოქმედების (მათ შორის პოლიტიკურისაც) საფუძველი. და, რადგან საინფორმაციო სტატიებში გვხვდება კრიმინალური სტატიებიც, ამიტომ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ მათგანში მოტივი დაფიქსირებულია, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოტივი გამოტოვებულია.

How? როგორ? — მიზანი, საშუალება დასახული გეგმის მისაღწევად (კრიმინალური თემატიკის საინფორმაციო სტატიებში ასწინლია დანაშაულის ვითარება, როგორ, რა ვითარებაში მოხდა ესა თუ ის დანაშაული, მკვლელობის იარაღი და სხვ.).

ამგვარად, საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა ინფორმაციულობის ხარისხი გარკვეულწილად განპირობებულია მათში სემანტიკური კომპონენტების (**five W's & H**) არსებობა არ არსებობით.

საინფორმაციო ჯანრობრივ სახეობებში შემავალი ყველა საგაზეთო სტატია პასუხობს ამ ხუთ კითხვას, ზოგჯერ ხუთივეს (**five**

W's) ერთად, ზოგჯერ კი ერთ-ერთი მათგანი უფრო ხაზგასმულია. თუმცა მართებულია აღინიშნოს, რომ ამ შეკითხვებიდან საინფორმაციო საგანზეთა ჯგუფში შემავალ საგანზეთა სტატიებში აქცენტი პირველ ოთხ შეკითხვაზე (Who? What? When? Where?) უფროა გადატანილი და უმრავლეს შემთხვევაში Why? და How? ანალიზური ჯგუფის პრეროგატივას წარმოადგენს.

ლიტერატურა:

განეთის კითხვისას, 1987 — Reading the news, edited by Robert Karl Manoff and Michael Schudson, New York, 1987. **გალპერინი, 1981**

— И. Р. Гальперин, Текст как объект лингвистического исследования, Москва, 1981.

გვენცაძე, 1986 — М. А. Гвенцадзе, Коммуникативная лингвистика и типология текста, Издательство “Ганатлеба”, 1986.

ენუქიძე, 1987 — Енукидзе Р. И. Художественный хронотоп и его лингвистическая организация, издательство Тбилисского университета, Тбилиси, 1987.

ლევინსონი, 1983 — Stephen C. Levinson, Cambridge University Press, 1983 (Reprinted 1994).

მეი, 1993 — Jacob L. Mey, Pragmatics, Oxford UK & Cambridge USA, 1993.

ფაულერი, 1991 — R. Fowler, Language in the news, Discourse and Ideology in the Press, London, 1991.

ETER BALIASHVILI

Forms of Semantic Investigation of Informational News Articles

Summary

Any article of informational style (be it a brief news item, a report, a news reporting or an interview) answers the questions What? Who? Where? When? Why? How? (five W's and an H). These, at first sight, simple questions form the semantic framework for interpretation. The following criteria for the semantic study of informational news articles have been singled out:

1. Who? - the subject of an action, or the source of information.
2. What? - facts and the news told.
3. When? - time of action (the so-called deadline, dateline and history).
4. Where? - place of action, geographical setting.
5. Why? - explanation of facts, events and the news.

Answers to the questions are first given in the very first paragraph of an article (i. e. in the lead). However, the semantic component how? is rarely evidenced here.

The degree of informativeness in news articles depends upon the existence of these semantic components (five W's and H). In informational articles all the five questions are answered, one of them being dominant. It should be mentioned that in the given genres mainly the first four questions are explored whereas the why? and how? questions are a prerogative of analytical articles.

ქეთევან ბოჩიაშვილი, გიული შაბაშვილი

ქართული ზმნური სისტემების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი და მისი პრაქტიკული ღირებულება

გლობალიზაციამ და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დამკვიდრებამ მკვლევართა წინაშე ახალი ამოცანები წამოჭრა. ინფორმაციის მიმოქცევის თანამედროვე სისტემაში სრულყოფილად ჩართვა წარმოუდგენელია ელექტრონული სათარგმნი პროგრამების გარეშე. ცნობილია, რომ ეს პრობლემა დგას როგორც ქართულ სივრცეში, ისე ბევრად უფრო დიდი ენებისათვისაც.

სათარგმნი პროგრამის შესრულებისას ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მონაცემთა ბაზის მომზადება, რომელიც სრულყოფილ ინფორმაციას დაიტევს ამა თუ იმ ენის ლექსიკური ფონდის ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზის შესახებ და რომელიც საფუძვლად დაედება კომპიუტერული პროგრამის შექმნას. ბუნებრივია, ეს პრობლემა დგას ქართველ ლინგვისტთა წინაშეც.

ჩვენი მიზანია, ამ პრობლემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნის, კერძოდ, ზმნური სისტემების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი, რომელიც საბოლოო ჯამში საფუძვლად დაედება ელექტრონული სათარგმნი პროგრამის ალგორითმს. ბუნებრივია, ამ სამუშაოს შესრულების გარეშე შეუძლებელია მზა საბოლოო პროდუქტის (ციფრული სათარგმნი პროგრამის) მიღება.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ და შევისწავლოთ ქართულ ზმნურ ფორმათა ყველა შესაძლო ფუნქციურ-სემანტიკური კომბინაცია, მათი პრაქტიკული რეალიზაცია, აუცილებელი პირობაა შესაბამისი პრაქტიკული მოტივაციის დადგენაც.

როგორც ცნობილია, უცხოენოვანი ტექსტის თარგმნა ენობრივისა და არაენობრივის კომპლექსის შედეგია. ისიც ცნობილია, რომ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას ტექსტი ე.წ. „ფილტრს“ გაივლის, რომელსაც აპრობებს მთარგმნელის მსოფლხედვა, ტრადიციები, მისი

ინდივიდუალური და ეპოქის გემოვნება, სოციალური გარემოს „შეკვეთა“. ეს ყველაფერი დიდი როლს თამაშობს ზეპირი თარგმანის დროს. აქ მთარგმნელი არჩევანში შედარებით თავისუფალია (თუმცა, არა აბსოლუტურად) და, საჭიროების შემთხვევაში, „არგებს“ მისთვის სასურველ ფორმას კონტექსტს. მანქანური თარგმანის დროს კი ამგვარი ოპერირება წარმოუდგენელია. ცნობილია, რომ ენაში გარკვეული ფუნქციურ-სემანტიკური შეზღუდვები არსებობს, რომელთა მკაფიო ჩამონათვალიც პროგრამაზე მომუშავე მკვლევრებს აუცილებლად დასჭირდებათ პროგრამის შექმნისას. მანქანური თარგმანის მზარდი მოთხოვნის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება მყარი წესების გამოვლენა და აღნუსხვა. აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოინაკლისის სახით მოვამზადებთ პოტენციურად მოსალოდნელ ყველა შესაძლო კომბინაციასა და პრაგმატულ გარემოს.

ავტორებისათვის ნათელია, რომ მანქანური თარგმანი მრავალი ურთულესი პრობლემის არსებობას გულისხმობს. საქმე ის არის, რომ არც ერთი ენა ზუსტად არ ითარგმნება მეორე ენაზე, ყოველ ენაში არსებობს უთარგმნელი „შრეები“ (იდიომატური გამოთქმები, ფრაზეოლოგიზმები და ა.შ.), რომელთა ზუსტი შესატყვისის შექმნა თითქმის შეუძლებელია. სამომავლოდ, მანქანური თარგმანის საბოლოო სახის შესაქმნელად, ბუნებრივია, ამგვარ „უთარგმნელ“ უბნებსაც სათანადო დამუშავება და ოპტიმალური შესატყვისების მოძებნა დასჭირდება. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მხატვრული ტექსტების თარგმნისას. რაც შეეხება საქმიან და სამეცნიერო ტექსტებს, მათი „მოვლა“ შედარებით იოლია, რადგან სტილისტურად და თემატურად შემოსაზღვრული არიან, მორფოლოგიურ-სემანტიკური და ლექსიკის არჩევანის თვალსაზრისითაც დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევიან. მისი შემქმნელისა და მთარგმნელის ინდივიდუალობაც თითქმის ნულამდეა დაყვანილი.

სათარგმნი პროგრამის შექმნას ლინგვისტებისა და პროგრამისტების ერთიანი მუშაობა სჭირდება. ლინგვისტები ვადგენთ წესებსა და ფორმულებს, რომლებზე დაყრდნობითაც იქმნება სათანადო ალგორითმი საბოლოო პროდუქტის მისაღებად.

ვვარაუდობთ, რომ სამუშაოს პირველ ეტაპზე ზმნური სისტემის ფორმალიზებაა აუცილებელი, რადგან ზმნა ქართული წინადადების ხერხემალია და ჩვენი ენის ყველაზე რთულ უბანს წარმოადგენს. სწორედ იგი ქმნის სინტაქსურ კონსტრუქციებს და მოითხოვს წინა-

დადების სათანადო ინვენტარით გაწყობას (ლექსიკური და მორფოლოგიური). ამიტომაც, ბუნებრივია, რომ, უპირველეს ყოვლისა, დღის წესრიგში დგას ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური მონაცემების დამუშავება.

I ეტაპი — მუშაობის პირველი ეტაპი მოიცავს მასალის შეგროვებას ენის ფუნქციონირების ყველა სფეროს გათვალისწინებით.

II ეტაპი — მოიცავს მოპოვებული მასალის დახარისხებას პრაგმატული რეალიზაციის თვალსაზრისით.

III ეტაპი — მიზნად ისახავს გამოავლინოს, ესა თუ ის სემანტიკური ინტერპრეტაცია როგორ რეალიზდება ამა თუ იმ ტიპის წინადადებაში.

IV ეტაპი — გულისხმობს წესებისა და გამონაკლისების დადგენას.

გთავაზობთ რამდენიმე მწკრივის ანალიზს ამ პრინციპების მიხედვით. დავადგენთ ამა თუ იმ მწკრივისათვის ორგანულ, ორდინარულ და კონტექსტუალურსა თუ პოტენციურად დასაშვებ სემანტიკურ კომბინაციებს.

როგორც ვიცით, მწკრივი რთული კატეგორიაა. დრო, კილო, ასპექტი, გზისობა, მომენტობრიობა, აქტი და თანამდევრობა ქმნის მწკრივის შინაარსს. ყველა მწკრივს აქვს ეს სემანტიკური მახასიათებლები (ზოგჯერ ნულოვანი ნიშნითაც). რომელიმე მათგანის შეცვლა იწვევს ცვლილებას მწკრივის შინაარსში. ამის საილუსტრაციოდ გამოვღებთ, ვთქვათ, ზმნა **დახატე**. კილოს ცვლილების მიხედვით სრულიად იცვლება მისი შინაარსიც. ის შეიძლება წარსული დროის თხრობით კილოსაც გადმოსცემდეს და მომავალი დროის ბრძანებით კილოსაც.

უმთავრესია, სემანტიკური ჯაჭვის ელემენტები ასრულებდნენ შემდეგ აუცილებელ პირობას: მათში შემავალი ელემენტები შეთავსებადი უნდა იყოს.

საკითხის კვლევისას კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემო, კონტექსტი, რომელშიც რეალიზდება ესა თუ ის შინაარსი.

ამ თვალსაზრისით თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმე შემთხვევაზე:

„გაშრე, გაშრე, ვერ გავაშრე“ და „გკეცი, გკეცი, ვერ დაგკეცი“ ორივე ზმნა მრავალგზის მოქმედებას გადმოსცემს. აღსანიშნავია, რომ ფორმალური თვალსაზრისით ისინი წარსული დროის ერთგზის მოქმედებას გადმოსცემენ, ანუ მათი ზუსტი დახასიათება ყველა კომბინაციის მიხედვით სემანტიკური თვალსაზრისით ნეიტრალურ გარემოში არ ხერხდება. ვფიქრობთ, რომ აქ რამდენიმე პარამეტრი მოქმედებს და გვკარნახობს მათ ფუნქციურ-სემანტიკურ ცვალებადობას:

1. დიურატიული ასპექტი
2. ზმნების განმეორებადობა
3. ფრაზის „ჩაკეტვა“ ზღვრული სემანტიკის მქონე (კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტილის სრულასპექტიანი ფორმით).

საგანგებო კვლევის საგნად უნდა იქცეს ე.წ. უდროო, მარადიული, პანაქრონული მოქმედების გამომხატველი ზმნები. საკითხი იოლად გადასაწყვეტია, როცა საქმე ეხება ისეთ სინტაგმებს, როგორიცაა **„მზე ანათებს“**, **„დედამიწა ბრუნავს“**, **„ანტარქტიდაში ცივა“** და ა. შ. ასეთ შემთხვევაში პროგრამისტს ვაწვდით მზა ფორმულებს, რომელთა სასრული რაოდენობაც არსებობს. თუმცა, არის ერთი წყება ზმნებისა, რომლებიც ახლოს არიან ამ ტიპის ზმნებთან: ის წერს (მწერალი), აქ შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც აწმყოს ერთგზისი, ისე უდროო, ჩვეულებითი, ჰაბიტუალური მოქმედება. აღსანიშნავია, რომ ამ გაგებას იძენს ზმნები, რომლებიც რაღაცის შექმნას, შემოქმედებით პროცესს გულისხმობს: ის კარგად ქსოვს, გემრიელად აცხობს და ა.შ. ვფიქრობთ, სამუშაო ამ მიმართულებით გაგრძელდება.

ამავე ტიპისაა წარსულის ჰაბიტუალური მოქმედების გამომხატველი ფორმები: **იღია წერდა ქართლის ჰერცეგ ან ის ხატავდა პარიზის ლამაზმანებს**. ეს ფორმები მიღებული უნდა იყოს წარსულში მუდმივად მიმდინარე, უწყვეტი, განმეორებადი მოქმედების „ჩვეულებითად“ ქცევითა და მისი განზოგადებით.

უწყვეტელმა კონტექსტუალურად შეიძლება მომავალში შესასრულებელი მოქმედებაც გადმოგვცეს და აწმყოს სემანტიკაც შეითავსოს (გოჩიტაშვილი, 2004, 89).

უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით მუშაობისას აუცილებელია სინტაქსური კონსტრუქციების ანალიზიც. განსხვავებულ სურათს გვაძლევს რთული და მარტივი წინადადებები. რთული წინადადების

შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია როგორც მთავარი წინადადების, ისე დამოკიდებული წინადადების ზმნის მონაცემები. თუ კარგად დავაკვირდებით, ამ თვალსაზრისით, გამოვლინდება მთელი რიგი სხვადასხვა კომბინაციისა. მაგალითად, II თურმეობითი ჰიპოთაქსური კონსტრუქციის წევრი მწკრივია, მისი რეალიზაციის ადგილია დამოკიდებული წინადადება, მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი კი ამ დროს დგას უწყვეტლის მწკრივში: **კარგი იქნებოდა, ეს საქმე დღეს დამემთავრებინა**. ეს უკვე გამზადებული სემანტიკური ფორმულაა, რომელსაც შემდგომ პროგრამისტი გადაამუშავებს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ზმნური ფორმებისა და დროის ზმნიზედების ურთიერთობის საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის აღწერილი დროისა და ადგილის ზმნიზედებისა და ზმნების ურთიერთკავშირის შემთხვევები (შანიძე, 1980, 302). მაგალითად, ძველ ქართულში საერთოდ არ გვხვდება დროის ზმნიზედები I თურმეობითის მწკრივის ფორმებთან. მსგავსი ვითარება გვაქვს ახალ ქართულშიც. იმ შემთხვევაში, თუ I თურმეობითი ითავსებს დროის ზმნიზედს, გადმოცემულია უნებურობისა და უნახაობის სემანტიკა: **გუშინ მთელ დღეს უწვიმია**. თუ დავაკვირდებით, აქ კიდევ ერთი სემანტიკური აკრძალვა მოქმედებს: ზმნას არ უნდა ჰქონდეს ზღვრული მნიშვნელობა (შაბაშვილი, 2005, 56).

პრაქტიკული თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ უნახაობით პერფექტს აქვს უნარი გადმოსცეს ინგლისური განგრძობითი მოქმედება (contineuse). მაგ.: **It was raining yesterday** — გუშინ მთელ დღეს უწვიმია. ინგლისური პერფექტი I თურმეობითით მხოლოდ იმ შემთხვევაში გადმოიცემა, როცა ზმნა გამოხატავს უნივერსალურ, ზოგად მოქმედებას. **I have never been in Paris** — მე არასოდეს ვყოფილვარ პარიზში. ყველა სხვა შემთხვევაში ინგლისური აწმყოს პერფექტი ქართულში გადმოიცემა წარსული დროის ფორმით.

ამგვარ სემანტიკურ ინტერპრეტაციას გვაძლევს ყველა მწკრივი, რომელთა დამუშავებაც წარმოადგენს ჩვენი მუშაობის მიზანს.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევას პრაქტიკული ღირებულება აქვს და მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში ელექტრონული სათარგმნი პროგრამის შექმნისას ერთ-ერთი რთული საკითხი გადაჭრილი იქნება.

ლიტერატურა

გოჩიტაშვილი 2004 — ქ. გოჩიტაშვილი, უწყვეტელის ზოგიერთი ფუნქციისათვის ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, №1, 2004.

შაბაშვილი, 2005 — გ. შაბაშვილი, პერფექტული ფორმების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი, 2005.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბ., 1980.

KETEVAN GOCHITASHVILI, GIULI SHABASHVILI

Functional and Semantic Analysis of the Georgian Verb System and its Practical Value

Summary

The paper analyses various types of Georgian verbs functionally and semantically; primary as well as secondary meanings of the verbs are dealt with. On the one hand, the aim of the study is to reveal semantic combinability of Georgian verbs and on the other to state correspondences between Georgian and English verb systems. The study is of particular importance for the creation of Georgian-English and English-Georgian digital translation programmes.

ეკატერინე ბაგვაშიძე

ენობრივი პოლიტიკა ამიერკავკასიის ფედერაციის
საკანონმდებლო აქტების ბათვალისწინებით

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი მისი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებთან და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკასთან დამოკიდებულების შესახებ. საბჭოთა რუსეთის მმართველობას ხელს აღლევდა ამიერკავკასიის მთლიან სახელმწიფოებრივ ერთეულად შეკვრა, რაც გააადვილებდა მის ჩაბმას ერთიანი რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში, აგრეთვე ერთიან ენობრივ სივრცეში, რაც საბოლოოდ სრულ რუსიფიკაციას და რუსეთზე დამოკიდებულებას მოასწავებდა. გაერთიანებასთან დაკავშირებით ი. სტალინმა, რომელიც მაშინ ეროვნებათა სახალხო კომისარიატს ხელმძღვანელობდა, ლენინური პრინციპით შეიმუშავა ე. წ. „ავტონომიზაციის“ პროექტი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის საბჭოთა ფედერაციაში ავტონომიის უფლებით უნდა გაერთიანებულიყვნენ (სურგულაძე, 1992, 242).

„ავტონომიზაციის“ სისტემა ხელყოფდა ერთა სუვერენულ უფლებებს და უპირისპირდებოდა ბოლშევიკური პარტიის საპროგრამო დებულებას ერთა თვითგამორკვევის შესახებ, რაც ხალხთა თანასწორუფლებიანობის დეკლარაციითაც იყო აღიარებული. 1921წ. 9 აპრილს ვ. ი. ლენინმა ამიერკავკასიელ კომუნისტებს დაავალა შეექმნათ „საოლქო სამეურნეო ორგანო“. სამეურნეო გაერთიანებას უნდა შეემზადებინა პირობები პოლიტიკური ერთიანობისთვის, რასაც რ.კ.პ. (ბ) კავბიუროს აზრით კარნახობდა ადრინდელ მთავრობათა „მძიმე მემკვიდრეობა“. 1921 წლის აპრილში მოხდა ამიერკავკასიის რკინიგზის გაერთიანება. 2 ივნისს გაერთიანდა სამი რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობა. იმავე წლის 3 ნოემბერს ბაქოში შემდგარმა რ.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმმა დაადგინა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანება.

დადგენილებაში ნათქვამია:

1. გადაუდებლად და აუცილებლად იქნეს ცნობილი რესპუბლიკებს შორის ფედერაციული კავშირის შეკვრა, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო, სამეურნეო, საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დარგში.

2. აუცილებლად ჩაითვალოს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ადმინისტრაციულ-ეკონომიკური ცენტრის (სამოკავშირეო საბჭოს) შექმნა“ (სურგულაძე, 1992, 242).

ლენინისა და სტალინის საერთო წინადადებით, 1921 წლის 29 ნოემბერს რ.კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის გადაწყვეტილება, რომელშიაც ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნა სცნო პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო განხორციელებული, და წინადადება მისცა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ცხოვრებაში გაეტარებინათ ეს გადაწყვეტილება (ბერია, 1937, 37).

ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები“. ისინი მართებულად არ თვლიდნენ, საქართველოს გაერთიანებას ამიერკავკასიის ფედერაციაში. ლავრენტი ბერია ასე ხსნიდა მათ მოქმედებას: „ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს სურდათ გამოეყენებინათ საქართველოს გეოგრაფიული და ეკონომიური უპირატესობანი, რომლებიც იქიდან წარმოდგება, რომ იგი ჰქვლობს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო პუნქტებს, როგორც არის თბილისი და ბათუმი. ამ საფუძველზე ისინი მოითხოვდნენ საქართველოს გამოსვლას ამიერკავკასიის ფედერაციიდან, უნდოდნენ საბჭოთა აზერბაიჯანისა და სომხეთის ხარჯზე შეექმნათ პრივილეგიები საქართველოსათვის“ (ბერია, 1937, 38). რესპუბლიკების პარტიულ ლიდერთა ნაწილი კი მხარს უჭერდა ამიერკავკასიის ფედერაციულ კავშირს თითოეული რესპუბლიკის სუვერენიტეტის შენარჩუნებით. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კიდევ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საბჭოების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციამ. მაგრამ ი. სტალინს, ორჯონიკიძესა და კავბიუროს შემადგენლობის უმრავლესობას ამაზე შეჩერება არ აკმაყოფილებდა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ერთიანი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას. ამ ჯგუფმა (იგულისხმება სტალინი, ორჯონიკიძე, კავბიუროს შემადგენლობის უმრავლესობა) თავისი გაიტანა კიდევ. 1922 წლის

10 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკები გააერთიანა ერთ ფედერაციულ რესპუბლიკად (სურგულაძე, 1992, 243). 1922 წლის 13 დეკემბერს მიღებულ იქნა კონსტიტუცია ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობის მიერ. არჩეულ იქნა ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და კონტროლის გამწევი ორგანო — ამიერკავკასიის რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკ-ი) (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1923, 20). ამიერკავკასიის ფედერაცია ერთ ერთეულად შევიდა 1922 წ. 31 დეკემბერს შექმნილ სსრ კავშირის შემადგენლობაში (სურგულაძე, 1992, 243).

ზემოთ მოცემულია შემდეგი ფორმულირება, რომ ამიერკავკასიის ფედერაციაში გაერთიანდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკები: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. მნიშვნელოვანია, აგრეთვე განვიხილოთ, თუ რა სტატუსი ჰქონდა აფხაზეთს ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში. 1921 წლის 28 მარტს ბათუმში გაიმართა კავშიურს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის წარმომადგენლების თათბირი, სადაც დაადგინეს: „საბჭოთა აფხაზეთის რსფსრ-თან თუ სსსრ-თან ფედერაციის საკითხი რჩება ღიად და აფხაზეთი ცხადდება სოციალისტურ რესპუბლიკად“ (გამახარია, 1991, 116). მაგრამ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ ატარებდა სუფთა ფორმალურ ხასიათს, რადგან იგი პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც საქართველოსა და რუსეთზე იყო მთლიანად დამოკიდებული. აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ ფორმალურობა ასახავს პოულობს სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში. მასში ნათქვამია: „ავტონომიური რესპუბლიკები — აჭარა და აფხაზეთი და ავტონომიური ოლქები — სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბაღი და ნახიჭევანი ეროვნებათა საბჭოში აგზავნიან თითო წარმომადგენელს თითოეული საგან...“ (გამახარია, 1991, 128). 1931 წელსაც, როდესაც გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია, აფხაზეთი საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში ავტონომიის სტატუსით დარჩა.

ჩვენ აქ მოვხვდებით მცირე ისტორიული ექსკურსი, თუ რა ხდებოდა საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის შემდეგ მთლიანად ამიერკავკასიაში. საბჭოთა კავშირის მაღალჩინოსანთა აზრით, სამი რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთ ფედერ-

რაციად გაერთიანების შემთხვევაში უფრო ადვილად მოხდებოდა ამ კომპონენტთა ინტეგრირება საერთო საბჭოთა სივრცეში. მაგრამ ჩვენ არ ვართ დაინტერესებული მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების აღნუსხვით შემოვიფარგლოთ. ჩვენი მიზანია, დავაკვირდეთ ამ პერიოდს სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით, განვიხილოთ ენობრივი საკითხები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მოხდა სამი სხვადასხვაენოვანი სახელმწიფოს ერთ ფედერაციაში ხელოვნურად, ნაძალადევად გაერთიანება. რომელ ენას უნდა მისცემოდა უპირატესობა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებს შორის? ცალსახა პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობდა ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია — ძირითადი კანონი, რომლითაც განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის თითოეული რესპუბლიკის სახელმწიფო ენის სტატუსი, ასეთი მუხლი ამ კონსტიტუციაში ფაქტობრივად არ არსებობდა. მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას არ ჰქონდა გეგმაზომიერი ენობრივი პოლიტიკა კონკრეტულად ამ რეგიონისათვის. პირიქით, შექმნილი იყო მრავალი საკანონმდებლო აქტი, რომლებიც არეგულირებდა ენობრივ საკითხებს სხვადასხვა სფეროში. ეს იქნებოდა ამიერკავკასიის ჯარი, ამიერკავკასიის რკინიგზები, გზატკეცილები, თუ ამიერკავკასიის განათლების სისტემა. . .

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ახორციელებდა წარმოება-დაწესებულებების, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანოების, აგრეთვე განათლების სისტემის გეგმაზომიერ რუსიფიკაციას, მაგრამ საზოგადოებრიობა შეიძლება არ იცნობდეს ამიერკავკასიის ცაკ-ის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც შეეხებოდა ღია ენობრივ დაგვემარებას ისეთ დარგებში, როგორცაა ამიერკავკასიის არმია და რკინიგზა. ამიტომ გადავწყვიტეთ წარმოგვედგინა ეს მასალა და კიდევ ერთხელ დაგვემტკიცებინა, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას ჰქონდა შორს გამიზნული გეგმა. ეს იყო ერთი ენობრივი სივრცის შექმნა და, რა თქმა უნდა, ერთა შორის ურთიერთობის ენად რუსულის გაბატონება. მაგრამ სანამ უშუალოდ ამ თემას შევეხებოდეთ, განვიხილოთ ამიერკავკასიის ფედერაციის ცაკ-ის მიერ მიღებული „დეკლარაცია ენის შესახებ“ და 1923 წლის 13 აგვისტოს დეკრეტი, რომლებიც განსაზღვრავდნენ ენობრივი დაგვემარების ზოგად საკითხებს ამიერკავკასიის მასშტაბით.

1923 წლის 3 ივლისს გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ იქნა „დეკლარაცია ენის შესახებ“, რომლის თანახმად ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების და ქვეყნის მშრომელი მასების რევოლუციური ხელისუფლების ორგანოების წინაშე გადასატრეულ ამოცანად იდგა, პირველ რიგში, ჩამორჩენილი ერების კულტურულ-ეკონომიკური დონის ამაღლება, ნაციონალური განცალკევების ნაშთების აღმოფხვრა. ამ ამოცანის გადაჭრის მთავარ გზად საბჭოთა ხელისუფლება აცხადებდა ამიერკავკასიის განსხვავებული ერების მშრომელი მასების ჩაბმას კულტურულ და პოლიტიკურ მშენებლობაში და სახელმწიფო აპარატის გადაქცევას თვით მშრომელთა ორგანიზაციებად. მეორე ამოცანა თითქოს ითვალისწინებდა, ამიერკავკასიის ერების ცოცხალი სალაპარაკო ენების გადაქცევას კულტურული განვითარებისა და მუშურ-გლეხური რევოლუციის მონაპოვართა შეთვისების მძლავრ იარაღად. ყოველივე ამის განსახორციელებლად ამიერკავკასიის ცაკ-ის მეორე სესია საჭიროდ თვლიდა შემდეგს (ვახდენთ დეკლარაციის ძირითადი პუნქტების ციტირებას):

„1. მიაქციოს ხელისუფლების ხელმძღვანელი ორგანოების განსაკუთრებული ყურადღება ნაციონალური რესპუბლიკების კულტურული მუშაობის დაყენებას და განვითარებას, განსაკუთრებით კი კულტურულ მუშაობას ეროვნულ უმცირესობით დასახლებულ რაიონებში.

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალურ მასობრივ პრეზიდიუმს მოკლე ხანში გამოსცეს კანონი, რომელიც მოაგვარებს ფედერაციის სახელმწიფო ორგანოებში და აგრეთვე ამ დაწესებულებების მცხოვრებლებთან ურთიერთობის დროს სამშობლო ენის ხმარებას.

3. დაევალოს რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოკლე ხანში გამოსცენ კოდექსი სახელმწიფო დაწესებულებებში, როგორც მცხოვრებთა უმრავლესობის, ისე ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების შესახებ.

4. შემოღებულ იქნეს უმაღლესი ტიპის ზოგიერთ სკოლაში, პირველ რიგში კი, ტექნიკუმებში. ამიერკავკასიის ძირითადი ერების ენის და აგრეთვე მათი ისტორიისა და ყოფაცხოვრების სავალდებულო სწავლება.

აკუთვნებს რა პირველხარისხიან მნიშვნელობას ამ დეკლარაციას, მისგან გამომდინარე დებულებების პრაქტიკულად განსახორციელებლად და უზრუნველსაყოფად, ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის ცენტრალურ მასობრივ პრეზიდიუმს და რესპუბლიკების ცენტრალურ მასობრივ გამომიშვან სათანადო კანონები, რომლითაც დაისჯებიან ერებისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ყველა დამრღვეველი“ („კომუნისტი“, 1923, 3).

დეკლარაციაში ნათლად ჩანს, თუ რას ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ენობრივი პოლიტიკა. არცერთი უმნიშვნელო დეტალიც კი არ რჩებოდა ყურადღების მიღმა. სასწრაფოდ უნდა განსაზღვრულიყო **სამშობლო** ენის ხმარების წესები, რაც მისი სტატუსის განსაზღვრაშიც დაეხმარებოდა. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულოდ ცხადდებოდა ამიერკავკასიის ძირითადი ერების ენისა და ისტორიის სწავლება, რაც, ერთი მხრივ, ემსახურებოდა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების განვითარებას და მოსახლეობის მიერ მათ უკეთ დაუფლებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ჩვენ ქვემოთ წარმოვაჩინებთ, რომ ზოგიერთ დარგში წამყვანი როლი კვლავ უჭირავს რუსულ ენას, რაც ზღუდავს ამ ენების უფლებებს. როგორც ვხედავთ, ხელისუფლება თითქოს ზრუნავს ეროვნულ უმცირესობებზეც. ამ ტერმინის სხვადასხვაგვარად გაგება შეიძლება, მაგრამ, ჩვენი აზრით, მასში იგულისხმება მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა დედაენა არ ემთხვევა სახელმწიფო ენას, ამიტომაც სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვებოდა მათი მშობლიური ენის უფლებების დაცვა. ენათმეცნიერი მანანა ტაბიძე „ეროვნულ უმცირესობას“ არაიურიდიულ ფორმულირებას უძებნის და შემდეგნაირად განმარტავს მას: ეს არის არაქართული ეთნიკური და ენობრივი კოლექტივები, რომელთაც საკუთარი სამშობლო სხვაგან აქვთ (ძირითადად, საქართველოს საზღვრებიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში) (ტაბიძე, 2005, 94).

ენის დეკლარაციის პირობების შესრულების მიზნით 1923 წლის 13 აგვისტოს გამოიცა ამიერკავკასიის ცაკ-ის დეკრეტი, რომლის მიხედვით განისაზღვრა:

„1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო თავიანთ კანონებს, დეკრეტებს, დადგენილებს და სხვ. აქვეყნებენ რუსულსა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ენებზე, — ქართულსა, სომხურსა და თათრულზე.

2. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა, სახალხო კომისართა საბჭოებსა და სახალხო კომისარიატებს მიმართავენ რუსულს ენაზე, ხოლო მიიღებენ მათგან პასუხს, შეკითხვას, მინაწერს და სხვ. რუსულსა ან სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

3. მოქალაქენი ყოველგვარ ქაღალდს ამიერკავკასიის ცენტრალურ კომიტეტში და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანენ ერთ-ერთ ზემო აღნიშნული ოთხი ენის შორის და მიიღებენ პასუხს მთხოვნელის მიერ არჩეულ ენაზე.

4. ენას ნაციონალური რესპუბლიკების ორგანოთა ცენტრალურ საოლქო ორგანოებთან, გაერთიანებულ კომისარიატებთან და სამმართველოებთან ურთიერთობრივი მიმართვისათვის — განსაზღვრავენ სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

5. ამა დეკრეტის განსავითარებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ უნდა გამოსცეს ცალკე დებულება ნაციონალური რესპუბლიკების ენების ხმარების შესახებ რკინის გზებზე, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში და ცალკე კავკასიის არმიაში“ (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1923,307).

დეკრეტში მოცემული ტერმინი „თათრული“ განმარტებას მოითხოვს. მასში აზერბაიჯანული ენა იგულისხმება. ქართულ ენაზე ზოგჯერ ამ ენას თურქულსაც უწოდებდნენ, რაც აძნელებდა ტერმინების გარჩევას და სისწორის დასადგენად საჭირო იყო რუსული წყაროს მოშველიება, რადგან რუსულ ენაში გამიჯნული იყო ეს ორი ცნება. აზერბაიჯანული ენა იწოდებოდა, როგორც **тюркский язык**, ხოლო თურქული, როგორც **турецкий язык**. აქვე გვინდა მივუთითოთ, რომ თუ რუსულსა და სხვა ტექსტებს შორის განსხვავება აღმოჩნდებოდა, სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა ყოფილიყო რუსული ტექსტი (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1923, 191).

როგორც ვნახეთ, ენის დეკლარაციის გამოსვლის შემდეგ მალევე გამოქვეყნდა ამიერკავკასიის ცაკ-ის დეკრეტი, რომლითაც განისაზღვრა ენობრივი პოლიტიკის ზოგადი ტენდენციები, თუმცა ამით თემა ამოწურულად არ ითვლებოდა და უნდა შემუშავებულიყო კერ-

ძო დებულებები სხვადასხვა მნიშვნელოვანი და ამავდროულად სტრატეგიული ობიექტისათვის. ასეთად კი იმდროინდელ საქართველოში და არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში ითვლებოდა რკინიგზა, ფოსტა-ტელეგრაფი და არმია.

ამ სტატიაში საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით, შევეცდებით, განვიხილოთ ამიერკავკასიის ეროვნული რესპუბლიკების „წითელდროშიანი არმიის“ და ამიერკავკასიის გზათა სამმართველოების, რკინიგზებისა და გზატკეცილების ხაზების ენობრივი პოლიტიკის საკითხები. ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმ გარემოებას, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა წერა-კითხვის სწავლებას საერთოდ „წითელდროშიანი არმიაში“, არცერთი პირი არ უნდა დარჩენილიყო განათლების გარეშე, რადგან საჯარისო ნაწილების წევრების განათლებას გარკვეული პრაქტიკული და იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. პრაქტიკული იმიტომ, რომ თითოეული ბრძანება სწორად უნდა გაგებულიყო და შემდეგ ზედმიწევნით უნდა შესრულებულიყო. ბრძანების ვერ გაგებას შეიძლება სავალალო შედეგები გამოეწვია. ხოლო იდეოლოგიური დატვირთვა გულისხმობდა პოლიტიკური შეგნების ამაღლებას. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული განათლების სახალხო კომისარიატი, რომელიც თავის თავზე იღებდა ამ დავალების შესრულებისათვის გაწეულ ყველა ხარჯს. მთელი ეს პროცესი, რა თქმა უნდა, საკანონმდებლო აქტებით რეგულირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ჯარში გასაწვევ წერა-კითხვის უცოდინარ პირთათვის წერა-კითხვის სწავლება მშობლიურ ენაზე იყო სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი პროცესი. კონკრეტული თარიღებიც კი იყო მითითებული, რომელშიც უნდა შესრულებულიყო სამთავრობო მითითება. „1902 წ. დაბადებულთ და აგრეთვე 1901 წ. დაბადებულთ, რომელნიც ჯარში გაწვეულნი არ არიან, წერა-კითხვა უნდა შეისწავლონ არა უგვიანეს 1924წ. აგვისტოს 1-სა, „-იუწყებოდა 1923 წლის 24 დეკემბრის ამიერკავკასიის ცაკ-ის დადგენილება ჯარში გასაწვევ პირთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. ჯარში გასაწვევთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ხარჯი, რაც საჭირო იქნებოდა სასკოლო სადგომების დასაჭერად და ამ სადგომების გასათბობად, გაწეული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო ყველა ხარჯი, რაც საჭირო იქნებოდა სადგომების მოწყობა-განათებისათვის, მასწავლებელთა ჯამაგირებისათვის, საკანცელარიო ნივთებისათვის, სახელმძღვანელოებისა-

თვის და აგრეთვე სხვა სამეურნეო ხარჯი, გაღებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამიერკავკასიის სათანადო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის(განსახკომ-ის) ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1924, 6).

1925 წლის 5 იანვრის დადგენილებაც შეეხებოდა სწორედ ტერიტორიული ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა და საგასაწვევო ასაკმიულწვეველთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

რათა წინასწარ თავიდან აცილებულ ყოფილიყო ის შემთხვევა, რომ წითელ არმიაში მორიგი გაწვევის დროს წერა-კითხვის უცოდინარნი არ მოხვედრილიყვნენ, აგრეთვე, რათა ტერიტორიული ნაწილების წითელარმიელთა პოლიტიკური შეგნება და ბრძოლის უნარიანობა სათანადო სიმაღლემდე ყოფილიყო ამაღლებული, და თანახმად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცაკ-ისა და სახალხო კომისარათა საბჭოს მიერ 1924წ. 8 აგვისტოს გამოცემული დადგენილებისა, ამიერკავკასიის ცაკ-ი ადგენდა:

„1. ყოველ წერა-კითხვის უცოდინარ საგასაწვევო ასაკმიულწვეველ პირს, რომელიც ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადებას იძენდა, აგრეთვე ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის ყოველ წერა-კითხვის უცოდინარ წითელარმიელს მონაწილეობა უნდა მიეღო სავალდებულო სასკოლო მეცადინეობაში იმ ვადაზე, რაც დადგენილ უნდა ყოფილიყო კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს მიერ, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ამ დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისარათა საბჭოს უნდა გამოეცა ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდებისათვის“ (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1925, 3-4).

ამიერკავკასიის ცაკ-ის მიერ ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა და საგასაწვევო ასაკმიულწვეველთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ 1925წლის 5 იანვარს გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1925წ. 1-ლი №-რი, მუხ.325) დადგენილების მე-3 მუხ. თანახმად, ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისარათა საბჭო ამყარებს შემდეგ

წესს ზემოაღნიშნული დადგენილების შეფარდებისათვის:

„1. წერა-კითხვის სწავლება სავალდებულოა ტერიტორიალური ნაწილების ყველა, წერა-კითხვის უცოდინარი, საგასაწვევო ასაკმიულწვევლისათვის (წვევამდელისათვის) წერა-კითხვის სწავლება არის ნაწილი ჯარში გაწვევამდე მომზადებისა, რომლის დამთავრებაც ჩაეთვლება მხოლოდ იმ პირს, ვინც გაიარა არა მარტო სამხედრო სწავლება და შეითვისა პოლიტიკური ანბანი, არამედ შეისწავლა აგრეთვე სამშობლო ენაზე წერა და კითხვა.

2. მუშაობა წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის უნდა წარმოებდეს იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს განსაზღვრულ ვადაზე. ამისთანა ვადად უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის არის იმ წლის მაისის 1-ლი, როდესაც იგი გაიწვევა არმიაში.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის წარმოებს იმ ვადაზე, რაც დადგენილ იქნება რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს შეთანხმებით იმ დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებასთან, რომლის შედგენილობაშიაც შედის ტერიტორიალური ნაწილი.

3. წვევამდელთა და ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით წარმოებული მუშაობის ხელმძღვანელობისთვის ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს მასშტაბით მოეწყობა მუდმივი თათბირი, რომელშიაც შევლენ: თავჯდომარე — ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის წარმომადგენელი და წევრნი — რუს. კომ. პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა და რუსეთის ლენინელთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, კავკასიის წითელდროშიანი არმიის შტაბისა და პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენელნი.

4. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში მუშაობის ხელმძღვანელობისათვის მოეწყობა კომისიები, რომელშიაც შევლენ: თავჯდომარე — პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს თავჯდომარე და წევრნი — რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატისა, ლენინელთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, განათლების მუშაკთა ცენტრალური გამგეობისა, ნაციონალური დივიზიის პოლიტიკური განყოფილებისა და პოლიტიკური

განათლების მთავარი სამმართველოს სკოლებისა და კურსების განყოფილების გამგე (თავჯდომარის მოადგილე). . .

22. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის გაწეული მუშაობის აღნუსხვა წარმოებს რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს და ნაციონალური დივიზიის პოლიტიკური განყოფილების შეთანხმების საფუძველზე“ (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1925, 274-278).

ამ ინსტრუქციიდან კარგად ჩანს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ითვალისწინებდა არა მხოლოდ მშობლიური ენის შესწავლას, არამედ პოლიტიკური შეგნების ამალგებას. ამ პროცესის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების იდეოლოგიური სამსახურის მაღალჩინოსანნი. მოცემული ინსტრუქციით აგრეთვე განმარტებული იყო, თუ ვინ ჩაითვლებოდა წერა-კითხვის არმცოდნე პიროვნებად, თუ რა კრიტერიუმები არსებობდა ამ ცნების დეფინიციისათვის:

„წერა-კითხვის არმცოდნედ ჩაითვლება ის წევრადელი და ტერიტორიალური ნაწილის ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელი, რომელმაც წერა და კითხვა არ იცის და არ შეუძლია წერით ანგარიშის გამოყვანა პირველი ორი არითმეტიკული მოქმედების (შეერთება და გამოკლება) ფარგალში“ (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1925, 276).

ამ ინსტრუქციის წაკითხვის შემდეგ დაისმის კითხვა: რაში სჭირდებოდა სახელმწიფოს წერა-კითხვის მცოდნე, განათლებული ჯარისკაცი? ნუთუ ყოველივე ამის გარეშე ვერ შეძლებდა ჯარში გაწვეული პირი ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ჩვენი აზრით, ეს შორს გამიზნული ნაბიჯი იყო, რაც ენობრივი პოლიტიკის ნიშნებს შეიცავს და ეს ენობრივი პოლიტიკა, რა თქმა უნდა, რუსული ენის სასარგებლოდ იყო მიმართული. რაც უფრო მეტი სფერო მოექცეოდა რუსული ენის გავლენის ქვეშ, მით უფრო ადვილი მისაღწევი იქნებოდა სრული რუსიფიკაცია. როგორც ვიცით, სამხედრო ძალა სახელმწიფოს ერთ-ერთი სტრატეგიული საყრდენია და ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი. ამაში თვალნათლივ ვრწმუნდებით საკანონმდებლო აქტების ანალიზის დროს.

ამიერკავკასიის ცაკ-ის მე-2 სესიის მიერ სახელმწიფო დაწესებუ-

ლებათა ენისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული დეკლარაციის ძირითადი პრინციპების განსახორციელებლად და ამიერკავკასიის ცაკ-ის მიერ 1923 წლის 13 აგვისტოს გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლის აღსრულებისათვის, — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„1. დამტკიცდეს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება კავკასიის წითელდროშიან არმიაში ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

2. ამა დადგენილების აღსასრულებლად კავკასიის წითელდროშიანი არმიის რეგოლუციონურ სამხედრო საბჭოს დაეკისრება გამოსცეს დამატებითი ინსტრუქციები და ბრძანებები“ (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1924, 38).

ზემოთ მოყვანილ დადგენილებაში ნახსენები დებულების მიხედვით განისაზღვრა ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარება კავკასიის წითელდროშიანი არმიის ნაწილებში, დაწესებულებებსა და სამმართველოებში. რათა ღია ენობრივი დაგეგმარების სურათი უფრო ნათელი და თვალსაჩინო გახდეს, სრულად წარმოვიდგინოთ ამ დებულებას:

ა. არმიის სამმართველოები და დაწესებულებები

1. მიმართავენ ამიერკავკასიის ფედერატიულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს რუსულ ენაზე.

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკათა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მიმართავენ რუსულ ენაზე, ხოლო პასუხს, შეკითხვას, მიმართვას და სხვ. მიიღებენ რუსულ ენაზე ანდა სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

3. დივიზიების სამმართველოებს და შტაბებს მიმართავენ რუსულ ენაზე.

4. მიწერ-მოწერას სამმართველოებს შორის და აგრეთვე სამეურნეო, ტექნიკურ და ფულად ანგარიშგებას აწარმოებენ რუსულ ენაზე.

5. ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომელიც შეეხება არა მართო არმიის ნაწილებს, არამედ მოსახლეობასაც, — გამოაქვეყნებენ ოთხ ენაზე: რუსულზე, ქართულზე, სომხურსა და თათრულზე.

ბ. ნომრებიანი დივიზიები, გარნიზონები და ნაწილები ამ დივიზიისა

1. რესპუბლიკათა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიმართავენ სათანადო რესპუბლიკის ენაზე.
2. ყველა ბრძანებასა და განკარგულებას, რომელიც შეეხება არა მარტო ნაწილებს, არამედ გვერდით მდებარე ადგილების მოსახლეობასაც, — გამოაქვეყნებენ: რუსულ ენაზე, რესპუბლიკანურ ენაზე და ამა თუ იმ ადგილის ან რაიონის ეროვნული უმცირესობის ენაზე.

გ. სამმართველოები და ნაწილები ნაციონალური დივიზიებისა და სამხედრო სკოლებისა

1. რესპუბლიკათა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მიმართავენ სათანადო რესპუბლიკის ენაზე.
2. ამიერკავკასიის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მიმართავენ იმავე წესით, რაც ამა თუ იმ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებულია მთავრობის ყველა რესპუბლიკანური დაწესებულებისათვის.
3. ურთიერთ შორის მიმართვას აწარმოებენ სათანადო რესპუბლიკანურ ენაზე.
4. კომანდობასა და ამა თუ იმ დივიზიისა და სკოლის წითელარმიელებისა და კურსანტების სწავლებას აწარმოებენ სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

შენიშვნა. ცალკე რესპუბლიკების ნაციონალურ უმცირესობათა წითელარმიელებისა და კურსანტების პოლიტიკური აღზრდა-სწავლება შეიძლება წარმოებდეს მათ მშობლიურ ენაზე.

დ. ურთიერთობრივი მიმართვა მოსახლეობასთან

1. კავკასიის წითელდროშოიანი არმიის ყველა სამმართველო, დაწესებულება და ნაწილი ვალდებულია მიმართოს მოსახლეობას ამა თუ იმ ადგილის ან რაიონის ძირითად ენაზე.
2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა შეკითხვებზე, განცხადებაზე, საჩივარზე და სხვ. მიმართვაზე არმიის ყველა სამმართველო, დაწესებულება და ნაწილი ვალდებულია

ღია უპასუხოს იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილია მიმართვა (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1924, 38-40).

თუ დებულებას გულდასმით ჩაიკითხავთ, შეამჩნევთ, რომ არმიის სამმართველოებსა და დაწესებულებებს შორის ურთიერთობა, მიწერ-მოწერა, სამეურნეო, ტექნიკური და ფულადი ანგარიშსწორება წარმოებდა რუსულ ენაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამხედრო სამსახურში მყოფ ნებისმიერ მაღალი ჩინის მქონე პირს რუსული ენა უნდა სცოდნოდა სრულყოფილად, რადგან სხვაგვარად სამმართველოებსა და დაწესებულებებში მუშაობას ვერ შეძლებდა ენის ბარიერის გამო.

არანაკლებ საგანგაშო მდგომარეობა იყო ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების მხრივ ამიერკავკასიის რკინიგზებსა და გზატკეცილებზე. აქაც მრავლად მოიპოვება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ენების უფლებების შეზღუდვის მაგალითები. 1923 წლის 23 აგვისტოს გამოცა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი ამიერკავკასიის რკინიგზებსა და გზატკეცილებზე ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენდა:

„1. დამტკიცდეს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება — ამიერკავკასიის რკინიგზებზე და გზა-ტკეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

2. დაეკისროს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ, რაც შეიძლება მოკლე ვადის განმავლობაში, წარმოუდგინონ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დებულებანი — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის გზათა სახალხო კომისარიატის პორტების განყოფილებაში ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ“ (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1923, 308-309).

აქვე გაქვეყნებთ დებულებას ამიერკავკასიის რკინიგზებსა და გზა-ტკეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ:

ი. გზათა სამმართველოსათვის

ა., — შეკითხვა და პასუხი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის დაწესებულებათა მიმართ უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის

სახელმწიფო ენაზე.

ბ., — ყოველი, — გამოუნაკლისად, — წარწერა, განცხადება, ბრძანება, ცირკულიარი, წესები, განკარგულება და სხვ., რაც გამოფენილი იქნება მოქალაქეთა საყოველთაო ცნობისათვის სადგურზე, კონტორაში და სხვ. შენობაში, აგრეთვე გზებზე — აუცილებლად უნდა იწერებოდეს, — ერთსა და იმავე დროს, — ამიერკავკასიის ფედერაციის ოთხ ენაზე: ქართულსა, სომხურსა, თურქულსა და რუსულზე; ხოლო წარწერა, განცხადება, ბრძანება და სხვ. ადგილობრივი ხასიათისა — ამა სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, — უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და, პარალელურად, რუსულ ენაზე.

გ., — ყოველგვარი განკარგულება, განცხადება და წესები, — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში მიმდევრულ ვაგონებში გამოკრული, — უნდა იწერებოდეს, ერთსა და იმავე დროს, — წინა მუხლში აღნიშნულ ოთხ ენაზე.

დ., — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი ცალკე რესპუბლიკების ფარგლებში მიწერ-მოწერა გზის ხაზის დაწესებულებასთან არატექნიკური ხასიათისა — უნდა წარმოებდეს ორ ენაზე: სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

ე., — გზათა სამმართველოს ყოველი ბრძანება, ცირკულიარი და დებემა ტექნიკურ-განკარგულებითი ხასიათისა, — ვიდრე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკათა ენებზე ტექნიკური ტერმინოლოგია დამყარდებოდეს, — გაიცემა რუსულ ენაზე.

ვ., — მთლად ტექნიკური, მატერიალური და ფულის ანგარიში რკინის გზების სამმართველოში წარმოებს რუსულ ენაზე.

ზ., — რკინის გზების სამმართველოს განყოფილებათა (სლუჟბა) შორის შინაგანი სამსახურებრივი მიწერ-მოწერა წარმოებს რუსულ ენაზე.

II. ამიერკავკასიის რკინისგზებისა და გზატკეცილების ხაზისათვის

ა., — შეკითხვა და პასუხი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის დაწესებულებათა მიმართ უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

ბ., — ტვირთისა და ბაგაჟის გადასაზიდი დოკუმენტები, რო-

გორც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიგნით, ისე სატრანზიტო მიმართულებისათვის, შედგენილ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად, რუსულ ენაზე.

გ., — ყოველგვარი სამსახურებრივი არატექნიკური ხასიათის მიწერ-მოწერა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი ცალკე რესპუბლიკების ფარგლებში უნდა წარმოებდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე.

დ., — ტექნიკური, მატერიალური და ფულის ანგარიში, აგრეთვე მთლად ამ ანგარიშთან დაკავშირებული მიწერ-მოწერა, — როგორც ცალკე რესპუბლიკის მიგნით, ისე მეზობელ რესპუბლიკებთან და გზათა სამმართველოსთან, — დროებით, ვიდრე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ენებზე ტექნიკური ტერმინოლოგია დამყარდებოდეს, — უნდა წარმოებდეს რუსულ ენაზე.

ე., — ყოველგვარი სამსახურებრივი ურთიერთი მიმართვა — არატექნიკური ხასიათისა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკის რკინის გზის ხაზის სარკინიგზო დაწესებულებათა შორის და გზატკეცილების დაწესებულებათა შორის უნდა წარმოებდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად — რუსულ ენაზე; ხოლო ტექნიკური ხასიათის მიწერ-მოწერა წარმოებს რუსულ ენაზე.

ვ., — მიწერ-მოწერა არატექნიკური ხასიათისა, გზის ხაზიდან წარგზავნილი გზათა სამმართველოში, უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

ზ., — სამსახურებრივი ხასიათის დებემა, საექსპლოატაციო ტექნიკური საანგარიშო საკითხების შესახებ ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადაცემისათვის, უნდა იწერებოდეს და გადაიცემოდეს რუსულ ენაზე.

III. კერძო დაწესებულებასთან და პირთან ურთიერთობრივი მიმართვისათვის

ა., — ყოველგვარი განცხადება, რომელიც შეტანილ იქნება კერძო პირის მიერ როგორც გზათა სამმართველოში, ისე გზათა სახაზო დაწესებულებაში, მისაღებად სავალდებულოა სათანადო რესპუბლი-

კის ენაზე, სათანადო რაიონის ნაციონალური უმცირესობის ენასა და რუსულ ენაზე.

ბ., ყოველი დოკუმენტი და ცნობა მიცემულ უნდა იქნეს მთხოვნელის სურვილისამებრ იმ ენაზე, რომელიც მან აირჩია ზემოაღნიშნული „ა“ პუნქტის თანახმად, ან ერთ-ერთ ამ პუნქტში მოხსენებულ ენაზე.

გ., — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფარგლებში კერძო პირისა და დაწესებულების მიერ გაგზავნილი დეპეშა მისაღებად სავალდებულოა სათანადო რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე, — ხოლო ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადასაცემი დეპეშა მიიღება და გადაიცემა რუსულ ენაზე, ვიდრე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ენებისათვის საამისო ტექნიკური შესაძლებლობა შეიქმნებოდეს.

დ., — ამა დებულების სრულის თანადობით შესასრულებლად გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა უნდა დაუყოვნებლივ გამოსცენ ინსტრუქციები და წესები ამა დებულების შეფარდებისათვის (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1923, 309-311).

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ მოცემული დებულების I თავის ე, ვ, ზ; II თავის გ, დ, ე, ზ; III თავის გ პუნქტები, სადაც აშკარად ჩანს, რომ ძირითადი საქმისწარმოება რკინიგზებისა და გზატკეცილების სამმართველოებში, დაწესებულებებსა და ხაზებზე მიმდინარეობს რუსულ ენაზე. ამის მიზეზად ხშირად სახელდება ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ენებში ტექნიკური ტერმინოლოგიის არქონა. ამ მიზეზით ხდებოდა ამიერკავკასიის ენების და არა მხოლოდ მათი რუსული ტერმინოლოგიით გაჯერება. სწორედ ამიტომ არის თურქულ-თათრული ლექსიკონის 1958 წლის გამოცემაში ორჯერ მეტი რუსული სიტყვა, ვიდრე 1929 წლის ლექსიკონში (ტაბიძე, 2005, 13). ამ პროცესს ენათმეცნიერი თეიმურაზ გვანცელაძე შესაბამის შესატყვისობასაც კი უძებნის და მას „ტერმინოლოგიურ ომს“ უწოდებს. მხოლოდ ტერმინების არქონა ვერ ჩაითვლებოდა დასაბუთებულ არგუმენტად, რადგან სამმართველოების განყოფილებებს შორის მიწერ-მოწერაც წარმოებს რუსულ ენაზე, ამას ემატება მატერიალური და ფულადი ანგარიშსწორებაც, რაც აგრეთვე რუსულად ხორციელდება, რასაც რატომღაც ახსნა-განმარტება თან არ ერთვის, თუ რა არის ამის

გამომწვევი მიზეზი.

სტატიის შესავალში ჩვენ დავსვით კითხვა, თუ რომელ ენას მიეცემოდა უპირატესობა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებს შორის? ზემოთ მოცემულ საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ამიერკავკასიის ყველა ენა თანაბარ პირობებშია ჩაყენებული, მათი უფლებები თანაბრად იზღუდება რუსული ენის ზემოქმედების შედეგად, რაც გამოხატულებას პოულობს სამეურნეო, ტექნიკური და ფულადი ანგარიშსწორების დროს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამ სამი ენიდან რომელიმე არ სარგებლობდა უპირატესობით, რასაც აშკარად ადასტურებს შემდეგი დადგენილება, რომელიც შეეხება ამიერკავკასიის რკინიგზების აღმოსავლეთ-უბნის მოსამსახურეების მიერ თურქული (იგულისხმება აზერბაიჯანული ენა) ენის სავალდებულო შესწავლას. დადგენილებაში ნათქვამია:

„1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას გადაიტანოს ორი წლის განმავლობაში აზერბაიჯანის სსრ-ის ფარგლებში მთელი სარკინისგზო საქმისწარმოება თურქულ ენაზე.

2. მიენდოს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას — ამ დადგენილების განსახორციელებლად: ა) მოაწყოს სათანადო კურსები იმ რკინისგზელთათვის, რომელთაც თურქული ენა არ იციან; ბ) უზრუნველჰყოს ორი წლის ვადის გასვლისას საჭირო კადრები შტატების ისეთი მომუშავეებით შესავსებად, რომელთაც თურქული ენა ეცოდინება“ (ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი, 1930, 496).

აშკარაა, რომ აზერბაიჯანული ენა ჩაყენებულია პრივილეგირებულ პოზიციაში, რადგან ასეთი ენობრივი მოთხოვნა არ არსებობდა ამიერკავკასიის დანარჩენი ორი ქვეყნისთვის (საქართველოსა და სომხეთისათვის), რაც, რასაკვირველია, ჩვენს დასკვნებს კიდევ უფრო ამყარებს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ საბჭოთა რუსეთის იმპერიას სურდა მთელი საბჭოთა სივრცის სრული რუსიფიკაცია, მაგრამ ამის განსახორციელებლად შესაქმნელი იყო შესაბამისი ნიადაგი, ბაზისი, რასაც გარკვეულ წილად საკანონმდებლო აქტები ქმნიდნენ. კარგად დამუშავებული კანონები, დეკრეტები, დადგენილებანი, დებულებანი თითქოს იცავდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების ენების უფლე-

ბებს, მაგრამ, ამავდროულად ხდებოდა რუსული ენის გეგმაზომიერი, ტაქტიკური დაკანონება გარკვეულ სფეროებსა და სიტუაციებში, თითქოსდა გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე. ყოველთვის მოფიქრებული იყო დასაბუთებული არგუმენტი, რათა გამართლებულიყო რუსული ენის დომინირება.

ლიტერატურა

ამიერკავკასიის სფსრ, 1923 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია, №2, ტფილისი, 1923

ამიერკავკასიის სფსრ, 1923 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი, №8, ტფილისი, 1923

ამიერკავკასიის სფსრ, 1923 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, №10, ტფილისი, 1923

ამიერკავკასიის სფსრ, 1923 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, დეკრეტი ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი, №10, ტფილისი, 1923

ამიერკავკასიის სფსრ, 1923 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, დებულება ამიერკავკასიის რკინისგზებზე და გზატკეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ, №10, ტფილისი, 1923

ამიერკავკასიის სფსრ, 1924 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, №1, ტფილისი, 1924

ამიერკავკასიის სფსრ, 1924 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, დებულება, №2, ტფილისი, 1924

ამიერკავკასიის სფსრ, 1924 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, დადგენილება №8 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი, №2, ტფილისი, 1924

ამიერკავკასიის სფსრ, 1925 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, №1, ტფილისი, 1925

ამიერკავკასიის სფსრ, 1925 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, ინსტრუქცია ა/კ. ს. ფ. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი, №7, ტფილისი, 1925

ამიერკავკასიის სფსრ, 1930 — ამიერკავკასიის სფსრ კანონები, დადგენილებანი და მისთ. კანონთა და განკარგულებათა კრებული, ამიერკავკასიის რკინის გზების აღმოსავლეთ-უბნის მოსამსახურეების მიერ თურქული ენის სავალდებულო შესწავლის შესახებ, №18, ტფილისი, 1930

ბერია, 1937 — ლავრენტი ბერია, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და ამიერკავკასიის ფედერაცია, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, №3, 1937

გამახარია, 1991 — ჯემალ გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1991.

„კომუნისტი“, 1923 — გაზეთი „კომუნისტი“, დეკლარაცია ენის შესახებ, №150, 1923

სურგულაძე, 1992 — აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1992

ტაბიძე, 2005 — მანანა ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი, 2005.

EKATERINE GEGESHIDZE

Language Policy According to the Legislative Acts of the Caucasian Federation

Summary

The paper examines the language processes that took place in Georgia, Azerbaijan and Armenia after the formation of the Caucasian Federation. For this purpose the legislative acts regulating the language policy in the region have been studied.

As is known, the Soviet authorities pursued the policy of russification throughout the territory of the Soviet Union. However, the acts adopted by the legislative bodies of the Caucasian Federation are less known. These acts concern the open language planning in such spheres as the army, rail and motorways of the region.

The study of the acts in question has proved once more that the Soviet authorities had a far reaching plan of creating a single language area with the Russian language being dominant.

ლილი ბოჭასძე, ნინო რუხაძე

მიმართვის ფორმები ინგლისურ, ქართულ და რუსულ წერილებში

წინამდებარე სტატია განიხილავს მიმართვის ფორმებს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ოფიციალურ, ნეიტრალურ, შინაურულ და დიპლომატიურ მიმოწერებში.

ადრესანტის მიერ დაწერილი ნებისმიერი სახის, ფორმისა თუ შინაარსის წერილი ამ პიროვნების სახეს წარმოადგენს. იგი გარკვეულწილად წარმოაჩენს ადრესანტის განათლებას, სოციალურ სტატუსს და წერილის მიმღებს, ანუ ადრესატს გარკვეულ შთაბეჭდილებას უქმნის ადრესანტის შესახებ. კარგად და ნათლად ჩამოყალიბებული წერილი თავისთავად გულისხმობს მისთვის დამახასიათებელი მრავალი თვისების გათვალისწინებას. აუცილებელია, რომ წერილის დამწერმა გაითვალისწინოს ის, თუ ვინ არის ადრესატი, თუ რა ურთიერთობაა ადრესანტსა და ადრესატს შორის, ასევე რა საკითხთან დაკავშირებით იწერება წერილი და შესაბამისად აირჩიოს ის ენობრივი რეგისტრი, რომელშიც უნდა დაიწეროს წერილი. ენობრივი რეგისტრების ერთმანეთში არევა მკითხველში გაუგებრობას, უხერხულ გრძნობას, გაღიზიანებასა და უარყოფით ემოციას იწვევს.

ნებისმიერი წერილი იწყება ადრესატისადმი მიმართვით და სრულდება დასამშვიდობებელი ფრაზებით. აუცილებელია წერილის დასაწყისში ადრესატისადმი მიმართვის სწორი ფორმის არჩევა და შესაბამისად, მიმართვის ფორმიდან გამომდინარე წერილის შესატყვისი დასასრულის შერჩევა. სამივე ენაში მიმართვის ფორმების გამოყენება წერილებში უნდა დაჯგუფდეს ენობრივი რეგისტრების მიხედვით: ოფიციალური, ნეიტრალური და შინაურული.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ოფიციალური რეგისტრი. Dear Sir/Sirs; Dear Madam; Madam;
Dear Mr/Mrs/Miss/Ms + პიროვნების გვარი/ტიტული; Dear Dr +

პიროვნების გვარი; ბატონო/ქალბატონო + პიროვნების სახელი/ტიტული; **Господин/Госпожа** + პიროვნების გვარი/ტიტული ის მიმართვის ფორმებია, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ოფიციალურ წერილებსა და ბიზნეს კორესპონდენციებში. ინგლისურად დაწერილი ოფიციალური წერილების დასაწყისში შეიძლება შეგხვდეს მიმართვის ფორმები **Sir** და **Madam** გამავრცობელი სიტყვის **Dear** გარეშე, თუმცა ეს უფრო იშვიათია და წერილს მკაცრ ტონს აძლევს. ქართულ და რუსულ ენებში დაუმეგბელია წერილის დასაწყისში მიმართვის ფორმად მხოლოდ ბატონო/ქალბატონო ან **Господин/Госпожа** გამოიყენება, თუ მას არ მოჰყვება პიროვნების სახელი/ტიტული (ქართულში) ან პიროვნების გვარი/ტიტული (რუსულში). მაგალითად, **Dear Sir, Dear Madam, Sir, Madam, Dear Mr. Newmann, Dear Mrs. Roberts.** ბატონო ნუგზარ; ქალბატონო ელენე; ბატონო პრეზიდენტი; ქალბატონო თავმჯდომარე, **Господин Иванов, Госпожа Сорокина, Господин Министр, Госпожа Посол.**

როგორც ცნობილია, ინგლისურში, თუ წერილის ადრესატს წარმოადგენს ერთზე მეტი პიროვნება, მაშინ ოფიციალური წერილის დასაწყისში იწერება მიმართვის ფორმა **Dear Sirs.** მიმართვის ეს ფორმა ზუსტად შეესაბამება იმ სიტუაციას, როდესაც წერილი ეგზავნება ფირმას, კორპორაციას, კომპანიას, რომლის მფლობელიც ორი ან მეტი პიროვნებაა. ასეთ დროს სავსებით შესაძლებელია მიმართვის ფორმას **Dear Sirs** ჩაენაცვლოს მიმართვის სხვა ფორმა “**Messrs So and So**”. გასათვალისწინებელია, რომ **Messrs** არის სიტყვის **messieurs** (ბატონებო) შემოკლებული ფორმა და მას ყოველთვის იმ პიროვნებების გვარები მოსდევს, ვინც ამა თუ იმ ფირმას, კორპორაციას, კომპანიას უდგანან სათავეში. მაგალითად, **Messrs Chapman & Hall, Messrs Bauman and Spencer.** ქართულში, ისევე როგორც რუსულში მსგავსი მიმართვის ფორმა არ დასტურდება. თითოეულ სახელს აქვს თავისი თავაზიანობის გამომხატველი სიტყვა *ბატონო* ან *ქალბატონო*.

ნეიტრალური რეგისტრი. **Dear Mr/Mrs/Miss/Ms** + პიროვნების გვარი; (ძვირფასო) ბატონო/ქალბატონო + პიროვნების სახელი, **Дорогой/Дорогая** პიროვნების სახელი + მამის სახელი ის მიმართვის ფორმებია, რომლებიც ნაკლებად ოფიციალურ, ანუ ნეიტრალურ რეგისტრში შესრულებული წერილების დასაწყისში გამოიყენება. მაგალითად, **Dear Mr. Brown, Dear Mrs. Todd, Dear Miss Clayton,**

(ძვირფასო) ბატონო ერეკლე, ქალბატონო ნინო, **Дорогой Михаил Иванович, Дорогая Людмила Матвевна.**

საყურადღებოა, რომ ინგლისურში მიმართვის ფორმას **Mr/Mrs/Miss/Ms** + პიროვნების გვარი ყოველთვის წინ უსწრებს თავაზიანობის გამომხატველი სიტყვა **Dear**, რაც შეიძლება ზემოჩამოთვლილი ფორმების გამვრცობელად მივიჩნიოთ. მსგავს სიტუაციაში ქართულშიც, ინგლისურის მსგავსად, სიტყვის **Dear** ეკვივალენტი *ძვირფასო* გამოიყენება მიმართვის ფორმა ბატონო/ქალბატონო + პიროვნების სახელის წინ. ე.ი. მიმართვის ფორმის გავრცობა ხდება სიტყვით *ძვირფასო*. რაც შეეხება რუსულს, ნეიტრალურ რეგისტრში შესრულებული წერილების დასაწყისში მიმართვის ფორმად იხმარება პიროვნების სახელი + მამის სახელი, რომლის გამავრცობელიც არის სიტყვა **Дорогой/Дорогая**.

შინაურული რეგისტრი. როდესაც ადრესანტსა და ადრესატს შორის ურთიერთობაა, მაშინ წერილის დასაწყისში შემდეგი მიმართვის ფორმები გამოიყენება: **Dear** + პიროვნების სახელი, **(My) Darling** + პიროვნების სახელი, **(My) Dearest** + პიროვნების სახელი, ჩემო + პიროვნების სახელი, ძვირფასო + პიროვნების სახელი, საყვარელო + პიროვნების სახელი **Дорогой/Дорогая** + პიროვნების სახელი.

შინაურულ რეგისტრში შესრულებულ წერილებში მიმართვის ფორმების გამოყენებაზე საუბრისას, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სასიყვარულო წერილებზეც და იმ მიმართვის ფორმებზე, რომლებიც ამ სახის წერილებში იხმარება. სასიყვარულო წერილები განსხვავდება სხვა სახის წერილებისგან, რადგან მასში მოცემული მიმართვის ფორმები, წერილის დასრულებისთვის გამიზნული ფრაზები თავისებურია. წერილის დასაწყისში შეყვარებული საკუთარ, განსაკუთრებულ, ორიგინალურ მიმართვის ფორმებს ირჩევს, რომელშიც დიდ სიბოძს, სიყვარულს აქსოვს. მაგალითად, **My angel, My Beloved, My Sweetheart, My dearest** + პიროვნების სახელი, **Darling, My Darling** + პიროვნების სახელი და ა.შ., საყვარელო, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ანგელოზო, ჩიტუნია, ჩემო ძვირფასო და უსაყვარესო და ა.შ., **Любимая, Любимый, Ласточка, Мой ангел, Моя радость** და ა.შ.

ასევე განსხვავებული, სიყვარულისა და ერთგულების გამომხატველი ფრაზებით ხდება სასიყვარულო წერილების დასრულებაც. მა-

გალითად, **Your own Loving** + პიროვნების სახელი, **Your own** + პიროვნების სახელი, **Yours for ever if you want me**, **Your** + პიროვნების სახელი (ხშირ შემთხვევაში კნინობითი ან მოფერებითი ფორმით), სიყვარულით შენი + პიროვნების სახელი, მენტარები მიყვარხარ + პიროვნების სახელი, გოცნი, გეხვევი + პიროვნების სახელი, შენი ერთგული, მოსიყვარულე + პიროვნების სახელი, **Люблю, целую** + პიროვნების სახელი, **Твой/Твоя любимый/любимая** + პიროვნების სახელი, **С любовью** + პიროვნების სახელი, **Твоя единственная** + პიროვნების სახელი, **Твой единственный** + პიროვნების სახელი და ა.შ.

საინტერესოა, რომ სამივე ენაში სასიყვარულო წერილებში მიმართვის ფორმები საკმაოდ ხშირად გავრცობილია კუთვნილებითი ნაცვალსახელით **Му**, ჩემო, **Мой**, **Моя**.

როგორც ცნობილია ყველანაირი წერილი დასამშვიდობებელი ფრაზებით სრულდება. ამ ფრაზების შერჩევაც დამოკიდებულია წერილის ოფიციალურობა-არაოფიციალურობაზე. ე.ი. იმის მიხედვით, თუ რა რეგისტრში იწერება წერილი და რა მიმართვის ფორმით იწყებს ადრესანტი წერილის წერას, შესაბამისი დასამშვიდობებელი ფრაზითაც ასრულებს მას. თუ წერილის დასაწყისში წერია მიმართვის ფორმა **Dear Sir/Sirs/Madam**, მაშინ წერილი უნდა დავასრულოთ დასამშვიდობებელი ფორმით **Your faithfully** + პიროვნების სახელი და გვარი. როდესაც მიმართვის ფორმა არის **Dear Mr/Mrs/Miss/Ms** + პიროვნების გვარი, **Dear Dr** + პიროვნების გვარი, მაშინ წერილის ბოლოს იწერება **Yours sincerely** + პიროვნების სახელი და გვარი. შევნიშნავთ, რომ **Yours faithfully** და **Yours sincerely** ბრიტანული ვარიანტებია, ხოლო ამერიკულისთვის ტიპურია **Faithfully yours** და **Sincerely yours**. შინაურულ რეგისტრში შესრულებული წერილები შეიძლება დასრულდეს შემდეგნაირად: **Best wishes** + პიროვნების სახელი, **yours** + პიროვნების სახელი, **with love** + პიროვნების სახელი, **with much love** + პიროვნების სახელი. რაც შეეხება ქართულ და რუსულ ენებს, ოფიციალური წერილის დასასრულს იწერება: დიდი პატივისცემით + პიროვნების სახელი და გვარი, **С уважением** + პიროვნების სახელი და გვარი. თუ წერილი შინაურულ რეგისტრშია შესრულებული, მაშინ მის ბოლოს შემდეგი დასამშვიდობებელი ფრაზები გამოიყენება: (დიდი) სიყვარულით + პიროვნების სახელი; შენი + პიროვნების სახელი, და ა.შ., **С люблю-**

бью + პიროვნების სახელი, **Твой/Твоя** + პიროვნების სახელი.

როგორც ცნობილია, დიპლომატიური დოკუმენტების მეშვეობით ხორციელდება ოფიციალური მიმოწერითი სახელმწიფოთაშორისი კავშირები, მყარდება ურთიერთობები ქვეყნებს შორის, გამოიკვეთება ქვეყნების დამოკიდებულება და პოზიცია საერთაშორისო ცხოვრების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ზოგადად დიპლომატიაში ორი ერთმანეთისგან განსხვავებული დიპლომატიური დოკუმენტაცია არსებობს: პირველი დოკუმენტაცია, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ შიდაუწყებრივი დანიშნულება აქვს და მეორე, რომელიც საგარეო დანიშნულების მატარებელია. სწორედ საგარეო დანიშნულების მატარებელი დოკუმენტაციები იგზავნება სახელმწიფოთა შორის ოფიციალური მიმოწერის დროს.

როგორც ცნობილია, დიპლომატიური მიმოწერის 5 სახეობა არსებობს. ესენია: პირადი ნოტა, ვერბალური ნოტა, სამახსოვრო ბარათი, მემორანდუმი, ნახევრადოფიციალური პირადი წერილი. ჩვენ არ განვიხილავთ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე, რადგან იგი ჩვენი კვლევის სფეროს ფარგლებს სცილდება. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხუთი სახეობიდან მიმართვის ფორმების გამოყენება მხოლოდ პირად ნოტაში, სამახსოვრო ბარათსა და პირად წერილებში ხდება. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ დიპლომატიური მიმოწერის ყველა დოკუმენტი ოფიციალურ რეგისტრში იწერება და შესაბამისად, მიმართვის ფორმებიც ოფიციალურია. მაგალითად, ელჩისადმი გაგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტებში მიმართვის ფორმა არის: **Mr/Mrs Ambassador, Your Excellency**, ბატონო/ქალბატონო ელჩო, თქვენო აღმატებულებავ. **Господин Посол, Ваше Превосходительство**. ელჩისგან განსხვავებით, დესპანისადმი მხოლოდ ერთი მიმართვის ფორმა **Mr/Mrs Envoy**, ბატონო/ქალბატონო დესპანო, **Господин Посланник** გამოიყენება, ანუ დესპანს არ მიმართავენ *თქვენო აღმატებულებავ* მიმართვის ფორმით. თუ ოფიციალური დოკუმენტები მინისტრის მისამართით არის გაგზავნილი, მაშინ მიმართვის ფორმაც შესაბამისია: **Mr/Mrs Minister**, ბატონო/ქალბატონო მინისტრო, **Господин/Госпожа Министр**. თუ წერილი პრეზიდენტის სახელზეა, მაშინ მიმართვის ფორმაა: **Mr/Mrs President, Your Excellency**, ბატონო/ქალბატონო პრეზიდენტო, თქვენო აღმატებულებავ, **Господин/Госпожа Президент, Ваше Превосходительство**.

აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმას, რომ დიპლომატიურ სამყა-

როში მკაცრად განსაზღვრული ურთიერთობები მყარდება და ამ ურთიერთობებისას მიმართვის ფორმებიც ზედმიწევნით ზუსტად უნდა იყოს შერჩეული. ე.ი. შესაბამისი რანგისა და თანამდებობრივი პოზიციიდან გამომდინარე აღრესატს მისთვის შესაფერისი მიმართვის ფორმით უნდა მივმართოთ. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის დედოფლის მისამართით დიპლომატიურ დოკუმენტაციაში მიმართვის ფორმა **Your Highness**, თქვენო უდიდებულესობავ, **Ваше Величество** გამოიყენება.

დიპლომატიურ კორპუსში უფროს-უმცროსობა განისაზღვრება იერარქიული წესით და ყოველ რანგს თუ თანამდებობრივ პოზიციას მკაცრად განსაზღვრული, მისთვის შესაბამისი მიმართვის ფორმები ახასიათებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

წერილის წერისას აუცილებელია სწორი რეგისტრის არჩევა, რადგან ენობრივი რეგისტრების არევა მკითხველში გაუგებრობის გრძნობას იწვევს და არღვევს თავაზიანობის მაქსიმას.

წერილის ყოველ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დასაწყისს შესატყვისი, მკაცრად განსაზღვრული გამოსამწვიდობებელი ფრაზები ახასიათებს.

სასიყვარულო წერილებში გამოიყენება განსხვავებული, სხვა წერილებისგან გამორჩეული მიმართვის ფორმები და დასამწვიდობებელი ფრაზები, რომლებიც მეტი ინტიმურობითა და სითბოთი ხასიათდება.

დიპლომატიურ სამყაროში მკაცრად განსაზღვრული ურთიერთობა მყარდება და ურთიერთობისას მიმართვის ფორმებიც ზედმიწევნით ზუსტად უნდა იყოს შერჩეული. დაუშვებელია მიმართვის ფორმების ერთმანეთში არევა, რადგან ეს დაარღვევს იერარქიის პრინციპს და აღრესატში უხერხულ გრძნობას გამოიწვევს და ასევე აღრესანტის დიპლომატიურ უცოდინარობას გაუსვამს ხაზს.

ლიტერატურა

ჭიჭინაძე, 1993 — პ. ჭიჭინაძე დიპლომატიის ანბანი, იანუსი, თბილისი, 1993.

აკიშინა, ფორმანოვსკაია, 1975 — Акишина А.А., Формановская Н.И. Русский речевой этикет, Русский язык, 1975.

Энциклопедия Этикета, Москва, 2002.

ბრაუნ, 1988 — Terms of Address: Problems of patterns and usage in various languages and cultures, Berlin-New York-Amsterdam, 1988.

Scollon R. Scollon S.W. — Intercultural Communication, Blackwell, 1994.

LILY GOKSADZE, NINO RUKHADZE

Forms of Address in English, Georgian and Russian Languages

Summary

The paper deals with the forms of address in formal, neutral and informal letters in English, Georgian and Russian languages.

It is important to use the correct form of address at the beginning of the letter and accordingly choose the appropriate closing phrase. In the three languages using forms of address in letters can be grouped according to the registers.

Special attention is drawn to love letters. Love letters are the most personal of all forms of correspondence. The usual rules for beginning and closing letters do not apply to them. All couples have their own pet ways of addressing: my angel, my beloved, my sweetheart, my dearest + first name/diminutive, darling, my darling + first name diminutive, საყვარელო, ჩემო სიციცხლე, ჩემო ანგელოზო, ჩიტუნია, ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო, любимая, любимый, ласточка, мой доргой, моя дорогая, мой ангел, моя радость etc. It must be noted that in most love letters forms of address are expanded by possessive pronouns *My, Сето, мой, моя*. The paper also analyzes the forms of address in diplomatic correspondence. In diplomatic corps positional hierarchy is conditioned by hierarchical rule and each rank has its own strictly limited forms of address.

განა ბუზუნავა

**ლიტერატურული ტექსტის კინემატოგრაფიული
ტრანსპოზიცია, ანუ ფილმის გლობალური
ინტერტექსტუალური კავშირი
ლიტერატურულ პირველწყაროსთან**

წინამდებარე სტატიაში საუბარია იმის შესახებ, თუ რა ნარატიული მექანიზმები გამოიყენება ლიტერატურული ტექსტის კინოტექსტად ტრანსპოზიციის შემთხვევაში. მასში ასევე განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა სასცენარო ტექსტის როლი ტექსტი — პირველწყაროს კინოტექსტად ფორმირებაში და წარმოდგენილია სხვადასხვა ლიტერატურული ტექსტის ტექსტურ — პრაგმატიკული ანალიზი ვერბალურ და კინო ელემენტებზე დამყარებით.

საქმე ისაა, რომ ესა თუ ის ამბავი შეიძლება მოთხრობილ იქნეს სხვადასხვა ნიშანთა სისტემის საშუალებით, იქნება ეს ვერბალური თუ ვიზუალური, რომელნიც თავის მხრივ დამოკიდებულნი არიან კომუნიკაციურ არხებზე. ამ კომუნიკაციური არხებისა და ტრანსპოზიციის სხვადასხვა პროცესის საშუალებით ვერბალური ლიტერატურული დისკურსი შეიძლება გადაიქცეს აუდიოვიზუალურ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — კინოდისკურსად.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება ტრანსპოზიცია ვერბალური საყრდენიდან ვიზუალურში.

ტექსტის ინტერპრეტაციის ჰერმენევტიკული თეორიის მიხედვით (შდეირმაჰერი, 1977) კინოფილმად გადაქცეული რომანის ხელახალი წაკითხვისას ჩვენ ვდგავართ მისი ინტერპრეტაციის შესაძლო ფორმების წინაშე. მაგრამ ტექსტის ინტერპრეტაციამდე უნდა მოხდეს მისი გლობალური მნიშვნელობის გაგება, რისთვისაც ძირითადად გამოიყენება ან ისტორიული მეთოდები, ან სემიოტიკურ-პრაგმატიკული. ეს მეთოდები საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს კინოსა და ტელევიზიაში არსებული ტექნიკური მხარეები.

ამგვარი მეთოდოლოგია ძირითადად დამყარებულია ორ პრინ-

ციპზე: პირველი გულისხმობს ტექნიკურ — ფორმალურ მხარეს, სადაც ტექსტის ანალიზი გამომდინარეობს პოსტსტრუქტურალისტური ნარატოლოგიის სტრატეგიებიდან. მეორე მხარე ფსიქოლოგიურ და კოგნიტიურ საკითხებს ეხება, რომელიც თხრობითი მექანიზმების პრაგმატულ კვლევაზეა დამყარებული. კვლევის ორივე მეთოდოლოგიის შეერთების შედეგად გაჩნდა კომპარატიულ-ტექსტური და სემიოპრაგმატიკული მეთოდი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ლიტერატურული კვლევა დაკავშირებოდა ვიზუალურ ხელოვნებას.

იმისათვის რომ დავადგინოთ, თუ როგორ კეთდება სხვადასხვა ლიტერატურული ტექსტის ტექსტურ-პრაგმატიკული ანალიზი, პირველ რიგში უნდა დავვერდნოთ ლიტერატურულ ტექსტში არსებულ ვიზუალურ და ხმოვან ხერხებს. ესენია: ვიზუალიზირებული ლექსიკა, ჟღერადობის გამოხატულება, ალწერის ტექნოლოგია დამყარებული პლანიფიკაციის, ფოკალიზაციისა და ოკულარიზაციის კოდებზე. შემდგომ ხდება ამ ემპირიული მონაცემების შედარება ტექსტთან, რათა გამოჩნდეს, თუ რა სახის კინემატოგრაფიული ხერხები იქნა გამოყენებული შესაბამის ტრანსპოზიციებში.

ლიტერატურული ტექსტის ტრანსპოზიციის შესახებ თეორიული დებულებები ძირითადად გადმოცემულია ლოტმანის (ლოტმანი, 1978), ბახტინისა (ბახტინი, 1975) და ვერონის (ვერონი, 1985) სამეცნიერო ნაშრომებში. თუმცა თავდაპირველად ტრანსპოზიციის მაგივრად ტერმინ ადაპტაციას მიმართავდნენ. შემოთ ჩამოთვლილი მეცნიერები თვლიან, რომ საბოლოო ჯამში ყველაფერი ადაპტაციაა, რადგან თუ ადამიანის შთაგონების წყარო რეალურ ფაქტებს ასახავს, ეს შთაგონება აუდიო-ვიზუალურ სახეს კინოფილმში იღებს, რაც განუტრიალად მისი ნარატიული ხასიათისა, კინემატოგრაფიული კოდების მეშვეობით ხორციელდება.

საერთოდ, ყველაზე მეტი ადაპტირებული ლიტერატურული ტექსტი ძირითადად ფანტასტიკური ჟანრისაა. ხშირად ისიც ხდება, რომ გაქრობის გზაზე მყოფი ლიტერატურული ნაწარმოები სწორედ ეკრანიზაციის შედეგად ხდება პოპულარული. როგორც ჩანს, ლიტერატურული ტექსტის ადაპტაციას ზოგჯერ მწერლის ლიტერატურული კარიერისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ხშირად ადაპტაციის მაგივრად მინიონას მიერ შემოტანილ ტერმინ ტრანსკოდინგის ან ლოტმანის ტრანსფორმაციას იყენებდნენ, თუმცა დღესდღეობით, უპირატესობა გ. ვაგნერის მიერ შემო-

ტანილ ტერმინს — ტრანსპოზიციას მიენიჭა (ვაგნერი, 1975), რადგან, როდესაც ლიტერატურულ დისკურსში წარმოდგენილი ისტორია კინოდისკურსშია გადატანილი, რაც უნდა დაცული იყოს მისი შინაარსობრივი მხარე, სხვაობა მაინც დიდი იქნება მათ შორის (ვილიანუევა 1993) ანუ აქ უკვე დისკურსიულ სხვაობასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ლიტერატურული პირველწყარო და კინოტექსტი სწორედ დისკურსიული თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

მაშასადამე, ტრანსპოზიცია შეიძლება დაერქვას იმ პროცესს, სადაც თხრობითი ისტორია, გამოხატული ლიტერატურულ ტექსტში, სტრუქტურული ტრანსფორმაციის შედეგად გამოსახულებაში ნარატიულ სახეს იღებს და კინოტექსტად გადაიქცევა.

მართალია ლიტერატურული ტექსტის კინოტექსტად გარდაქმნა სცენარისტის ან თავად რეჟისორის კომპეტენციაშია, მაგრამ დისკურსიული ცვლა იმდენად რთულ სემიოტიკურ პროცესს წარმოადგენს, რომ თუ იგი არ იცნობს ორივე მათგანის ნარატიულ კოდებს, შეუძლებელია ფილმმა კრაზი არ განიცადოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში უბრალოდ ლიტერატურული ტექსტის ილუსტრაციას ექნება ადგილი. ამიტომ არჩიეს მეცნიერებმა ტერმინი ადაპტაცია ტრანსპოზიციით შეეცვალათ, რადგან ამ პროცესში, როგორც ბარტი იტყოდა — „ავტორის სიკვდილი“ (ბარტი, 1989), ანუ ტექსტის — პირველწყაროს სრული გარდაქმნა ხდება, ხოლო ახალ კინემატოგრაფიულ ტექსტს უკვე ინტერტექსტუალური სახე ენიჭება.

ასევე უნდა ითქვას, რომ ლიტერატურული ტექსტის ტრანსპოზიციის მეთოდები კინოსა და თეატრს სრულიად განსხვავებული აქვს. ლიტერატურული ტექსტის ტრანსპოზიცია კინოში გაცილებით უფრო რთულ პროცესს გულისხმობს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ ავტორი ორივე ტექსტისთვის დამახასიათებელ სემიოტიკურ კოდებს არ იცნობს ან არ იცის, თუ როგორ ხდება მათი პრაქტიკული გამოყენება, ვერ შეძლებს თხრობის დისკურსის გადატანას კინოდისკურსში, ისევე როგორც შეუძლებელია მხატვრობის მუსიკად ქცევა, თუმცა ბოტიჩელის ნახატი და ვივალდის სონატა შეიძლება ერთსა და იმავე თემატიკას ეხებოდნენ.

აქედან გამომდინარე ეკრანიზირებული პროდუქტი მხოლოდ მაშინ არის მოწონებული, როდესაც ხდება ლიტერატურული კოდების კინემატოგრაფიულ კოდებად ქცევა.

მკვლევარი კარმენ ბობეს ნავესი ტრანსპოზიციის მაგივრად მი-

მართავს ტერმინ ტრანსდუქციას (ბობეს ნავესი, 1993) და თვლის, რომ ამგვარი ცვლილებისას ხდება არა ლიტერატურული ნაწარმოების შეცვლა, არამედ ჩვენ მიერ წაკითხული ლიტერატურული ნაწარმოების შეცვლა. მეცნიერული კვლევისას შესაძლო გაუგებრობების ასაცილებლად აუცილებელია თავიდანვე სწორი ტერმინოლოგიის არჩევა.

როგორც ჩანს, ტერმინი ტრანსპოზიცია ჩნდება სემიოტიკურ პროცესში, როდესაც ესა თუ ის გამოგონილი ისტორია იცვლის საყრდენსა და კოდიფიკაციის სისტემას და ქმნის ახალ ნარატიულ ტექსტს. ტრანსპოზიციის ამ პროცესში ჩნდება მთელი რიგი სემანტიკური, ფორმალური და ესთეტიკური ცვლილებები, რომელიც შეადგენს დისკურსიული ტრანსმოდალიზაციის პროცესს და რომლის წყალობით ჩნდება ახალი ტიპის ტექსტი. აღმნიშვნელიც განსხვავდება და აღსანიშნაც. შესაბამისად, კინოტრანსპოზიცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთი სემიოტიკური სისტემიდან მეორე სემიოტიკურ სისტემაზე გადასვლის პროცესი.

ლიტერატურულ დისკურსზე საუბრისას ხშირად მიმართავენ ყურარდ ყენეტის მიერ შემოტანილ ტერმინებს, რომელიც ლიტერატურულ დისკურსს ჰიპოტექსტს უწოდებს, ხოლო კინო დისკურსს ჰიპერტექსტს. ამ ორ ცნებას შორის არსებულ კავშირს კი ჰიპერტექსტულობას (ყენეტი, 1982).

ასე რომ, როდესაც ლიტერატურული ტექსტის ტრანსპოზიციაზე საუბარი, მთავარი ისაა, რომ ამ შემთხვევაში ნაწარმოებმა მთლიანად ხედვითი, გამოსახულების სახე მიიღოს. ამაშია კინემატოგრაფიული ტრანსპოზიციის მთელი ოსტატობა.

წერა არის გამოხატვის საშუალება, კინო კი სრულიად განსხვავებული გამოხატვის საშუალებაა და ეჭვიც არ არის, რომ ამ უკანასკნელს უნივერსალური უპირატესობა გააჩნია. ისევე როგორც ნებისმიერი ლიტერატურული თარგმანი ასე თუ ისე შორდება ორიგინალის აზრს, ვიზუალური ტრანსპოზიციაც გარკვეულ დეფორმაციას უკეთებს საწყის ტექსტს. კინოთეორეტიკოსი ენდრიუ თვლის, რომ ამგვარი ოპერაციების განხორციელებისას შეიძლება ერთგული დარჩე ვერბალური ტექსტისადმი, და პირიქით, შეიძლება ერთგული იყო ტექსტის სულისადმი, რაც ტრანსპოზიციისას უფრო მნიშვნელოვანია და უფრო რთული (ენდრიუ, 1976). ამგვარი „დამახინჯება“ (როგორც მოუტრენი იტყოდა) ამავე დროს პროპორციულია კინემატოგრა-

ფიის ვირტუოზობასა და გამჭრიახობასთან, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მან ტექსტი-პირველწყაროს თავისებურად გარდაქმნისას.

ზოგჯერ, მრავალსიტყვიერებითა და რთული ვერბალური კონსტრუქციებით გამორჩეული ლიტერატურული დისკურსი, ეკრანზე სკონდენსირებულია და რამდენიმე კადრშია გამოხატული.

ხდება პირიქითაც, ანუ როდესაც რამდენიმე გვერდი, სიტყვა თუ სტროფი კინოს ვრცელი გამომსახველობითი ფორმით არის გადატანილი.

რა თქმა უნდა, ტრანსპოზიციის ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა სასცენარო სამუშაოს ენიჭება.

საერთოდ, სცენარის ხარისხს განსაზღვრავს კინოდრამატურგიის მონტაჟურ-პლასტიკური აზროვნების, სცენარის შემადგენელი ნაწილების — რემარკების, დიალოგის, ნარატიული ტექსტისა და სხვა ელემენტების შექმნის უნარი. ბუნებრივია, სცენარის საჭიროება განპირობებულია არა მხოლოდ ფილმის შექმნის წარმოებითი აუცილებლობით, არამედ ერთი კულტურული მოცემულობის მეორეში გადატანის საჭიროებით, ამ შემთხვევაში, ლიტერატურული ტექსტისა — კინოტექსტში, რაც ე. წ. ტექსტი — შუამავალის, ანუ სცენარის ტექსტის წყალობით ხორციელდება. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ კინემატოგრაფიული სცენარი ლიტერატურულთან შედარებით, იქნება ის ეპიკური, დრამატული, თუ ლირიკული ჟანრისა, არის სრულიად განსხვავებული ტიპის ტექსტი. იგი ავტორის, პერსონაჟისა თუ მკითხველი/მყურებლის წარმოსახვების ტრიადაში ურთიერთდამოკიდებულების სრულიად განსხვავებულ ხასიათს ატარებს. კინოსცენარის წარმატება სემიოტიკური თვალსაზრისით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა გათვალისწინებული ინტერპრეტაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. როგორც ცნობილია, კინემატოგრაფიული სცენარი წარმოადგენს რთულ ინტერპრეტირებულ ტექსტურ წყობას, რომელიც განაპირობებს ტექსტი-პირველწყაროს შეკვეცა — შემოკლებას, და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ადაპტირებულ ტექსტს, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ადაპტაციისას არ ხდება ერთი სემიოტიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლა. ძირითადად ობიექტურ მოთხოვნას წარმოადგენს სწორედ ტექსტი-პირველწყაროს მოცულობის შეცვლა, მასში დინამიკური და, როგორც ი. ლოტმანი იტყოდა, რიტორიკული საწყისის გაღვივება (ლოტმანი, 1978).

რაც შეეხება ინტერპრეტაციის სუბიექტურ მოთხოვნებს, სცენარის ავტორი პირველწყაროს ავტორთან მიმართებაში წარმოგვიდგება რა როგორც ინტერპრეტანტი, ხოლო ტექსტი-პირველწყაროს წინაშე — როგორც ინტერპრეტატორი, უნდა მიუდგეს მას რეჟისორული „თვითნებობით“.

ტრანსპოზიციასზე მუშაობისას სცენარის ავტორს, პირველ რიგში, მმართვეს პირველწყაროს ავტორის სამყაროს სურათის წარმოსახვის მიზნად დასახვა, ასევე მკითხველზე ზემოქმედების ხერხის დადგენა. ამასთან ერთად უნდა ამოირჩიოს ინტერპრეტაციის სტრატეგია, რომელიც ორიენტირებული იქნება პირველწყაროს დროის, ანუ ტემპორალურ ორგანიზებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ლიტერატურული ტექსტიდან კინოტექსტზე გადასვლისას მთელი რიგი ცვლილებები ხორციელდება, თუმცა ეს ცვლილებები ყოველთვის ერთგვარი არ არის, რადგან პირველწყაროს გამოყენება ყოველთვის სხვადასხვა მიზნით ხდება.

ამიტომ საჭიროებს ტრანსპოზიცია ტიპოლოგიურ დიფერენციაციას, რათა ნათლად ჩანდეს ტექსტი-პირველწყაროს როლი ეკრანიზირებულ ტექსტში.

ტრანსპოზიციის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია

თავდაპირველად ადაპტაციის ტიპოლოგიაზე იტალიელი კინოთეორეტიკოსი პიო ბალდელი საუბრობს (ბალდელი, 1966), რომელსაც მოგვიანებით ი. მოურენმა ჩამოყალიბებული და კლასიფიცირებული სახე მიანიჭა:

1) **ინტეგრალური ტრანსპოზიცია**, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ლიტერატურულ ტექსტს, სადაც მოქმედება და პერსონაჟები უცვლელად რჩებიან.

2) **ნაწილობრივი ტრანსპოზიცია** იღებს ტექსტი-პირველწყაროს გარკვეულ ნაწილს და თავისებურად განავითარებს მას.

3) **პუნქტუალური ტრანსპოზიცია**, რომელსაც რაფაელ მოურენი უწოდებს „დაბინძურებას“, არც ნაწილობრივი და არც ინტეგრალური სახე არა აქვს, არამედ გამოაქვს მინიმალური დეტალი ტექსტი-პირველწყაროდან და თავისებურად განავითარებს მას. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ლუის ბუნუელის ტრანსპონირებული ფილმები, რომელიც, თეორეტიკოს, ანტონიო ლარას აზრით, ლიტერატურას იყენებს, როგორც ათვლის წერტილს, როგორც საკუთარი იდეების ერთგვარ დეტონატორს, მაგრამ არასოდეს არ მიმართავს ტექსტი

პირველწყაროს ლიტერატურულ და ნარატიულ რესურსებს, რითაც თავიდან იცილებს მისი პლასტიკური ილუსტრაციის ალბათობას (ლარა, 1981). იგივე შეიძლება ითქვას მარიო კამუსის ფილმებზე, რომელსაც არაერთი ლიტერატურული ტექსტი გადაუტანია ეკრანზე.

4) **პლურალური ტრანსპოზიცია** კიდევ ერთი სახის „დამახინჯება“, რაც გულისხმობს ერთი ან ორი ნარატიული ტექსტის გამოყენებას ახალი კინოტექსტის შესაქმნელად.

5) **ფიქციური ტრანსპოზიცია** ხდება, როდესაც ვიღებთ არანარატიულ, ანუ არა ფიქციურ ტექსტს და ამის საფუძველზე ვქმნით ფიქციურ კინემატოგრაფიულ ჰიპერტექსტს (მოურენი, 1993).

ჩვენი აზრით, მოურენის მიერ წარმოდგენილი ტიპოლოგია საკმაოდ საინტერესოა, მაგრამ ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, ინტერდისციპლინარობა, ვინაიდან ტრანსპოზიციურ პროცესში ხდება არა მხოლოდ ლიტერატურასა და კინოსთან დაკავშირებული ელემენტების შერწყმა, არამედ სხვა დისციპლინებისა, როგორცაა მხატვრობა, მუსიკა და ახალი ტექნოლოგიები. ამის შედეგად იქმნება ინტერდისციპლინარული კავშირები.

ლიტერატურა

ბალდელი, 1966 — Baldelli, Pio. El cine y la obra literaria. La Habana: ICAIC, 1966.

ბარტი, 1989 — Барт Р. Избранные работы: Семиотика: Поэтика М.: Прогресс, 1989.

ბასტინი, 1975 — Bajtin, M. Teoría y estética de la novela. Madrid: Taurus, 1975.

ბობეს ნავესი, 1993 — Bobes Naves C. La novela. Madrid Sintesis, 1993.

ენდრიუ, 1976 — Andrew, D. Concepts in Film Theory. New York and Oxford University Press, 1976.

ვაგნერი, 1975 — Wagner, Geoffrey, A. The novel and the cinema. Cranbury, New Jersey: Associated University Presses, Inc., 1975.

ვერონი, 1985 — Verón Eliseo. La semiótica social. Fragmentos de una teoría de la discursividad. España: Gedisa, 1985.

ვილიანუევა, 1992 — Villianueva D. Los marcos de la literatura española. Esbozo de un sistema. Vol. 9. Barcelona, 1992.

ლარა, 1981 — Lara, Antonio, "Lectura de Tristana, de Luis Buñuel, según la novela de Galdós". En La imaginacion en libertad homenaje a Luis Buñuel. Antonio Lara (Ed.). Madrid: Editorial de la Universidad Complutense, 1981: 99-256.

ლოტმანი, 1978 — Лотман, Ю. Театральный язык и Живопись (К проблеме иконической риторики) // Театральное пространство. Материалы научной конференции. 1978.

მოურენი, 1993 — Mouren, Y. "Le film comme hypertexte" Poétique, n93, Paris, Seuil, 1993, pp. 113-122.

ჟენეტი, 1982 — Gennet, G. Palimpsestes. La littérature au second degré. Paris: Seuil, 1982.

შლეიერმაჰერი, 1977 — Schleiermacher, F. Hermeneutics: The Handwritten Manuscripts (Trans. James Duke and Jach Forstman, ed. Heinz Kimerle. Scholars Press: Missoula) 1977.

MAYA GUGUNAVA

Cinematographic Transposition of a Literary Text or Global Intertextual Relation of a Film with its Literary Source

Summary

The paper is an attempt to reveal links between structures of language and structures of visual perception. Contrastive characteristics of cinematographic and literary discourses are presented, special attention is drawn to the transposition of a verbal text into a visual one.

The role of a script in the formation of a cinematographic text from a literary one is examined. The main method of research is pragmatic-semiotic. The results of the research are summarized in the chart reflecting typological classification of transposition.

ენო ღარასკლია

შორისდებული რობორტ მიკროტექსტი და ტექსტი.

ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ აღნიშნული ენების შორისდებულებმა დისკურსში შეიძლება შემდეგი ფუნქციები შეასრულონ: დისკურსის მარკერის, არაელიფსური გამონათქვამის, მიკროტექსტის (ტექსტის მიკრომონაკვეთის), ტექსტის (დარასელია, 2006), წინამდებარე სტატიისში ყურადღებას გავამახვილებ შორისდებულის მიკროტექსტად და ტექსტად გამოყენების შემთხვევებზე.

საკვლევი მასალის შეგროვებისას შემხვდა შორისდებულის მიკროტექსტად გამოყენების ოთხი შემთხვევა: ამერიკელი მწერლის მერი რობინსონის რომანი სათაურით “Oh!”, რუსული მხატვრული ფილმი სათაურით “Acca!”, ქართული სიტუაციური-კომედია, სერიალი „ასა“, ამერიკული სიტუაციური-კომედია, სერიალი სათაურით „Whoopi“.

მერი რობინსონის რომანი “Oh!” სიტუაციური კომედის პრინციპზე აგებული სცენათა ნაკრებია; რომანს არა აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი სიტუაციური ხაზი. იგი პატარა ქალაქში მცხოვრები ამერიკული ოჯახის ყოველდღიურ ყოფას აღგვიწერს — სიხარული და სიძულვილი, პატივისცემა და ზიზღი, იუმორი, სიბრძნე და ადამიანური სისუსტეები — ყოველივე ეს ვერბალურ ქცევაში რეალიზებული შორისდებულთა ჭარბ გამოყენებას გულისხმობს. რომანისთვის სათაურის შერჩევისას მერი რობინსონი თითქოს ხელმძღვანელობდა ჯ. ბაირონის სტრიქონებში ასახული იდეით:

“All present life is but an interjection
An ‘Oh’ or ‘Ah’ of joy or misery!”

დაკვირვებამ ცხადყო, რომ Oh ფართო სემანტიკის მქონე შორისდებულია და გამოყენების დიდი სიხშირით გამოირჩევა. მისი მეშვეობით შეიძლება გამოიხატოს ემოციათა მრავალფეროვანი პალიტრა. ‘Oh’ აღნიშნულ შემთხვევაში განზოგადებულ მნიშვნელობას იძენს, როგორც სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში ადამიანის

მენტალურ მდგომარეობათა გამომხატველი სიმბოლო.

შორისდებული ასა აღტკინების, სიხარულის გამომხატველი შედახილია. მას კავკასიური ცეკვის შემსრულებელი მამაკაცები რაიმე რთული საცეკვაო ილეთის მარჯვედ, მოხდენილად შესრულებისას შესძახებენ ხოლმე. კინოდისკურსის ორი განსხვავებული ჟანრისთვის, დრამისა და სიტუაციური კომედიისთვის, სათაურად შერჩეული შორისდებული ასა, აღნიშნულ ნაწარმოებებში განსხვავებული ილოკუციური ძალის მატარებელია. როგორც ცნობილია, ზოგადად სათაური ტექსტის მიმართ მეტანობრივი კომენტარის ფუნქციას ასრულებს. მისი მეშვეობით ავტორი მიანიშნებს ადრესატს ტექსტის, დისკურსის ინტერპრეტაციისათვის ღირებულ ინფორმაციაზე, ანუ შეიძლება ითქვას, რომ სათაური წარმოადგენს ერთგვარ დისკურსის მარკერს. სათაური-ტექსტის ურთიერთმიმართება რთულია და აღნიშნული ურთიერთმიმართების ინტერპრეტაცია გარკვეულ პერლოკუციურ ეფექტზეა გათვლილი. სათაური, ერთი მხრივ, წარმოადგენს გასაღებს ტექსტის ინტერპრეტაციისთვის. იგი ქმნის ადრესატში გარკვეულ მოლოდინს, მზაობას, თუმცა ტექსტის და მისი წარმომქმნელი დისკურსის ფონზე სათაურმა შეიძლება სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინოს. მოლოდინის „გაცრუება“ კი ქმნის გარკვეულ ესთეტიკურ ეფექტს.

ქართული სიტუაციური კომედიის სათაური „ასა“ სიტყვათ-თამაშის პრინციპზეა აგებული, ერთი მხრივ, ასა წარმოადგენს აბრევიატურას, რომელიც სხვადასხვანაირად იმიფრება — არაჩვეულებრივი სიყვარულის ამბავი, არაჩვეულებრივად სასაცილო ამბები. მეორე მხრივ, ასა შორისდებულია (და აღნიშნულზე მინიშნება მოცემულია თავად სერიალში). სერიალი 3-4 წუთიანი სერიებისაგან შედგება და წარმოგვიდგენს კომიკურ ეპიზოდებს ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ცხოვრებიდან — წარმატებით წამოწყებული საქმე ან რაიმეს მცდელობა მოულოდნელი მარცხით მთავრდება. ანუ იქმნება „შეუსაბამობა“ შორისდებულ ასას მნიშვნელობასა და ეპიზოდში წარმოდგენილ სიტუაციას შორის. აღნიშნული შეუსაბამობა ხატოვნად შეიძლება შევადაროთ შემდეგ სიტუაციას — ილეთის შესრულებისას სცენაზე წაქცეული ან წაბორძიკებული მოცეკვავე შესძახებს „ასა!“

სრულიად განსხვავებულ ტრაგიკულ ეფექტს ქმნის სათაური — დისკურსის შეუსაბამობა იური სოლოვიოვის დრამაში „Acca!“ შო-

რისდებული **ახა** ლაღად მოცეკვავე, თავისუფალი პიროვნების შედახი-
ლია. ფილმის მთავარი გმირების (ახალგაზრდა წყვილის) ბედი კი,
მიუხედავად მათი მისწრაფებისა იყვნენ თავისუფლები და დატკბნენ
ცხოვრებით, ტრაგიკულია. ტრაგიზმის შეგრძნებას ამძაფრებს შეუსა-
ბამობა სათაურად გამოტანილ მხიარულ შედახილსა და ნაწარმოებში
მოთხრობილ სევდიან ისტორიას შორის.

ინტერესს იწვევს ამერიკული სიტუაციური კომედიის (სერია-
ლის) სათაური **Whoopi**. ისიც სიტყვათათამაშის პრინციპზეა აგებული.
აღნიშნულ სათაურში შეიძლება ამოვიკითხოთ ორი შორისდებული:
ა) **whoop(s) [oops]**, სემანტიკით ქართული იაღლიშის მსგავსი,
გამოხატავს ინდივიდის გაოცებას, წუხილს ან ერთგვარ მობოდიშებას
მოულოდნელი, ხშირად ინდივიდის მოუქნელობით გამოწვეული
მარცხის გამო. ბ) მხიარული შედახილი **Whoopee**, სათაურში არის
ასევე მინიშნება მთავარი მოქმედი პირის, მეღვის რეის როლის შე-
მსრულებელზე, ჰოლივუდის ცნობილ ვარსკვლავზე ვუბი გოლდბერგ-
ზე (**Whoopi Goldberg**). ინტერესს იწვევს სათაურის გრაფიკული სახე,
აქ ასო **i** ძახილის ნიშნის მსგავსია **Whoopi**. შეიძლება ითქვას, რომ
სათაური შეიცავს მინიშნებას მხიარულებაზე (რაც შორისდებულით
whoopee! შეიძლება გამოვხატოთ), მოქმედი გმირების მოუქნელობაზე
და ამით გამოწვეულ კომიკურ ეფექტზე (**Whoops!**), და კომიკოსი
მსახიობის ხელოვნებაზე.

შორისდებული შეიძლება თავად წარმოადგენდეს ტექსტს. შო-
რისდებულით რეალიზებული ტექსტის ნიმუშად მივიჩნეოთ თბილისში
ი. ჭავჭავაძის გამზირზე არსებული მაღაზიის სახელწოდება „ვაუ“.
ვაუ არის ინგლისურიდან ნასესხები შორისდებული — **[wow]**.
დაკვირვებამ ცხადყო, რომ მას ფართოდ იყენებენ ქართველი
ყმაწვილები და ოცდაათ წლამდე ასაკის ინდივიდები. სესხების
მიზეზი ინგლისური ენის პრესტიჟულობით შეიძლება აიხსნას. **Wow**
დადებითი სემანტიკის მქონე ემოციური შორისდებულია და გამოხა-
ტავს გაოცებანარევე აღფრთოვანებას. აღნიშნული შორისდებული შე-
იცავს სემას „ეს დაუჯერებელია!“ ფ. ამეკას თვალსაზრისით, იგი შეი-
ცავს სემას: **“I say this [wow], because I want people to hear this”** (ამეკა,
1992). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სემებია გამოკვეთილი
მოყვანილ ტექსტში, ამ შემთხვევაში „ვაუ“ არის რეკლამური ხასია-
თის ტექსტი. იგი შეიცავს იმპლიკაციას მაღაზიაში წარმოდგენილი
საქონლის ხარისხზე. როგორ ადრესატზეა გათვლილი „ვაუ“? მოსახ-

ლეობის ის ფენა, რომელიც მეტ-ნაკლებად ფლობს ინგლისურს, და
თავად იყენებს **wow**-ს ქართულად მეტყველებისას, ადვილად გაშიფ-
რავს ტექსტის ილოკუციურ ძალას. მოსახლეობის ის ფენა, რომელ-
მაც არ იცის ინგლისური, შეიძლება მიიზიდოს სახელწოდების უცხო
ჟღერადობამ (ჩვენ ქართველებს, ხომ ძალიან გვიყვარს ყველაფერი
„საუცხოო!“), შეიძლება გამოიყოს მესამე ჯგუფი ინტერპრეტაცი-
ებისა — მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ვაუ-ს ქართულ ვაი-ს
მიამსგავსებს და ინტერესადრული მაღაზიაში შევა. თუმცა უნდა
აღინიშნოს, რომ დისკურსის აღნიშნულ ტიპში მნიშვნელოვან როლს
სხვადასხვა ტიპის ვიზუალური ნიშნებით გადაცემული შეტყობინებაც
თამაშობს (ანუ ამ შემთხვევაში ვიტრინის გაფორმება).

შორისდებული-ტექსტის მეორე ნიმუშია ლუდი „ჩერნიგოვსკაიას“
რეკლამა, რომელიც მხოლოდ ერთი სიტყვისგან შედგება „მაგარია!“
აღნიშნული ტექსტი ლუდის ჩამომტარებელ მანქანებზეა წარმოდგე-
ნილი. მოყვანილ სარეკლამო ტექსტში სასაუბრო ქართულში დიდი
სიხშირით ხმარებული მეორადი შორისდებული „მაგარია!“ დადებითი
სახის სტრატეგიის რეალიზაციას ემსახურება და მომხმარებელზე ზე-
მოქმედების საუკეთესო საშუალებაა.

შორისდებულის მიკროტექსტად და ტექსტად გამოყენების
ზემოვანხილული ნიმუშები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ
არამართებულია შორისდებულის ენის პერიფერიულ ენობრივ
ერთეულად მიჩნევა. მნიშვნელოვანია შორისდებულის როლი
დისკურსში, რაც მის დისკურსულ ფუნქციათა მრავალფეროვნებაში
ვლინდება.

ლიტერატურა

დარასელია, 2006 — ნ. დარასელია, შორისდებული საკომუნი-
კაციო კომპეტენციის თვალსაზრისით (ინგლისურ, ქართულ და
რუსულ ენათა მასალაზე), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის
ავტორეფერატი, თბ., 2006.

ამეკა, 1992 — Ameka F., Interjections: The universal yet neglected
part of speech, in: Journal of Pragmatics, vol. 18, Amsterdam: Elsevier Sci-
ence Publishers, 1992.

NINO DARASELIA

Interjection as a Microtext and a Text

Summary

The study of the English, Georgian and Russian data has shown that interjections of the given languages can perform a number of discursive functions. The interjection can serve as a discourse marker, it can be a non-elliptical utterance. The interjection can also function as a microtext (i.e. a microunit of a text) or be a text itself.

The paper examines four microtext and two text samples realized by interjections. All the four microtexts are titles: "Oh!" — the title to M. Robinson's novel, "Whoopi" - the title of the American sitcom. „ასა!“ (asa!) the title of the Georgian sitcom and Acca!" (asa) the title of the Russian film.

The analysis of the given microtexts is carried out against the background of title - text relation. In the title of Mary Robinson's novel the interjection **oh** has a generic sense, it is a symbol of various human emotions.

The title of the American sitcom "Whoopi" implies two interjections - whoop(s)/oops, (said when someone has fallen, dropped something or made a mistake), whoopee (a cry of joy) and also the name of Whoopi Goldberg, the famous filmstar.

The interjection "asa!" - an exclamation of joy produced by male Caucasian dancers - acquires a tragic meaning in reference to the Russian film, while as the title of the Georgian sitcom it carries a humorous effect.

The paper also discusses two instances of interjections used as texts (viz. as advertisement texts). The first is "ვაუ!" (wow is a borrowing from English) the name of a shop in Tbilisi, Georgia, and the other is a text realized by the secondary Georgian interjection მაგარია! (magaria meaning - cool!) that serves as an advertisement of a beer.

რუსუდან ფოლიძე

რომანის მკრანული ადაპტაციის თავისებურებანი

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს მხატვრული ლიტერატურის (კერძოდ, რომანის) ეკრანული ადაპტაციის და თანმდევი თავისებურებების შესწავლას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ რას ეწოდება მხატვრული ფილმი და საერთოდ რას ნიშნავს ტერმინი „მხატვრული“ მოთხრობასთან, რომანთან ან პიესასთან მიმართებაში.

მხატვრული ფილმი არის დასრულებული მთლიანობა, რომელსაც გააჩნია ფორმა. ხელოვნების ყოველი ნაწარმოებიდან ჩვენ მოველით, უპირველეს ყოვლისა, ფორმის მთლიანობასა და სრულყოფილებას და ამავე დროს, დამოუკიდებლობას. მაგრამ მხატვრული ფილმის, როგორც დრამატული გამოსახულების სფეროს, მთლიანობის საწყისის მოძებნა არც თუ ისე ადვილია. ვინაიდან, თემის არსებობა ან რაიმე თვალსაზრისის გატარება არ წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ძირითად ნიშანს (მახასიათებელს).

ზოგადად, მხატვრული ნაწარმოები — არის ცალკეული ადამიანების მოქმედების ასახვა. არისტოტელე „პოეტიკაში“ განსაზღვრავს მას, როგორც მოქმედებაში მყოფი ხალხის აღწერას /ანუ „ადამიანი მოქმედებაში“/. ლ. აბერკოუმი განმარტავს, რომ მისთვის ეს ტერმინი („მოქმედებაში მყოფი ადამიანები“) არ ნიშნავს მარტო რაიმეს მკეთებელ ადამიანებს, არამედ იგი ითვალისწინებს იმასაც, თუ რა ემართებათ ადამიანებს ადამიანური ბუნების ჩარჩოებში, იმ მოვლენებს, რომლებიც ხდება ცხოვრებაში.

მხატვრული ნაწარმოები ზოგადად და კერძოდ, მხატვრული ფილმი ცალკეული პიროვნების აზრებისა და ქცევების გამოვლილი ისტორიაა.

სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების შედარება გამართლებულია მოქმედებათა ტიპების განსხვავებით. დრამისა და რომანის შედარებით ვხედავთ, რომ თუკი რომანის სიუჟეტი ჩვეულებრივ

საკმაოდ რთულია, პიესის სიუჟეტი შედარებით მარტივია. პიესის სიუჟეტი იხსნება დიალოგის საშუალებით, იგი იხსნება ჩვენ თვალწინ უშუალოდ სპექტაკლის მიმდინარეობის დროს.

პიესაში მოცემული მოვლენები უნდა აღვიკვათ მაშინვე თავიდან ბოლომდე, ანუ პრაქტიკულად დაახლოებით 2-3 საათში. მისგან განსხვავებით რომანი, რომელშიც თხრობას აქვს აღწერითი ფორმა და თანაც წარსულ დროში, გათვლილია იმაზე, რომ იგი უფრო დიდხანს იკითხებოდეს, ანუ მკითხველს შეუძლია არაერთხელ დაუბრუნდეს მას.

არისტოტელე „პოეტიკაში“ განასხვავებს ამ ორ ლიტერატურულ სახეობას, უფრო ზუსტად კი მიუთითებს განსხვავებაზე ტრაგედიას, როგორც დრამის კერძო ფორმასა და ეპოსს (თანამედროვე რომანის პროტოტიპს) შორის. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოქმედების ერთიან ხაზს დრამის ერთიანობისათვის. მას მიაჩნია, რომ ეპიკურ ნაწარმოებში ნაკლებია ერთიანობა, რის გამოც, ნებისმიერი ეპიკური ნაწარმოებისაგან შეიძლება რამდენიმე ტრაგედიის შექმნა.


მეორე მხრივ, რომანის ან მოთხრობის ავტორი არ არის შეზღუდული იმ შეზღუდვებით, რომლებიც იბოჭება დრამატურგი. არ არსებობს მოვლენა, რომლის აღწერაც არ შეეძლოს რომანისტს. მას შეუძლია ჩასწვდეს არაცნობიერის სიღრმეებს (მაგ. ჯ. ჯოისის „ფინეგენის გამოღვიძება“).

თავის მხრივ, კინოსცენარიც არის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც გამიზნულია ეკრანზე განხორციელებისათვის კინოხელოვნების გამომხატველი საშუალებების გამოყენებით. სცენარი ვითარდებოდა, როგორც ლიტერატურული ფორმა, და ამდენად, იყენებდა და იყენებს მხატვრული პროზის, პოეზიისა და დრამატურგიის პრინციპებს. მაგრამ ამ პრინციპების გამოყენება არ აიგივებს მას პროზასთან და დრამატურგიასთან.

თეატრალური და კინოდრამატურგიის გამომხატველ საშუალებებს შორის დიდი განსხვავება არსებობს. ფაბულის განვითარებასთან ერთად, სცენარისტი აბსოლუტურად უნდა გრძნობდეს კინოხელოვნების გამომხატველი საშუალებების შესაძლებლობებსა და საზღვრებს. ფილმის შემქმნელი უნდა მიჰყვეს მოქმედების ერთიანობას (მთლიანობას) და ამასთან აშკარაა, რომ იგი თავისუფალია იმ უმეტესი შეზღუდვებისაგან, რომელიც ბოჭავს თეატრალურ დრამატურგიას. არ არსებობს ისეთი მოვლენა, რაც უნდა გრანდიოზული და უმნიშვნე-

ლო იყოს იგი, რომ არ აისახოს ფილმში. თავისუფლად შეიძლება ერთი სცენარიდან მეორეში გადასვლა, დროში გადაადგილება, დროის შეზღუდვა და მისი გაწელება, ერთდროულად მიმდინარე სხვადასხვა მოვლენის ჩვენება. ამიტომ კინოდრამატურგს მეტი თავისუფლება აქვს, ვიდრე თეატრალურს; კინოდრამატურგს შეუძლია მოიცვას დრამატული მოვლენების ფართო წრე, ყოველდღიურიც და საოცარი სამყაროც, ფანტასტიკურიც და ზებუნებრივი მოვლენებიც. მაგრამ კინოდრამატურგს არ შეუძლია მიმართოს აღწერას იმ მასშტაბით, როგორც რომანისტს, მხედველობაში გვაქვს ვერბალური აღწერა. მან უნდა აღწეროს მიმდინარე მოვლენები სინამდვილეში; მისთვის არ არის საკმარისი ადამიანის ხასიათის აღწერა, მან უნდა გახსნას ეს ხასიათი მოქმედებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურული სცენარის გარდა, არსებობს რეჟისორული, ანუ დადგმითი სცენარი. დადგმითი სცენარი წარმოადგენს ფილმის დადგმის, მისი მუსიკალური და გამომხატველობითი ასპექტების შემოქმედებით გეგმას, რომელშიც მოცემულია ზუსტი დაყოფა კადრებად პლანების მითითებით. რეჟისორული, ანუ დადგმითი სცენარი მნიშვნელოვნად განაპირობებს მომავალი ფილმის ჟანრს, რიტმს, სტილსა და ატმოსფეროს. ამრიგად, მხატვრული ნაწარმოები ეკრანიზაციისათვის გარკვეულ ეტაპებს გაივლის, ესენია:



სქემაზე გამომხატული ბოლო ეტაპი, ანუ ნოველიზაცია მიღებული ფორმის დასავლეთში, კერძოდ, წარმატებული და პოპულარული ფილმის სცენარი ქვეყნდება და ჩვეულებრივ ბესტსელერი ხდება. ასე მაგალითად, მარიო პიუზოს „ნათლიმამას“ თანაბარი წარმატება

ჰქონდა რომანსაც და კინოსცენარის ნოველიზაციასაც. არის შემთხვევები, როდესაც ნაკლებად პოპულარული ნაწარმოები, მხოლოდ მისი ეკრანიზაციის შემდეგ ხდება აქტუალური და ამიტომ გამოიციმა მისი ლიტერატურული სცენარი, ანუ ხდება სცენარის ნოველიზაცია, რაც, თავის მხრივ, პოპულარიზაციას უწყევს თავდაპირველ წყაროს, ანუ მხატვრულ ნაწარმოებს. ამის მაგალითია ფილმი „ერთხელ ამერიკაში“, რომელიც არის ჰარი გრეის ნაწარმოების „The Hoods“ ეკრანიზაცია. ეს ნაწარმოები გამოიცა 1952 წელს. მკითხველის არნახული ინტერესი კი გამოიწვია მხოლოდ 80-იან წლებში ფილმის ეკრანიზაციის შემდეგ.

ნაწარმოების ეკრანიზაციის დროს ირღვევა არა მარტო ნაწარმოების არქიტექტონიკა, არამედ ძალიან ხშირად ავტორისათვის დამახასიათებელი სტილი, თვით გმირების მეტყველების სტილი და სხვა. მაგალითისათვის ავიღოთ ენტონი ბერკერის რომანი „მექანიკური ფორთოხალი“, რომელიც გამოვიდა 1962 წელს, ხოლო 1972 წელს სტენლი კუბრიკმა გადაიღო ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი. ფილმს ჰქონდა მსოფლიო წარმატება. კრიტიკოსები წერდნენ: „მიუხედავად იმისა, რომ ენტონი ბერკერი „მექანიკური ფორთოხლის“ შემქნელია, კუბრიკი მისი ნამდვილი არტისტული სულია. ამასთან კინოსცენარში არ ფიგურირებს ნაწარმოების ბოლო თავი, სადაც მთავარი გმირი ალექსი ხედავს შუქს და ახალგაზრდობის შეცდომებს უკან იტოვებს. ამ ფაქტმა ბერკერი გააღიზიანა. საინტერესოა ისიც, რომ ფილმის ეკრანიზაციის შემდეგ „მექანიკური ფორთოხალი“ აშშ-ში სწორედ ამ ბოლო, 21-ე თავის გარეშე გამოიცა.

კომპოზიციის გარდა, ცვლილებები განიცადა თვით ბერკერის ნაწარმოებისათვის დამახასიათებელმა ე.წ. რუსიციზმებმა. „მექანიკური ფორთოხალი“ არის ორი ენის, ინგლისურისა და რუსულის ერთეულების ნარევი, ჰიბრიდი. ნაწარმოებში ავტორს შემოაქვს რუსული ზმნები, არსებითი სახელები, ზმნიზედები და ზედსართავები. ამათგან ყველაზე ხშირად გამოიყენება არსებითი სახელი. საოცარია, მაგრამ ეს მეტყველების ნაწილები მკითხველისთვის ადვილად გასაგებია, ვინაიდან მათ ახლავთ არტიკლები, სუფიქსები, ნაწილაკები, ამასთან რუსული ზმნები განიცდის ყველა ცვლილებას, რაც დამახასიათებელია ინგლისური ენის გრამატიკული დროებისათვის. ამდენად, მკითხველისთვის უფრო ადვილად აღსაქმელია. მაგალითად ავიღოთ შემდეგი აბზაცი:

“Tonight was what they called a worldcast, meaning that the same programme was being viddied by everybody in the world that being mostly the middle-aged middle-class lewdies. There would be some big famous stupid comic chelooveek”.....

„The luna was well up now, and we could viddy this cottage fine..... I opened this malenky gate.“

უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან მისი ნაწარმოების გმირები არიან ახლგაზრდები, ბერკერი რუსიციზმებს იყენებს ძირითადად სლენგების ჩანაცვლების მიზნით. თუკი ბერკერის ნაწარმოების თითოეულ გვერდზე საშუალოდ 10-13 რუსული სიტყვაა, კინოსცენარში და, შესაბამისად, ფილმშიც, რუსიციზმების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი. (სულ 33 სიტყვაა მთელ კინოსცენარში. აქედან: **viddy** (**видить**) გამოყენებულია 8-ჯერ. არს.სახელები: **droog** — 6-ჯერ, **devotchka** — 4-ჯერ, **malchicks** — 5-ჯერ. **litso, chai, bratty, vecks, britva, nozh, minooti, lomtick, chelloveek, Bog, rassoodock** თითოჯერ. ზედსართავები: **gloopy, grahzny** — თითოჯერ, **malenky** — 4-ჯერ). რუსიციზმები იმდენად მცირეა, რომ მაყურებელმა შეიძლება ვერც აღიქვას ისინი.

ბერკერის „მექანიკური ფორთოხლის“ ეკრანიზაციის შემთხვევაში, არ შეიძლება დავეთანხმოთ იური ლოტმანს, რომლის აზრით, მხატვრული ნაწარმოები ბევრს კარგავს ეკრანიზაციის შედეგად.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწარმოების შემთხვევაში, ორი უდიდესი ხელოვანის ბერკერისა და კუბრიკის პრაგმატული მიზანმიმართულებები თანაბრად წარმატებული აღმოჩნდა ორივესათვის და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მკითხველისა და მაყურებლისათვის.

ლიტერატურა

ლოტმანი, 2000 — Ю. М. Лотман, Семисфера, изд. "Искусство" — СПб", С.-Петербург, 2000.

ბურგე, 1996 — Anthony Burgess, "A Clockwork Orange", Penguin, London. 1996.

კუბრიკი, 1970 — Stanley Kubrick. "A Clockwork Orange", Filmsript (კინოსცენარი). 1970.

RUSUDAN DOLIDZE

Screen Adaptation of a Novel

Summary

The paper deals with some peculiarities of A. Burgess' novel 'A Clockwork Orange' and its screen adaptation. Special attention is drawn to the compositional and linguistic features of the screen version.

კატარინე თოფურია

**შავიკრისპირებულ ენათა სისტემური სპეციფიკით
დამატარებულ ტარგმნით ტრანსფორმაციები**

ტრანსფორმაციის ცნება უკვე კარგა ხანია თარგმნის ანალიზის კონცეპტუალურ აპარატს განეკუთვნება. ტერმინი „ტრანსფორმაცია“ იმ მნიშვნელობით, რომლითაც იგი გამოიყენება თარგმანის ლინგვისტურ თეორიაში, საკმაოდ პირობითია, რამდენადაც მასში იგულისხმება არა შიდაენობრივი პროცესი (დავუშვათ ბირთვულ სტრუქტურათა გარდაქმნის მეთოდი მეორად სტრუქტურებად ან პირიქით — მეორად სტრუქტურათა ბირთვულზე დაყვანის პროცედურა), ანუ არა ის მნიშვნელობა, რომლითაც ეს ტერმინი ტრადიციულად გამოიყენება ლინგვისტიკაში, არამედ ერთი ენის ფორმათა ფუნქციური შენაცვლება მეორე ენის ფორმებით. ლ. ს. ბარხუდაროვი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ტრანსფორმაციათა ტიპოლოგიის დამუშავებაში (მისი ტიპოლოგიის მიხედვით, ტრანსფორმაციები ოთხ ძირითად სახეობაშია დაჯგუფებული: ჩანაცვლება, გადაადგილება, გამოტოვება, დამატება), ტრანსფორმაციებში გულისხმობს იმ მრავალრიცხოვან და თვისებრივად განსხვავებულ ენათშორის ოპერაციებს, რომელთა საშუალებით მიიღწევა თარგმანის ეკვივალენტურობა, მიუხედავად თარგმანის ენის ფორმალური და სემანტიკური სისტემების განსხვავებისა ორიგინალის ენის შესაბამისი სისტემებისგან.

თარგმნითი ტრანსფორმაცია თარგმანის პროცესის არსებითი და გარდაუვალი ოპერაციაა. მისი ზოგიერთი სახეობა მიზანმიმართულია იმ წინააღმდეგობათა ნეიტრალიზაციაზე, რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, კონტაქტში მყოფ ენათა ფორმალურ-სტრუქტურული და სემანტიკური არაერთგვაროვნების საფუძველზე წარმოიქმნება. მათ საჭიროებას იწვევს ზოგიერთი ენობრივი ლაკუნი, რომელიც შეიძლება აღმოაჩნდეს თარგმანის ენას ორიგინალის ენასთან კონტაქტისას. ასეთი თარგმნითი ოპერაცია, ბუნებრივია, რომ ექვემდებარებოდეს ლინგვისტურ აღწერას, რის საფუძველზეც ვლადიმერ გრამატი-

კულ, ანუ ფორმალურ-სტრუქტურულ ტრანსფორმაციებზე და ლექსიკურ-სემანტიკურ ტრანსფორმაციებზე. გრამატიკულ ტრანსფორმაციებში გამოვარჩევთ ისეთ ტიპებს, რომლებიც ენის ერთი და იმავე - დონეზეა განხორციელებული და ისეთს, რომლებიც განსხვავებულ დონეებზეა რეალიზებული. ამ უკანასკნელს მივაკუთვნებთ დონეთშორისი ტრანსფორმაციების კატეგორიას. პირველ სახეობაში, მაგალითად, ერთი მორფოლოგიური ფორმით ან ერთი სინტაქსური საშუალება შენაცვლებულია მეორით, ხოლო დონეთშორისი ტრანსფორმაციის შემთხვევაში მორფოლოგიური ფორმა შესაძლოა შენაცვლებული იყოს სინტაქსურით, ან სინტაქსური ფორმები გადავიდეს ლექსიკურ, ან ფრაზეოლოგიურ ტრანსფორმებში.

რაც შეეხება ტრანსფორმაციებს ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე, მათი მიზეზები საძიებელია თარგმანის ენის ლექსიკურ ლაკუნებში, რომელთა არსებობა სხვადასხვა ენობრივ კოლექტივთა მიერ გარეენობრივი სინამდვილის ინტერპრეტაციის განსხვავებული ხასიათითაა პირობადებული. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა საგანთა და - მოვლენათა (რეფერენტთა) სახელდების ტენდენციებში.

ტრანსფორმაციის საჭიროება, ხშირ შემთხვევაში, წარმოიქმნება ასევე ენათა სემანტიკური ველების განსხვავებულობის ნიადაგზე, სიტყვათა ლექსიკური ან სინტაქსური ვალენტობის არაერთგვაროვნების გამო და შეპირისპირებული ენების სახეობრივი მეტყველების განსხვავებულ სისტემათა საფუძველზე, რაშიც, საზოგადოდ, ყველაზე მეტადაა გამოვლენილი ეთნოკულტურული სპეციფიკა და ამდენად, — ეროვნული კოლორიტიც. ამიტომაც, რომ სახეობრივი მეტყველების (ანდაზა, აფორიზმი, ფრაზეოლოგიზმი) ტრანსფორმაცია თარგმანში განსაკუთრებულ ზომიერებას მოითხოვს, რამდენადაც სწორედ ამ შემთხვევაში იქმნება, ყველაზე მეტად რომელიმე ერთის — ან ორიგინალის, ან თარგმანის ეროვნული კოლორიტის გადაჭარბების საფრთხე.

თარგმანის ტექსტის მოდიფიკაციის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ორიგინალის სოციალურ-ლინგვისტური მახასიათებლების ანალოგიზაციის საჭიროებაში მდგომარეობდეს, ანუ ენის სტრატეფიკაციული - და სიტუაციური ვარიანტულობის ეფექტის შენარჩუნების აუცილებლობაში. სხვა შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ორიგინალის ესთეტიკურ-ემოციური და სტილისტური ეფექტის ანალოგიზაციის საჭიროე-

ბა და სხვ. ამ შემთხვევების გარდა, თარგმანის პრაგმატიკისათვის განსაკუთრებით რელევანტურია თარგმანის ტექსტის მოდიფიკაციის ისეთი სახეობანი, რომლებიც დაკავშირებულია ორიგინალის სოციალური ფონის რეალითა და ეთნოკულტურული სპეციფიკის ენობრივ ექსპლიკატთა ტრანსპოზიციასთან მეორე ენობრივ და კულტურულ სამყაროში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს თარგმანის პოტენციური ადრესატის ფაქტორის, მისი ზოგადი თეზაურუსის მკაცრ გათვალისწინებას ენობრივ ფორმათა შერჩევას. ასეთ სახეცვლილებებს ტექსტში ვიხილავთ როგორც პრაგმატულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციის სახეობებს, რომლებიც მეტწილად მოითხოვენ უფრო ფართო მასშტაბის ცვლილებებს სუბერსემანტურ დონეზე როგორც შინაარსის, ასევე გამოხატვის პლანში. ეს ცვლილებებია ტექსტის კომპარესია ან, პირიქით, მისი გაფართოება ისეთი ახსნა-განმარტებითი ელემენტებით, რომლებსაც არა აქვთ ფორმალური გამოხატულება ორიგინალის ტექსტში. ამ შემთხვევაში ვლაპარაკობთ ტექსტის ადაპტაციურ მოდიფიკაციაზე.

მიგვაჩნია, რომ სხვადასხვა სისტემის ენათა სტრუქტურულ მსგავსება-განსხვავებათა დადგენა უპირატესად შეპირისპირებითი — ლინგვისტიკის პრეროგატივაა და თარგმანთან მიმართებაში ასეთი — შეპირისპირება მეტწილად მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა მიზნად გვაქვს დასახული გამოვავლინოთ ის, თუ რა ანალოგიურ ან კონტრასტულ საშუალებებს შეიცავს კონტაქტში მყოფი ენები ამა თუ იმ ხასიათის ექსპრესიულ-ემოციური კონოტაციისა და სტილისტური ნიუანსების გამოსახატავად, რაც მეტწილად არაკონვენციონალურ ენობრივ ფორმებსა და ხშირად ისეთ ენობრივ უნიკალიზმებშია — ხოლმე რეალიზებული, რომლებიც წარმოქმნიან პირველადი და მეორადი შეტყობინების ტექსტთა შორის პრაგმატული წონასწორობის დამყარების საჭიროებას. ორიენტაცია თარგმანის მიმღებ ენობრივ კოლექტივზე, რაც თარგმანის პრაგმატიკის არსს შეადგენს, პირველ ყოვლისა, საჭიროებს თარგმანის ენის ისეთ ფორმათა აქტივიზაციას და რეგულირებას, რომელთა გზით თარგმანის ადრესატი ინფორმაციას მიიღებს მისთვის ჩვეულ, ბუნებრივ ფორმებში და არა უცხო ენიდან კალკირებულ ხელოვნურ გამომსახველობით საშუალებებში.

ლიტერატურა

ბურჯანაძე, 1997 — ბურჯანაძე ქ. მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბ., 1992.

გაჩეჩილაძე, 1959 — გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, რეალისტური თარგმანის პრობლემა, თბ., 1959.

გაჩეჩილაძე, 1966 — გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, გამონათვის ფორმები, თბ., 1945.

ფანჯიკიძე, 1995 — ფანჯიკიძე დ. თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტურობის პრობლემა, თბ., 1995.

EKATERINE TOPURIA

Translational Transformations Determined by Systemic Specificity of Contrasted Languages

Summary

One of the reasons for the modification of a translated text lies in the need for analogization of the sociolinguistic peculiarities of the original, i.e. stratificational and situational variability effects should be preserved. Analogization may concern aesthetic - emotional and stylistic effects as well. Besides, for the pragmatics of translation socially and ethnoculturally loaded information of the original is of particular importance. In the process of transposition precise linguistic means showing social and ethnocultural equivalence between the language of the original and that of the target text should be chosen.

ხატია კაკაბაძე

ლაბიალიზებული თანხმობის შემცველი ორწევრა კომპლექსები აფხაზურში

აფხაზური ენის თანხმობანთკომპლექსების სტრუქტურა და ისტორია დღემდე არ ყოფილა საგანგებო, მონოგრაფიული კვლევის ობიექტი. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით საერთოდ არაფერი გაკეთებულა. აღნიშნული პრობლემის პირველი სერიოზული გამოკვლევა წარმოდგენილია აკად. ქ. ლომთათიძის კლასიკურ მონოგრაფიაში, რომელშიც ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისითაა შესწავლილი აფხაზური და აბაზური ენების ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, მათ შორის დადგენილია თანხმობანთკომპლექსთა ისტორიული სისტემა (ლომთათიძე, 1976, 230-240). ამ ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე მასში არ არის წარმოდგენილი აფხაზურ-აბაზურ ენათა თანხმობანთკომპლექსების ამჟამინდელი სისტემის სრული დესკრიფციული სურათი.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ცდა კონსონანტური ჯგუფების სტრუქტურის შესწავლისა აფხაზურ ენაში. კონკრეტულად, ნაშრომი ეხება ორწევრა ბგერათკომპლექსებს, რომელთა მეორე წევრი ლაბიალიზებული თანხმობანია. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად ჩამოგვეყალიბებინა ფონემათა დისტრიბუციის წესები და დაგვედგინა ძირითადი სახეები კომპლექსებისა როგორც მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე.

I. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში, რომელზე მუშაობისას ძირითადად აფხაზურ-ქართული (ჯანაშია, 1954) და აფხაზურ-რუსული (კასლანძია, 2005) ლექსიკონებით ვსარგებლობდით, გამოიყოფა ისეთი თანხმობანთკომპლექსები, რომელთა ორივე კომპონენტი სამეულის წევრია, აქედან მეორე წევრი ლაბიალიზებული თანხმობანია. აღნიშნული თანხმობანების მონაწილეობით ყველა შესაძლო შეერთებიდან აფხაზურში შემდეგი კომპლექსები გვხვდება: ბთ°, ბტ°, ფთ°, ფწ°, პც°, დთ°, ძწ°, დტ°, დძ°, თთ°, თტ°, წკ°, თგ°, ძც°, ტკ°.

ტყ°, კტ°, კწ°, ყწ°, ძყ°, ჩკ°, ჭყ°, ძგ°, ჭკ°, ჯგ°, ჯქ°, ჭყა°, ჭყა°, ჭყც°, ჩაკ°, ჩაგ°, ყწწ°, ცკ°, ცტ°, ცგ°, ცთ°. სულ ოცდაათოთხმეტი კომპლექსია. მაგალითები, სადაც ეს კომპლექსები გვხვდება (მოგვყავს თითო ტიპური მაგალითი):

ბთ°: *აბთ°ა — პირველი გაკრეჭის მატყლი

ბტ°: აპასაბტ° — ამოცანა (ტ° სახელთა დანიშნულების მაწარმოებელი სუფიქსია)

ფთ°: აფთ°ა — პირველი გაკრეჭის მატყლი

ფწ°: აცგფწ°ახა — ნატეხი

პც°: აუაპც°ან — ქეჩა, თეჩა

დთ°: ადთ°ალარა — დაღვრა

დტ°: ადტ°ალარა — დაჯდომა

დძ°: ადძ°ალარა — ვინმეზე ან რამეზე დარწყვევა

დწ°: ადწ°გუალარა — მიტირება

თტ°: აზანათტ° — პროფესიული

თთ°: ათთ°ან — საფსე, მრგვალი

ცკ°: აცკ°ანდა — სუფთა, გამჭვირვალე

თგ°: აპათგ°ენ — საფლავის ქვა

ტკ°: ამტკ°გმა — მოთქმა

ტყ°: ატყ°ან — ტყვე

კწ°: აჯ°გკწ°ანწ°ა — წითელი აჯიკა

ყწ°: აყწ°იგ — სველი

ძყ°: აძყ°ანწ°ა — ლოყა

ჩკ°: აჩკ°აპარა — წინასამშობიარო მდგომარეობა

ჭყ°: აჭყ°ანდარ — ეპისკოპოსი

ძგ°: აძგ°ანდარ — დიდი კალათა

ჭკ°: ათაჭკ°ემ — მუშტი, მჯიღი

ჯგ°: ახაჯგ°ან — საცობი

ჭყა°: აყ°აჭყა°ანჭრა — ყიყინი

ჭყც°: აჭყც°არა — მოჭრა

ჩაკ°: აჩაკ°არ — იორლა, თოხარიკი

ჩაგ°: აჩაგ°ანლ — ცხენის დაავადება

ცკ°: იმშანცკ°ან — განთიადის წინ, უთენია

ცტ°: აუცტ°არ — გუშინწინდელი

ცგ°: აცგ°არწრა — ვილაცასთან ერთად გამოსვლა

ცთ°: აცთ°ან — ჩხუბი

ძწ°: აძწ°იგწ°იგ — მყავე წყალი

ძც°: აძც°არს — ჩახრაკვა

მოცემული კომპლექსების A პოზიციაში (ანუ პირველ კომპონენტად) ხმულებიდან რეალიზებულია შემდეგი თანხმოვნები: ბ, ფ, პ, თ, კ, ყ, ხოლო აფრიკატებიდან: ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ. ამ ტიპის კომპლექსთა პირველ კომპონენტად არ გვხვდება გ, ქ ხმული თანხმოვნები. მოცემულ კომპლექსებში თითქმის თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი პირველ კომპონენტად მყდერ, ყრუ-ფშვინვიერ და ყრუ-მკვეთრ თანხმოვანთა გამოყენების შემთხვევები. B პოზიციაში კი ძირითადად ლაბიალიზებული მკვეთრები გვხვდება.

II. დასტურდება ისეთი თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტი სამეულის წევრია, ხოლო მეორე — წყვილმეულისა. თეორიულად შესაძლო ყველა კომპლექსიდან ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში შემდეგი ბგერათმეერთებები გვხვდება: ჩხ°, წლ°, პუ°, ბხ°, გშ°, ცხ°, ცუ°, პშ°, გწ°, დშ°, ჭშ°, ჭყ°, ჩახ°, ჭლ°, წყ°, წშ°, ძშ°, თშ°, დუ°, თხ°, თუ°, პშ°. ილუსტრაციისთვის მოვიყვანთ თითო-თითო მაგალითს, რომლებშიც ეს კომპლექსები გვხვდება:

ჩხ°: აჩხ°არ — დაბრაწული ქერქი

წლ°: აწაწლ°'ართა — საფენი, საგები, საგებელი

წშ°: აწშ°არა — ამოვარდნა

წუ°: აწუ°არა — ამოვლევა (ძირიდან)

პუ°: აცგპუ°ახან — ნაჭერი, ნაკუწი

ბხ°: აბხ°ა — სიმამრი

გშ°: აგგშ°იგ — მხეცი

ცხ°: აკაცხ° — ღუგმა

ცუ°: აკ°ანცუ°იგ — მოხარშული ხორცი

პშ°: ატპშ°იგ — ბატონიშვილი

ყწ°: აც°გყწ°იგცრა — გულისწყრომა, ღვარძლი, ბრაზი

დშ°: აკდშ°არა — დვარდნა, ვარდნა

დუ°: აკდუ°არა — აძრობა, აგლეჯა, შემოცლა

ჭშ°: აჭშ°არს — მოწყდომა

ჭყ°: აჭყ°არს — მოხევა, მოწყვეტა, მოგლეჯა

ჭლ°: აჭლ°იგ — არასერიოზული

ჩახ°: ანაჩახ°არს — წატრახახება

თშ°: ათშ°ან — ვიწრო

თუ°: ათუ°არა — შიგნიდან ამოვლევა

თხ°: ახ°ტხ°ტ — ჩურჩული

ძშ°: ათეძშ° — ჩხუბი, კინკლაობა

პშ°: აქ°გპ°შ°გპ°რა — სლუკუნი

მსგავსი სახის კომპლექსებში პირველ კომპონენტად არ არის რეალიზებული შემდეგი სადა ხშული თანხმოვნები: პ, დ, ტ, ქ, კ, ყ, აფრიკატებიდან კი — ძ, ჯ და ჩ, მაგალითებში მეტი სიხშირით გამოირჩევა ის ბგერათმეერთებანი, რომელთა პირველ კომპონენტად ყრუ-ფშვინიერი თანხმოვნები გვხვდება.

III. აფხაზურში გვხვდება ისეთი ორწევრა თანხმოვანთ-კომპლექსები, რომელთა მეორე წევრი ჰ° თანხმოვანია. A პოზიციაში გვხვდება როგორც სამეულისა და წყვილულის წევრი თანხმოვნები, ასევე ცალეულებიც. პირველად განვიხილოთ კომპლექსები, რომელთა A პოზიციაშიც სამეულის წევრი თანხმოვნები გვხვდება. ეს კომპლექსები შემდეგია: ბპ°, ფპ°, დპ°, თპ°, ქპ°, ძპ°, ცპ°, წპ°, ჭპ°, ჩაპ°, ქპ°. მაგალითები:

ბპ°: აბპ° — ქლიავი

ფპ°: აფპ° — ბაგირი, ჯაჭვი

დპ°: აძაპ° — ჩოჩორი

თპ°: აპ°ათპ°ათრა — ნძრევა, რხევა

ქპ°: აგ°აქპ°ა — დარტყმის ხმა

ძპ°: ხ°გძპ°ალა — სახელდობრ

ცპ°: აცპ° — პასუხი

წპ°: ამაწპ° — ქალამნის თასმა

ჭპ°: აჭპ°არ — ვადა

ჩაპ°: აჩაპ°ა — ცეცხლის პირი

ქპ°: აგ°აქპ°ა — შორისდებული (გასროლის ხმის მსგავსი)

A პოზიციაში არ გვხვდება ფ, ტ, გ, კ, ყ სადა თანხმოვნები, არა გვაქვს არც ჯ და ჩ სადა თანხმოვნები. აღნიშნულ კომპლექსებში პირველ კომპონენტად მეტი სიხშირით ყრუ-ფშვინიერი თანხმოვნები გვხვდება.

IV. ცალკე ჯგუფს ქმნიან კომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტი წყვილულის წევრია, მეორე კი — პ° თანხმოვანი. ასეთი კომპლექსები შემდეგია: ზპ°, სპ°, ხპ°, ხ°პ°. მაგალითები:

ზპ°: აზპ°არა — ვინმეზე ან რამეზე რაღაცის თქმა

ფპ°: აფპ°გსპ°არა — ცოლის თხოვა

ხპ°: ახპ°ან — სავარცხელი

ხ°პ°: ახ°პ°არ — გახევა, გაგლეჯა, დაქაჩვა

A პოზიციაში არ გვხვდება ჯ, ფ, ყ, შ, ლ სპირანტები. მაგალითებში მეტი სიხშირით პირველ კომპონენტად ხ სპირანტის გამოყენების შემთხვევები ფიქსირდება.

V. აქვე უნდა გამოვყოთ ისეთი თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი წევრი ცალეულია, ხოლო მეორე — ჰ° თანხმოვანი. ეს კომპლექსები შემდეგია: რპ°, ლპ°, ნპ°, მპ°. A პოზიციაში ოთხივე სონორია რეალიზებული, თუმცა მაგალითებში რპ° კომპლექსი ჭარბობს. მაგალითები:

რპ°: აღარპ°არ — დარღვევა, რღვევა; არპ°აც°არ — წამება;

აპ°გრპ°გრრა — ცუნცული; არპ°აზარ — თრევა

ლპ°: აღ°გლპ°არა — გამოყრა, გადმოყრა; აგ°გლპ°არა — აგება, აღმართვა; აღლპ°არა — დაგდება; აკგლპ°არა — გამოყოფა, გამოჩრა

მპ°: აღრგმპ°ა — ბაკუნით, ბრახუნით

ნპ°: აგ°გრხგნპ°გა — გულისამრევი

VI. კომპლექსები, რომლებშიც პირველი კომპონენტი წყვილულის წევრია, ხოლო მეორე — სამეულისა, მოპოვებულ მასალაში შემდეგი სახისა გვხვდება: ჟც°, ხწ°, ზგ°, ხც°, ხტ°, ხ°ტ°, ხ°წ°, ხ°ც°, ზტ°, შკ°, ზქ°, ზც°, ზწ°, შგ°, ხკ°, სკ°, სც°, სტ°, შტ°, ხგ°, ჟქ°, ლ°ც°, სგ°. მაგალითები, რომლებშიც აღნიშნული კომპლექსებია რეალიზებული:

ჟც°: აკაჟც°არა — დაფურთხება

ხწ°: ახწ°არ — ჭრა; აჩაახწ°არ — მოჭრა (ძირში);

ახწ°არ — საცხოვრებელი ადგილიდან აყრა; ახწ°არ — რქა;

ახწ°გრ — გაქცევა, გაპარვა

ზგ°: ზგ°გზჩაან — ფხიზელი, ყურადღებიანი; აზგ°ამთარა — ვერ შემჩნევა (ზ — პოტენციალისის მაწარ. სუფიქსია);

აზგ°ათა — შენიშვნა

ხც°: ახც°ანზ°არა — რაიმეს შესახებ ლაპარაკი;

ახც°გ°შა — ოდნავ მკრთალი

ხტ°: ახტ°ალარა — თხრა; აშ°ახტ° — გადასახადი

ხ°ტ°: ამგხ°ტ° — საშინელება

ხ°წ°: ახ°წ°გ°არა — წატირება

ხ°ც°: ახ°ც°არ — ჩამოთლა

ზტ: აზტარა — 1) მოპყრობა 2) დაჯდომა
 შკ: აწორგშკა — ახალგაზრდა; აღგშკალაზ — უდაბნო
 ზქ: აზგზქა — ხერხემალი
 ზც: ზცაზტემ — ორსული; აზცგშ — ოდნავ ფერმკრთალი
 ზწ: აზაზწგლხრა — შეუპოვრად რალაცის კეთება
 შგ: აგაშგათე — მოძრავი
 ხკ: ახკარა — შეწყვეტა
 სკ: ალასკგგ — საჩეხელი
 სც: აიასც — ცხვრის ტყავი
 სტ: ირგსტგლა — რუსეთი
 შტ: აიასაშტ — ცხვარი
 ხგ: ახგატარა — სიფრთხილე
 ქწ: აქწგ — ხის შამფური
 ქქ: აქქაწა — ვენახი, ზვარი
 ლც: აკტანლცა — კვერცხის ნაჭუჭი
 სგ: ასასგაშ — სპეციალური კარები სტუმრებისთვის...
 (მაგალითები შეზღუდული რაოდენობითა გვაქვს მოყვანილი)

ამ სახის კომპლექსების **A** პოზიციაში **ვ** და **ქ** სპირანტები არ არის რეალიზებული.

VII. გვხვდება ისეთი კომპლექსები, რომელთა ორივე კომპონენტი წყვილულის წევრია, **B** პოზიციაში (ანუ კომპლექსის მეორე წევრად), წყვილულის ლაბიალიზებული ცალი გვაქვს. ეს კომპლექსები შემდეგია: ხშ, ხჟ, ხჟ, ხშ, ხზ, ხწ, ზხ, სხ, შახ, შხ, სშ, მაგალითები:

ხშ: ახშარა — დაცემა
 ხჟ: ახჟარა — გაწყვეტა, გაგლეჯა
 ხშ: ახშაშა — ცივი, გრილი
 ხჟ: ახჟარა — მოწყვეტა, მოგლეჯა
 ხზ: ახზარა — დანანება
 ზხ: აზხარა — ვისიმე ქება (ვილაცისთვის სიმღერის თქმა)
 ზხ: აზხგრა — ფიქრი
 სხ: ასგსხა — ქინძი
 შახ: იასშახა — ფქვილი
 შხ: ასშა — ქუსლი
 სშ: ასშგბ — თოვლი ხეებზე
 ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში **A** კომპონენტად არ გვხვდება

ვ, **ქ**, **ლ** სადა სპირანტები. **B** პოზიციაში ფიქსირდება შ, ჟ, ხ თანხმონების გამოყენება, ამავე პოზიციაში არ გვხვდება ლ ლაბიალიზებული სპირანტი.

VIII. თანხმონთკომპლექსები, რომლებშიც პირველი წევრი ცალეულია, ხოლო მეორე — წყვილულის წევრი, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით შემდეგია: რჟ, რშ, რხ, ლშ, ლჟ, ნშ, მშ, მხ, ლხ, მჟ, მღ, რღ.

მაგალითები:
 რშ: ათერშარა — ამოღება, ამოყვანა
 აჩამერშარა — მოგლეჯა, მოცილება, მოწყდომა
 ახერშარა — გადმოყრა, გადმოგდება
 რხ: ახერხარა — თავის დახრა, თაყვანისცემა
 არხაშარა — რღვევა
 არხა — ზამბარა
 რჟ: აჩაჰარჟ — მოხარული კვერცხი
 რღ: ათარღგ — ხის ნიჩაბი
 ლშ: აგღლშარა — შიგნიდან გამოვარდნა
 აქღლშარა — დაცემა, დავარდნა
 ლჟ: აგღლჟარა — შუიდან ამოგლეჯა
 აქღლჟარა — 1) გახვრეტა 2) შემტვრევა
 ლხ: ალხ — ამორჩეული
 მხ: ახგმხა — უმწეო, უილაჯო
 ალაგვიმხგ — თვალის გუგა
 მშ: ამშ — დათვი
 აგგშშა — თამამი
 აგგშშგშ — ფაფუკი
 მჟ: ამჟა — თუთა
 ამჟარა — ძალით გამოგლეჯა, წართმევა
 მღ: ახამღგ — მრგვალი დაფა სახელურით

IX ბოლოს შევჩერდებით ისეთ კომპლექსებზე, რომელთა პირველი კომპონენტი ცალეულია, მეორე კი — სამეულის წევრი. ყველა შესაძლო ბგერათმეერთებიდან ოცდახუთია რეალიზებული. ესენია: მგ, მც, მტ, მწ, მკ, მყ, ნგ, ნც, ნთ, ნტ, ნწ, რღ, რძ, რგ, რთ, რც, რქ, რტ, რწ, რკ, რყ, ლგ, ლქ. **A** პოზიციაში ოთხივე სონორი გვხვდება, მაგრამ მეტი სინშირით **რ** სონორის გამოყენების შემთხვევები ფიქსირდება.

მგ: ამგა — მუცელი
 მც: ამცაგარა — უძილობა
 მტ: ჯამტელა — ირანი
 მწ: ამწეჭა — ფრთა
 მკ: ამკანდგრ — ჭინჭრის მხალი
 მყ: ამყებგრ — ნესვი
 რდ: არდენა — შაშვი
 რძ: არძარს — წაღებინება
 რგ: აჩგრგ — ცური, ჯიქანი
 რთ: ათერთაარს — დამატება
 რც: აშხგრცალ — კრაზანა, ბზიკი
 რქ: აპათგრქეწარა — პათივისცემა
 რტ: ანლარტარა — დასმა
 რწ: ანგრწარს — განადგურება
 რკ: აჭგრკა — მიწავაშლა
 რყ: აყარყტდ — გარეული ბარდა
 ნგ: აყვანგაშ — ცისკარი
 ნც: ა ნცგშა — ხვლიკი
 ნტ: აყლანტ — მოგვარე
 ნწ: ანწარს — გამოვლება
 ნთ: ანთალარა — ბრტყელ რამეზე, თეფშზე დასხმა
 ლგ: ალგგგ — ამოზნექილი, გამობურცული
 ლწ: აგკლწაგა — მოსაწყენი, აბეზარი
 ლქ: ასტოლქგრშ — სუფთა

ლიტერატურა

ლომთათიძე, 1976 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარებიითი ანალიზი, ს, თბ., 1976.

ჯანაშია, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

კასლანძია, 2005 — В. А. Касландзия, абхазско-русский словарь, Сухуми, 2005.

KHATIA KAKAVA

Two-member Consonant Clusters with a Labialized Component in Abkhazian

Summary

The study of the Abkhazian consonant system has revealed the following:

1. Consonant clusters whose both components are tripartite complex members, the second one being labialized.
2. Consonant clusters whose first component is a tripartite complex member, whereas the second one is that of a bipartite one.
3. Clusters whose first component is a tripartite complex member whereas the second one is the consonant h^o.
4. Consonant clusters whose first component is a bipartite complex member and the second one is the consonant h^o.
5. Clusters whose first component is a pairless consonant, the second being the consonant h^o. The clusters with the sonorant c^o are quite frequent.
6. Consonant clusters whose first component is a bipartite complex member and the second one is that of a tripartite one. The clusters with palatalized members are only four.
7. Consonant clusters whose first component is a pairless consonant, the second being a tripartite complex member.
8. Clusters whose first component is a pairless consonant, and the second one is a bipartite complex member.

გიგა კინწურაფილი, თაგარ ფსაბაძე

ციტაციის როლი ბერნანოსის შემოქმედებაში

ციტაციის, ინტერტექსტის, „სხვისი“ და „თავისი“ სიტყვის პრობლემები თანამედროვე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურაში მიჩნეულია ერთ-ერთ საინტერესო და აქტუალურ საკითხებად. ამ პრობლემის მიმართ ახლებურ მიდგომას ბიძგი მისცა ერთი მხრივ, მ. ბახტინის (ბახტინი 1969) თეორიებმა დიალოგიზმის, პოლიფონიის, „სხვისი“ და „თავისი“ სიტყვის შესახებ და, მეორე მხრივ, ფრანგი სტრუქტურალისტების (ჟ. ჯენეტი, რ. ბარტი) ნამუშევრებში გამოვლენილმა ფაქტებმა. მ. ბახტინის იდეა განვითარებულ იქნა სტრუქტურალისტებისა და პოსტსტრუქტურალისტების მიერ, განსაკუთრებით კი ამ იდეებმა ასახვა პოვეს კრისტევას (კრისტევა 1969) ნაშრომებში, რომელმაც შემოიტანა ტერმინი „ინტერტექსტულობა“.

ციტაციის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერტექსტის პრობლემასთან და მასში მიმდინარე დინამიკურ პროცესებთან, ანუ ციტატის ქვეში ჩვენ ვგულისხმობთ, რომ იგი არის ინტერტექსტის ნიშანი. ინტერტექსტულობის ფენომენი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათავეს მ. ბახტინის (მ. ბახტინი 1975) შემოქმედებაში იღებს.

მისი აზრით, რომანი ატარებს „დიალოგურ“ ხასიათს. ეს ნიშნავს იმას, რომ ავტორს ყველა კერძო შემთხვევაში საქმე აქვს ერთდროულად როგორც მის წინამორბედ, ისე თანადროულ ლიტერატურასთან, რომელთანაც იგი მუდმივ დიალოგში იმყოფება. ბახტინი ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ერთხმიანი სიტყვა არ არსებობს და ყოველი შემოქმედებითი ხმა შეიძლება მხოლოდ მეორე მხარეს წარმოადგენდეს. რომანულ მწერლობაში ავტორი ათანხმებს ერთმანეთთან სხვადასხვა დისკურსულ ტიპებსა და ენობრივ დონეებს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მთხრობელთა ხმის მიღმა ყოველთვის არსებობს პერსონაჟთა ხმის არსებობის შესაძლებლობაც. მწერლობაში მრავალი ხმის თანადროულ არსებობას პოლიფონიზმის საწყისებამდე მივყავართ. პოლიფონიისა და დიალოგიზმის ცნებების გამოყენ-

ბა ხშირია ტექსტუალურ ლინგვისტიკასა და დისკურსების ანალიზში. ბახტინის აზრით, რომანის ენისათვის დამახასიათებელია ასევე ჰიბრიდული კონსტრუქციები, რომლის რამდენიმე სახეობასაც განასხვავებენ. არსებობს ჰიბრიდაცია ენის დონეზე და ჰიბრიდაცია გამონათქვამის დონეზე, ჰიბრიდაციების მიღმა კი სასურველია მხედველობაში მივიღოთ პირდაპირი თქმის ანუ დისკურსის არსებობა, რომელიც გვევლინება ციტატის სახედ. რაც შეეხება თავად პოლიფონიურობას მას საფუძვლად „თავისი“ და „სხვისი“ სიტყვა უდევს. „სხვისი სიტყვა“, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში მ. ბახტინმა შემოიტანა განმარტებულია, როგორც სხვა სუბიექტის გამონათქვამი, თავდაპირველად დამოუკიდებელი და მოცემული კონტექსტის გარეთ მდებარე. ამასთან, მისი ახალ კონტექსტში შესვლის ხარისხი შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს. მთავარია, იგი დარჩეს აღქმული, როგორც „სხვისი სიტყვა“. „სხვისი მეტყველება“ ესაა რომელიმე პირის მეტყველება, ჩართული ავტორისეულ კონტექსტში, ანუ „მეტყველება მეტყველებაში“. სწორედ სხვისი სიტყვა უდევს ციტატას საფუძვლად და ციტირების ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია პოლიფონიზმის, დიალოგიზმის, „თავისი“ და „სხვისი“ სიტყვის არსებობასთან.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს დაადგინოს ციტატების როლი ბერნანოსის შემოქმედებაში. სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ტექსტის ანალიზზე, სასურველია თუ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან ციტაციას, როგორც სხვისი სიტყვის შემოტანის პროცესს განხორციელებულს ირიბ თქმაში და ციტატას, როგორც ტექსტში შემოსულს სხვისი სიტყვის სახით, ბრჭყალებით თუ უბრჭყალებოდ.

ჩვენი აზრით, უფრო მეტად ყურადღება უნდა მივაქციოთ თხრობის ანუ ციტირების მოვლენას, ვიდრე მოთხრობილის ანუ ციტაციის არსს. რადგანაც კვლევის არსი არის ის, რომ გაირკვეს თავად ციტაციის ფენომენი და არა ის, თუ რას მოგვითხრობს ციტატა. ციტაცია არის მოვლენა, რომლის დროსაც ავტორი თავისი აზრის გამოსახატად მიმართავს „სხვის“ სიტყვას. აქედან გამომდინარე ყოველთვის არსებობს დაპირისპირება ორ ტექსტს, ორ ავტორს შორის. ციტირება თავის თავში მოიაზრებს ორი ოპერაციის განხორციელებას: ამოღებასა და ჩამატებას. ციტირების დროს ხშირია მეტონიმისა და სინეგდოკის გამოყენებაც, რაც შეეხება ციტატას, ეს არის შემოქმედებითი ინდივიდუალურობის მიერ შექმნილი „სხვისი“ მეტყველების ზუსტი გადმოცემა. ციტატებს გააჩნიათ ჰეტეროგენულობის ყველაზე

მაღალი მაჩვენებელი, ზედმიწევნით ზუსტი და სათაურშივე მოცემული.

განსაკუთრებით ადვილად იშიფრება საზოგადო სახელებისა და საკუთარი სახელების შემცველი ციტაციები, რომლის საშუალებითაც მკითხველი ადვილად ამოიცნობს „სხვის“ სიტყვას და ახდენს მისი წყაროს იდენტიფიკაციას.

ავტორს შეაქვს ციტატები თავის კონტექსტში გარკვეული მიზნით. ახალი „სემიოსფეროს“ შესაქმნელად, რომელშიც შენარჩუნებულია მყარი დაძაბულობა „საკუთარ“ და „სხვის“ სიტყვას შორის. ციტატების ხარისხის არაერთფეროვნება გულისხმობს მის დაყოფას. გამოვყოფთ ექსპლიციტურ და იმპლიციტურ ციტატებს. ციტატის ბოლო ნაირსახეობის მოძებნა ტექსტში ზოგჯერ ძნელია, ამ შემთხვევაში აუცილებელია მკითხველის კომპეტენტურობა, რადგან მასზეა დამოკიდებული ტექსტის სწორი ინტერპრეტაცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ციტატა არის „სხვისი“ სიტყვის ყველაზე გავრცელებული ფორმა. ციტატა შეიძლება ეწოდოს ტექსტის ნებისმიერ სტრუქტურულ ელემენტს. ავტორს შემოაქვს საკუთარ კონტექსტში „სხვისი“ იმისთვის, რომ გარკვეულ სიტუაციაში იგი თავისად აქციოს. მიუხედავად ამისა, დისტანცია არ ისპობა ამ სიტყვებს შორის და სიტყვა ერთდროულად ორი კონტექსტის კუთვნილება ხდება, „სხვისი“ და „საკუთარი“. ამგვარად, ციტატას აქვს ავტონომიური სტატუსი, რაც გულისხმობს რეფერენციას არა სამყაროს, არამედ ტექსტის მიმართ, მაგრამ „სხვისი სიტყვის“ მეშვეობით, ციტაცია არის ფსიქოლოგიურიო ბაზა, ანუ ე. წ. ენობრივი, სემანტიკური, ვერბალური, მოლაპარაკის ენობრივი მეხსიერება, რომელშიც ინახება ადამიანის მიერ გათავისებული ყველა ტექსტი. ციტატაში მთავარია მისი ცნობადობა. ციტატაში აზრის დამთხვევა არ არის აუცილებელი. „სხვისი სიტყვა“ ყოველთვის ემსახურება ავტორის აზრის გამოხატვას და თითქოს მეორე პლანზე წევს თავის პირველად მნიშვნელობას.

მოკლედ კი, ციტატა შემდეგნაირად შეგვიძლია განვმარტოთ: ციტატა ეწოდება „სხვისი ტექსტის“ შეგნებულ გამოყენებას, რომელიც სულაც არ გულისხმობს ტექსტის ცნობას მკითხველის მხრიდან. ციტაციის მოვლენა არ უნდა იყოს გაიგივებული სხვა ენობრივ ფენომენტთან, რომელიც სულ სხვა ბუნებით ხასიათდება, კერძოდ კი, არასაკუთრივ — პირდაპირ მეტყველებასთან.

ციტირებისას საუბარია „სხვის“ მხოლოდ ნაწილობრივ შემოჭრაზე ნათქვამში. ციტირებისას წარმოიქმნება ორხმოვანება. ხმა „მე“-ს შეერევა „სხვა“ ხმა. არასაკუთრივ პირდაპირ მეტყველებას მიდრეკილება აქვს მონოლოგიური ინტერპრეტაციისაკენ, „სხვისი“ ხმა ავლენს ტენდენციას სრულიად განდევნოს ხმა-„მე“ და ბოლოს ციტირება განსხვავდება არასაკუთრივ პირდაპირი მეტყველებისაგან მოხმარების სფეროს მიხედვითაც, თავისუფალი ირიბი დისკურსი აგებული არასაკუთრივ პირდაპირ მეტყველებაზე. ესაა წმინდა ლიტერატურული წარმონაქმნი.

ციტაციის პრობლემა თანამედროვე სემანტიკაში პირველად წამოჭრა ა. ვეუბიკამ (ვეუბიკა 2001 წ.) მის სტატიაში ლაპარაკი იყო სიტყვათა ჯგუფებზე, რომელიც იხმარება ადამიანთა დასახელებისათვის, ამგვარი დასახელებები არ შეიძლება იხმარებოდეს ქვემდებარის პოზიციაში და აღიქმება როგორც ციტაციები და არა დესკრიფციები, რადგანაც ისინი არ შეეხება აღნიშნულ პირს, არამედ მხოლოდ გამოხატავენ მოსაუბრის დამოკიდებულებას იმ პიროვნებების მიმართ, რომელზედაცაა საუბარი. ამგვარად, ციტაციის დამახასიათებელი ნიშანია ექსპრესია.

თუ კარგად დავაკვირდებით ბერნანოსის ტექსტებს, ისინი ექვემდებარებიან საკმაოდ მარტივ კონსტრუქციის პრინციპს, შესამჩნევია თანმიმდევრული ზრდა დომინანტური ხმებისა და ყოველივე ეს იწვევს პერსონაჟთა ჩართვას ნათლად მოცემული თუ ბუნდოვანი ციტაციების წყალობით. მრავლად არის მოცემული დიალოგური ხასიათის მატარებელი ტექსტები და ასევე ის ადგილები, სადაც შეიძლება განსხვავებული სახის ციტატის მოპოვება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს ავტორის როლის შემცირებას ხმათა მრავალფეროვნებაში. ტექსტის განვითარებასთან ერთად ნათელი ხდება ხმათა ურთიერთშერწყმა (აღრევა), განსაკუთრებით კი გარდამავალ ეტაპებზე ნათლად გამოიხატება სხვადასხვა დისკურსისა და ჰიბრიდაციის არსებობაც. ზემოთ ხსენებული მოვლენების ნათელსაყოფად განვიხილოთ რამდენიმე ფრაგმენტი ბერნანოსის ტექსტებიდან:

« quelques temps encore , d'anciens compagnons de chasse, rencontrés par hasard, solportent de château en château d'extravagantes histoires et que ce bon vivant, ce goinfre, ce cochon d'Anthèlme- sacré Antèlme – passe ses

journées dans l'arrière boutique du libraire Hudeville, s'inquiète du sort des artistes, parle d'entrevenir à ses frais un poète, un penseur, un théosophe, n'importe lequel enfin de ces types formidables que la société condamne à crever de faim, laisse entendre qu'il a lui-même perdu sa vie, gache son temps à courir au cul de bécasse comme un abruti. »

ეს ამონარიდი, რომელიც მოცემულია წარსულ მარტივ დროში, შლის ყველანაირ ზღვარს მთხრობელებს შორის. უპირველესად გამოყენებულია პირდაპირი თქმა « les propos des anciens compagnons de chasse » და დაცულია დროის შეთანხმების ყველანაირი პრინციპი, მაგრამ როდესაც საქმე ეხება « Anthèlme » - ს, მაშინვე ადგილს იკავებს ირიბი თქმა « parle de » , « laisse entendre que » , რომელიც თხრობითი ჰიბრიდაციითა და ლექსიკური ცვალებადობით არის გამოხატული. გავიხილოთ შემდეგი მაგალითი:

« néanmoins il a toujours eu du goût pour la musique, capable de retenir en air, de le jouer avec un doigt sur le piano. De plus il sonne du cor. Aussi compte-t-il piocher sérieusement le théorie, se décrocher l'oreille en assistant deux fois la semaine aux concerts de Boulogne, « parce que la littérature, co-usin, pour s'y mettre à mon âge, c'est le diable »

ამ პასაჟის ელემენტთა ერთობლიობა გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს Anthèlme-ის თემასთან ისევ და ისევ ირიბ დისკურსში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტექსტში დაცულია ფრანგული რიტორიკისათვის დამახასიათებელი ყველანაირი ტრადიცია, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ირიბ თქმაში გადმოცემულ პასაჟს წინ უნდა უძღოდეს ფრაზა პირდაპირ თქმაში. სახეზე გვაქვს მოკლე მონაკვეთების ლოგიკური თანმიმდევრობა და შემაჯამებელი არგუმენტი ამ მსჯელობისა, რომელიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, წარმოჩენილია ირიბ თქმაში.

ციტაცია ერთმანეთში აერთიანებს კითხვისა და წერის აქტს, ვინაიდან წერა ეს ყოველთვის კვლავ წერაა და არ განსხვავდება ციტირებისაგან. სხვადასხვა ავტორების კითხვა ეს არის თვითწერა, მაგრამ იქ, სადაც კითხვა არის ინდივიდუალური აქტი. ციტაცია კი ნაწერში არის სხვა ნაწერი, ანუ ნაწერი ნაწერში.

ლიტერატურა

ბარტი, 1970 — Barthe R. S/Z, Paris, 1970.

ბახტინი, 1975 — Бахтин М. М., Проблемы содержания и формы в словенском художественном творчестве, М., 1975.

ვეუბიცკა, 2001 — Вежицка А. Семитические примитивы "Семиотика", М., 2001.

კინწურაშვილი, 2005 — Кинцурашвили М., У истоков интертекстуальности — сборник научных статей. МАПРЯЛ. Тб., 2005.

კრისტევა, 1969 — Kristeva J/ Semiotike: Recherches pour une semanalyse, Paris, 1969.

კომპანიონი, 1979 — Compagnon A. La seconde main ou le travail de la citation, Paris, 1969.

MEDEA KINTSURASHVILI, TAMAR PKHAKADZE

The Role of Quotations in Bernanos' works

Summary

The paper examines the problem of quotations which is closely connected with the phenomenon of intertextuality and dynamic processes associated with it.

As is known, the question of quotations was first raised by M. Bakhtin. The quotation embraces, writing and reading acts.

Reading some authors is an individual act and implies the writing process itself as well. The quotation can be regarded as writing in a piece of writing.

თამარ კუპულაძე

რელატივისტური საკითხი ანთროპოლოგიის
(გვერდითი მხარის მასალის მიხედვით)

დიდი ხანია გარკვეულია, რომ საკუთარი სახელები განსხვავდებიან საზოგადო სახელთაგან ბრუნების თვალსაზრისით. კერძოდ, თუ გეოგრაფიული სახელები ამ მხრივ საზოგადო სახელებს უთანაბრდებიან, პირის სახელები ფაქტობრივ ფუძეუცვლელ სახელებს წარმოადგენენ ბრუნებისას და რელატივისტური პროცესი მათთვის უცხოა. ამ წესს მისდევს ყველა პირის სახელი — როგორც თანხმომავანფუძიანი, ისე ხმომავანფუძიანი (შანიძე, 1980, 52-69) მაგრამ როგორც ტოპონიმიკური მასალიდან ირკვევა, თუ პირის სახელი გამოყენებულია ტოპონიმის ფუძეში, ანუ თუ ტოპონიმში ამოსავლად ანთროპონიმი არის, მაშინ იგი (პირის სახელი) რელატივისტური ხდება. და რაც საინტერესოა, რელატივისტური წესები ამ შემთხვევაში განსხვავებულია ქართულში სადღესობად მოქმედ რელატივისტური წესთაგან. კერძოდ, ტოპონიმის ფუძიდან ხუთივე ხმოვნის ამოღება ხდება და გარდა ამისა, რელატივისტური გამოწვევა პრეფიქსსაც შეუძლია.

ნადირისოული||ნადრისოული ციტრუსების პლანტაციის ქობულეთის რაიონის სოფელ კოხში. **ნადირა** ქართველური საკუთარი სახელია (დლონტი, 1986, 168) და მისი ფუძიდან ხმოვნის ამოღება ბრუნების დროს არ ხდება, მაგრამ ტოპონიმში გამოყენებისას ფუძიდან **ი** ხმოვანი ამოიღება.

ზედა მარადიდის¹ უბანია **პაპუნავეთი**, რომლის პარალელური ფორმაა **პაპანავეთი**. აქ ფუძიდან **უ** ხმოვნის ამოღება -ეთ სუფიქსის დართვამ გამოიწვია.

შოშტაული ჩაის პლანტაციის სახელია ქვედა აჭში. ქართველური სახელი **შოშტა** დასტურდება გვარში **შოშტაიშვილი**. თვით ტოპონიმი მიღებულია ფორმისაგან **შოშტა-ურ-ა**. **-ურ** სუფიქსის დართვის შედეგად ფუძიდან **ი** ხმოვანი დაიკარგა. ამგვარ ტოპონი-

¹ ზედა მარადილი ამჟამად თურქეთშია.

მებში **-ურ** სუფიქსს კუთვნილება-წარმომავლობის ფუნქცია აკისრია, **შოშტაული** შოშტასეულს, მისდამი დაქვემდებარებულს, მის კუთვნილს ნიშნავს, ასევე ყველა სხვა შემთხვევაშიც ანთროპონიმზე **-ურ** სუფიქსის დართვისას.

ხარჩავლი ტყიანი ფერდობია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩიქუნეთში. **ხარჩა** საკუთარი სახელი უნდა იყოს (-ურ სუფიქსის დართვაც ამაზე მეტყველებს). სუფიქსმა ფუძიდან **უ** ხმოვანი ამოიღო: **ხარჩა-ურ-ი** → **ხარჩა-ულ-ი** → **ხარჩა-ვლ-ი**.

ავჯანდრა გრძელი ფერდობია მაჭახლის ხეობის სოფელ ცხემლარაში (ხელვაჩაურის რ-ნი). ქართველურ ანთროპონიმთა ლექსიკონში დოკუმენტურად არის დადასტურებული მამაკაცის სახელი **ჯანდერე**. ტოპონიმში მას წინ პრედიკატად აქვს „ავი“. **-ა** მატონიმებელმა სუფიქსმა ფუძიდან **ე** ხმოვნის ამოღება გამოიწვია.

ბებრეული ფერდობია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სკურდილში. აქ **-ეულ** სუფიქსი დაერთვის მამაკაცის პირის სახელს **ბებურას** და ახდენს ფუძიდან **უ** ხმოვნის ამოღებას: **ბებურ-ეულ-ი** → **ბებრ-ეულ-ი** → **ბებრეულ-ა**.

ჭებნევი ტყიანი ფერდობია ქვედა ჩხუტუნეთში (ხელვაჩაურის რაიონი). **-ევ** სუფიქსის დართვამ **ა** ხმოვანი ამოიღო ფუძიდან: **ჭებანა-ევ-ი** → **ჭებნევი**.

კვირცხლევლი — ფერდობის სახელია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზედა ყოროლისთავში. „კურცხალ“ პირის სახელად დასტურდება გვარებში **კურცხალია**, **კურცხალიძე**. პირისადმი კუთვნილების აღსანიშნად სახელს **-ეულ** სუფიქსი დაერთვის და ფუძიდან **ა** ხმოვანს იღებს: **კურცხალ-ეულ-ი** → **კურცხლ-ეულ-ი** → **კვირცხლ-ევლ-ი**.

ძლევი||ძლევი — ყანა, ფერდობია სოფელ აჭარისაღმართში (ხელვაჩაურის რაიონი). ქართველურ ანთროპონიმებად დასტურდება პირის სახელები ძილა, ძილე (დლონტი, 1986, 232). ამ საკუთარ სახელებზე **-ურ** სუფიქსის დართვით ფუძიდან **ი** ხმოვანი ამოიღება: **ძილე-ურ-ი** → **ძლე-ურ-ი** → **ძლევი||ძლევი**.

ტოპონიმში **კეჭრეთა||კეჭრეთა** ფუძისეული **ე** ამოღებულია -ეთ სუფიქსის დართვის გამო: **კეჭრ-ეთ-ა** → **კეჭრ-ეთ-ა**.

სამოლეთი||სამოლეთა — ადგილობრივ ინფორმატორთა ცნობით, ზედა ჯოჭოს უძველესი სამოსახლო უბანია (ხელვაჩაურის რ-ნი). ტოპონიმს საფუძვლად უდევს ძველი ებრაული პირის სახელი **სამო-**

ელ, რომელსაც -**ეთ** სუფიქსი დაერთვის და ფუძიდან **ე** ხმოვანს იღებს: **სამოელ-ეთ-ი** → **სამოლ-ეთ-ი**.

სოფლის სახელი **მირვეთი** (ხელვაჩაურის რ-ნი) მიღებულია პირის სახელისაგან **მირო** მასზე -**ეთ** სუფიქსის დართვით. აღნიშნული სახელი „ტბეთის სულთა მათიანეშიც“ გვხვდება. -**ეთ** სუფიქსმა გამოიწვია ფუძის ბოლოკიდური **ო**ს რედუქცია და შედეგად **ვ** მივიღეთ: **მირო-ეთ-ი** → **მირუ-ეთ-ი** → **მირვეთ-ი**.

რთულ ტოპონიმში **ბასული ქედი|ბასლური ქედი** — მოგვძო ფერდობი (ჩიქუნეთი), მსაზღვრელად გვაქვს საკუთარი სახელი **ბასილ**, რომელსაც -**ური** სუფიქსი დაერთვის კუთვნილება-მქონებლობის ფუნქციით და ფუძიდან **ი** ხმოვნის რედუქციას იწვევს: **ბასილ-ური** → **ბასლ-ური-ი|ბასული**.

სრულიად განსაკუთრებული ერთეული რედუქციის თვალსაზრისით არის **საქთამური** — ფერდობი, ჩაის პლანტაცია (სოფ. განთიადი, ხელვ. რ-ნი). **ქათამა** ქართველური საკუთარი სახელია (შდრ. გვარი ქათამაძე). ტოპონიმად ქცევისას მას დაერთვის **სა-ური** პრეფიქს-სუფიქსი: ***სა-ქათამ-ური-ი**. აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ რედუქცია გამოიწვია პრეფიქსმა და პირის სახელის პირველი ხმოვანი დაკარგა. ქართულში რედუქციას მხოლოდ სუფიქსი იწვევს. წესით უნდა გვქონოდა ***საქთამური**. შინაარსობრივმა უხერხულობამ (სა-ქათამესთან კავშირმა) განაპირობა პრეფიქსის ამოქმედება და მივიღეთ ადგილის სახელი **საქთამური**, პრეფიქს-სუფიქსის ერთდროულად დართვისას ი მოქმედი პრეფიქსი ამჟამად ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანურშია.

მილისი ცნობილი სოფელია ქედის რაიონში. იგი ბათუმ-ხულოს შემაერთებელ ცენტრალურ გზაზეა, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა მხარეს. იქვე არის სოფელი **ნამილისევი**, რომლის პარალელურ ფორმად გავრცელებულია სახელი **ნამლისევი**. აქაც, როგორც წინა მაგალითში, სახელის ხმოვნის რედუქციას პრეფიქსი იწვევს და კარგავს სახელის პირველ **ი** ხმოვანს. უნდა გვქონოდა სუფიქსის მოქმედებით მიღებული რედუქცირებული ფორმა **ნამილსევი**, მაგრამ ამგვარი არ დასტურდება. თუ წინა მაგალითში პრეფიქსის ამოქმედება შინაარსობრივ მხარეს უკავშირდება, აქ რამ გამოიწვია სუფიქსის მოქმედების ბლოკირება, გაურკვეველია.

რთულ ტოპონიმებში ზოგჯერ გვაქვს ფუძის ხმოვნის რედუქცია ისეთ სახელებში, რომელთა მარტივ ფორმებშიც რედუქცია არ

ხდება: **კაპნისთავი** — სოფელი (ხელვაჩაურის რ-ნი), **კაპნიბოგარი**-ტყიანი ფერდობი (მარადიდი), **პატრახევი**—სოფლის უბანი (ჩიქუნეთი), **საყნიძირი** — ფერდობი, ყანა (ჩიქუნეთი), **საჩილატნე დელე|საჩლატნის დელე** — დელე (ცხევანი). როგორც მოსალოდნელი იყო, ამგვარ ტოპონიმთა უმეტესობა მაჭახლის ხეობაშია დაფიქსირებული, სადაც რედუქცია განსაკუთრებით ძლიერია. ისტორიულად მაჭახელი შავშეთის შემადგენლობაში შედიოდა და ამჟამად აქ დადასტურებული რედუქციის სიძლიერე სწორედ შავშეთი კილოსათვის უნდა იყოს დამახასიათებელი.

თანამედროვე ქართულში, როგორც ცნობილია, მხოლოდ ა, ე, ო ხმოვნები განიცდიან რედუქციას (თოფურია, 1979, 70-75).

თუ წარმოდგენილ მაგალითებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ანთროპოტოპონიმებში ყველაზე ხშირია **ი** და შემდეგ **უ** ხმოვნის რედუქცია. ყველაზე იშვიათად რედუქცირდება **ო** ხმოვანი.

მაშასადამე, ანთროპოტოპონიმები მნიშვნელოვან სხვაობას ავლენენ რედუქციის წესებში, სახელდობრ, რედუქციას განიცდის ხუთივე ხმოვანი და მას იწვევს არა მხოლოდ სუფიქსი, არამედ ზოგჯერ პრეფიქსიც.

ეს წესები ამჟამად მოქმედია ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანურშია.

როგორც ჩანს, ენას აქვს გამოუყენებელი სარეზერვო საშუალებები, რომლებიც მისთვის შინაგანად უცხო არ არის და რომელთაც იგი მიმართავს საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, ისეთ სპეციფიკურ ფორმათა წარმოებისას, როგორიც ანთროპოტოპონიმებია (გამორიცხული არ არის სხვა შემთხვევებიც).

ლიტერატურა

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, III, თბ., 1980.

დლონტი, 1986 — ალ. დლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

თოფურია, 1979 — ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, შრომები, III, თბ., 1979.

TAMAR KUKULADZE

The Question of Reduction in Anthroponyms

(on the material of Lower Acharan)

Summary

In contrast to common nouns, anthroponyms are characterized by a larger variety of reductions; all the five vowels are reduced. Besides reduction can be caused by a prefix.

This phenomenon can be explained by a language tendency to activate unusual but inherently acceptable means for the formation of specific forms.

თამარ ლომთაძე

ქართული სასკოლო ჟარგონი

სასკოლო ჟარგონი, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, გავრცელებულია სკოლებში. მათ იყენებენ სკოლის მოსწავლეები, რომელთა ასაკიც დაახლოებით 10-დან 17 წლამდეა.

მოსწავლე ამ ასაკში გარკვეული ფსიქოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური თავისებურებებით ხასიათდება. სწორედ სკოლაში სწავლობს ბავშვი ინტენსიურ კომუნიკაციას. ამ დროს ერთმანეთის გვერდით ვლინდება 1) კერძო ინტერესები: მას აქვს თავისუფალი დრო, რომელიც სურს გაატაროს თავის მეგობრებთან, სადაც, ძირითადად, გამოხატავენ თავიანთ აზრებსა და მისწრაფებებს თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. 2) სკოლა და მასწავლებლები, რომელთა ინტერესი მიმართულია სასწავლო საგნებისადმი. მათ სურთ დააინტერესონ მოსწავლეები თავიანთი საგნებით და ზოგ შემთხვევაში აიძულონ შესაბამისი დისციპლინისადმი ყურადღება გამოიჩინონ. 3) მშობლების ინტერესი, რომ შეილება მიმართონ სკოლისა და განათლებისაკენ, დატვირთონ რაც შეიძლება, რომ არ „გაექცეს“ ბავშვი და დიდხანს დარჩეს მათი ზედამხედველობის ქვეშ. 4) თანაკლასელთა ინტერესები, რომელიც მიმართულია ა) თავისუფალ დროზე ბ) მასწავლებელთა და მშობელთა მიმართ.

სწორედ ამ ჩამონათვალიდან გამომდინარე, ვინმეს ან რამეს წინააღმდეგ ყოფნა აიძულებს თანატოლებს სოლიდარობისაკენ და იქმნება ჯგუფები, რომელთა წარმომადგენლებიც, ძირითადად, აზროვნებით, უფროსებისა და სკოლისადმი დამოკიდებულებით, ხშირად ფინანსურად უტოლდებიან ერთმანეთს. ამ დროს ძირითადად ფინანსურ დახმარებას მოსწავლეები იღებენ მშობლებისაგან და არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება. ამიტომაც მათ ჯერ არა აქვთ საშუალება ოჯახის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას დააღწიონ თავი.

ისინი, როგორც აღვნიშნეთ სკოლის მოსწავლეები არიან. ძირითადად, მეზუთე-მეთერთმეტე კლასელები. მათი ჟარგონული სიტყვ-

ბის მარაგიც მცირეა. მაგალითად, ჩასტრახვა — ერთი ან რამდენიმე მოსწავლე გააცდენს უნებართვოდ გაკვეთილს ან გაკვეთილებს.

შატალო — როცა მთელი ჯგუფი წავა უნებართვოდ სკოლიდან და გააცდენს გაკვეთილებს.

შეფი — სკოლის დირექტორი ან კლასის დამრიგებელი.

შურიკა — მასწავლებელი კაცი, რომელიც სათვალეს ატარებს.

ბოსი — სკოლის დირექტორი.

გენიოსა — კარგი მოსწავლე.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც ზედმეტ სახელებს ბავშვები გარეგანი ნიშნის მიხედვით არქმევენ.

ეს სიტყვები ყველა მოსწავლისათვის ცნობილი და გასაგებია. გარდა ამისა, არსებობს სიტყვები, რომლებიც ეხმარება სიტუაციის მიხედვით ემოციურ კომუნიკაციებს ჯგუფებში. ეს ჯგუფები ხშირად მკაცრად შემოსაზღვრულ ქვეჯგუფებად ითვლებიან. ამიტომ მათთან გავრცელებული სიტყვები, მხოლოდ მათ ქვეჯგუფში ფუნქციონირებს. მაგალითად, თუ დირექტორი მკაცრია და ხშირად იცვამს პიჯაკს, მას განგსტერას ან დესპოტას ეძახიან ამგვარ, შედარებით დახურულ ქვეჯგუფებში.

საერთოდ, სკოლის მოსწავლეთა ლექსიკა მუდმივ განვითარებაშია. იგი იცვლება ქალაქების, სკოლების და თვით ჯგუფების მიხედვითაც.

ამგვარ ქვეჯგუფებში უმეტესად ერთიანდებიან ბიჭები, რომლებიც შედარებით ნაკლები აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან. ამავე, სასკოლო ასაკის ჟარგონს მიეკუთვნება ე.წ. კომპიუტერული ლექსიკა, რომელიც ინტერნეტ თამაშებთანაა დაკავშირებული. კომპიუტერული თამაშები დღეს საქართველოში ძალიან გავრცელებულია. ბავშვები იკრიბებიან და ეჯიბრებიან ერთმანეთს.

კომპიუტერული თამაშების ლექსიკა ძირითადად ინგლისურიდანაა შემოსული. თუმცა თუ თბილისელი ბავშვები ინგლისურ ნასესხობებს გამოიყენებენ თამაშებისა და მასში მიმდინარე მოვლენებისა და საგნების აღსანიშნავად, ქუთაისელი ბავშვები — ინგლისურსა და რუსულს. რაც გამოწვეული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ ქუთაისში ინტერნეტი და საერთოდ კომპიუტერული პროგრამები თავიდანვე რუსულენოვანი შემოვიდა. თამაშების სახელწოდებებია ქაუნთერ ზერო, ქაუნთერ სტრაიქი, ანდეგრაუნდი...

მოსწავლეთა ჟარგონი შედგება: ა) განსაკუთრებული ლექსიკით, რომელიც დაწესებულებებისათვის (სკოლისათვის) არის განკუთვნილი. მაგალითად, შატალო. ბ) განსაკუთრებული სტილისტური, მოკლე გამონათქვამებით, პერიფრაზებით, რომლებიც გამოიყენება მოსწავლეთა ჯგუფებში, ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნის აღსანიშნავად. ასეთი სიტყვები შეიძლება გავრცელებული იყოს მხოლოდ ერთ სკოლაში, შეიძლება ერთ ჯგუფში და სხვებთან არა. მაგალითად, ბავშვები, რომლებსაც არ უყვართ რომელიმე მასწავლებელი და ამ მასწავლებელს აქვს დიდი თვალები, ეძახიან სოჩიკას, მკაცრ მასწავლებელს, რომელსაც სახეზეც მკაცრი გამომეტყველება აქვს, ბულდოგას. ასეთი სახელები ჯგუფიდან ჯგუფს გადაეცემა, თაობიდან თაობას და ფუნქციონირებს მხოლოდ ერთ სკოლაში, ერთი რომელიმე მასწავლებლის აღსანიშნავად, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული ისე, რომ ვთქვათ, რომ ყველა მკაცრ მასწავლებელს ყველა სკოლაში ბულდოგს ეძახდნენ.

ბაუზინგერის მიხედვით, მოსწავლეთა საიდუმლო ენებს აქვთ ფუნქცია საწინააღმდეგო ენისა (ბაუზინგერი, 1984, 124). ევროპაში სასკოლო ჟარგონი ძალიან გავრცელებულია, საქართველოში შედარებით ნაკლებად, საფრანგეთში ლიცეუმის მოსწავლეები არგოს იყენებენ თვით საშუალებისა და ფანქრის გამოსახატავად (ჯაში, 1999), მაგრამ ორივეს აქვს საერთო — ისინი მიისწრაფიან იმისაკენ, რომ მათი ენა დიფერენცირებული იყოს უფროსებისაგან. ეს არი გამოჩეხულობის სურვილი.

თუმცა როგორც საფრანგეთში, ისე საქართველოში მოსწავლეთა დამოკიდებულება ჟარგონისადმი რთულია და საპირისპირო. ერთნი მიიჩნევენ, რომ ისინი უნდა გამოიყენონ და ამაში ცუდს ვერაფერს ხედავენ, ხოლო მეორენი აცხადებენ, რომ ეს არაა ქართული და ჟარგონიზმების გამოყენება ცუდი აღზრდისა და განათლების არქონის ბრალია.

მოსწავლეთა ჟარგონისათვის დამახასიათებელია გამოყენება ენობრივი რესურსებისა, მაგალითად, ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მეტაფორებს, როგორც სტილურ საშუალებებს. ამიტომაცაა, რომ ისინი ხშირად არსებით სახელებს ზედსართავისებრ გამოიყენებენ. მაგალითად, მოსწავლის გამონათქვამი, ბულდოგაა ნამდვილი მიუთითებს მასწავლებლის თვისებაზე და ა.შ.

ფრანგული სასკოლო არგოს განხილვისას ქ. ჯაში მიუთითებს,

სასკოლო არგოსათვის დამახასიათებელია მეტაფორიზაცია, სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარება. ეს სწორედ ის ხერხია, რომლითაც სინამდვილის საგნებისადმი და მოვლენებისადმი შეგვიძლია გამოვხატოთ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება. მაგალითად, **ancien** — ლიტერატურულ ენაში ნიშნავს ძველს, სასკოლო არგოში III კურსის სტუდენტს...“ (ჯაში, 1999).

სკოლის მოსწავლეებთან გვხვდება

— მისაღმების ფორმულები, მიმართვები პარტნიორის დასახელების მიხედვით (პრივეტ ბესო, ბარო ირაკლი).

— სახელი გრიფით (პრივეტები — ბავშვებმა იციან, რომ მათ ესაღმება კონკრეტული პირი (ნიკა), რომელიც მხოლოდ მისაღმების ამ ფორმას ხმარობს).

— რეპლიკები, აღფრთოვანებით და ცუდი სიტყვებით (ვაუ — გაკვეთილი ცდება, ფუ — სხვა მასწავლებელი შემოდის).

მოსწავლეთა ჟარგონი არა მხოლოდ ზეპირმეტყველებაა. როგორც უკვე გუდაიე აღნიშნავს, „იგი ასევე მიმოიკაა, ჩვევების ერთიანობაა, რომელსაც მთელი ლინგვისტური სამყარო და თვით სკოლაც იყენებს (გუდაიე, 1997, 10).

თანამედროვე მსოფლიოში ძალიან გავრცელებულია აზრების გამოხატვის არაენობრივი სიმბოლოები, რაც ჩვენი მოსწავლეებისათვის (და საერთოდ ახალგაზრდებისათვის) ძალიან მიღებული და გავრცელებული მოვლენა აღმოჩნდა. მაგალითად, ტელეფონებისა და ინტერნეტის საშუალებით, ისინი აგზავნიან სპეციალურ სიმბოლოებს, რომელიც მათ გრძნობებსა და ემოციებს უსიტყვოდაც გამოხატავს — მაგალითად:

—))) — სასაცილო რამე და საერთოდ გაღიმებული სახე;

: — (((მოწყენილი სახე;

: —) კმაყოფილი ვარ;

: — p შეძრწუნებული ვარ;

: — O გაკვირვებული ვარ;

: —)) ძალიან მიხარია

და ა.შ. თუმცა აქაც, როგორც მოსალოდნელია, ევროპაში უფრო მეტი სიმბოლოს გამოყენებაა გავრცელებული. მაგალითად, ვ. ვაითის „სოციოლინგვისტიკაში“ მოცემულია ცხრილი, რომელსაც აქტიურად იყენებენ გერმანიაში. ეს განსაკუთრებული ენა არის საკომუნიკაციო ენა, რომელიც შეესაბამება (გამოხატავს) ახალგაზრდის ფანტაზიასა

და ექსპერიმენტებს (შდრ. შლობინსკი, 1993). აღფავიტი შედგება სულ 23 ნიშნისაგან () { } < > / | \ * _ = : ; 8 9 @ p O X C D I.

სკოლის მოსწავლეებთან და ახალგაზრდებთან ამ სიმბოლოებს დიდი გამოყენება აქვს.

ლიტერატურა

ბაუზინგერი, 1984 — Bausinger Hermann, Deutsch für Deutsche. Dialekte-sprachbarrieren - Sondersprachen. Aktualis Neuaufl. Frankfurt/M. (fischer Taschenbuch), 1984.

ჰენე, 1986 — Henne Helmut Jugend und ihre Sprache. Darstellung - Materialien - Kritik. Berlin, New York, 1986.

შლობინსკი, 1993 — Schlobinski Peter 1993, Jugendsprache. Fiktion und Wirklichkeit. Opladen, 1993.

ვაითი, 2002 — Werner H. Veith, Sociolinguistik 2002.

გუდაიე, 1997 — Jean-Pierre Coudailler Comment tu t'habilles! Maisonneuve et Larose, Paris 1997

ჯაში, 1999 — ქ. ჯაში, თანამედროვე ფრანგული სასკოლო არგო და მისი ადგილი ფრანგულ არგოთა სისტემაში, „ენა, თარგმანი, ლიტერატურა“, თბ., 1999.

TAMAR LOMTADZE

Georgian School Jargon

Summary

School jargon is used by 10 to - 17 - year-old school children. Creation of school jargon is psychologically, socially and economically motivated; protest against grown-ups, school discipline or psychological pressure from their families, unite children into solidarity groups; members of a group having similar modes of thinking and quite often similar social background.

School jargon vocabulary is not large and is constantly changing from town to town, school to school and even group to group. School jargon includes a computer language as well. The observations have proved that

school children in Tbilisi use English borrowings as the source for their jargon, whereas in Kutaisi, English as well as Russian sources are used.

In Georgia, school jargon is not as widely used as it is in Europe. Besides school children's attitude towards jargon differs: some consider it to be the sign of poor upbringing, whereas others use it quite widely.

ნანა მახარაძე

აფიქსაციით ნაწარმოები მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში

მცენარეთა აფხაზური სახელწოდებების გარკვეული ნაწილი მიღებულია აფიქსაციით.

მცენარეთა სახელწოდებებში გამოვლინდა სახელური და ზმნური სიტყვაწარმოებითი ელემენტები:

1. სახელური სიტყვაწარმოებითი ელემენტები:

ა) -ქია ნივთთა კლასის მრავლობითობის სუფიქსი

ბ) -რა კრებითობის სუფიქსი

გ) -რა აბსტრაქტულობის სუფიქსის ნაშთი

დ) ზღს გარდაქცევითობის აფიქსი

ე) -ლა ინსტრუმენტალისის აფიქსი

ვ) -ხარა გარდაქცევითობის აფიქსი

ზ) -ტიფ დანიშნულების სუფიქსი

თ) -გა იარაღის (საჭურვლის) სუფიქსი

ი) -კ განუსაზღვრელობის სუფიქსი

კ) -რთა/-თრა შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი

2. ზმნური სიტყვაწარმოებითი ელემენტები:

ა) ჩხ- სათავისო (უკუქცევითი) ქცევის პრეფიქსი

ბ) მ- უარყოფითობის სუფიქსი

გ) -და უარყოფითობის სუფიქსი

დ) ა - საურთიერთო მიმართების პრეფიქსი

ე) რ- კაუზატივის მაწარმოებელი პრეფიქსი

ვ) ა ბა- საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებელი პრეფიქსი

კომპოზიტიში გამოიყენება კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან მომდინარე ელემენტები „ლ“-ს რიგისა: ი-, ლ-, რ-...

ა) III პირის კუთვნილების გამომხატველი ი- პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა

ბ) III პირის კუთვნილების გამომხატველი **ლ-** პრეფიქსი ქალთა კლასისა

გ) III პირის მრავლობითობის 'კუთვნილების' გამომხატველი **რ-** პრეფიქსი

1. სახელური სიტყვაწარმოებითი ელემენტები

ა) **-ქია** ნივთთა კლასის მრავლობითობის სუფიქსი:

აშიაქია „ყლარტი, ლამური, სატაცური“

ალაპიაქიაჯა „ველური ხახვისებური მცენარე“, ზედმიწ.: „გახვეულ-ები“-უბედურება“.

ბ) **-რა** კრებითობის სუფიქსი:

ახიაჩრა „შამბი, შამბნარი, ყელტამი“

აპირრა „შამბი, შამბნარი“

ახიაც || ახიაცრა „ჭინჭარი“

ასახჭიქრა „საკეები ბალახის სახეობა“

აღნიშნულ შემთხვევაში **-რა** წარმოშობით კრებითობის სუფიქსია, მაგრამ ამ შემთხვევაში მცენარის სახელწოდებაში ვლინდება, როგორც აბსტრაქტულობისაკენ გარდამავალი მნიშვნელობის სუფიქსი.

გ) აბსტრაქტულობის **-რა** სუფიქსის ნაშთი:

აჭარტუ „ახალი ვენახი“, აჭარა < აჭა „სიახლე“, აჭ „ყურძენი“

აქხაუ აცხრტუ „ტკბილი ყურძენი“, აცხარა „თაბლობა“, აჭ „ყურძენი“

დ) **ზ < ს** გარდაქცევითობის სუფიქსი:

აფყზ „ლაქაში“

აჩზ „ბზე“

აჩგს „საჭმელი“

ე) **-ლა** ინსტრუმენტალისის აფიქსი:

აფშეციალა „ტარი“, აფშე „სიმინდი“, აცია „კანი“, -ლა წარმოშობით ინსტრუმენტალისის სუფიქსი. ზედმიწევნით: „სიმინდი კანი-ით (კანიანი)“

აშელა „ფქვილი“, აშე „ფეტვი“

აგილახუ „ყურძენის ჯიში“, აგიტ „გული“, (ა)ხტ „თავი“, აჭ „ყურძენი“

აცემლტუ „უმარცვლო“იანი, ით¹ ყურძენი“

ვ) **-ხარა** (რადმე გახდომა, ქცევა)

აფაშიხარა „დაფესვიანება“, აფაში „აფესვი“

აყემყიხარა „მტევნად ქცევა / გახდომა“, აყემყი „მტევანი“

აჯტ აბჟიხარა „ღვინის დამმარება“, აჯტ „ღვინო“, აბჟიხარა „ძმრად გახდომა, ქცევა“

ზ) **-ტივ** დანიშნულების სუფიქსი:

აჭჭატივ „ბალახი“

არშიტივ „სათესლე ხახვი“

ახიტივ „ნაცარა, ვაზის დაავადება“, ახია „ნაცარი“

ჯგტივრშერა აუტატკა „ორნახადი არაყი“

არტჟიტი „სასმელი“, აჭირა „დალევა“, რ- კაუზატივის პრეფიქსი

ანგპიაგტი ვალტრ „ზედაშეს კასრი“

ანგპიაგტი ჰაფშა „ზედაშეს ქვევრი“

ა თაპტი „ნერვი“

თ) **-გა** იარაღის გამომხატველი სუფიქსი:

აშამაშიგა „ჭიაფერა“

აჭაღარვა „წნეხი“

აჭ ხიანგა ამაშენა „ყურძენის დასაწერი წნეხი“

აჰაფშაძიძიგა „ქვევრის სარეცხი“

ანგპიაგტი ვალტრ „ზედაშეს კასრი“

ანგპიაგტი ჰაფშა „ზედაშეს ქვევრი“

არაძიანგა აკალაჭკიარ „სახელურიანი პატარა კალათი, საწური“

არაძიანგა „საწური, ლასტი, რომელიც იდგმება საწნახლის ერთ თავზე, ნახვრეტის წინ“.

აჭთაგა შახა „გიდლის თოკი, ბაწარი“

აზნგა „საწყაო“

აჭიგა „ბარი“

აპიპიანგა „ფოცხი“

აჩაგა „თოხი“

ი) **-კ** განუსაზღვრელობის აფიქსი

ზნგკრშერა აუტატკა „ერთნახადი არაყი“, ზნგ „ერთხელ“, კ- განუსაზღვრელობის აფიქსი, აშარა „დულილი“, -რ კაუზატივის აფიქსი.

კ) **-რთა / -თრა** შემოსაზღვრული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი

აუთრა „ბოსტანი“, აუს „საქმე“

აჩართა „ხორბლის ყანა, ხორბლით ნათესი ადგილი“, აჩა „პური“

აყიგდტრთა „ლობიოთი ნათესი ადგილი“, აყიგდ „ლობიო“

აფშეგრთა „სიმინდის ყანა“, აფშე „სიმინდი“

აჯექორე **რთა** „სიმინდის ყანა“, აჯექორე „სიმინდი“
ამხრ**რთა** || ამხნათა || ამხათახიბე || ამხგრთახიბე „ყანა“
ანხ**რთა** „საცხოვრებელი, საბინადრო ადგილი“, ანხა „მეურნეობა“

ალ**თრა** „კვირტი“, ალა „თვალი“
აძახი**რთა** „ვენახი“, აძახიბ „ვაზი“.

2. ზმნური სიტყვაწარმოებითი ელემენტები

ა) **ჩა-** სათავისო (უკუქცევითი) ქცევის პრეფიქსი:

ამიბე **აჩი** ლერგარა „ყვავილის გამოტანა“, ამიბე „ყვავილი“,
აჩი **აჩი** ლერგარა „თავის გამოტანა“

ამიბე **აჩი**რგსქარა || ამიბე **აჩი**რგცქარა „ყვავილის გამოტანა“,
ამიბე „ყვავილი“, აჩირგსქარა || აჩირგცქარა „თავის გამოსუფთავება“

აჯე **აჩი** ლერგარა „ღვინის დაწმენდა“, აჯე „ღვინო“,
აჩი **აჩი** ლერგარა „თავის გამოტანა“

ბ) **მ-** უარყოფითობის სუფიქსი:

ამე**მ**რ „მწყერდება“, ამ < აშაპე „ფეხი“

აცე**მ**ლქე „უმარცვლო ყურძენი“, აცემ „უმარცვლო“, ლ- ინსტრუმენტალისის სუფიქსის ნაშთი, (გ)ქ „ყურძენი“

ატიბ**მ**ცია „კანი“, ატიბე „უცხო“, აციბ „კანი“

ამძიბ**მ**ცე **ქ**ჯე „გაურეცხაობის სუნი“

გ) **-და** უარყოფითობის სუფიქსი:

აციბ**და** ყაბაყ „თხელკანიანი გოგრა“, აციბ „კანი“, -და უარყოფითობის სუფიქსი, ყაბაყ „გოგრა“, ზედმიწე. „კანის არმქონე, უკანო გოგრა“

დ) **ა** - საურთიერთო მიმართების პრეფიქსი

აქე **ა** ლქწრა „წვენი გამოსვლა დაწყებული ყურძნიდან“, აქე „ყურძენი“, ალქწრა „გამოსვლა“.

ა გიბე **ა** „წალდი“

ა ქიბრფარა „დაჩეხა“

ა თაპბტი „ნერგი“, „ურთიერთ შიგ ჩასადები“

აფაში **ა** თაგარა „დაფესვიანებული გადანაწვენი რქის გადა-რგვა“, აფაში „ფესვი“, ა თაგარა „გადარგვა“

აძახიბ **ა** ლქხრა „ვაზის გასხვლა“, აძახიბ „ვაზი“, ა ლქხრა „ტანთ გახდა“

აჯე **ა** წერყარა „ტკბილის ფეხში გამოღება, გამოწყლეთა“, აჯე „ღვინო“, არყწცრა „წყლეთა, გაწყლეთა“.

აჯე **ა** წერფეწარა „ტკბილის ჭაჭაზე დაყენება“, აჯე „ღვინო“, ა წერფეწარა „სასმელის, ჩაის დაყენება“

აჯე **ა** თაქრა „ღვინის გადაღება“, აჯე „ღვინო“, ა თაქრა „სითხის ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასხმა“.

ე) **რ-** კაუზატივის პრეფიქსი

აჯე **ა** წერფეწა „ჭაჭაზე დაყენებული ღვინო“, აჯე „ღვინო“, აწეფე „შარშან“.

ზნეგ**კ**რმერა აწეტა „ერთნახადი არაყი“, ზნე „ერთხელ“, **ქ-** გინუსაზღვრელობის აფიქსი, აშრა „დულილი“.

არქე**ბ**ტი „სასმელი“, აქერა „დაღევა“.

არ**მ**ბტი „სათესლე ხახვი“, არმბრა „გამარგვილინება“

აქე**რ**ყსა „ყურძნის ჯიში“, აქე „ყურძენი“, (ა)ყსა „მოქნილი, ღრეკადი“.

არ**ტ**რა „ხილის დამწიფება, შემოსვლა“, არტრა „შემოსვლა“

აჯე ახარ**ბ**ტიარა „ღვინის დამატება“, ახე „თავი“, ატიარა „და-ჯდომა“.

აძლ **არ**ჯარა / აქაძლ **არ**ჯარა „ჭაჭის გახმობა“, აძლ / აქაძლ „ჭაჭა“, აჯარა „გახმობა“

აწეტა **რ**მერა „არყის გამოხდა“, აწეტა „არაყი“, აშრა „მო-დულევა“

ვ) **ა ბა-** საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის პრეფიქსი

აჯაძლ **ა** ბაქარა „ჭაჭის დადულევა“, აჯაძლ „ჭაჭა“, ა ბაქარა „ურთიერთდაჭმა“.

აქე **ა** ბაქარა „ყურძნის დულილი“, აქე „ყურძენი“, აქარა „ჭამა“, ა ბაქარა „ურთიერთდაჭმა“.

3. კომპოზიტიში გამოიყენება კუთვნილებითი ნაცვალსახელი-ბისაგან მომდინარე კუთვნილებითი ელემენტები „ლ“-ს რიგისა, ი-, ლ-, რ-.

ა) III პირის კუთვნილების გამომხატველი **ი-** პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა:

პაბე**ნ**ქე „ყურძნის ჯიში“, პაბენ „მამაკაცის სახელი“, ქე „ყურძენი“

კაც**ქ**ე „ყურძნის ჯიში“, კაც „მამაკაცის სახელი“, ქე „ყურძენი“

თაგ**ი**ქე „ყურძნის ჯიში“, თაგი „მამაკაცის სახელი“, ქე „ყურძენი“

ხიგფე**რ**ქე || ხიგფერქე „ყურძნის ჯიში“, ხიგფერქე „მამაკაცის სახე-

ლი“, ყ „ყურძენი“

ხიტუნჟ „ყურძენის ჯიში“, ხუტუნ „მამაკაცის სახელი“, ყ „ყურძენი“

აპაპჟ „ყურძენის ჯიში“, აპაპ „მღვდელი“, ყ „ყურძენი“

ბ) III პირის კუთვნილების გამომხატველი ლ- პრეფიქსი ქალთა კლასისა:

ხიგნალჟ „ყურძენის ჯიში“, ხინა „ქალის სახელი“, ყ „ყურძენი“

გ) III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ გამომხატველი რ- პრეფიქსი:

აპიარპაჟა „მოცივი“, აპიარ „ლორი“, (ა)პაჟა „ტკიპა“

აჟიგრძჟ „ღვია“, აჟი „ძროხა“, აძჟ „წყალი“

აჟარპასკჟნ „ბალახის სახეობა“, აჟარ „კურდღელი“, აპასკჟნ „ბალახი“

ახიგრბლჟც „მრავალძარღვა“, ახიგ „დაჭრილი“, აბლჟც „ერთი ცალი ფოთოლი“

აჩარტც „ერთი ცალი მარცვალი“, აჩარ „პური“, ც < აც „მარცვალი“

აჩარჩჟ „საფუარი“, აჩარ „პური“, ჩგ (განუმარტავია)

აგიგრყიძჟ „ცერცვი“, აგიგრ „ნემსი“, აყიძჟ „ლობიო“

აჟარყიძჟ „ველური მუხუდო“, აჟარ „კურდღელი“, აყიძჟ „ლობიო“

ამზგრძჟ „ფეტვი“, ამზგ „ფეტვი“, ძ < აძა „ნედლი“

ამწგრბლჟ „ანწლი“, ამწ „ბუზი“, აბლჟ „ფოთოლი“

აჟარგიტც „ყურძენის მარცვალი“, აჟარ „ყურძენი“, აგიტ „გული“, ც < აც „მარცვალი“

აჟასგრძია || აჟასარძია || აჟასარძიაჟჟ „ყურძენის ჯიში“, აჟასარ „ცხვარი“, (ა)ხია „ბორცვი“, (ა/გ)ჟ „ყურძენი“, შა < აშაკიაკია „თეთრი“

აჟგრგიტც „ყურძენის მარცვალი“, აჟარ „ყურძენი“, (ა)გიტ „გული“, ც < აც „მარცვალი“.

აჟგრძჟ || აჟგრძჟ „ყურძენის ბურახი“, აჟარ „ყურძენი“, აძჟ „წყალი“.

-რ ელემენტი მესამე პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ პრეფიქსს წარმოადგენს. სიტყვასიტყვითი თარგმანი აღნიშნული ლექსიკური ერთეულებისა ასეთი იქნება: „ლორი [მათი] ტკიპა“, „ძროხა [მათი] წყალი“ და ა. შ. საგულისხმოა, რომ ლორი და ძროხა ზოონიმები მხოლოდითი რიცხვითაა წარმოდგენილი, მათი კუთვნილებითი პრეფიქსი კი მრავლობითი რიცხვისაა.

ჩვეულებრივ მეტყველებაში იქნება აპიარპაჟა „ლორების მათი ტკიპა“, ასევე, აჟიგრძჟ „ძროხების [მათი] წყალი“. გონიერთა და არაგონიერთა კლასის კუთვნილების გამოსახატავად მრავლობითის წარმოებისას იხმარება რ- პრეფიქსი...

საზოგადოდ, კუთვნილებითი პრეფიქსებით გაფორმებული სახელის ფუძე... ასრულებს ქართული ენის ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციას, რაც გამოწვეულია იმით, რომ აფხაზურში ბრუნვები არ არის.

აღნიშნული გარემოება იმაზე მიანიშნებს, რომ რ- III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ პრეფიქსი ამ შემთხვევაში სიტყვაწარმოებითი ფუნქციით გვევლინება.

ლიტერატურა

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 — Апрева бызша ажар, I, Сухуми, 1986.

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1987 — Апрева бызша ажар, II, Сухуми, 1987.

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

გვანცელაძე, 2003 — თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, პირველი ტომი, აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2003.

ჭარაია, 1912 — П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, С.Пб., 1912.

ჯანაშია, 1955 — П. Джанашиа, Абхазская лексика виноградарства и виноделия, Автореферат дисс. на соискание уч. степ. канд. филол. наук, Тбилиси, 1955.

NANA MACHAVARIANI

Abkhazian Plant Names Formed by Affixation

Summary

A certain part of the Abkhazian plant names is formed by means of affixes. The paper examines some nominal and verbal derivational elements in the plant names of the language in question. The paper attempts to state the motivation of the given forms.

ნანა მაჩავარიანი

**ლოკალურ პრეფერბთა და მასდარულ ფუძეთა შემცველი
მცენარეთა სახელწოდებანი აფხაზურში**

აფხაზური ენის მცენარეთა ლექსიკის გარკვეულ ნაწილსა და მცენარეთა სახელწოდებების სემანტიკურ ველში შემავალ ლექსიკაში გამოვლინდა ლოკალური პრეფერბები და მასდარული ფუძეები.

1. ლოკალური პრეფერბები:

ქი'გ' — „ზედა, ზევიდან“ < ა-ქი, ქიგ „სახურავი“, „კენწერო“.

აქიგფსპ „ზედ დაყრილი, მსხმოიარე მსხალი“ **ქიგ** „ზედ მყოფობის მაჩვენებელი ფუძე-წინდებული, ანუ ლოკალური პრეფერბი.

აქიწა || აქიწარა „მალარი ვენახი, ვაზნარი“, აქიწარა „ზედ დადება“. **ქი'გ'** „ზედ ზევიდან“ ლოკალური პრეფერბი.

აჯ ა'ქიტარა „ღვინის დადგომა“, აჯ „ღვინო“, ა'ქიტარა „ურთიერთ-ზედ-დაჯდომა“. ა - საურთიერთო მიმართების პრეფიქსი, **ქი** „ზედ“ მყოფობის ლოკალური პრეფიქსი.

ა ქიტარა „დაჩხა“, (ა) **ქიგ** „ზედ, ზევიდან“ ლოკალური პრეფერბი.

თაგ — „შიგნით“.

ათგრას „გვიმრა“, **თა/გ** „შიგნით“, ათგრას „შიგნიდან ამოსვლა“

აჯ ათთარა „ღვინის დაყენება“, აჯ „ღვინო“, ათთარა „ჩასხმა, დაყენება“. **ათა** „შიგნით“ ლოკალური პრეფერბი.

ატჯშია ათბალრა „გოგირდის ხრჩოლება“, ატჯშია „გოგირდი“, აბტლა „წვა, დაწვა“, (ა) **თა** „შიგნით“ ლოკალური პრეფერბი.

აჟთარა „რთველი, ყურძნის კრეფა“, აჟ „ყურძენი“, ათარა „ხილის შეგროვება“, **თა** „შიგნით“ ლოკალური პრეფერბი, **აა**- სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

აშათა „ფესვი, ძირი, საფუძველი“, აშა < აშაპ „ფეხი“, **თა/გ** „შიგნით, სიღრმეში“

ნ'გ' — „სიბრტყეზე (ჰორიზონტალურად, სივრცეში)“. ანტცი „კანაფი“, **ნ'გ'** „სიბრტყეზე (ჰორიზონტალურად, სივრცეში)“. შლრ. ანტში „მიწა“.

ადიგორტნ „ია“, ადიტ „მინდორი“, აკრა „შუქურა“, **-გნ** „სიბრტყეზე, ჰორიზონტალურად, სივრცეში“.

ხა/გ' — „ზედ, ზევიდან“ < ა-ხე „თავი“.

ახეხხტლა „მწვანილისაგან მომზადებული საკაზმი, თავზე (ზედ) მოსაყრელი“, გურ. „წასაჭარი“, **ხაგ** (აბუ.) < ჯა (აბაზ.) „თავი“.

წა/გ' — „ქვეშ, ქვეშიდან“ < ა-წა „ფსკერი“.

აწაყიტდ „ჭრელი ლობიოს ერთ-ერთი სახეობა“, **აწა** „ქვეშ“, აყიტდ „ლობიო“. ლოკალური პრევერბი.

აწჰია „საკვებად დაჭრილი სიმინდის ღეროები“. აწ < **აწა** „ქვეშ“, (ა)ჰია < აჰირა „ძოვა“ — მასდარი. ლოკალური პრევერბი.

აწეიჟ / აწეიჟ „ყურძნის ჯიში“, აწ < **აწა** „ქვეშ“, აჟ „ყურძენი“. ლოკალური პრევერბი.

ახწიგრ ლბანგე აწაწარა „ვაზის გადაწიდგნა“, ახწიგრ „ვაზის რქა“, ალბანგარა „ჩამოღება“ > ლბანგანე „ჩამოღებით“, აწაწარა „ქვეშ ამოღება“, **წა** „ქვეშ“ ლოკალური პრევერბი.

ახწიგრ ხწიანე აწაწარა || აწწიარ აწაწარა „ღერწის, რქის დარგვა“, ახწიგრ „რქა“, ახწიარა „გადაჭრა“ > ხწიანე „გადაჭრით“, აწაწარა „ქვეშ ამოღება“, **წა** „ქვეშ“ ლოკალური პრევერბი.

აჯე აწხრა „(საწინახლიდან) ღვინის გამოშვება“, აწხრა „ქვეშიდან გამოღება“, აწ < **აწა** „ქვეშ“ ლოკალური პრევერბი.

ახ აწხრა „თხლეს გამოღება“, ახ „თხლე“, აწხრა „ქვეშიდან გამოღება“. **აწა** „ქვეშ“ ლოკალური პრევერბი.

ახ ატიარს || ახ აწანტიალარა (ბზიფ.) „თხლეს დალექვა“, ახ „თხლე“, ატიარს „დაჯდომა“, **აწა** „ქვეშ, ქვემოთ“ ლოკალური პრევერბი.

აწიას „მცენარე“, **წ** < **აწა** „ქვეშ, ქვევით“, აა- სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

ლა/გ' — „რამეში შიგ შესვლა“

აჟადარლარა „ყურძნის შეფერადება, შეთვალება“, აჟ „ყურძენი“, ადგრლა „თვალში შესვლა“, ადარლარა „შიგ შესვლა თვალში“, **ლა-** ლოკალური პრევერბი „რამეში შიგ შესვლა“.

ალაწარა „თესვა“, **ლა** / 'გ' „შიგ, შორის“, წა / 'გ' „ქვეშ, ქვეშიდან“.

ჭა/გ' — „შიგ, ზედ, შიგნიდან“ < ა-ჭა/გ' „პირი“ აჭალარა „მსხმოიარობა“, **აჭა** „პირი“ > „პირსავსეობა“ ლოკალური პრევერბი.

კგდ — „სიბრტყეზე...“ (ვერტიკალურად)...

აჭა ადკლარა „ახლის აღება, მოსავლის აღება“, აჭა „ახალი“, ადკლარა „მიღება, ჩაბარება“ **ადკგ-** ლოკალური პრევერბი.

აა- სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი

ააწი „ფითრი“, აწიგლარა „ამოსვლა“, **აა-** სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

აჟთარა „რთველი, ყურძნის კრეფა“, აჟ „ყურძენი“, ათარა „ხილის შეგროვება“, **თა** „შიგნით“ ლოკალური პრევერბი, **აა-** სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

აწიას „მცენარე“, **წ** < აწა „ქვეშ, ქვევით“, აა- სააქეთო მიმართულების გამომხატველი აფიქსი.

2. მასდარული ფუძეები

ადგრძე „მჟაუნა“, ადგრ „ნაცნობი“ < ადგრრა „ცოდნა“, აძე „წყალი“

აფყზ „ლაქაში“, აფყარა „ჭრა“. ზ < ს (გარდაქცევითობის სუფიქსი)

აჰირა „შამბი, შამბარი“, აჰირა „ძოვა“

ასახჰიგრა „საკვები ბალახის სახეობა“, აჰირა „ძოვა“

ალაჰიასჯა „ველური ხახვისებური მცენარე“, ალაჰირა „გახვევა“

არმიტიტ „სათესლე ხახვი“, არმიარა „გამარგვლა“

ამკიანდგრ „ჭინჭრის მხალი“, აკიანდგრ „ცხენის შეკაზმვა“

ააწი „ფითრი“, ააწიგლარა „ამოსვლა“

აზარაყა „მხესუმზირა“, აზარა „წყვა, აწყვა“, აყარა „ქნევა“

აშით „ყვავილი“, აშითრა „ყვავება“

არაკია „მხვიარა, მცოცავი მცენარეების ღერო და განშტოებანი“.

აკიანარა „ცეკვა, გარშემო შემოვლა“

აჩაიანჰა „ცომი“, აჩა „პური“, აკიანარა „ხელვა“

აწჰიას „საკვებად დაჭრილი სიმინდის ღეროები“, ჰია < აჰირა „ძოვა“

აკიანარ || აკიანგრ || აკისგრ „ყურძნის ჯიში“ < აკიანარა „შემოხვევა“

აქიაწან || აქიაწარა „მაღლარი ვენახი, ვაზნარი“ < აქიაწარა „ზედ
დადება“

არტრა „ზოგიერთი ხილის, აგრეთვე ყურძნის სრული დამწიფე-
ბა“. არტრა „შემოსვლა“

აშიატორს „ხილის შემოსვლა“, აში < აშიტორა „აყვავება“ ფუძი-
დან მიღებული სიტყვა, ამ შემთხვევაში ხილი, ატიარს „დაჯდომა“

აჭალარა „მსხმოიარობა“

არტყიტი „სასმელი“, აქირა „დაღევა“

ამძიძიძე ტჯე „გაურეცხაობის სუნი“, აძიძიძე „რეცხვა“ მ- უ-
არყოფითობის, გ- დანიშნულების აფიქსები, ტჯე „სუნი“

აჩანკლარა „ღვინის ჰარმონიულობა“, აჩან „კოდი, კოდურა“,
აკვლსრა „სითხის გაღენა, გასვლა“

აწწარა (ბზიფ.) || აწწარა „ამყავება, შეჭანგება, დაჭანგება“

აწწარა „დუღილი (აქ ღვინისა)“

აჭანჭანჭანა „ჭვევრის სარეცხი, სარეცხი“ აძიძიძე „რეცხვა“

აწწარა „თესვა“

არაშიარა „თოხნა, გამარგვლა“

აწიძიძე „ხენა“

ათიძნრა „თიბვა“, ათია „თივა“, ახრა „ჩენა“

ა თანარა „რგვა“

აჩალტრა „ფარცხვა“ < აჩალტ „ფარცხი“

აჭურა „თხრა“

აჩარა „ბარვა, თოხნა“

ა გიგმი „წალდი“, ა - საურთიერთო მიმართების პრეფიქსი,
ა გიგრა / ა გიათასსა „ურთიერთ ჯიკაობა, ბიძგება“

ანრა „დაჩენა“

აშნრა „დაჩენა“

ა ქიჭრფარა „დაჩენა“

ახჭარან „ყლორტი“, ახჭარა „ახოს გატენა“

აშიტრ „ხილი“ < აშირა „დამწიფება“.

ლიტერატურა

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 — Апсуа
Бызша ажар, I, Сухуми, 1986.

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1987 — Апсуа

Бызша ажар, II, Сухуми, 1987.

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-
ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

გვანცელაძე, 2003 — თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული
ენების შემსწავლელთათვის, პირველი ტომი, აფხაზური ენის გრამა-
ტიკული მიმოხილვა, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2003.

ლომთათიძე, 1981 — ქ. ლომთათიძე, ლოკალურ პრევერბთა
ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში,
თბ., 1981.

ჭარაია, 1912 — П. Чарая, Об отношении абхазского языка к
яфетическим, С.Пб., 1912.

ჯანაშია, 1955 — П. Джанашиа, Абхазская лексика виноградарства и
виноделия, Автореферат дисс. на соискание уч. степ. канд. филол.
наук, Тбилиси, 1955.

NANA MACHAVARIANI

**Abkhazian Plant Names Containing Location
Preverbs and Masdar Stems
Summary**

The paper discusses the names included in the semantic field of plant
vocabulary. Special attention is paid to the plant names containing location
preverbs and masdar stems.

თავარ მხატვა

ეპიკური პროზის ძირითადი ჟანრები

ლიტერატურული ჟანრი ლიტერატურულ ნაწარმოებთა კლასიფიკაციის ქვესახეობას წარმოადგენს. მთავარი კრიტერიუმების (საგნის ასახვის სისტემა და გადმოცემის ფორმა, ასევე ავტორის მიმართება ასახვის საგნისადმი) გათვალისწინებით ჩატარებული დაყოფისას, ჩვეულებრივ გამოყოფენ ყველაზე მოცულობით ჯგუფებს, ეგრეთ წოდებულ გვარებს (დრამა, ეპიკა, ლირიკა), რომლებიც მოიცავენ ჟანრებს (მაგ. ტრაგედია, რომანი, ოდა). სიტყვა „ჟანრი“ წარმოდგება ფრანგული *genre*-საგან (გვარი, სახეობა). ზოგი მეცნიერი, სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, ასე აღნიშნავს ლიტერატურულ გვარებს: ეპოსს, ლირიკასა და დრამას, ჯერ კიდევ არისტოტელეს (არისტოტელე, 1978) მიერ დადგენილი განსაზღვრების თანახმად. სხვები ამ ტერმინში გულისხმობენ ლიტერატურულ სახეობებს, რომლებიც გვარს შეადგენენ (რომანი, მოთხრობა, მოკლე მოთხრობა და სხვ.). ყველა შემთხვევაში ჟანრში იგულისხმება ლიტერატურის განვითარების ისტორიის მანძილზე, მრავალ ნაწარმოებში განმეორებადი კომპოზიციური სტრუქტურის ერთიანობა.

ამჟამად მიღებულია ლიტერატურული გვარი განისაზღვროს, როგორც საერთო ნიშან-თვისებების (გენეტიკურისა და სტრუქტურულის), ასევე გადმოცემის დომინანტური ფორმის (მოქმედება დიალოგებში — დრამა, თხრობა — ეპიკა, გრძობათა მანიფესტაცია და რეფლექსია — ლირიკა) მქონე ნაწარმოებთა ერთობლიობა. ეს ლიტერატურული სისტემატიკის პირველი საფეხურია, სადაც მთავარია თვალსაზრისი და საგანთა გადმოცემის ხასიათი — უშუალოდ პრეზენტატული დრამაში, საგნობრივი ეპიკაში და სუბიექტური ლირიკაში (თანამედროვე კრიტიკული ტერმინების ლექსიკონი, 1973).

ჟანრის ნიშან-თვისებები, ანუ ნაწარმოების კომპოზიციის ორგანიზაციის ხერხები, წარმოადგენენ დომინანტურ ხერხებს, რომლებსაც ექვემდებარება მხატვრული ერთობლიობის შექმნისათვის აუცილებე-

ლი ყველა დანარჩენი ხერხი (ტომაშევსკი, 1996).

ეპიკა ლიტერატურის ერთ-ერთი სახეობაა. მის სტრუქტურას ახასიათებს გადმოცემის თხრობითი ფორმის დომინირება, რომელიც კომპოზიციურად აერთიანებს გადმოცემის ყველა დანარჩენ ფორმას; აგრეთვე ასახვის საგნის ობიექტივიზაცია, რომელსაც წარმოადგენს მნიშვნელოვნად მიჩნეული და ლიტერატურულ წვდომაში ასახული რეალობის მონაკვეთი. ეპიკის ობიექტურობა დამყარებულია უფრო ასახვის საგნისაგან შემოქმედის დაშორებაზე, ვიდრე მის თავშეკავებაზე — უარი ინტერპრეტაციასა და შეფასებაზე. ეპიკური ნაწარმოების პროტოტიპს წარმოადგენს წარსულის მოვლენების ზეპირი გადმოცემა (თანამედროვე კრიტიკული ტერმინების ლექსიკონი, 1973). ძირითადი დებულება — ადამიანთაშორისი ურთიერთობების წინარე მდგომარეობა: თხრობა, როგორც შუამავალი მოვლენასა და მსმენელს შორის. მოვლენათა თვითორგანიზებული, თავისუფალი და ეპიზოდებით ნებისმიერად გაფართოებული ერთობლიობის გარდა საჭიროა დროსა და სივრცეში ისეთი შეზღუდვების არარსებობა, როგორცაა ერთიანობა დრამაში ან განწყობათა ჩაკეტილი თანაყდრობა ლირიკაში. ეპიკის (თხრობის დრო) განკარგულებაში იმყოფება თხრობის დროში განვითარება აჩქარებისა და შეჩერების სახით, ნაწილობრივ თვით დროის შემობრუნება (წარსულთან დაბრუნება), ისევე როგორც სტრუქტურის ცალკეულ მონაკვეთებად დანაწილება. ეპიკა სარგებლობს მასალის გადმოცემის სხვადასხვა ხერხით (თხრობა, აღწერა, დიალოგი, მონოლოგი, ავტორისეული წილსვლები).

ჟანრული ნაირსახეობების სახით, ეპიკა მოიცავს ზღაპარს, ნოველას, მოთხრობას, საგმირო ეპოსს, მოკლე მოთხრობას, ნარკვევს, რომანს და სხვ. (ბარნეტი, ბერმანი, ბურტო, 1964, კალხენიზი, 1977, სტივალდი, 2002, სვეინი, 1990, სტერჯესი, 1992, სტერჯესი, 1990, სვეილზი, 2002). ეპოსის სპეციფიკას წარმოადგენს თხრობის მარგანიზებული მნიშვნელობა: მთხრობელი მოვლენებს გადმოსცემს როგორც წარსულში მომხდარს და ამჟამად განსწავლულს, გზადაგზა მიმართავს მოქმედების გარემოებათა და პერსონაჟების გარეგნობის აღწერას, ზოგჯერ მსჯელობს კიდევ. გარეგანი და შინაგანი ენობრივი თვალსაზრისების შეჯერების საფუძველზე წარმოიქმნება ავტორისეული და სხვისი ნათქვამის ურთიერთგაშუქება.

ეპიკური სიუჟეტის საფუძველია სიტუაცია, რომელიც სამყაროს ძალთა მერყევე წონასწორობას წარმოადგენს; მოქმედება მთლიანობა-

ში — ამ წონასწორობის დროებით დარღვევას და შემდგომ მის უპირობო აღდგენას. ძირითადი სიტუაციის ბუნებით აიხსნება სიუჟეტის წყობის სიმეტრიულობა. ნაწარმოების ეპიკური ჟანრისადმი მიკუთვნების კრიტიკრიუმებად შეიძლება ჩაითვალოს მთავარი მოვლენის გაორმაგება და სიუჟეტის უკუსიმეტრიული წყობა. სიუჟეტის გაშლის ორი შეუთავსებელი ფაქტორის — გმირის ინიციატივისა და გარემოებათა „ინიციატივის“, რაც ამ შემთხვევაში ისევე მოქმედია, ხოლო ზოგჯერ „უფრო მოქმედი“ ვიდრე გმირი (*ჭეველი, 1968-1971*) — თანასწორობის შედეგს რეტარდაცია წარმოადგენს. რეტარდაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა ასევე შეიძლება ჩაითვალოს გვაროვნულ ნიშნად. ეპიკურ სიუჟეტებში განგება და ბედისწერა განსაკუთრებულ როლს თამაშობენ, რაც მკითხველისათვის ნაკლებ თვალში საცემია, არამოტივირებული შემთხვევითობის არსებობასთან შედარებით. აუცილებლობა, ისევე როგორც შემთხვევითობა, დაკავშირებულია ქაოსისა და წესრიგის კატეგორიებთან. ეპიკისათვის, მთლიანობაში, დამახასიათებელია ამ ორი საწყისის თანასწორობებიანობა, ზოგჯერ — მათი დაპირისპირების უშუალო გააზრება ძირითადი სიუჟეტური სიტუაციის სახით. მხატვრულ რეფლექსიებში ეს თავისებურება აისახება ფატალიზმისა და თეოდეციის დამახასიათებელ ეპიკურ თემებში. შემთხვევა, შესაძლებელია გვევლინებოდეს დინამიკის ელემენტად, რომლის გარეშეც შეიძლება სიტუაციის ამ დროებითი რღვევის შეცვლა მისი მომდევნო აღდგენით. სიუჟეტების ორი ტიპის — ციკლორისა და კომულაციურის — გამიჯვნის საფუძველზე, რაც ემყარება მათ, ორ ურთიერთშემავსებელ, სამყაროს აღქმის კონცეფციასა და ამ სამყაროში ადამიანის მოქმედების სტრატეგიად გააზრებას, შესაძლებელია ეპიკური სიუჟეტის სპეციფიკა სწორედ სიუჟეტური წყობის ამ პრინციპების თანასწორობასა და ურთიერთქმედებაში დაგინახოთ. ეპიკური სიუჟეტების საზღვრების თავისებურება — მათი გახსნილობა, პირობითობა, შემთხვევითობა — ასევე პოულობს ახსნას ძირითადი სიუჟეტური სიტუაციის ბუნებაში. ეპიკური სიტუაცია არ იქმნება, არც გადაილახება და არც უკუიღდება ცალკე მოვლენით ან მოვლენათა ერთობლიობით. სამყაროს არსი, რომელიც ეპიკურ სიტუაციაში იხსნება, უცვლელია. ეპიკაში მოთხრობილი სიტუაცია მისთვის პოლარულ შესაძლებლობათა ფუნდამენტური დაპირისპირების გადაწყვეტაა: მოვლენისადმი შეზღუდულ თანაზიარობასა (სუბიექტის შინაგანი „დრამატული“ პოზიცია) და მისგან უსა-

ზღვრო განდგომას („ეპიკური ობიექტურობის“ პოზიცია), „კერძო დაინტერესებას“ და „უსაზღვრო საყოველთაობას“ შორის. ეპოსის შინაარსს წარმოადგენს იმ სამყაროს ერთიანობა, სადაც ხორციელდება ინდივიდუალური ქმედება. ამდენად მას განეკუთვნება ამ სამყაროს შეხედულებებთან, ქმედებებთან და მდგომარეობასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი საგნები. საკუთრივ ეპიკური სიცოცხლისუნარიანობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ძირითადი მხარე (განსაკუთრებული მოქმედება მისი ინდივიდებით და სამყაროს ზოგადი მდგომარეობა) მუდმივი განზოგადების მიუხედავად, ამ ურთიერთობაში მაინც ინარჩუნებენ აუცილებელ დამოუკიდებლობას, რათა გამოხატულება ჰპოვონ ისეთ ყოფაში, რომელსაც თავისთავად გააჩნია გარეგანი არსი (*ჭეველი, 1968-1971 : 113-119*).

ძირითად ეპიკურ ჟანრებს მიეკუთვნება: ეპოპეა, რომანი, ნოველა, მოთხრობა, მოკლე მოთხრობა, ნარკვევი და ლიტერატურული ესე. თუ ნოველისა და რომანის წყობა საკმაოა და დამუშავებული ლიტერატურათმცოდნეობაში, ამას ვერ ვიტყვით ისეთი პროზაული ჟანრების შესახებ, როგორებიცაა მოთხრობა, მოკლე მოთხრობა და მოკლე რომანი.

ქვემოთ მოგვყავს პროზაული ჟანრის ნაწარმოებთა რიგი განსაზღვრებები. უფრო დაწვრილებით პროზაული ჟანრის ნაწარმოებთა აგებულება განხილულია წინა პუბლიკაციებში (*მებუჯე თ., 1986*“, 2005:171-181, 2005 (2):126-144, 2006 c.128-140).

ესე — განისაზღვრება როგორც გარკვეულ თემაზე დაწერილი მცირე პროზაული ნაწარმოები (ლიტერატურული ლექსიკონი., 1961, ლიტერატურა და ლიტერატურული ჟანრები., 1978, კადლონი, 1979, მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია., 1962-1978, ლერატურათმცოდნეობის ტერმინები, 1999). ესეც ჟანრის მამამთავრად ითვლება ფრანგი მწერალი მ. მონტენი, რომელმაც 1580 წელს პირველმა გამოიყენა ეს ტერმინი თავისი ნაწარმოებისათვის, რომელიც ეძღვნებოდა დაკვირვებას საკუთარ თავსა და კაცობრიობაზე (*კადლონი, 1979*). თუმცა ჰ. რილის აზრით, ესეც ისევე ძველია, როგორც ნებისმიერი შემთხვევით დაწერილი ნაწარმოები და წარმოადგენს წერის უპიროვნო ფორმას — ღია წერილს, რომელიც არ არის მიმართული რომელიმე კონკრეტული პირისადმი. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით ინგლისში, ის განვითარდა როგორც

ლიტერატურის თავისებური ფორმა და თუმცა არასოდეს იზღუდებოდა კომპოზიციის რაღაც გარკვეული წესებით, მისი ტიპი ბოლო ორასი-სამასი წლის განმავლობაში მკაფიოდ განისაზღვრა (რიდი, 1952).

ნარკვევი — განისაზღვრება როგორც მოკლე პროზაული ნაწარმოები (თანამედროვე კრიტიკული ტერმინების ლექსიკონი, 1973, ბარნეტი, ბერმანი, ბარტო, 1964, კადონი, 1979, ლიტერატურა და ლიტერატურული ჟანრები, 1978, მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია, 1962-1978, ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინები., 1999). როგორც ეპიკური, უპირატესად პროზაული ჟანრი, რომელშიც აღწერილობით-თხრობითი ასახვა ფორმირდება „მოთხრობელის“ დაკვირვებებისაგან, რაც კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს. ნარკვევი ორი ფორმით განვითარდა — „დოკუმენტური“ (ანუ პუბლიცისტური) და მხატვრული. მხატვრულ ნარკვევში ასახვის საგანს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს: ამა თუ იმ გარემოს მდგომარეობა, ცხოვრების ყაიდა, ზნე-ჩვეულებები ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ანუ ადამიანთა შორის, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში ჩამოყალიბებული მყარი ურთიერთობები. მასში აქცენტი კეთდება არსებული ხასიათების მდგომარეობაზე, მათი ყოფის „სტატიკაზე“ და არა განვითარებაზე (მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია., 1962-1978).

ნოველა (იტალიური *novella* — ახალი ამბავი) — ლიტერატურის თხრობითი პროზაული ჟანრი, რომელიც მცირე თხრობით ფორმას წარმოადგენს. სიუჟეტი უჩვეულოსაკენ მიდრეკილებას ამჟღავნებს (ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინების ლექსიკონი, 1974). მოკლე ეპიკური ნაწარმოები კომპაქტური ფაბულური კონსტრუქციით, რომელიც დრამატულს უახლოვდება, დინამიური მოტივების სიჭარბით, ერთი მიმართულების მოქმედებით, ჩვეულებრივ, მოთხრობელის მკაფიოდ გამოხატული პოზიციით და ძლიერი აქცენტით პუანტის შემცველ დაბოლოებაზე (სიეროტვისკი, 1966). თავისი მოცულობით ნოველა შეესაბამება მოკლე მოთხრობას, ხოლო სტრუქტურით უპირისპირდება მას. ხასიათდება ფაბულის მკაფიო თხრობით. ნოველაში უნდა იყოს გამოხატული და მოულოდნელი გარდატეხა, საიდანაც მოქმედება მკვეთრად გადადის კვანძის გახსნაზე (მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია., 1962-1978). ასევე, გოეთე განსაზღვრავდა ნოველას, როგორც თხრობას ერთი უჩვეულო მოვლენის შესახებ (ეკერმანი, 1934). ნოველის, როგორც ჟანრის, ძირითად ნიშან-თვისებას

წარმოადგენს მტკიცე დაბოლოება. ფაბულიან ნოველაში ასეთ დაბოლოებას შეიძლება წარმოადგენდეს კვანძის გახსნა. ჩვეულებრივ ეს ახალი, ნოველისტური ფაბულის მოტივებისაგან განსხვავებული მოტივების შემოტანაა (ტომაშევსკი, 1996).

მოკლე მოთხრობა (*narratio*) — მცირე ზომის ეპიკური ნაწარმოები, რომელიც ნოველისაგან მეტი გავრცობითა და კომპოზიციის ნებისმიერობით განსხვავდება (ბარნეტი, ბერმანი, ბარტო, 1964, ბარნეტი, ბერმანი, ბარტო, 1971). ზღვარი ნოველასა და მოკლე მოთხრობას შორის არ არის მკაფიო და ჩვეულებრივ, ზოგადი ნიშნებით ერთმანეთს ემთხვევა.

მოთხრობა — როგორც ჟანრი იკავებს შუალედურ მდგომარეობას რომანსა და მოკლე მოთხრობას შორის. მოთხრობა მიეკუთვნება საშუალო ზომის ეპიკურ ნაწარმოებებს მიდრეკილებით გავრცობისადმი და ხასიათდება ნოველისა და მოთხრობის ზღვარზე არსებული სტრუქტურებით (სიეროტვისკი, 1966:177). მოთხრობაში, ნოველისაგან განსხვავებით, ჭარბობს ციკლური სიუჟეტური სქემა. ამით გამოხატულია მიმართება ცხოვრების ზოგადი კანონებისადმი და არა საყოფაცხოვრებო შემთხვევითობის ან საოცარი ისტორიული ფაქტებისადმი. მოთხრობის განსაზღვრისათვის გამოყენებულია სხვადასხვა კრიტერიუმი: 1. სემანტიკური (ობიექტის ასახვიდან გამომდინარე. მაგ. თხრობა ადამიანის ბედზე); 2. მოცულობით-სემანტიკური ან მოცულობითი (მოცულობით მოთხრობა მერყეობს ნოველასა და რომანს შორის, მაგრამ მისი მოცულობა მკაცრად განსაზღვრული არ არის და, თავისთავად, მნიშვნელოვან ჟანრულ მახასიათებლად არ გამოდგება) (მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია., 1962-1978:814).

მოკლე რომანი (*novelte*) — წარმოადგენს რომანის წამყვან ფორმას XX საუკუნის ინგლისურენოვან ტრადიციაში. ჩვეულებრივ განისაზღვრება როგორც რომანის მოკლე ფორმა (პატი, 1966:291). ითვლება, რომ მოკლე რომანს შუალედური მდგომარეობა უკავია მოკლე მოთხრობასა და რომანს შორის. მოკლე რომანში ხშირად აღინიშნება მოთხრობისთვის დამახასიათებელი მრავალი სპეციფიკური ნიშან-თვისება — თემის ორიგინალობა, გამონაგონის ხელოვნება, მაგრამ აკლია ერთი მთავარი — სისხარტე (მეტიუ, 1907:12, მილერი, 1984:151-67). სხვა თეორიის თანახმად, მოკლე რომანს შუალედური მდგომარეობა უკავია მოკლე მოთხრობასა და რომანს შორის და ათავსებს ამ ორივე ჟანრის თვისებებს (თანამედროვე კრიტიკული

ტერმინების ლექსიკონი, 1973, ბარნეტი, ბერმანი, ბარტო, 1964). მოკლე რომანის, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის, არსებობა არ არის საყოველთაოდ აღიარებული. მაგრამ არსებობს ნაწარმოებები, რომლებიც ვერ თავსდება ვერც მოთხრობისა და ვერც რომანის ჩარჩოებში. მათ ეძლევათ რთული სახელები, მაგალითად, „რომანტიკული მოთხრობა“. ამავე დროს ეს ნაწარმოებები ხარისხობრივად განსხვავდება როგორც რომანის, ასევე მოთხრობისაგან. „ასეთი ნაწარმოებების მიმართ უპირანია გამოვიყენოთ არც ისე იშვიათი სახელწოდება „მოკლე რომანი“ (მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია, 1962-1978:815).

რომანი — თავდაპირველად, თხრობითი ჟანრი, პროზაული ან გალექსილი, ლათინურისაგან განსხვავებულ, ხალხურ ენაზე. XVI საუკუნიდან, სიტყვა „რომანი“ აღნიშნავდა გამოგონილ, მნიშვნელოვანი მოცულობის (რაც მას მოთხრობისაგან გამოარჩევდა) პროზაულ ნაწარმოებს. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: ადამიანის გამოსახვა სასიცოცხლო პროცესის რთულ ფორმებში, სიუჟეტის მრავალხაზიანობა (რაც მთელ რიგ მოქმედ პირთა ცხოვრებას მოიცავს), მრავალხაზიანობა, ყოველდღიური ყოფის სრულ მრავალწახნაგოვნებაში წარმოჩენა (პანორამულობა), აქედან გამომდინარე — სხვა ჟანრის ნაწარმოებებთან შედარებით დიდი მოცულობა (ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინების ლექსიკონი, 1974:328-331). რომანში თხრობა წმინდა ლიტერატურული გამონაგონის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც არც ისტორიული და არც მითოლოგიური სარწმუნოების პრეტენზია არ გააჩნია. ამ თვალთახედვით, რომანის ფოლკლორულ ეკვივალენტს ზღაპარი წარმოადგენს — ჟანრი, უფრო ზუსტად, მცირე ჟანრების ჯგუფი — რომლებიც რომანის ფორმირებაში მონაწილეობდნენ, ხოლო შემდგომ, თავის მხრივ, განიცადეს მისი გავლენა. რომანს, ეპოსისაგან განსხვავებით, ზღაპრის მსგავსად ახასიათებს სპეციფიკური ინტერესი ცალკეული პიროვნების ფორმირებისა და მისი ბედისადმი (გამოცდა და თავგადასავლები), მაგრამ ზღაპარზე მეტადაა ორიენტირებული „პირადი ცხოვრებისა“ და ეპიკური ფონიდან საკმაოდ ემანსიპირებული პიროვნების ასახვაზე. რომანი შეეჭიდა ზღაპრისთვის მიუწვდომელი, შინაგანი სულიერი კოლიზიების, ხოლო მოგვიანებით — ფართო საყოფაცხოვრებო ფონის ასახვას (მელეტინსკი, ნეკლიუდოვი, ... 1968:166-177). მ. ბახტინს მოყავს სამი ძირითადი ნიშან-თვისება, რომლებიც რომანს დანარჩენი ჟანრებისაგან გამოარ-

ჩევს: 1) რომანის სტილისტური სამგანზომილებიანობა, რაც დაკავშირებულია მასში რეალიზებულ მრავალენოვან შეგნებასთან; 2) რომანში, ლიტერატურული სახის დროითი კოორდინატების ძირეული შეცვლა; 3) რომანში ლიტერატურული სახის ჩამოყალიბების ახალი ზონა, კერძოდ, თანამედროვეობასთან (მის დაუსრულებლობასთან) მაქსიმალური კონტაქტის ზონა (ბახტინი, 1970:95-122)

ასეთი განსხვავება ეპიკური პროზის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების კლასიფიკაციის პრინციპების მიხედვით ბადას ჩვენში აზრს, რომ საჭიროა ერთიანი ნიშან-თვისებების აღმოჩენა, რომლების მიხედვით შესაძლებელი გახდება სხვადასხვა პროზაული ჟანრის ნაწარმოებების განხილვა როგორც ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული სისტემა.

ლიტერატურა

არისტოტელე, 1978 — Аристотель. Поэтика // Аристотель и античная литература. М., 1978. С. 149-151.

ბარნეტი, ბერმანი, ბურტო, 1964 — Barnet S., Berman M., Burto W. A Dictionary of Literary Terms. London, 1964.

ბარნეტი, ბერმანი, ბარტო, 1964 — Barnet S., Berman M., Burto W. A Dictionary of Literary Terms. London, 1964.

ბახტინი მ. 1970 — Бахтин М. Эпос и роман: О методологии исследования романа. — ВЛ, 1970, №1, с. 95-122

ეკერმანი, 1934 — Эккерман И.П. Разговоры с Гете в последние годы его жизни. М.- Л., Academia, 1934 – 965 с.

თანამედროვე კრიტიკული ტერმინების ლექსიკონი, 1973 — A Dictionary of Modern Critical Terms / Ed. by R. Fowler. London, 1973.

კადონი, 1979 — Cuddon J.A. A Dictionary of Literary Terms. London, 1979:98.

კალხეინზი, 1977 — Stierle Karlheinz. Die Struktur narrativer Texte: Am Beispiel von J. P. Hebels Kalendergeschichte «Unverhofftes Wiedersehen» // Funk-Kolleg Literatur 1. / Ed. H. Brackert; E. Lämmert. Frankfurt a. M., 1977. S. 210—233.

ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინები, 1999 — Литературоведческие термины (материалы к словарю). Вып. 2. Коломна, 1999.

ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინების ლექსიკონი, 1974 — Словарь литературоведческих терминов / Ред.-сост. Л.И. Тимофеев и С.В. Тураев. М., 1974. Т.1, с.516, 328-331.

ლიტერატურული ლექსიკონი, 1961 — Kleines literarisches Lexicon. 3. völlig erneuerte Aufl. B. 1. / Hrsg. von W. Kayser. Bern und München. 1961.

ლიტერატურა და ლიტერატურული ჟანრები, 1978 — Littératures et genres littéraires / Par J. Bessière et al. Paris, 1978.

მებუკე, 1986 — Мебуке Т.Ш. «Структура абзаца в жанрах эпической прозы» (на материале английского языка). Автореферат кандидатской диссертации. Тбилиси, 1986

მებუკე, 2005 — ეპიკური ჟანრების ნაწარმოებთა კლასიფიკაციის სტრუქტურულ-სემანტიკური საფუძვლები. — საენათმეცნიერო ძიებანი XVIII Linguistic Papers. თბილისი, „ქართული ენა“, 2005, გ.171-181

მებუკე, 2005 — ეპიკური ჟანრის ნაწარმოებთა სტრუქტურული კლასიფიკაციის საფუძვლები. ენა, თარგმანი, ლიტერატურა X. თბილისის ილია ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2005.

მებუკე, 2006 — Жанровая специфика произведений художественной прозы. — Научные труды. Серия:Филология XII. Санкт-Петербургский гос. ун-т, Тбилисский гос. ун-т. Ин-т русистики, славяноведения и международных коммуникаций. С.-Петербург-Тбилиси, 2006.

მებუკე, 2006 — პროზაული ჟანრების სტრუქტურულ-სემანტიკური კლასიფიკაცია, სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 2006.

მელეტინსკი, ნეკლიუდოვი, 1968 — Мелетинский Е.М., Неклюдов С.Ю., Новик Е.С., Сегал Д.М. К построению модели волшебной сказки//“Тезисы докладов в Третьей летней школе по вторичным моделирующим системам”. Тарту, 1968, с. 166-177.

მეტოუ, 1907 — Matthews B. The Short Story. – New York; Chicago: American Book Company, 1907. – 399 p. p. 12

მილერი, 1984 — Miller, Carolyn R. "Genre as Social Action." Quarterly Journal of Speech 70 (1984): 151-67.

მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია, 1962-1978 — Краткая литературная энциклопедия (КЛЭ). Т. 1-9. М., 1962-1978 с. 516-517, Т.5:306-308, 814, 815.

პატე, 1966 — Pattee Fred Lewis. The Development of the American Short Story. A Historical Survey. – New York: Biblo and Tannen, 1966. – 388 p. p. 291

რიდი, 1952 — Read Herbert. English Prose Style. – London: G.Bell and Sons, LTD, 1952. p. 66-67.

სვეილზი, 1990 — Swales, John M. Genre Analysis: English in Academic and Research Settings. Cambridge: Cambridge UP, 1990.

სვეილზი, 2002 — Swales, John M., and Margaret A. Luebs. Genre Analysis and the Advanced Second Language Writer. Discourse Studies in Composition. Ed. Ellen Barton and Gail Stygall. Cresskill, NJ: Hampton P, 2002. 135-532. Texte, Themen und Strukturen. Dьsseldorf, 1992.

სიეროტვინსკი, 1966 — Sierotwiński S. Słownik terminów literackich. Wrocław, 1966. p. 170, 177.

სტერჯესი, 1992 — Sturgess Philip J. M. Narrativity: Theory and Practice. Oxford, 1992.

სტერჯესი, 1990 — Sturgess Philip J.M. Vocabulaire d'esthétique / Ed. A. Souriau. Paris, 1990.

სტიგალი, 2002 — Stygall, Gail. Narrative Discourse Analysis and Legal Texts. Discourse Studies in Composition. Ed. Ellen Barton and Gail Stygall. Cresskill, NJ: Hampton P, 2002. 257-82.

ტომაშევსკი, 1996 — Томашевский Б. В. Теория литературы. Поэтика. М., 1996.

ჰეგელი, 1968-1971 — Гегель Г.В.Ф. Эстетика: В 4 т. Т. 1, 3. М., 1968-1971.

TAMAR MEBUKE

Main Genres of Epic Prose

Summary

The paper deals with the main principles of classification and subdivision of works of epic prose genres. A variety of principles used in definitions of different genres - an essay, a sketch, a novel, a short story, a story, a short novel, a novel - is reviewed. The analysis leads the author to the conclusion that the creation of a single system presenting works of epic prose as united and interrelated units is essential.

მანა მიხაშტაძე

**იყუვნენ, ქუველ, იშუვნენ... ტიპის ფორმათა
ანალიზისათვის**

იყუვნენ. ქუველ, იშუვნენ... ტიპის ფორმები ხანმეტი ძეგლებიდან იჩენს თავს და შემდეგი პერიოდის ძეგლებშიც გვხვდება.

მაგალითად: მიხეახლა მათ და თან **ხუვილოდა** (ხ/ლ. ლკ. 24: 15); **ზაკვა** (ხ/მრ. 17ბ2); **უზაკველი** (ხ/მრ. 18ბ15); **ქუველის** (C მთ. 6, 1); **მსაკუვარო** (C ლკ. 12, 56); ხანმეტსა და ABCDEF ოთხთავებში **ხნერწყუვიდენ** ფორმაში გვაქვს **აქუ** (**უგ**) დაწერილობა, აღიშის ოთხთავში ამ სიტყვაში **ქ** (**ვ**) ზის — **ხნერწყუდენ** (მარკ. 10, 34); ამ უკანასკნელში ერთადერთხელ დადასტურდა ფორმა **ყუვნეს** (მთ. 7, 24); ხანმეტ ოთხთავში იმავე კონტექსტში სიტყვა დიგრაფითაა წარმოდგენილი — **აქანუს**, ხოლო IX-XI სს. სხვა ოთხთავებში ვინით: **აქანუს**... **არა შესწყვიდა** (ძლ. 141-20, 13); **აკუვიო** (მ/ქ. 327, 11); **ვიყუნეთ** (აბუს. 24, 184); **იყუენით** (ქისკ. 138, 10)...

მსგავსი ფორმების ანალიზისას თ. უთურგაიძეს ძველ ქართულ ენაში რედუქციის შემდეგ ისეთივე ირაციონალური ხმოვნის არსებობას ვარაუდობს, როგორც დადასტურებულია მთის კილოებში (იყვენეს, ქევა, ჰყვანდა...) და Vგ კომპლექსის ადგილზე მოულოდნელად არ მიიჩნევს უგ კომპლექსს: „კერძოდ: *იყვენენ < იყვენენ < იყვენენ < იყუვენენ; ე. ი. ასიმილაციის შედეგად მომხდარა ირაციონალური ხმოვნის ლაბიალიზაცია, რის შედეგადაც მივიღეთ უ. ასევე *იშვენენ > იშვენენ > იშუვენენ (უთურგაიძე, 1966, 102).

ასეთ შემთხვევაში, საინტერესოა, რატომ არ დამკვიდრდა ასეთივე **უგ** დაწერილობა სხვა, მსგავსი გზით მიღებულ, რედუქციურულ ფუძეებში ან დადასტურებულ ფორმებში მისი გამოყენების უნიანი ან ვინიანი გრაფემებით წარმოდგენის პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებით? ვვლისხმობთ იყუვენენ || იყვენენ და შვა || შუვა || შუა ფორმათა გამოყენების პროცენტულ მიმართებებს; მაგალითად, მხედ-

რულით შესრულებულ ქართულ ისტორიულ საბუთებში იყუნეს ფუძე 57,1% დაფიქსირდა, ხოლო იყვნეს — 42,9%; ნუსხურით შესრულებულ ისტორიულ საბუთებში ვინიანი ფუძე 96% შეგვხვდა და მხოლოდ ერთადერთხელ დავაფიქსირეთ უნიანი ფორმა **წარმოიყუანა**, რაც შემთხვევათა 5%-ია; მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ იმავე ფუძეში თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში 65% ვინი დავაფიქსირეთ და 35% — უ; თანხმოვანებს შორის მხოლოდ უ-ა ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“, ანტონ კათალიკოსის „ქართულ ღრამმატიკასა“ და გაიოზ რექტორის „ქართულ ღრამმატიკაში“...

ჩვენი მიერ შესწავლილ სხვა ძეგლებში უვ დაწერილობიანი ფორმები ან საერთოდ არ დასტურდება, ან თითო-ორიოლა შეიძლება შეგვხვდეს... გამონაკლისს წარმოადგენს სვანეთის ისტორიული საბუთები, რომლებშიც იშვა || იშუვა || იშუა ფორმათა გამოყენების პროცენტული მაჩვენებელია: 29,4% — 41,2% — 29,4%. ამავე საბუთებში უვ დაწერილობა საკმაოდ ხშირია და მოულოდნელი ისეთ ფორმებში, როგორცაა: ჩუვენ (სვ. II, 137), ყუველათა (სვ. II, 138), შუვილთა (სვ. II, 137), მოყუვარე (სვ. II, 138); შუველაი (სვ. II, 138), საურაუვი || საურავი (სვ. II, 138), ლხინისათუვის (სვ. II, 138), მოჭირვებისათუვის (სვ. II, 138), ქუვეყანისა (სვ. II, 139), თქუვას (სვ. II, 139), გამოშუვებთ (სვ. II, 139), ყუველასა (სვ. 110); დაგუვიც (სვ. II, 139), შუვამდგომელობითა (სვ. II, 106), გუვებადა 9სვ. II, 10), უნდურაუვად (სვ. II, 6)...

შენიშვნა: უვ დაწერილობის ეს ფაქტები, სავარაუდოდ, ძირითადად ერთი ხელიდან გამოსულ საბუთებშია დაფიქსირებული.

იყუნენ, იშუნენ, ქუველი ტიპის ფორმებს ი. იმნაიშვილი **იყუნენ || იყუნენ, იშუნენ || იშუნენ, ქველი || ქუელი** ფორმებში ვ-უ სუბსტიტუციის გარდამავალ საფეხურად მიიჩნევს და აღნიშნავს: „გვაქვს შემონახული ისეთი შემთხვევებიც, როცა შესანაცვლებელი /ვ/ და შემნაცვლებელი /უ/ ორივეა წარმოდგენილი. ეჭვი არაა, ეს წარმოდგენს გარდამავალ საფეხურს, როცა ეს პროცესი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გამტკიცებული; ისმის ბგერა, რომელიც აკუსტიკურად ნაწილობრივ ერთსაც ჩამოჰგავს და მეორესაც. ასეთ შემთხვევაში სასწორი მანც უ-სკენ არის გადახრილი, რასაც, სხვათა შორის, ამ ბგერების რიგიც მიუთითებს; ყველა მოპოვებულ მაგალითში წინ

არის უ, მას მოსდევს ვ“ (იმნაიშვილი, 1982, 117).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მისაზრება, რომ V-IX საუკუნეთა ქართულში [ვ], [უ], [უ] ბგერები ალოფონებია და მათი გადმოცემისას ასახული აღრევები დაკავშირებულია ქართულ დამწერლობაში ბერძნულის საფუძველზე შემოტანილ უმართებულო ორთოგრაფიულ ცვლილებებთან ასომთავრული უ გრაფემით აღნიშნული ბგერა წყვილბაგისმიერი იყო ოდითგანვე. ანბანში თავიდან არ აისახებოდა კბილბაგისმიერი ვ (ფუტკარაძე, 1998, 86).

ჩვენი დაკვირვებით, V-XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში C_N-V და C-C პოზიციებში წყვილბაგისმიერი [უ] ბგერა გადმოცემულია **აქ** და **უ**, ზოგჯერ **ქ** გრაფემებით; #V და V-C პოზიციებში **უ** და **ქ** (იშვიათად) გრაფემებით; C_S-V, V-V, V-#, #-C პოზიციებში **უ** გრაფემებით. #-V, V-V, V-C, V-#, #-C პოზიციებში გამოვლენილი **უ** შეიძლება გადმოსცემდეს თითქოს უფრო „კბილბაგისმიერობისკენ გადახრილ“ ბგერას, როგორც ამას ვაკვრით აღნიშნავს არნ. ჩიქობავა ძველ ქართულში საერთოდ ვინით გადმოცემული ბგერის შესახებ, ანდა შეიძლება უფრო ვიწრო სპირანტი, ვინემ წყვილბაგისმიერი“ (გრცლად იხ. მ. მიქაუტაძე, 2005).

რამდენადაც სვანთა მეტყველებისათვის უცხოა კბილბაგისმიერი ვინი, ამდენად იმ შემთხვევაში, თუკი ასომთავრული უ ამ უკანასკნელის აღმნიშვნელი გახლდათ, იგი ნაკლებ უნდა დადასტურებულიყო სვანთა ზეპირი მეტყველების ფიქსირებისას (ეპიგრაფიკულ წარწერათა ენაში); შესაბამისად, ბუნებრივია, მოსალოდნელი იქნებოდა, დიგრფი (თავისი ვარიანტებით). გვაქვს კი აბსოლუტურად საპირისპირო ვითარება: IX-XI სს. წარწერებში C_N-V პოზიციაში დაახლოებით 94% უ გრაფემა ზის და 6% — **აქ**; აქვე აღვნიშნეთ, რომ სონორთა შემდგომ სვანურ წარწერებში მხოლოდ უ გრაფემაა (მიქაუტაძე, 2005, 32) წარმოდგენილი. სვანური მეტყველების ამსახველი წარწერებისა და ისტორიული საბუთების ენათა ანალიზი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმისა, რომ როგორც ასომთავრულით, ასევე მისგან მომდინარე ნუსხურითა და მხედრულით შესრულებულ ძეგლებში ქართული ანბანის მეექვსე ასო-ნიშნით გადმოცემული /ვ/ ბგერა, ძირითადად, წყვილბაგისმიერია!

ტ. ფუტკარაძის აზრით (მოსაზრება გამოთქმულია ზეპირ საუბარში), ყუვენ, იშუნენ, ქუველ ტიპის ფორმებში, ჩანს, რთული გასარკვევი იყო ფუძისეული ბაგისმიერი ბგერის ხასიათი (მარცვლოვანი

იყო, თუ უმარცვლო), რის გამოც, მის გამოსახატავად ასომთავრულით შექმნილ ძეგლებში იყენებენ **აქ**-ს, ნუსხურითა და მხედრულით შესრულებულგებში — შესაბამისად **აქ** და **უგ** დაწერილობებს (შდრ.: პირის ნიშნებს ჰ-სა და ს-ს შორის გარდამავალი ბგერის გამოსახატავად გამოიყენებოდა ჰს დიგრაფი).

ჩვენი აზრით, გარდამავალი ბგერა ისმის იყუნენ (< იყუნენ || იყენენ < იყავენენ), იშუნენ (< იშუნენ || იშვენენ < იშვენენ) ტიპის ფორმებში.

რაც შეეხება მოყუარე || მოყვარე || **მოყუვარე**, ზაკუა || ზაკვა || **ზაკუვა**, ქუელ || ქველ || **ქუველ** ტიპის მაგალითებს: ამ ფორმებში C-V პოზიციაში ყოველთვის უმარცვლო უ-ა.

თუ **უგ** დაწერილობა ხაზგასმულ სიტყვებში გარდამავალი ბგერის გადმომცემია, მაშინ, გადამწერი თუ ავტორი, იმავე დაწერილობას რატომ არ იყენებს სხვა მრავალ ისეთ ფორმაში, როგორცაა: ლუაწლი, მეტყუელი, ზღუა, ყუელი...?

ვფიქრობთ, რომ **იშუნენ || იშვენენ...** ტიპის ფორმებში უ/ვ გრაფემათა მონაცვლეობა, რომლებიც მოცემულ პოზიციაში წყვილბაგისმიერი სონანტის გადმომცემნი არიან, იმ პერიოდის ორთოგრაფიულ ნორმათა შედეგია. ასევე „ორთოგრაფიული კონსერვატიზმის“ შედეგად მიღებულად ვთვლით **იყუნენ, იშუნენ, ქუველი** ფორმებსაც: გადამწერი ჯერ წერს დიგრაფს, რომელიც წესის მიხედვით, მარცვლიანთან ერთად, უმარცვლო უ-საც გადმოსცემდა და გამოთქმისათვის ბუნებრივი წყვილბაგისმიერი ბგერის შესაბამისიც იყო; ამავე დროს, იგი პატივს სცემს ტრადიციას და წერს ვინსაც. შედეგად მივიღეთ **უგ** დაწერილობა, რაც შეეხება სვანურ ლაპიდარულ წარწერათა და ისტორიული საბუთების მონაცემებს: სვანი შემსრულებელი **მოყუვარე** ტიპის ფორმებში ჯერ დიგრაფს წერს ნორმის შესაბამისად; ვინაიდან ეს ნიშანი მისთვის მხოლოდ მარცვლოვანი [უ] ბგერის გადმომცემია, იგი წერს მისი მეტყველებისათვის ბუნებრივ წყვილბაგისმიერ [გ]-ს გადმომცემ გრაფემასაც და ვიღებთ კვლავ **უგ** დაწერილობას.

შემოკლებანი და დათმული ნიშნები

აბუს. — აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე (1233 წლის ტექ-

სტი), თბ., 1941.

მქ- — მოქცევა ქართლისა, მოთავსებულია: „მატბერდის კრებულში“.

სგ. II — სვანეთის წერილობითი ძეგლები II, ეპიგრაფიკული ძეგლები, გამოსცა ვალერი სილოგავამ, თბ., 1988.

ქისკ — ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., თბ., 1984.

ლკ. — სახარება ლუკასი.

მარკ. — სახარება მარკოზისი.

მთ. — სახარება ლუკასი.

ძლ. — ნევირებული ძლისპირი (ხელნაწერი — 603), გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მ. კიკნაძემ, თბ., 1982.

ხმრ. — ხანმეტი მრავალთავი, აკ. შანიძე, ტუმ, VII, 1927.

ხკლ. — ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპური რეპროდუქცია), გამოსცა და სიმფონია დაურთო აკ. შანიძემ, 1924.

X — ხანმეტი ოთხთავი (V-VI ს.ს.), ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბ., 1984.

A — ოპიზის ოთხთავი (913 წ.).

B — ტბეთის ოთხთავი (955 წ.).

C — ადიშის ოთხთავი (897 წ.).

D — ჯრუჭის ოთხთავი (936-940 წ.).

E — პარხლის ოთხთავი (937 წ.).

F — ბერთის ოთხთავი (988 წ.).

C_გ — სონორი თანხმოვანი.

C_ნ — არასონორი თანხმოვანი.

C — თანხმოვანი.

V — ხმოვანი.

— პაუზა.

ლიტერატურა

აბუსერისძე ტბელი, 1941 — აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე (1233 წლის ტექსტი), გამოსცა ლ. მესხიშვილმა, თბ., 1941.

ანტონი, 1997 — ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა (მეო-

რე რედაქცია — 1767). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ელენე ბაბუნაშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ, ლია კიკნაძემ, ლექსიკონი დაურთო ელენე ბაბუნაშვილმა, თბ., 1997.

გაიოზ რექტორი, 1970 — გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ცოტნე ნიკოლაიშვილმა, თბ., 1970.

იმნაიშვილი, 1982 — ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1982.

მიქაუტაძე, 2005 — მ. მიქაუტაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის საკითხები V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქუთაისი, 2005.

ნევემირებული ძლისპირი, 1982 — ნევემირებული ძლისპირი (ხელნაწერი — 603), გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მ. კიკნაძემ, „მეცნიერება“, თბ., 1982.

სილოგავა, 1988 — ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები II, ეპიგრაფიული ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, თბ., 1988.

უთურგაიძე, 1966 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი. მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, თბ., 1966.

ფუტკარაძე, 1998 — ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

ქართლის ცხოვრება, 1942 — ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942.

ქართლის ცხოვრება, 1954 — ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტი, ექვთ. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1954.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1984 — ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

ქაჯაია, 1984 — ლ. ქაჯაია, ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, „მეცნიერება“, თბ., 1984.

შანიძე, 1924 — აკ. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპური რეპროდუქცია), გამოსცა და სიმფონია დაურთო აკ. შანიძემ, თბ., 1924.

შანიძე, 1927 — აკ. შანიძე, მრავალთავი, გამოსცა აკ. შანიძემ, ტუმ. VII, თბ., 1927.

შატბერდის კრებული, 1979 — შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1979.

MAYA MIKAUTADZE

Analysis of the Forms of iquvnen, kuvel, išvnen Type

Summary

The forms of iquvnen, kuvel, išvnen type date back to the 5th - 7th centuries when *x* was used as the second subjective and third objective marker.

T. Uturgaidze assumes that after the reduction processes in Old Georgian there occurred the irrational vowel, similar to the one evidenced in the Highland dialects; he does not find unexpected the substitution of *v* complex by *ue*.

According to I. Imnaishvili the discussed forms are the intermediate stage in *v-ū* substitution process. The viewpoint presented in the paper considers the alternation of *u-v* (depicting the labialized sonant) to be the result of orthographic conservatism. This viewpoint is supported by the data from Svan historical documents where the complex *uv* is encountered in totally unexpected forms.

განანა მიჰამი

მეორე სუბიექტური პირის ბაზოხატვა თანამედროვე
ქართულ ენაში

თანამედროვე ქართულ ენასა და მის დიალექტებში არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს II პირის გამოხატვის თვალსაზრისით, სწორედ ამ სურათის წარმოჩენაა ჩვენი მიზანი.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მეორე სუბიექტური პირის ნიშნებია პრეფიქსები: **ჰ-**, **ს-**, **ფ-**, **ხ-**, მრავლობითობას კი **-თ** სუფიქსი აწარმოებს:

ჰ-პარავ, **ჰ-**პარავ-თ, **ს-**თლი, **ს-**თლი-თ, **ფ-**აშენებ, **ფ-**აშენებ-თ, **ხ-**არ, **ხ-**არ-თ.

აქ. შანიძის აზრით, **ჰ-** გამოიყენება **ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, ყ,** თანხმოვნების წინ, **ს-** გამოიყენება **დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჟ, ჩ, ჰ** თანხმოვნების წინ. ნიშანი არა გვაქვს მაშინ, როცა ზმნა იწყება ხმოვნებითა და ზოგიერთი თანხმოვნით. **ხ-** შემორჩენილია მხოლოდ **ხ-არ, მო-ხ-ვედი, მო-ხ-ვალ** ზმნებში.

მეორე სუბიექტური პირის ნიშანი არ გვხვდება მაშინ, როცა:

1. ზმნის ფორმაში ადგილი აქვს პირთა შეხვედრას: სუბიექტად მეორეა და ობიექტად პირველი: მ-ხატავ შენ მე.

2. ზმნის კილო წართქმითი ბრძანებითია.

კახურში მეორე სუბიექტური პირის ნიშნებად **ჰ-**სა და **ს-**ს დასუსტების შედეგად გვხვდება . ამ პრეფიქსების ხმარება არეულია. **ჰ** ან მისი ბგერანაცვალეები **ს** და წართქმით ბრძანებითშიც გვხვდება და უკუთქმითშიც.

მაგალითად, წართქმითი ბრძანებითი: გა წიე, წადი! აბა გადა ხედე, ვინ არი! მიდი გადა ხედე!

უკუთქმითი ბრძანებითი: არ გადა ხედო, ნუ გადა ხედავ!

თუმცა ენის ნორმების მიხედვით II პირის ნიშნების გამოყენება სავალდებულო არ არის.

ზოგჯერ გვხვდება ერთპირიანი ზმნასთანაც: ახლა სოფლიდან დაიქუხა; მეორე დღეა გა თენდა (შალამბერიძე, 1955).

ქართულურში დადასტურებულია **ჰ** ხმარების ექვსი სახეობა (**ჰ → ჰს → ს → ს → → 0**).

მეორე სუბიექტური პირის ნიშნად უფრო ხშირად გვხვდება **ჰ-**, მაგალითად, **ჩამოჰყრი, ჩაჰკიდავ, დაჰკრამ, მოჰკლამ, შეჰწვედები.**

სანი: დასტოვე, დასტყვივლე, დასთანხმდი, მოსთხოვე (ბერიძე, 1988)

იმერულში, ჩვეულებრივ, ფონეტიკურ საფუძველზე დაკარგულია მეორე სუბიექტური პირის ნიშანი **ჰ-//ს-** ნიშანი (**ხ-არ, მო-ხ-ვალ** ზმნებში **ხ-** შენარჩუნებულია, ოღონდ ქვემოიმერულში მო-ხ-ვედი ფორმის ნაცვლად ხშირად დასტურდება **მო-დი** — ემთხვევა ბრძანებითს). აქვე შევნიშნავთ, რომ იმერულის ზოგიერთ თქმაში ხსენებული ფორმანტი მაინც ჩნდება. ასეთი ვითარებაა მაგალითად, ხანურ-ზეგნურში: **დასჩენავ, დასდაგავ, დასჩენავს, დასდაგავს; ან: ვსტირი, ასტირდა** და სხვ. (პ. გაჩეჩილაძე); ზემოიმერულში დადასტურდა **დასწევი, დასწევიტი, დასწევიტა, ჭვარი დეისწერა, ესწერა** ტიპის ფორმები (ქ. ძოწენიძე). შესაძლოა, აქ სწ გადამოსცემდეს წ-ს ინტენსიურ გამოთქმას. იმავდროულად მი-ც-ა იხმარება ს- ფორმანტის გარეშე (**ც-**ს ინტენსიური წარმოთქმით). ზოგ თქმაში სპორადულად ჩნდება **ჰ-//ს-** ფორმანტის ფონეტიკური ნაირსახეობანი (**ხ-ყავ-ს//ხავ-ს, და-ხ-კრა** ფეხი, **მო-შ-ჭრ-ი-ან** თავს) ან მისი ზემოქმედების კვალი (**და-ჰ-კრა, დაჰკრა → დაჰქრა, დაჰპირდა → დაფირდა** ყრუ ფშვინვიერად იქცევა ფუძისეული ყრუ მკვეთრი ბგერა) (ჯორბენაძე, 1989, გვ. 467)

ლეჩხუმურში მეტ-ნაკლებად დაცულია მეორე სუბიექტური პირის ნიშანი **ჰ-//ს-**, თუმცა რყევას განიცდის და თანდათანობით გაქრობისაკენ მიემართება (შ. ძიძიგური): **სჰამ → შჰამ, მისდეგს → მისდეგს**. ამ თვალსაზრისით ღირსსაცნობია შემდეგი ფონეტიკური ნაირსახეობანი: **ჰყავს → ხავს; მოჰყვა → მოხვა; ამოჰყვება → ამოხობა; შეჰყოლოდა → შეხოლოდა; ჰქონდა → ხონია, ხონდა, ჰქონია** ზოგჯერ **ჰ** ფონეტიკურად ცვლის (აფშვინიერებს) ფუძისეულ თანხმოვანს (პროგრესული ასიმილაციით), თვით კი იკარგვის: **მოჰპარა → მოფარა, დაჰპირდა → დაფირდა, ჰკითხა → კითხა, დაჰკიდა → დაქიდა** (ქ. ლომთათიძე), შემდგომ კი ამგვარად ცვლილი ფუძე შესაძლოა განზოგადდეს და სხვა პირის ფორმებშიც შეგვხვდეს:

„დავკიდეთ საქვაბეზე“; **ჰყავს** → **ხავს** ტიპის ფორმებში **ხ**-ს შესაძლოა ძლიერი ფენიგვიერება ახლდეს თან: ჰხავს (ჯორბენაძე, 1989, გვ. 505).

მეორე სუბიექტური პირის ნიშანი, ისევე როგორც სხვა დასავლურ კილოებში, გურულში აღარ გამოიყენება.

აჭარულში მეორე სუბიექტური პირის ნიშნები რიგ თავისებურებებს გვიჩვენებენ, რაც ძირითადად ზემოაჭარულში ჩნდება. ზოგჯერ **ჰ**- მოსალოდნელ ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის: **დაჰტკერის, დაჰტკერი; შეჰჰამ, შეჰჰამს, მო-ჰწყდა; ს-//შ-** შიშინა რიგის ყრუ თანხმოვნების წინ (**შჰირდება, შეჰჰამს// შეჰჰამს**), **შ-//ჟ-** იმავე რიგის მჟღერის წინ (**ჟჰობნის, დაჟჰერდა**); **ხ-** ნაირსახეობა გვხვდება **კ, ყ** თანხმოვნების წინ (**ახკიდა, გამოხყვა**), ზოგჯერ **გ** თანხმოვნის წინაც (**მიხგვარა**). თავს იჩენს ამ რიგის ცვლილებაც: **ჰყოლია** → **ხყოლია // ხოლია** და ასე: **ხყავს // ხავს, მიხყავს // მიხავს** და სხვ. შეინიშნება პირის ნიშანთა კონტამინირებული ნაირსახეობანიც: სი-სინა თანხმოვნების წინ **ჰს-** (**აჰსწია, დაჰსწვა, მიჰსცა**), შიშინა თანხმოვნების წინ **ჰშ-** (**გაჰშჰრა, დაჰშჰირდა**), ყრუ მკვეთრი **კ, ყ,** თანხმოვნების წინ **ჰხ-** (**მოჰხკიდა, მოჰხყვა**); გარდა ამისა: **მისცა** → **მისსა, მოშჰრა მოშჰრა** ინტენსიური გამოთქმით (ქ. ლომთათიძე, ჯ. ნოლაიდელი, შ. ნიჟარაძე) (ჯორბენაძე, 1989, გვ. 537-538).

იმერხელში (კლარჯულში) მეორე სუბიექტური პირის ნიშანი არ გვხვდება.

ჯავახურში მეორე სუბიექტური პირის ნიშნების ხმარებისას რაიმე კანონზომიერება დაცული არ არის. ამ მხრივ ჯავახური მისდევს ქართულს. მეორე სუბიექტური პირის ნიშნად უპირატესად **ჰაე** იხმარება, ნაწილობრივ გვხვდება სანიც.

მსგავსად **ხვალ** და **ხარ** ფორმებისა, ჯავახურში „ვარდნა“ ზმნას შემონახული აქვს სუბიექტური მეორე პირის ნიშანი ხანი: არ **ჩანვარდე, ბიჰო! გადახვარდები, გენაცვალე! ვახვარდი, დაუძახე; ჩანვარდები** მაგედან. მაგალითად, სახლიდან ცეცხლში **ჩახვარდი** შენ! **გადმოხვარდები**, მაგრა დადექ. **დაგცხემს** და მაღლა **ახვარდები**

ასეთი ფორმები იხმარება მხოლოდ სამ სოფელში: ხიზაბავრაში, ბარალეთსა და კოთელიაში. ეს ფორმები არაა უცხო მესხეთის სოფლების — ზედათ მოძვისა და აგარისათვის.

ჯავახურს შემოუნახავს აგრეთვე მეორე საინტერესო ფორმა „ვიდა“ ზმნისა: მიდიხოდი, მოდიხოდი, დადიხოდი. ეს ფორმები მიღე-

ბულია კონტამინაციით: მო(ს)დიოდი + მოხვდიოდი → მო(ს)დიხოდი. მსგავსად მიღებულია **მიდიხოდი** და **მოდიხოდი**. მაგალითად, რო დადიხოდი, ისწავლე, რას დადიხოდი. შენ არ მოდიხოდი გუშინ? იქვე არ მოდიხოდი. ასეთი ფორმები შემოუნახავს ხიზაბავრულს. მესხეთის ერთ სოფელშიც (აგარაში — ახლა ნაქალაქევი) ქუთაისის დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციის დროს ჩაწერილი აქვს მსგავსი ფორმები, საიდანაც ჩანს, ისინი მესხურსაც შემოუნახავს.

მეორე ბრძანებითის ფორმებს ზოგჯერ გააჩნია პირის ნიშანი, წესის მიხედვით კი არაა საჭირო. მაგალითად, დასწერე, მოჰკალი, დაჰკალი, გასჭერი.., მაგრამ არის შემთხვევები, როცა წესიცაა დაცული: ნუ ტირი! ნუ ჭრი! არ დადო! (ბერიძე, 1988).

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პრეფიქსის შესახებ აკ. შანიძის მნიშვნელოვან სპეციალურ გამოკვლევაში პრეფიქსების ხმარების დადგენილ კანონზომიერებას ინგილოური არ ექვემდებარება.

ჰ- არის ძირითადი პრეფიქსი ინგილოურშიც ისევე, როგორც ქართულ ენასა და ქართული ენის სხვა კილოებში, მაგრამ ინგილოურის თავისებურება ის არის, რომ ჰავს ხმარება აქ თითქმის შეუზღუდავია. იგი შეიძლება მეტ-ნაკლებად შეგვხვდეს ყველა თანხმოვნის წინ (**ჰ** დაფიქსირებულია მჟღერ თანხმოვანთა წინაც: **ნუ მოჰდიხარ, ჩაჰვარდებ, შაჰლებავთ, დაჰნაყავდენ, დაჰმარხავს, ჰბანენ, მოჰგონდა, დაჰჩრევოდა**) მათ შორის ისეთი თანხმოვნების წინაც, როგორიცაა სპირანტები: **ხ, ღ, ს, ზ, შ, ჯ**. მის ბგერანაცვალს სანს ენისწვერისმისერი ბგერების **დ, თ, ტ, ძ, ც, წ**-ს წინ.

ქართულში **დ, თ, ტ** ბგერების წინ ზოგჯერ ჰაე იხმარება სანის ნაცვლად. „მართალია, ეს მაინცდამაინც ხშირად არ გვხვდება, მაგრამ როგორც გარკვეული მოვლენა, ყურადსაღებია; მაგალითად, დაჰტკეპნა, ჰთხრიან, ჰდებიან და სხვ.“ (თოფურია, გვ. 144). თუმცა ქართულში ჰავს წარმომოხა სანის სუბსტიტუციით შეიძლება ავსნათ (იქვე, გვ. 132). „ლაჰტი, პრიჰტავი“ (იქვე, გვ. 148) და ეს მოვლენა შესაძლებელია აქაც არ იყოს გამორიცხული. **შინს** (ნუნისმიერების: **ჟ, ჩ, ჰ**-ს წინ), **ხანს** (უკანაენისმიერების: **ყ, ჰ**-ს წინ) და **იოტს** მხოლოდ ზოგჯერ წავაწყდებით, ისინი აქ ახლად იკიდებენ ფეხს.

აშკარად ჩანს, რომ ჰავს ხმარება ინგილოურში სცილდება მორფოლოგიურ კანონს, იგი გვხვდება იქაც, სადაც მისი არსებობა გაუმართლებელია. მაგალითად, **აჰფრინდებ, მოჰკიდობ** (კაკ), **მოჰკდო-**

ბი (ალიაბათი), **გაპწახეო**, **გაპქელიო** (ალიაბ), **ჩაჭდებით** (ალიაბ.)
ს → **შ**: **მოშჭრი**, **ნუ შეშჭამ**, **შჭამ**...

გაბატონებულია **ჭ** ცხრა თანხმოვნის წინაც: **ჭდ**: თუკი მიჭდი, ჩემ ნაქნარ ბეჭედი ჰაპ, ჰაო! (ალიაბათი); სა თი მოჭდი? **ჭტ**: რაბუ ჰტირი? **ჭწ**: ნუ შაპწუხდებ/ევ/ემ, „ნუ გეწყინება“, „ბოდიშს გიხდი,“ დაპწერი? შენ ბეურ ყაფა() გაპწვი; **ჭჭ**: ნუ შეჭჭამ (ნუ შეშჭამ).

იგივე წესია დაცული ბრძანებით კილოშიც.

თანხმოვნის წინ მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი წართქმით ბრძანებითშიც გვხვდება: **ჭ**: შენ ქე ფ გაპწვი // გაპწვი! და დაპწუ „დაწვი“, მოპთხოვ, ერყა ყბაში ჩაგაყუტას! შაპწედით! შაპწედით (კაკ.) **ს**: ასწვი! ეს ზმნა მესამე პირშიც ასე იხმარება: „მან ასწვივა.“

: ყბა გაალ, თოლევ და ხუჭ! (კაკი), ოლონდ შედარებით იშვიათია პრეფიქსის გაჩენის შემთხვევები წართქმით ბრძანებითში. ამ უკანასკნელს სხვა დრო-კილოთაგან განასხვავებენ ჩვეულებრივ იმით, რომ აქ ჩნდება პრეფიქსი და არც პრევერბისეული ხმოვნის გაგრძელებასთან გვაქვს საქმე: დარეცხ! დარეცხეთ! დადგ! დაუ! მოწან! დაწერ! (კაკური); გაზეხე! დადგი! დადგით! (ალიაბ და სხვ. უძრ დარეცხ, დარეცხით, დაარეცხი? დაარეცხითა? დაადგ, დაადგი? დაადგით? დაადგითა? მოწან, მოწანი? მოწანითა? დაპწერ // დასწერ, დაპწერი? (კაკური), გააზეხე // გაპწეხე (ალიაბ) და სხვ.

მეორე სუბიექტური პირის ორმაგი პრეფიქსი: სა მიჭდი ხართა? დედალი მიჭდისხართ, თუ მამალი? (ალიაბათი) ახმედ, რა ბე არ ჰხყიდი ბეჭდებ?

(ალიაბათი); რა ბე არ გაპწყიდე ბეჭედი?

ცნობილია, რომ სპირანტი **ჭაე** ხმოვნის წინ ქართულში ადვილად იკარგება (ჰამბავი — ამბავი, ჰამბორო-ამბორო, ჰალალი-ალალი და სხვ.). ძველ ქართულში არსებული ჰაემეტობა სწორედ ამ ნიადაგზეა გამქრალი.

ინგილოური ამ მხრივაც განსაკუთრებულ თავისებურებას იჩენს. ის **ჭაეს** ინარჩუნებს სახელებში თითქმის ყველგან. ზმნებში კი მისი არსებობა ამჟამად აქაც ძალზე შერყეულია.

თუ მ. ჯანაშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ინგილოური ჰაეს ინარჩუნებს ზმნებშიც უ, ლ, ო, ხმოვნების წინ ანლაუტში. მაგალითად, **ჭუთნრა**, **ჭუთქომ**, **ჭუქნი**, **ჭუცხოვრიაყ** **ჭუგრუმა**, **ჭუგრუები**, **ჭუც** (=გიც), **ჭ ყავ** (=ვეჭავ), **ჭობირებ**.

ასეთი ფორმები ძველი ქართულისათვის არ არის უცხო. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ინგილოურში ძველი ქართულის ჰაემეტობასთან გვაქვს საქმე.

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენამდე აკ. შანიძე მ. ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებული ტექსტების საფუძველზე ასკვნია: „ჰაეს წარმოშობას თავიკიდური უნის წინ ზმნის ფორმებში არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ უდევს, არამედ იგი წმინდა ფონეტიკური წარმოშობისაა.“

ჰაემეტი ტექსტების გამოცემასთან დაკავშირებით ავტორი წერს: „ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენის შემდეგ, რა თქმა უნდა, გადასინჯილი უნდა იქნეს საკითხი ინგილოურ კილოში **ჭაეს** გაჩენის შესახებ ზმნის ფორმაში. სხვანაირად უნდა შეფასდეს ინგილოურში **ჭუყვარს**, **ჭუნდოდა**, **ჭუთნრა** და მსგავსი ფორმები, სადაც, როგორც ახლა ირკვევა, ჰაემეტობის კვალი უნდა იყოს დარჩენილი.“

მ. ჯანაშვილის მოხსენებაში „ინგილოური **ჭაე** და ჰაემეტი ტექსტები აღიშისა და ხანმეტობასთან დაკავშირებით ინგილოური ჰაე პრეფიქსი მიუჩნევია იმავე ჰაემეტობად და ხანმეტობა სხვადასხვა დიალექტური წრის დამახასიათებელი მოვლენაა.“

ამავე მოხსენების გამო გ. ახვლედიანს მართებულად შეუნიშნავს, რომ „საკითხი ასე უნდა დაისვას: ინგილოური ჰაე არის წმინდა ფონეტიკური წარმოშობის თუ მორფოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია“?

სტ. მენტეშაშვილი სპეციალურად ინგილოურის ჰაემეტობისადმი მიძღვნილ ნარკვევში წერს, რომ ინგილოურში ჰაემეტობა არ არის მორფოლოგიური მოვლენა, არამედ ფონეტიკურია“.

ეს აზრი ძირითადად სწორად უნდა იქნეს მიჩნეული, რამდენადაც ჰაე ჩნდება ხმოვანთა შემართვის ნიადაგზე.

დადასტურებულია, რომ ქართულში ბგერათა შემართვა-დამართვის საფუძველზე გაჩენილი ჰაე ძირითადად გარდამავალი ბგერაა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მეტი მკაფიობის კვალობაზე მან მოიპოვა მორფოლოგიური ფუნქცია, რამაც მას კიდევ მეტი მკაფიობა მისცა და ამ გზით იქცა იგი დამდგარ ბგერად.

არ არის გამორიცხული, რომ **ჭაეს** ინგილოურშიც მოეპოვებინა ერთ დროს პირის ნიშნის ფუნქცია ჰაემეტური ტექსტების ნორმების-დაგვარად და შემდეგ მომხდარიყო ამ ფუნქციის გაუქმება (ჩამოცილება).

ეს უკანასკნელი შესაძლებელია მომხდარიყო ფშვინიერი შემართვის მასობრიობის ნიადაგზე ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ენისა და ქართული კილოების გავლენით.

ამ გავლენით უნდა იყოს **ჰაე** გამქრალი ზმნის თავკიდურ ხმოვანთა წინ ალიაბათურში. ალიაბათურს რომ ქართული ენისა და ქართული კილოების ძლიერი გავლენა განუცდია, ეს სხვადასხვა მოვლენიდანაც აშკარად ჩანს.

კაკურშიც, სადაც ეს გავლენა ყველაზე ნაკლებია, ძალზე შერყეულია ჰ-ს არსებობა ზმნის თავკიდური ხმოვნის წინ და მორფოლოგიური ფუნქციაც, რა თქმა უნდა, არ გააჩნია (შდრ. *ქუნდ//ჰუნდ//უნდ*; *ქუთქომ//ჰუთქომ/უთქომ*).

დასკვნა ასეთია: ინგილოურში **ჰაე** ჩნდება ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა-დამართვის საფუძველზე. ამ ნიადაგზე **ჰაეს** გაჩენას აქ მეტად ფართო სახე მიუღია და წარმოშობილა „მასობრივი ჰაემეტობა, თუმცა მის პარალელურად *ჰ-საც* ვხვდებით იმავე ზმნებში. ინგილოურში ჰაე ჩნდება ფონეტიკურ ნიადაგზე და მას მორფოლოგიური-საფუძველი არ გააჩნია“ (იმნაიშვილი, 1966).

თუშურში მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი **ჰ** -დ არასდროს იქცევა (თ. უთურგაიძე).

მეორე სუბიექტური პირის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი გარდაქმნებისა იგივეა, რაც ხევსურულში: **ჰ → ხ**- (ხპარავს, ხჰავ); **ჰ → ღ**- (ღბანს, ღმალავს); **ს → შ**- შჰამს, შჩრის); **ს → ჟ**- (ჟვიჯგნავს); **ს → ზ**- (ზდებს, ზძახავს) (ჯორბენაძე, 1989, გვ. 256).

ფშაურ კილოში მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ჰ- სათანადო ფონეტიკურ გარემოში იძლევა ს-, ზ-, ს-, (შ), ჰ, ვარიანტებს.

ს- გვაქვს **თ, ტ, ც, ნ** თანხმოვნების წინ: ს-თბები, ს-თანავ, ს-წუნობს, ს-არის.

ზ- გვაქვს **ღ, ძ-**ს წინ: ღა-ზ-დგენ, მა-ზ-დიხარ, ა-ზ-ძრახდი

სოფ. გუდრუხში, თვალივში, ნეძისსა და სწორთავში მცხოვრებთა მეტყველებაში ამგვარ შემთხვევაში ზ-ს ნაცვლად - ჩნდება: და დგენ, მა დიხარ, ა ძრახდი.

ჰ გვაქვს **პ, ფ, ქ, კ, ყ, ?** -ს წინ: მა ჰ-პარვენ, ამა ჰ-ქონდა, მა ჰ-ფიქრებია, მა ჰ-კლეინებია, ჰ ელვენ

შ-(//შ-) გვაქვს **ჭ, ჩ-**ს წინ: შ-ჭამ,(// შ-ჭამ), შ-ჩეცავ (// შ-ჩეჩავ).

მსგავსი ვითარება გვაქვს **რ** ბგერის წინაც, როცა იგი **რჩ** კომპლექსში შედის: და შ-ჩა (და რჩა), გადა შ-ჩა (გადა რჩა), ჩამა შ-ჩი (ჩამა რჩი)

- გვაქვს მყდრებთან **ბ, გ ვ მ ნ რ ლ ყ ზ-**ს წინ: ბერდები, გევიხარ, მართება, ნახე, რეცხს და ა.შ. (გოგოლაური, 1978).

პირის ნიშნების ხმარების საკითხი საერთოდ ქართულში, და კერძოდ ხევსურულში, დაწვრილებით განიხილა პროფ. აკ. შანიძემ თავის მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. იქ, კერძოდ, აღნიშნულია, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანი ჰ ხევსურულში, სათანადო ფონეტიკურ გარემოში იძლევა რეფლექსებს ს, შ, ზ, ყ, ხ, ღ, ო. მაგალითად: ქალო ხორაო, შჰამე ლოდო. ბერიძეშვილს კი ვერ უჯობიხარო; ვა, შენს მამუკას! რად ღმალე, ქვე რად არ მითხარ წინაო?

მეორე სუბიექტური პირის ნიშნისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნის რეფლექსი გამოყენებულია ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან: შალომეზიან მაშინ ისენ ერთუცს; გაღეშმაკები აი ბალდა, ვედარ ატყუებდეს; უმისოდ თქვენ ხო კარგა ხართ, ხო არასვინ ღადადობთ — ღბეჩაობთ? საკლავის გარდაით აღარას აკეთება, აღარ ღოქრომჭედლობა, მამიდავ?

აღსანიშნავია, რომ ჰ-ს იძლევა მყდერი ბგერების წინ. ხმოვნებიც მყდერი ბგერებია და, ბუნებრივია, ხევსურულში მათ წინ ჰ → ღ პროცესი. საყურადღებოა ერთი გარემოება: ჰ-ღ-ს მხოლოდ ფუძისეული ხმოვნის წინ იძლევა. რაიმე გრამატიკული ფუნქციის მატარებელი ხმოვნის წინ ჰ-ღ-ს არ მოგვცემს, მაგალითად, არ შეიძლება: ღ-ი-კეთებ, ღ-უ-კეთებ, ღ-ა-კეთებ, ღ-ემალეები და სხვ. რატომ? ხომ არა აქვს ამ ფონეტიკურ მოვლენას რაიმე კავშირი გამოთქმულ მოსაზრებასთან, რომ ჰა-, ჰე-, ჰი- პრეფიქსი განუყოფელი უნდა ყოფილიყო? ე.ი. ასეთ შემთხვევაში ა, ე, ო, უ, ხმოვნები ჰ-ს ვერ ამყდრებენ, იმიტომ, რომ, მისგან ცაკლვე მდგომად არ აღიქმებიან, რომელიმე ჰა მთლიანი, განუყოფელი აფიქსია და ამიტომ არ ხდება მისი გამყდრება. მაგალითად, სვანური ს-ცა-ნით, ი-ცა-ნით → ჰიცა-ნით. [ელთად მამეციით ხანჯარი გულ სცა-ნით დავითისაო. გათენდა, გასცნეს თუშები, შორ-ახლოდ უყვეს ძალია (ჭინჭარაული, 1961)

მოხეურში მეორე სუბიექტური პირის ნიშნად სალიტერატურო ენის გავლენით შემორჩენილია ჰ-ს ხმარება. უმეტეს შემთხვევაში კი

ცნობილი წესის მიხედვით იცვლება. ლ, რ, ნ, ვ, ბ, მ თანხმოვნების წინ გვაქვს ლ, ხოლო გ, ქ, კ, ყ, ჰ თანხმოვნების წინ ხ, დ, ტ, თ, ძ, წ, ც, ჯ, ჰ, ჩ თანხმოვნებით დაწყებულ ზმნებში ს, რომელიც ასიმილაციით ზოგჯერ იძლევა ზ (დ, ძ თანხმოვნების წინ) და შ (ჩ, ჰ თანხმოვნებთან) ნიშნებს. მაგალითად, დაბერდი აქა და არ იცი? რასაღ ღნახავ, შინ შამაგარქუ! იქნებ იმასაც დაღმეტე; არ ხელაპავე? დასწერე ევა.

მაგრამ ახალი თაობის მეტყველებაში ამ წესს თითქმის ვეღარ ვადასტურებთ, სალიტერატურო ენის ნორმა სჭარბობს. შეინიშნება ორმაგი გამოხაზვა სუბიექტური პირისა აღწერილობით ზმნაში: ქალაქს მისდიხარ? (//მიზდიხარ). რომენი მიზდიხარ მაგ შაროვანთა გზათაო. გვაქვს კონტამინატური ფორმებიც: საღ მიზდიხოდი, რჯულდალო, მზეს დაგიბნელებ ცისასა. შენ კი მიზდიხოდე სამებაჩი? ხთიშობლობაჩი მისდიხოდიო. ანალოგიური სურათია რაჭულშიც.

დასტურდება ნიშნის ხმარების აღრევის შემთხვევებიც (ბრძანებითში): აბელაი ნახე და ფული გაატანე! ისმის როგორც ხფრინავ, ისე ფრინავ. ძველი ნიშნის ფუძისეულად გაგების გამო ხელახლა ერთვის პირის ნიშანი: ჭკუით მაიქეც, ღმერთს ნუ ჰმარავ (=სცოდავ) (ქავთარაძე, 1985).

მთიულურ-გულადაყრულში მეორე სუბიექტური პირის ჰ-//ს- ნიშნის პოზიციურ ვარიანტად ხმოვნის მომდევნოდ, კერძოდ, ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინის შემდეგ (ა კრიფო, გადა ხედოდე, მო ყავს) და ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთან ზმნის ენკლიკიტის შემთხვევაში (დედა ყოლია, საცა ცივი წყარო ნახო, ის მიირთოდე). იმავედროულად დასტურდება ჰ//ს რთული ბგერა (რომელსაც შემართვა -სა აქვს, დამართვა ჰ-ს ან ს-სი): და ჰკარგავს, მო სტეხს. უნდა აღინიშნოს, რომ ჰ-//ს- - ყველა შემთხვევაში არ ხდება: იოტიზებული ვარიანტის პარალელურად დაცულია ჰ-//ს- ან მისი სხვა ფონეტიკური ნაირსახეობანი (შ-, ზ-..) (ჯორბენაძე, 1989, გვ. 276).

II სუბიექტური პირის ნიშნები რაჭულის კილოკავებში მეტ-ნაკლებად დაცულია. გვხვდება მათი ფონეტიკური ნაირსახეობანი: გა-ზ-დეგს, მო-ხ-კლა, ხ-ყავს//ხავს, მო-ხ-ყვა//მო-ხვა, მო-ხ-ქონდა, ხ-კიდებ, გა-ხ-ყვები//გახ-ვები. გლოლურსა და რიენისთაურში დასტურდება მეორე სუბიექტური პირის კონტამინირებული ფორმა მო-დი-ხ-ოდ-ი, მი-დი-ხ-ოდ-ი (შანიძე, 1981)

ფერეიდნულში მეორე სუბიექტური პირის ჰ-//ს- ნიშნისა და აგრეთვე ხმოვნის მომდევნოდ გვხვდება — . მა ჰრა „მოსჰრა“, წა რეკდეს „წარეკადნენ“ (ზმნისწინის მომდევნოდ). იმავდროულად მრავლადაა ისეთი შემთხვევებიც, როცა ი და ჰ-//ს უცვლელადაა წარმოდგენილი, და-იწყეს... წა-ჰ-ყოლიყო... (ჯორბენაძე, 1989, გვ. 364).

აღმოსავლური დიალექტები ხასიათდებიან იმით, რომ გარდა ხ-ალომორფისა, მეორე პირის მორფემის წარმომადგენლად დასტურდება სხვა სემანტიკური ერთეულებიც: , ჰ. ს. ზ. შ. ამ ალომორფთაგან ძირითადია . მაგ, კახური- და ჯეკი, ფშაური — გა ლეწე, მთიულური — მი დიხარ, თიანური — და წერე და სხვა. ზოგჯერ თავისუფლად ენაცვლებიან ჰ-, ს-, ზ-, შ- , მაგ, კახური ჰ-ყვარი, ს-ტირი, ზ-დგები, შე-შ-ჭამთ.

აღნიშნულ დიალექტებში მეორე სუბიექტური პირის მორფემა ყოველთვის Ø-ით არის წარმოდგენილი ხმოვნების წინა პოზიციასა და წართმის ბრძანებითში.

ხევსურულსა და თუშურში (მოხეურშიც) წარმოდგენილია მეორე სუბიექტური პირის ნიშნის ფონოლოგიურიად შეპირობებული ალომორფები, ს-, ზ-, შ-, ჯ -, ხ-, ღ-, და Ø. ს — დასტურდება თ, ტ, წ, ც თანხმოვანთა წინ: ხევს, ს-ცანი, ს-ტრიალებ, თუშ, ს-ტკებები, ს-წოვ, ზ - - დ, ძ ფონემათა წინ: ხევს ზ-დგები, ზ-ძლები, თუშ ზ-დებ, ზ-ძახავ, შ — ჩ, ჰ-ს (ზოგჯერ ჯ-ს წინ), ხევს. შ-ჭამე, შ-ჭრი, თუშ, შ-ჭამ, შ-ჩეჩ, ყ- - ჯ-ს წინ, ხევს, ყ-ჯობიხარ, თუშ ყ-ჯობ, ხ- - ფ, პ, ქ, კ, ყ, პ თანხმოვანთა წინ, ხევს, გა-ხ-ყიდე, ხ-ქსოვ, დაჯოცე, თუშ. ჩა-ხ-ყეფნე, მოხ, და-ხ-ფარ, ღ- - რ, ლ, მ, ნ, ვ, ბ, თანხმოვანთა წინ (ხევსურელში ხმოვნების წინაც), ხევს. და-ღ-ლიე, ღ-ნახე, ღ-მაღავ, და-ღ-გლი, ღ-ავადობ, ღ-ოქრომჭედლობ; თუშ. ღ-ნახიდი, ღ-ვარდობ; მოხ, ღ-ნახე, Ø კი ჩვეულებრივ ხმოვნების წინ.

თანამედროვე ქართულ დიალექტებში მეორე სუბიექტური პირის ნიშნები ხმოვნების წინ Ø-ით არის წარმოდგენილი, ამ მხრივ გამო-ნაკლისს შეადგენს მხოლოდ ხევსურული და ინგილოური. ხევსურულში დასტურდება ღ (ღ-ავადობ). ხოლო ინგილოურში ჰ- (უ , უ, ო, ხმოვანთა წინ).

ინგილოურში თავისებურია აგრეთვე მეორე სუბიექტური პირის ნიშნის ალომორფთა გამოვლენა თანხმოვანთა წინაც: თუ სხვა დიალექტებში ისინი ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან (ყოველი ალომორფი სრულიად გან-

საზღვრულ ფონოლოგიურ პოზიციაში ვლინდება). ინგილოურში კ- ალომორფი ყველა პოზიციაში დასაშვებია, მაგ, მოჰდიხართ, მოჰთხოვე, გაჰზახე, ჩაჰყდები, მიჰდი, ჰტირი, შაჰწუხდებ, შეჰჰამ და სხვა, სათანადო ფონოლოგიურ გარემოცვაში შესაძლებელია კ- სთან ს-, შ-, ხ - ალომორფთა თავისუფალი მონაცვლეობა, მაგ. და-ს-წერ, შე-შ-ჰამ, და ხუჰ და სხვა.

დასავლურ დიალექტთათვის დამახასიათებელია მეორე სუბიექტური პირის ნიშნის წარმომადგენლად სეგმენტური ერთეულის (გარდა ხ-სი) უქონლობა, მაგალითად, გურული: ტირი, მოკალი, თხრი, ბძანე, ჰამ, თხოვ, მოტაცე, წაყევი, ასეთივეა ვითარება სხვა დასავლურ დიალექტებშიც, ამ მხრივ მათ რიგში აყენებს აკ. შანიძე აგრეთვე ქართლურს, მაგ. გა-თაღე. და-წერე. შე-კარ და სხვა, თუმცა იშვიათად არის შემთხვევები ქართლურში მეორე პირის მორფემის სეგმენტურ წარმომადგენელთა გამოვლენისა. მეორე სუბიექტური პირის მორფემის ჰ, ს-, შ-, ალომორფთა გამოვლენის იშვიათ შემთხვევებს მთის რაჭულში ადასტურებს ა. შანიძე, ხოლო ლეჩხუმურში შ. ძიძიგური.

ამდენად, II S პირი მრავალფეროვნებას ამჟღავნებს ნიშნის გამოხატვისას სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტების მიხედვით. გვხვდება როგორც (ჰ-, ს-, ხ-) ნორმის მიხედვით აღიარებული ალომორფები (ზ-, შ-, -, ყ-, ღ-, ღ-, უ-). ჩვენმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ გარკვეული ცვლილებანი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში განიცადა სუბიექტური პირის ნიშნებმა, განპირობებულია ქართველურ ენობრივ ვარიანტთა ბუნებრივი განვითარებით და დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ურთიერთზეგავლენით. სუბიექტური პირის ნიშანთა დისტრიბუცია შემდეგი სქემით შეიძლება წარმოვადგინოთ:

	ჰ-	ს-	ხ-	ზ-	შ-	-	ყ-	ღ-	∅	უ-
კახური	+	+				+				
ქართლური	+	+								
იმერული		+	+							
ლეჩხუმური	+	+								
გურული										
აჭარული	+	+	+							
იმერხეული										
ჯავახური	+	+	+							
ჰერული										
თუშური	+									
ფშაური	+	+		+	+	+				
ხევსურული	+	+	+	+	+		+	+	+	
მოხეური	+	+		+	+		+			
გულდამაყრ.	+	+								
რაჭული			+	+						
ფერეიდნული										

ლიტერატურა

ბერიძე, 1988 — გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.

გოგოლაური, 1976 — თ. გოგოლაური, ფშაური კილოს თავისებურებანი, მაცნე, №3, 1978.

თოფურია, — ვ. თოფურია, ქართლური, თბ.

იმნაიშვილი, 1966 — გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966

ონიანი, 1978 — ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978

ქავთარაძე, 1985 — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

შალამბერიძე, 1955 — გ. შალამბერიძე, კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მეტყველების მიხედვით, იკვ, ტ. VII, 1955.

შანიძე, 1981 — აკ. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981.

ძოწენიძე, — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი.

ჭინჭარაული, 1961 — ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1961.

ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

MANANA MIKADZE

Expression of the Second Subjective Person in Modern Georgian

Summary

In Modern Standard Georgian the second subjective person markers are the prefixes **h, s, x** and zero; the plural is formed with the suffix **-t**.

The paper discusses the usage of allomorphs marking the second subjective person in Standard Georgian as well as in the dialects. Apart from the above - enumerated markers, the following are also common in Standard Georgian: **z, š, j, ž, γ**. This can be caused by the close relation between the Standard language and its dialectal variants.

ლაშარა ნოზაძე

ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი და მასთან დაკავშირებული პრობლემები¹

სინონიმთა (სინონიმურ სიტყვათა და იდიომატურ გამოთქმათა) ლექსიკონს² ერთენოვან ლექსიკონებს შორის, როგორც ცნობილია, მოხმარების თვალსაზრისით პირველი ადგილი უკავია განმარტებითი ლექსიკონის შემდეგ. იგი განკუთვნილია ფილოლოგთა ფართო წრეებისათვის, მწერლებისა და მთარგმნელებისათვის, პრესის მუშაკების, ჟურნალისტების, მასწავლებლებისა და საერთოდ მათთვის, ვინც დაინტერესებულია ამა თუ იმ სალიტერატურო ენის შესწავლით.

ამიტომ არის, რომ, მაგალითად, მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გამოიცა რუსული ენის სინონიმთა რამდენიმე ლექსიკონი სხვადასხვა პირთა რედაქტორობით: ვ. ნ. კლუევა (1956, 1961), ზ. ვ. ალექსანდროვა (1968), ა. პ. ვეგენიევა (1970-1971), ი. დ. აპრესიანი (1995, 1997) და სხვა.³

¹ ამავე დროს აღნიშნული სტატია წარმოადგენს „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის“ შემდგენელთა ჯგუფის მიერ 1997-2005 წლებში შესრულებული სამუშაოს ზოგად ანგარიშს

² არსებობს თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, არასწორი, რომლის მიხედვითაც სინონიმური სიტყვებისა და იდიომატური გამოთქმების (ფრაზეოლოგიზმების) ერთ რიგში წარმოდგენა გაუმართლებელია. ისინი დამოუკიდებელ, ცალკე ლექსიკონებს უნდა ქმნიდნენ (კიკვიძე, 1964, № 1, გვ. 194-195).

როგორც ცნობილია, იდიომი, რამდენი ერთეულისაგანაც უნდა შედგებოდეს იგი, მნიშვნელობით ერთი სიტყვის ფარდია. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ისინი განიხილებოდნენ შესაბამის სინონიმურ სიტყვათა მწკრივში.

სინონიმურ ერთეულთა ლექსიკონებში განლაგების ზემოთ შემოთავაზებული წესი თეორიულ თვალსაზრისით ეწინააღმდეგება იდიომათა არსს, მათ საყოველთაოდ მიღებულ დეფინიციას, პრაქტიკულად — ნიშნავს სინონიმთა მწკრივების მექანიკურ დანაწევრებას მარტივ და რთულ ელემენტებად (შესაბამის ლექსიკონებში შეტანით), საბოლოოდ — სინონიმური რიგების გაღარიბებას.

³ ჩვენში ქართული ენის სინონიმის თემას სხვადასხვა თვალსაზრისით ეხება ცალკეულ ავტორთა შრომები. წარმოდგენილ სტატიას ერთვის იმ ნაშრომთა სია, რომლებიც ტექსტშია დამოწმებული.

ქართული ენის სინონიმთა სოლიდური, სათანადო მეცნიერულ დონეზე შესრულებული ლექსიკონი, შეიძლება ითქვას, არა გვაქვს.

1951 წელს გამოვიდა ა. ნეიმანის საკმაოდ ვრცელი „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ (მეორე გამოცემა — 1961 წ.). ეს იყო პირველი ამ ხასიათის ნაშრომი. იგი დიდ სამსახურს უწევს ქართული სიტყვით დაინტერესებულ პირებს, მაგრამ მას სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნია. იგი ვერ პასუხობს ლექსიკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნებს, მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკონის შედგენის პრინციპები.

ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ შესული მასალა ხშირად დიალექტურია, ანდა დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის. ისინი ლექსიკონში შეტანილია უსისტემოდ — რაიმე გარკვეული პრინციპის გარეშე.⁴

სიტყვები მხატვრული ლიტერატურიდან შედარებით მწირად არის წარმოდგენილი.

მთელ რიგ შემთხვევაში არ არის სწორად გამოყოფილი სინონიმური მწკრივები, რაც, თუ გავითვალისწინებთ სიტყვათა ამგვარი კლასიფიკაციის სირთულეს და იმასაც, რომ ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ პირველი ამ ხასიათის ნაშრომია, მოულოდნელი არ არის. მაგრამ აქ ხაზგასასმელია ის, რომ სინონიმთა რიგები ხშირად თემატური ნიშნით (იდეოგრაფიული ლექსიკონის პრინციპების მსგავსად) არის შედგენილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებულ ლექსიკონში სინონიმური რიგები უპირატესად განუმარტავია.⁵ მათ, ხშირად, არ ერთვის საილუსტრაციო მასალა.

მხედველობაში მისაღება ისიც (და ეს არსებითია), რომ ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ (1951, 1961) მიახლოებითაც ვერ ასახავს სინონიმთა იმ მდიდარ ფონდს, რომელიც ქართულ სამწერლობო ენას გააჩნია.

რამდენიმე ნიმუში დასახელებული შრომიდან: **ჯანხალი**, სალი, ჯანმრთელი, ჯანიანი, ჯანთ სავე, უავადო, საღ(ი)სალამათი, საღსალამათი, მაგარი აგებულებისა, თავის დღეში ფრჩხილი არ წამოსტკივებია, ჯირკუტანა, ჩასხმული, ჩაფსკვნილი, სას ძირმაგარა (ევა ძირმაგარათნთ გვარისა).

⁴ ამ თვალსაზრისის არსებითი განხილვა ვრცლად წარმოდგენილია ქვემოთ.

⁵ ზოგჯერ განმარტება სინონიმთა მწკრივშია შეტანილი.

ცული, უხეირო, ავი, უვარგისი, ნაბოლოვარი, უგვანო, მდარე, გლახა, უხამსი, გადასაყრელი... არამი, არაფრად ვარგა, ხელიდან წასული, ჩათლახი, ჩირთი-ფურთხი...

ცრუობა (ცრუობს), ტყუება (ტყუის)... ტყუილის გამოცხობა, ტყუილებში შეტოვება, შეთხზება, ტყუილების დახეთქება, ისეთი ტყუილების დახეთქება იცის, რომ მკვდარს ფეხებს გააქნევინებს, მტკნარი სიცრუე, ცოცხალი ტყუილი, მიქარვა (მიჭკარავს), რახუნ... რომვა, წისქვილივით რომავს... ნათქვამი სიმართლეს არ შეეფერება, ნათქვამი სიმართლეს დაშორებულია, სიმართლეს გადაუხვია, ცდება, ამეტებს, აჭარბებს.

ინი, თვალთმაქცობა, ნილაბი (მისი ჩაცმულობა, ყოფა-ქცევა, სიტყვები — ყველაფერი ეს ნილაბია, თვალთმაქცობა).

არჩვი, ფსიტი, ჭვირანი, ჭხვი, (მამალი ჭხვი) ხარჯიხვი, (დედალი ჭხვი) შანი, ნიამორი, ქურციკი, გარეული თხა, შველი, (ახლაგაზრდა არჩვი) ლიკლიკა;

დედალი ცხოველი, (კატა) ძუ, (ძალი) ძუენა, (ცხვარი) ნერბი, (ცხენი, სახედარი) ფაშატი, ჭკვი, ხრდალი, ჭვავი; (ლორი, თხა) ნეზვი, ქუბი, (აქლემი) ჯამა, (მსხვილფეხა საქონელი) ფური, (საფურე ხბო ერთი წლისა) მოცედი... (ბერწფური) ურწანი, უზვი, ფურბერწი, (დედალი ჭხვი) შუნი, (დათვი) ბრანგი.

ამგვარი ბუდეები ლექსიკონში მრავალადა.⁶

⁶ ვითარებას არ ცვლის კ. ჯორჯანელის ავტორობით ახლახან გამოცემული „ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი“ (2003).

ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“-თან დაკავშირებული ზემოთ წარმოდგენილი ზოგადი შენიშვნები, არსებითად, შეეხება კ. ჯორჯანელის ნაშრომსაც.

უფრო მეტიც — ა. ნეიმანისაგან განსხვავებით ზმნურ სალექსიკონო ერთეულად პირიან ფორმათა მიღების წესით (ამ პრინციპის თეორიული თვალსაზრისით უმართებულობაზე რომ არაფერი ვთქვათ — იხ. ა. შანიძე, 1999, №2. ლ. ნოზაძე, 2002, გვ. 226-242; 2003, 64-98; 1. 2004, 91-106 და სხვ.), ფაქტობრივად კ. ჯორჯანელის „ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი“ (2003) ხელოვნურად (გაუმართლებლად) დიდად არის გაზრდილი (აღნიშნული ლექსიკონის ვრცელი ანალიზი — სხვაგან).

რამდენიმე ნიმუში:

ლაპაზი, პირლაპაზი, პირმზიანი, მშვენიერი (1), მშვენი (2), ტურფა, სახიერი (1), კეკლუცი (1), კოპწია, კოხტა...

ლაპარაკი, მეტყველება, ტიტინი, ტიკტიკი; ლიკლიკი (2), ლუკლუკი (2), (ტკბილი) ჭუკჭუკი (2); ჩურჩული, ჩიფჩიფი, ბუტბუტი, დუდუნი, ლულულუდი, ბურტყუნი, ბურღილუნი, ბლუყუნი, ბლოყინი (მთვრალის — გაურკვეველად), დუღუნი, ბუზლუნი, (ჩაგონებით) ჩიჩინი, რატრათი (1), ლაშლაში, ქაქანი (2), ყაყანი, ყაყავი (2), როხროხი, როტვა, რომვა (2), როხვა (2), ჩმახვა (3), ბოდვა, საუბ. ლაილაი, ლაქლაქი... ლაყაფი, (ენის) ტლიკინი, (ენის) ტარტარი... ჭაჭყანი, ტატყანი... ცაცხანი, ჯაჭლანი, ჯიჭლინი...

სიარული, სვლა (1), რონინი, ტატი, ხეტიალი, ყილი, (გადატ.) კონკილი (2)

ხსენებული ლექსიკონის შედარებით ვრცელი და ჩვენი აზრით, არსებითად, სწორი ანალიზი მოცემულია ბ. კიკვიძის სტატიებში (1963, 1964). ავტორის დასკვნითი დებულებაა: „ქართული ენის (როგორც ძველი, ისე — ახლისა და მისი დიალექტების) სინონიმთა ლექსიკონის შედგენა მომავლის საქმეა. განხილული შრომა ოდნავადაც ვერ ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ამ მხრივ ჩვენს სინამდვილეში არსებობს (ხაზგასმა — ლ.ნ.), კიკვიძე (1963, 209).⁷

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ა. ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონის გამოსვლიდან გავიდა 40 წელზე მეტი. ამ ხნის განმავლობაში გამოიცა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით (I-VIII, 1950-1964) და ბევრი სხვა ლექსიკონი, მათ შორის — „განმარტებითი ლექსიკონის“ ბაზაზე შექმნილი ლექსიკონები: „ინვერსიული ლექსიკონი“ (რედ. ბ. ფოჩხუა, მ. ჭაბაშვილი, 1967), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. ჭაბაშვილი, 1986), ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“ (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988), „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი“ (გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989) და სხვა.

მაგრამ არა გვაქვს უმთავრესი — ამ რიგის „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“.

აღნიშნული ხარვეზის შესავსებად — ახალ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“-ს შესადგენად არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში შეიქმნა თანამშრომელთა მცირერიცხოვანი (6-მდე წევრისაგან შემდგარი)⁸ ჯგუფი.⁹

(მარტოხელად, ცალად სიარული), წოწილი, წანწალი, წილი, ტანტალი, ტუნტული, ტუსტუსი, ლაჭუნი, ლაყუნი, ჩანჩალი, ფრატუნი (1), ლასლასი, ლაწლაწი... და სხვა. იგივე შეიძლება ითქვას კ. ჯორჯანელის „სინონიმთა ლექსიკონის“ (2003) შესახებაც.

⁷ შდრ. ა. ე. ევგენიევას რედაქტორობით შედგენილი „რუსული ენის სინონიმთა ლექსიკონი“ (I-II, 1970, 1971), რომლის შემზადებაზეც ათი წლის განმავლობაში მუშაობდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან შემდგარი ჯგუფი (25-მდე წევრით).

⁸ ჯგუფის ხელმძღვანელი და სალექსიკონო მასალის რედაქტორი — მ. ჭაბაშვილი (1991-1996), 1997 წლიდან — ლ. ნოზაძე.

⁹ აღნიშნული ლექსიკონის შედგენაზე ძირითადად მუშაობდნენ (1997 წლიდან):

შენიშვნა: სინონიმთა დადგენისას ვხელმძღვანელობთ თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც სინონიმები ერთნაირ (მსგავს) ცნებათა, resp. მნიშვნელობების (ერთგვარ საგნობრივი მიმართების) აღმნიშვნელი სიტყვებია, რომლებიც სინქრონულად იხმარება ერთ ენობრივ (resp. დიალექტურ) წრეში, აქვთ საერთო დისტრიბუცია და შესწევთ უნარი კონტექსტებში ურთიერთ ჩანაცვლებას.¹⁰

სინონიმები ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ კონოტაციის მიხედვით — გრძობითი ელფერით, მეტნაკლები ექსპრესიულობით, გამოყენების სფეროს მიხედვით („ფუნქციური სტილით“).¹¹

რიგ ენათმეცნიერთა კვალად, მიჩნეულია, რომ აბსოლუტური სინონიმები ენაში არ არსებობს. ისინი არ დასტურდება თვით სინონიმურ ტერმინთა შემთხვევაშიც კი.

თეორიულად არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ტერმინებს შორის აღმოჩნდეს სხვაობა, კერძოდ, სიხშირის, სიტყვაწარმოებისა და მისთ. ნიშნით მაშინაც, როცა გარკვეულ ეტაპზე იგი რეალურად დადასტურებული არ არის.

აღნიშნულ თვალსაზრისთა გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს სინონიმური მწკრივების შედგენისას.

შემუშავდა ლექსიკონის შედგენის პრინციპები („ქართულ სინონიმთა ლექსიკონის პროსპექტი“), რომელიც განხილული იქნა ლექსიკოლოგიის განყოფილების სხდომაზე.¹²

შედგა გარკვეული რაოდენობის (6000-მდე) სინონიმური მწკრივი.¹³ მისი მცირე ნაწილი — სანიმუშო მასალა, ამოღებული სხვადასხვა მონაკვეთებიდან, გამოქვეყნდა იკე-ს XXXII ტომში (1993).

ახალ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის“ მასალა (შე-

ლ. ქადაგიძე, ხ. რუხაძე, ლ. ჭინჭარაული, ნ. რაზმაძე, ნ. თაქთაქიშვილი, ა. ჭაბაშვილი.

ლექსიკონის შედგენის სამუშაოებში სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდნენ: ლ. ასათიანი, მ. გალდავაძე, მ. კანდელაკი, მ. კელენჯერიძე, ლ. ნოზაძე, მ. ნომასურიძე.

¹⁰ სრულიად სამართლიანად შენიშნავენ, რომ სინონიმის განსაზღვრისას მთავარია ერთგვარი საგნობრივი მიმართების („მიმართება საგანთან“) არსებობაზე მითითება, სხვა — მეორეულია (ფოჩხუა, 1974, 267).

¹¹ აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ყოველთვის არ არის ადვილად გასამიჯნი სიტყვის ექსპრესიული და ინტენსიური მნიშვნელობანი.

¹² აღნიშნულმა „პრინციპებმა“ („პროსპექტმა“) შემდგომში (მუშაობის პროცესში), ძირითადად, 1997 წლიდან არსებითი ხასიათის ცვლილებები განიცადა (ამის შესახებ ვრცლად — ქვემოთ).

¹³ 1997 წლამდე სინონიმურ მწკრივთა რაოდენობა 800 ერთეულს არ აღემატებოდა.

მდგომში შემოკლებით — „ქესლ“-ი)¹⁴ **ძირულად** განსხვავდება ზემოთ განხილული შრომებისაგან (ნეიმანი, 1951; ჯორჯანელი, 2003).

სხვაობაა უპირველეს ყოვლისა შედგენის პრინციპების თვალსაზრისით, აგრეთვე — „სიტყვანის“ მიხედვით და მრავალი სახვა ნიშნით. კერძოდ:

ახალ „ქესლ“-ის „სიტყვანი“ (ლექსიკური ბაზა), ძირითადად, ემყარება ქეგლ-იდან (I-VIII, 1950-1964), აგრეთვე ზოგი სხვა სალექსიკონო წყაროდან¹⁵ მოპოვებულ მასალებს.¹⁶

აღნიშნული მასალა ხსენებულ ლექსიკონში, ძირითადად, შეტანილია იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც გატარებულია ქეგლ-ში.¹⁷ კერძოდ:

„ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონში“ შედის: არსებითი სახელები, ზედსართავები, ნაცვალსახელები, ზმნები — ყველა კატეგორიისა (მოქმედებითი, ვნებითი, ქცევის ფორმები...), სახელზმნები (მასდარი, მიმღობა), ზმნისართები (მყის, მსწრაფლ... უწინ, უმალ... ცერად, ქუშად... ტიპისა), აგრეთვე — ნაწილაკები და კავშირები (დიახ, კი, ჰო... ხოლო, მაგრამ...), ზოგჯერ — სიტყვის ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტები: თანამიმდევრული || თანამიმდევრული, ააღლევს || აჰგლევს, ყლურწავს || ყლურჭავს, ყყინი || კყინი რიგისა.

ლექსიკონში არ შედის: შორისდებულები (გაი! აფსუს! ოჰ!...), ფონეტიკური ვარიანტები: აკვარიუმი || აქვარიუმი, რაქიტი || რახიტი ტიპისა; ზ მ ნ ს ა რ თ ე ბ ი, რომლებიც წარმოადგენენ ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს და იმეორებენ შესაბამისი სახელობითის ფორმებით გამონათულ სინონიმურ მწკრივთა ლექსიკურ მნიშვნელობებს. მაგალ.:

¹⁴ აქაც და სხვა შემთხვევაშიაც მხედველობაშია „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, რომელიც მუშავდება არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

¹⁵ რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1937; ჩუბინაშვილი, 1901; დათიკაშვილი, 1953-1967; რუსულ-ქართული ლექსიკონი, I-III, 1956-1959; სახოკია, I-III, 1950-1955 და სხვა.

¹⁶ აღნიშნული სალექსიკონო მასალა (300 000-მდე ბარათი) თავდაპირველად დალაგებული იყო ანბანის რიგზე. 1993-1994 წლებში გადალაგდა ბუდებად — ფუძეების მიხედვით (ინიციატორი და სამუშაოს ხელმძღვანელი, ასევე მონაწილე — ლ. ნოზაძე).

¹⁷ თუმცა არის ზოგი არსებითი ხასიათის სხვაობაც. მათ შესახებ მსჯელობა მოგვიწევს გზადაგზა.

წესიერად, ხეირიანად, რიგიანად... (მდრ. წესიერი, ხეირიანი, რიგიანი...).

ბარბაცით, ლასლასით, რაცრაცით... (მდრ. ბარბაცი, ლასლასი, რაცრაცი...).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სინონიმთა სალექსიკონო მასალაში, როგორც წესი, არ განიხილება დიალექტური და ძველი სიტყვები, რომლებიც ექვემდებარება კვალიფიკაციას: **დიალ., ძვ.**,¹⁸ აგრეთვე — ვიწროსპეციალური, ტერმინოლოგიური ლექსიკა, რომლებიც იხმარება მხოლოდ რომელიმე სამეცნიერო, ტექნიკურ, პროფესიულ დარგში ან ვიწრო წრეში; არ გვხვდება მის სფეროს გარეთ, არ სცილდება მის საზღვრებს.¹⁹

რაც შეეხება ზმნურ სალექსიკონო ერთეულს, „ქესლ“-ი, ცხადია, ამ შემთხვევაშიაც ემყარება იმ პრინციპს, რომელიც გატარებულია „ქეგლ“-ის რვატომეულში: ნაზმნარ სახელებთან (მასდარი, მიმღობა) ერთად დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებად გამოტანილია სინონიმურ ზმნათა პირიანი ფორმები: ქცევის, გვარის, კაუზატივის მნიშვნელობათა გამომხატველი ერთეულები მყოფადისა (პრევერბია-

¹⁸ ძველი და აშკარად დიალექტური, ასევე — ზოგი სხვა სიტყვების შეტანას განმარტებით ლექსიკონში (ისიც გარკვეული პრინციპების შესაბამისად და სათანადო კვალიფიკაციებით) შეიძლება ახსნა მოეძებნოს — განმარტებით ლექსიკონს ევალევა ახსნას თანამედროვე სიტყვაკაზმულ მწერლობაში, პრესაში, სამეცნიერო, თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში, ცოცხალ (სასაუბრო) მეტყველებაში დადასტურებული სიტყვები, მათ შორის — იშვიათად ფიქსირებულებიც.

სინონიმთა ლექსიკონში — პირიქით. მასში, სინონიმთა არსის გათვალისწინებით, უნდა შედიოდეს თანამედროვე ენის ამათუიმ სფეროში მეტნაკლებად დამკვიდრებული სინონიმური ერთეულები.

სხვადასხვა დიალექტებისათვის დამახასიათებელი სიტყვები, როცა ისინი ხშირადაა ფიქსირებული სამწერლობო ენაში და დგანან საერთო-სახალხო ხმარების ზღვარზე, სალიტერატურო ენაში (resp. — სინონიმთა ლექსიკონში) იმკვიდრებენ ადგილს დამოუკიდებელი სახით, ან კვალიფიკაციით — საუბ. („სასაუბრო“), ძველი სიტყვები — წიგნ. („წიგნური“).

სინონიმთა ლექსიკონებში ძველ და დიალექტურ სიტყვათა შეტანის წესი კვალიფიკაციით — ძვ. („ძველი“), დიალ. („დიალექტური“) — განმარტებითი ლექსიკონების გავლენის შედეგია (მდრ. — ა. პ. ევგენიევა, I-II, 1970-1971 და სხვ.).

¹⁹ ქარგონული ლექსიკა (კვალიფიკაციით: ვულგ., საუბ.) — მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი ენაში დამკვიდრებული ფუძის ახალ მნიშვნელობას წარმოადგენს. მაგალ., მაგარი (საუბ.) „ძალიან, მეტისმეტად კარგი; ძლიერი...“;

ნი) და აწმყოს (უპრევერბო) მხ. რიცხვის III პირში (იხ. ჩიქობავა, 1950, 011, 017; 1964, 06; აგრეთვე — „ქეგლ“-ი, I-VIII, 1950-1964).

ლექსიკონის ყოველი სინონიმური რიგი განმარტებულია (შდრ. ნეიმანი, 1961; ჯორჯანელი, 2003).

შენიშვნა: სინონიმთა ლექსიკონის ერთ-ერთ სირთულეს სხვა ერთენოვან ლექსიკონებთან შედარებით სინონიმური მწკრივების განმარტება ქმნის. იგი უნდა წარმოადგენდეს არსებით ნიშნებზე დამყარებულ დეფინიციას, სადაც არ შეიძლება გამოყენებული იქნას სინონიმური ერთეული. თუარადა, ძირეულ განმარტებასთან ერთად სინონიმური სიტყვების მოხმობა განმარტებას ძალას მატებს (შდრ. **კაბახი**-ი ვინც უმნიშვნელო მიზეზის გამო ბრაზობს და ჩხუბობს, — ანჩხლი, ავი...).

და პირიქით, ცნების (*resp.* სიტყვის მნიშვნელობის) განმარტება მხოლოდ სინონიმებით, რაც არცთუ იშვიათად გვხვდება განმარტებით ლექსიკონებში, არ არის საკმარისი. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ფაქტობრივად ეს არის „უცნობის ახსნა უცნობით“; ამიტომ ჩვენი აზრით — არამისაღები ვარიანტი ერთენოვან ლექსიკონებში გამოსაყენებლად. რამდენიმე ნიმუში „ქეგლ“-იდან:

სევდა „დარდი, ნალველი, კაეშანი, ვარამი“.

კაეშანი „დარდი, სევდა, ნალველი“.

დააწყნარებს „დაამშვიდებს, დააშოშმინებს“.

დააშოშმინებს „დაამშვიდებს, დააწყნარებს“ და სხვ.

ზემოთ დასახელებული „ქართულ სინონიმთა ლექსიკონები“-საგან (ა. ნეიმანი, კ. ჯორჯანელი) ახალ „ქართულ სინონიმთა“ სალექსიკონო მასალა განსხვავდება იმითაც, რომ სინონიმური მწკრივის ყოველი ერთეული შეძლებისდაგვარად დოკუმენტირებულია ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებიდან ამოწერილი საილუსტრაციო გამონათქვამებით.²⁰

შენიშვნა: საილუსტრაციო მასალის დართვა ხელს უწყობს სიტყვის სემანტიკის

²⁰ ამ მიზნით გამოყენებული იქნა „ქეგლ“-ის ილუსტრაციები XIX-XX ს. მწერალთა ნაწარმოებებიდან, აგრეთვე — ლექსიკოლოგიის განყოფილებაში 1960 წლიდან შექმნილი ახალი (დამატებითი) ფონდის მასალა (მილიონამდე ბარათი), რამაც საჭირო გახდა შემუშავებულიყო „ქესლ“-ში დამოწმებულ ავტორთა (500-მდე მწერლის) გვარ-სახელების შემოკლების წესები (ნოზაძე, 2003, 26-30), შედგენილიყო სია.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თავდაპირველად — საწყის ეტაპზე (1988-1989) იყო განზრახვა „ქეგლ“-ის (S-VIII, 1950-1964) შედგენის პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებულიყო სინონიმური რიგების „სიტყვანი“ — სია ილუსტრაციების დართვის გარეშე (მ. ჭაბაშვილი).

იგი არ იქნა გაზიარებული როგორც არამიზანშეწონილი ამ შემთხვევისათვის.

უკეთ წარმოჩენას, გასაგებს ხდის მის ადგილს „რანგების მიხედვით“, ამ შემთხვევაში — კლებადი სემანტიკური მოცულობის (ტევადობის) ნიშნით განლაგებულ სინონიმთა მწკრივში. მეთაური, საყრდენი სინონიმი ყველაზე სრულად გამოხატავს სინონიმური მწკრივით გადმოცემულ მნიშვნელობას.²¹

სინონიმთა მწკრივის ცალკეულ წევრს სათანადო შემთხვევაში აქვს აღნიშვნა:

ალერს. „საალერსო“, დამც. „დამცირებითი“, ევფ. „ეფემიზმი“, გულგ. „გულგარული“, ირონ. „ირონიული“, კნინ. „კნინობითი“, ლანძღ. „სალანძღავი“, მოფ. „მოფერებითი“, „პატ. „პატივისცემით“, პოეტ. „პოეტური“, რელიგ. „რელიგია“, უბატ. „უბატივცემულო“, ფიგურ. „ფიგურალური, წიგნ. „წიგნური“, ხელ. „ხელოვნური“, ხმაბ. „ხმაბაძვითი“ და სხვ. (შდრ. „ქეგლ“-ი, I-VIII, 1950-1964).

შენიშვნა: ზაზვასამელია ისიც, რომ ხსენებულ სალექსიკონო მასალაში ერთი ფუძისაგან სხვადასხვაგვარად (სხვადასხვა ფორმანტებით) ნაწარმოები ერთიადიამე ლექსიკური მნიშვნელობის ფორმები — გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ი — არ წარმოადგენენ სინონიმურ მწკრივთა დამოუკიდებელ ერთეულს. ლექსიკური სინონიმებისაგან განსხვავებით ამგვარი გრამატიკული ვარიანტები ერთმანეთისაგან გამოყოფილია პარალელური ხაზებით. მაგალ.:

ბეჯითი. მუყაითი, გამრჯე || გამრჯელი, მშრომელი, მუშა...

დაამადლებს || დაამადლის, დააყვედრებს || დააყვედრის, დაამუნათებს...

ეს წესი ახალ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის“ მნიშვნელოვანი

სიახლეა. ამით იგი არსებითად განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი სხვა ანალოგიური ლექსიკონებისაგან (შდრ. ზ.ვ. ალექსანდროვა, 1968; ა. პ. ევგენიევა, 1970-1971; ა. ნეიმანი, 1951, 1961; კ. ჯორჯანელი, 2003 და სხვ.).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზმნური სალექსიკონო ერთეულის გამოტანის წესი ქართული ენის სინონიმთა სალექსიკონო მასალაში ემყარება იმ პრინციპს, რომელიც გატარებულია „ქეგლ“-ში (I-VIII, 150-164).

თუმცა ამ სფეროშიც არის ერთგვარი სიახლე, გარკვეულწილად

²¹ „გლ“-ისაგან განსხვავებით „ქესლ“-ში ნათარგმნი ტექსტებიდან მოხმობილ ილუსტრაციებს არა აქვს კვალიფიკაცია **თარგმ.** („თარგმანი“) — 1. თეორიული მოსაზრების გამო: ივარაუდება, რომ თარგმნილ ტექსტში სათანადო **სიტყვის „ავტორია“** მთარგმნელი. შდრ., ეს **წამოჩინებული** ვაჟაკები ყველანი ერთმანეთს პგვანან (დ. კოკ., თარგმ.?). ბედნიერმა ცოლმა და **უჭულ-ბუჭულბმა** ახლა ამ თავლაში დაიდეს ბინა (ჯ. თითმ., თარგმ.?). ყრუ **ფითქინ-ფითქინი** ყუმბარების **გრიალ-გრიალს** უერთდება (კ. გამს., თარგმ.?) და სხვა. (ამგვარ კონტექსტებში კვალიფიკაცია თარგმ. ფორმალურ ხასიათს ატარებს). 2. „ტექნიკური“ მოტივით — მითითების ტექსტი იზრდება არაარსებითი, ზედმეტი ინფორმაციით.

დაკავშირებული სინონიმთა ლექსიკონის სპეციფიკასთან.

ახალ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონ“-ში პრევერბიან (მყოფადის) სინონიმურ ზმნათა რიგის პარალელურად (ქვემშიწე-რით), როცა ეს ხერხდება, გამოტანილია მათი უპრევერბო (აწმყოს) ფორმების სინონიმური მწკრივებიც,²² გამოყოფილი აბზაცით და განსხვავებული (საგანგებო) შრიფტით.²³

განმარტება პრევერბიანი ფორმებისაა, თუმცა, არსებითად, ის მოიცავს აწმყოს ფორმებსაც.

ილუსტრაციები შეძლებისდაგვარად დაერთვის ბუდის ყველა წევრს თანმიმდევრობით — ჯერ პრევერბიანს, შემდეგ — იმავე ფუძის უპრევერბო ფორმას დადგენილი რიგის მიხედვით.²⁴ მაგალითად:

გადვილებს, გააიოლებს, გამარტივებს, შეამსუბუქებს...

აწმ. აადვილებს, აიოლებს, ამარტივებს, ამსუბუქებს...

იოლს ადვილად შესასრულებელს გახდის.

(ილუსტრაციები).

გაუადვილებს, გაუიოლებს, გაუმარტივებს, შეუმსუბუქებს...,

აწმ. უადვილებს, უიოლებს, უმარტივებს, უმსუბუქებს...

იოლს, ადვილად შესასრულებელს გახდის მისთვის.

(ილუსტრაციები).

გადვილდება, გაიოლება, გამარტივდება, შემსუბუქდება...

აწმ. ადვილდება, იოლება, მარტივდება, მსუბუქდება...

იოლად, ადვილად შესასრულებელი გახდება.²⁵

(ილუსტრაციები) და ა. შ.

ასეა წარმოდგენილი ამ ფუძის (ბუდის) სხვა ფორმებიც და საერთოდ მთელი სინონიმური მასალა ზმნური ერთეულებისა, ასევე — შესაძლებლობისადაგვარად, სახელზმნებისაც, ოღონდ ამ შემთხვევაში პრევერბიანი და უპრევერბო ფორმები ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებით არის გამოყოფილი (**აშენება || შენება, აგება || გება...**).

ამგვარი წესის შემოღებით ახალ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონში“ თავიდან არის აცილებული აწმყოსა და შესაბამისი მყოფადის სინონიმურ რიგთა განმარტებების განმეორება (შდრ. **ადვილდება, იოლდება...** „ადვილი, იოლი ხდება“; **გაადვილდება, გაიოლდება...** „ადვილი, იოლი გახდება“...; **თავხედდება, კადნიერდება...** „თავხედი, კადნიერი ხდება“; **გათავხედდება, გაკადნიერდება...** „თავხედი, კადნიერი გახდება“...), რის შედეგადაც ლექსიკონის ტექსტი ამ თვალსაზრისით შედარებით დახვეწილად წარმოდგება.

მამასადამე, „ქესლ“-ში ზმნის (ასევე — სახელზმნების) პრევერბიან (მყოფადის) სინონიმურ მწკრივთა პირველ რიგად წარმოდგენის წესით პრაქტიკულად (და თეორიული თვალსაზრისისთაც) გარკვეული უპირატესობა პრევერბიან ფორმებს ეძლევა უპრევერბო (აწმყოს) ფორმებთან შედარებით ისევე, როგორც „ქეგლ“-ის ერთტომეულში.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავა ზმნათა განმარტებისას პრევერბიან ფორმას ანიჭებს უპირატესობას. მისი აზრით „წინდებულისა ზმნის (გაკეთებს, გა-

²² გამონაკლისს ქმნის ე. წ. საშუალო გვარის ზმნები, რომელთაც ახ. ქართულში სხვადასხვა მწკრივში (აწმყო-მყოფადი, II სერიის მწკრივები) განსხვავებული ფუძეები აქვთ. ამგვარ ზმნათა აწმყოსა და მყოფადის სინონიმური მწკრივები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი: ცეკვავს, თამაშობს... შდრ. იცეკვებს, ითამაშებს... („საშუალო გვარის აწმყოსა და მყოფადის ფორმები დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულადაა შეტანილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებშიც — რვატომეულსა (1950-1964) და ერთტომეულში (1986).

²³ პრევერბიან და უპრევერბო სინონიმურ ფორმათა მწკრივების ერთად წარმოდგენის პრინციპით „აქესლ“-ი, ერთგვარად ენმაურება ცნობილი რუსი ლექსიკოლოგის ა. პ. ევგენიევის რედაქტორობით შედგენილ „რუსული ენის სინონიმთა ლექსიკონს“ (ა. ე. ევგენიევა, I-II, 1970-1971).

²⁴ თავდაპირველად („პროსპექტის“ მიხედვით) ჩვენთვის გაუგებარი მოტივით არ იყო გათვალისწინებული ლექსიკონში აწმყოს სინონიმურ ფორმათა ილუსტრირება, 1977 წლიდან ეს ხარვეზიც შეივსო.

²⁵ ამავე დროს „პროსპექტიდან“ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობის თანხმობით ამოღებული იქნა, რბილად რომ ვთქვათ, ლექსიკონისათვის სრულიად ზედმეტი, გაუმართლებელი („შებრუნებული წყობის“) სინონიმური მწკრივები. რამდენიმე ნიმუში:

ადვილებს, აიოლებს, ამარტივებს, ამსუბუქებს, იხ. გაადვილებს, გააიოლებს, გამარტივებს, შეამსუბუქებს...

ახუნებს, აღიავებს, აბაცებს, აცრიატებს, აუფერულებს, იხ. გაახუნებს, გააღიავებს, გააბაცებს, გააცრიატებს, გააუფერულებს.

ამშვიდებს, აწყნარებს, აშიშინებს, იხ. დაამშვიდებს, დააწყნარებს, დააშიშინებს.

ამგვარი რიგები არ გამოდგება არც საძიებლად. სინონიმურ ერთეულთა სრული საძიებელი ლექსიკონს დაერთვის ბოლოში (იხ. ა. ევგენიევა, 1971. შდრ. ნეიმანი, 1951; ალექსანდროვა, 1968; ჯორჯანელი, 2003...).

საძიებლის ტექსტის გარეთ გამოტანით თავიდან არის აცილებული გვერდების წყება „იხილეთ“-ებით. ამით მიიღწევა ლექსიკონის ტექსტის ერთგვაროვნება, კომპაქტურობა.

ადნობს, წეაწუხებს...) განმარტება უფრო ადვილია, რამდენადაც სრული სახე უფრო კონკრეტულია. შეიძლება და ა-ზე არც მოგვეცა განმარტება „ადნობს, აკეთებს, აწუხებს“ — რიგის ზმნებისა და მხოლოდ მიგვეთითებინა სათანადო წინდებულიან ერთეულზე (მაგალ., აკეთებს იხ. გააკეთებს...)“. (ჩიქობავა, 1950, 017).

არნ. ჩიქობავას ეს თვალსაზრისი შემდგომში საფუძვლად დაედო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულში (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. ჭაბაშვილი, 1986) პრევერბიან და შესაბამის უპრევერბო ზმნათა წარმოდგენის წესს.

აღნიშნულ ლექსიკონში უზმნისწინო (აწმყოს) ფორმები, ჩვეულებრივ, მითითებულია სათანადო ზმნისწინიან (მყოფადის) ფორმაზე. განმარტება და საილუსტრაციო გამონათქვამები მოცემულია პრევერბიან ფორმებთან. მაგალ.:

აადვილებს-ს იხ. გაადვილებს

გაადვილებს-ს (აწმ. აადვილებს)

ადვილს გახდის, — გააიოლებს. ტექნიკის განვითარებამ ადამიანის შრომა გაადვილა.

აიოლებს-ს იხ. გააიოლებს

გააიოლებს-ს (აწმ. აიოლებს).

იოლს გახდის, — გააადვილებს. ავტობუსების დანიშვნამ სოფლებს შორის მიმოსვლა გააიოლა. და ა. შ. („ერთტომეული“, 1986).²⁶

ასპექტური (დროული) ნიშნით დაპირისპირებულ წევრთა — პრევერბიან და სათანადო უპრევერბო ფორმათა ამგვარი წარმოდგენის მეთოდით „ქეგლ“-ის ერთტომეულში (1986) თავიდან არის აცილებული სიტყვა-სტატიათა ფაქტობრივად, განმეორება — კოპირება (შდრ. აკონსპექტებს „კონსპექტს ადგენს“, დააკონსპექტებს „კონსპექტს შეადგენს“, ალაგებს „წესრიგში მოჰყავს“, დაალაგებს „წესრიგში მოიყვანს“; ბერდება „ბებერი ხდება“. დაბერდება „ბებერი გახდება“ და სხვ. „ქეგლ“-ი, 1950-1964).²⁷

ამის შედეგად ლექსიკონის ტექსტი გარკვეულწილად იხვეწება, მისი მოცულობა მცირდება.

ამდენად, პრინციპების დახვეწის თვალსაზრისით ზმნურ სისტემაში და ზოგი სხვა ნიშნითაც — მნიშვნელობათა დაზუსტება, განმარტებათა გამართვა, გრამატიკული კვალიფიკაციების მინიმუმამდე დაყვანა-შემცირება (გრდმ., გრდუფ., მიმლ., მყ...; შდრ. „ქეგლ“-ი: გრდმ. სუბ. ქც..., გრდმ. ობ. ქც..., გრდუფ. ობ. ქც..., მიმლ. ვნებ. ნამ..., მიმლ. ვნებ. მყ...) და სხვ. **ქეგლ-ის ერთტომეული წინგადადგმული ნაბიჯიარკატომეულთან შედარებით (ამის შესახებ ვრცლად — სხვაგან).**

²⁶ ამ თვალსაზრისით „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“ განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის ერთგვარ მოდიფიკაციას წარმოადგენს.

²⁷ ამ ფაქტზე მინიშნებაა ჰ. ფოგტან (1970, 363).

რა განაპარობებს საკითხის ამგვარ გადაწყვეტას? — რიგი ფაქტორებისა:

1) ზმნის (თუ ინფინიტივის) პრევერბიან და უპრევერბო ფორმებს შორის უპირატესობას ნაშრომის ხასიათი, მისი დანიშნულება განსაზღვრავს.

სინონიმთა ლექსიკონი სინონიმურ მწკრივთა კრებულთაა. სინონიმთა რიგების შესადგენად სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობანი მიიღება მხედველობაში. ზმნის სემანტიკა კი უფრო გამოკვეთილად, უფრო ნათლად პრევერბიან ფორმებში არის გამოხატული.²⁸

2) პრევერბიან (მყოფადის) ზმნათა სინონიმური რიგი ხშირად უფრო სრულია აწმყოს (უპრევერბო ზმნათა) შესაბამის მწკრივთან შედარებით; ე. ი. აწმყოს რიგი ხშირად „წევრნაკლულია“. მაგალითად:

შეაქცევს, გაართობს, მოაღწენს...

აწმ. — , ართობს, აღწენს...

ააშენებს, ააგებს, აღმართავს || ამართავს...

აწმ. ააშენებს, ააგებს, — , — ...

და სხვ.

უფრო მეტიც, ზოგჯერ პრევერბიან ზმნათა სინონიმური მწკრივი „უცალოა“, არ მოეპოვება შესაბამისი სინონიმური რიგი აწმყოს ფორმებისა. მაგალითად:

აღმართავს, ააფრიალებს (დროშას)

აწმ. — , —

და სხვ.

მიზეზი გასაგებია: ზმნათა მნიშვნელოვან ნაწილს — ინხოატი-

²⁸ როგორც ცნობილია, აწმყოს ფორმები ხშირ შემთხვევაში მეტად პოლისემიურია. მაგალითად, **აქცევს** ზმნა შეიძლება ნიშნავდეს: ა) დააქცევს, დაღვრის...; ბ) წააქცევს, დააგდებს, დასცემს (ძირს...); გ) გახდის, გარდაქმნის... დ) შეაქცევს, შეუბრუნებს (ზურგს) და ა. შ.

უფრო მეტიც, მ. მანჯალაძის დაკვირვებით ქეგლ-ში **დგ(ებ)** — („ფეხზე ჩერდება“) ძირთან ცხრამეტი ზმნისწინია დაფიქსირებული, ჩვიდმეტი პრევერბიანი ფორმა დასტურდება სამ ძირთან: **სკდ-, სქდ-, ქც-** და ა. შ. (მანჯალაძე, 1999, 6-7).

ამიტომ, ბენებრივია რომ ლექსიკონში, სადაც ერთადაა წარმოდგენილი პრევერბიან (მყოფადის) და შესაბამის უპრევერბო (აწმყოს) ზმნათა სინონიმური მწკრივები, პირველ რიგად იყოს გატანილი და განმარტებული პრევერბიანი ფორმები.

თვით პრევერბიან და შესაბამის უპრევერბო სინონიმურ მწკრივთა ერთად წარმოდგენის მიზანშეწონილობაზე მსჯელობა სათანადო არგუმენტაციით მოცემულია ზემოთ (გვ. 16).

ვებს, რიგ სუფიქსიან ვნებითს, საზოგადოდ, ნასახელარ ზმნათა მთელ წყებას აწმყოს ფორმები ბუნებრივად არ ეწარმოება. მკვეთრად ხელოვნური ფორმები კი განსაკუთრებით მიუღებელია სინონიმთა ლექსიკონისათვის მისი სპეციფიკურობის გამო.

3) სახელზმნები (მასდარი, მიმღობა) უპირატესად პრევერბებით გვხვდება:

გახუნება, გაუფერულება, გაღიავება...

გახუნებული, გაუფერულებული, გაღიავებული...

მათი უპრევერბო ფორმები: ხუნება, უფერულება, ღიავება... ხუნებული, უფერულებული, ღიავებული... არ არის რეალური, ბუნებრივი.

ამ მოსაზრებათა გამო ეძლევა უპირატესობა ახალ „ქესლ“-ში პრევერბიან (მყოფადის) ფორმათა სინონიმურ მწკრივს.²⁹

დაბოლოს, ზემოთქმული მოკლედ რომ შევაჯამოთ:

ქართული ენის სინონიმთა სალექსიკონო მასალაში მიღებული წესი პრევერბიან (მყოფადის) და უპრევერბო (აწმყოს) ზმნათა სინონიმური მწკრივების ერთად განლაგებისა წარმოადგენს ოპტიმალურ ვარიანტს, რომელიც იძლევა საშუალებას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის და ზოგი სხვა მასალის კომპაქტურად (შემჭიდროებულად) გამოცემისა ლექსიკონის ძირითადი პრინციპების დაცვით არსებითი ხასიათის ცვლილებების გარეშე, რასაც **ამ ეტაპზე** ისახავს მიზნად „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“, რომელიც მუშავდება არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

²⁹ ეს საკითხი (და ზოგი სხვა) ლექსიკოლოგიის განყოფილებაში კარგა ხანს (1999 წლის სამეცნიერო სესიამდე) წარმოადგენდა დავის საგანს.

ლიტერატურა

კიკვიძე, 1963 — ბ. კიკვიძე, „ალ, ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მეორე შეესებული და შესწორებული გამოცემა“, „მაცნე“, 1963, № 2.

კიკვიძე, 1964 — ბ. კიკვიძე, კვლავ სინონიმთა ლექსიკონის შესახებ, „მაცნე“, 1964, № 1.

მანჯგალაძე, 1999 — მ. მანჯგალაძე, გეზისა და ორიენტაციის კატეგორიები თანამედროვე ქართულში, ავტორეფერატი ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

ნოზაძე, 2002 — ლ. ნოზაძე, შენიშვნები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე მის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით, „საენათმეცნიერო ძიებანი“, VIII, 2002, გვ. 226-242.

ნოზაძე, 2003 — ლ. ნოზაძე, ზოგი ტექნიკური საკითხის გამო ქეგლ-ში, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 62-ე საენათმეცნიერო სესიის მასალები, 2003, გვ. 26-30.

ნოზაძე, 2004 — ლ. ნოზაძე, მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და ქეგლ-ი, „ენათმეცნიერების საკითხები“, 1. 2004, გვ. 91-106.

ფოგტი, 1970 — ჰ. ფოგტი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964, იკე, XVII.

ფოჩხუა, 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

ფოჩხუა, 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული სინონიმის ლექსიკოლოგიური საკითხები, იკე, XXII, 1980, გვ. 292-299.

შანიძე, 1999 — ა. შანიძე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (კრიტიკული შენიშვნები), ენათმეცნიერების საკითხები, 2, 1999.

ჩიქობავა, 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I („ქართული ენის ზოგადი დახასიათება), 1950, გვ. 011, 017.

ჩიქობავა, 1964 — არნ. ჩიქობავა, „მთავარი რედაქციისაგან“, ქეგლ-ი, VIII, 1964.

ჩიქობავა, 1986 — არნ. ჩიქობავა, „მთავარი რედაქციისაგან“, ქეგლ-ი, ერთტომეული, 1986.

ჭაბაშვილი, ნოზაძე, 1993 — მ. ჭაბაშვილი, ლ. ნოზაძე, ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი (ნიმუშები) იკე, XXXII, 1993, გვ. 217-230.

LAMARA NOZADZE

Dictionary of Synonyms of the Georgian Language and Some Problems Connected with it

Summary

At Arn. Chikobava Institute of Linguistics a group of lexicographers are working on the Georgian dictionary of synonyms. The Georgian Monolingual Dictionary (in 8 volumes, ed. by Arn. Chikobava, 1930-1964) and the principles used in the given dictionary are taken as the basis.

Each string of synonyms is defined and illustrated by the samples from the accumulated data as well as the works of classic and modern Georgian literature.

The paper reviews the dictionaries of synonyms of the Georgian language compiled by A. Neiman (1951, 1961), by K. Jorjaneli (2003). Some drawbacks of the given dictionaries are pointed out. The paper discusses the theoretical novelties used in the new dictionary.

მანანა რუსიშვილი

რატომ არ არის პ. ბრაუნისა და ს. ლევენსონის ლინგვისტური თავაზიანობის მოდელი უნივერსალური?

პ. ბრაუნისა და ს. ლევენსონის ლინგვისტური თავაზიანობის მოდელი საფუძველი დაუდო ლინგვისტური თავაზიანობის პრაგმატიკულ კვლევას როგორც ერთი ენის ფარგლებში, ისე კულტურათაშორის ასპექტში და ბიძგი მისცა დღეს უაღრესად პოპულარული ლინგვისტური თავაზიანობის თეორიის განვითარებას. კვლევის საწყის ეტაპზე ეს თეორია უნივერსალურად მიიჩნეოდა, ანუ ითვლებოდა, რომ მისი საშუალებით წარმატებით შეიძლებოდა ნებისმიერი ენის მასალის კვლევა.

მოგვიანებით, სხვადასხვა ენის, მათ შორის არამონათესავე ენების ემპირიული მასალის შესწავლამ დაადასტურა, რომ ამ მოდელის უნივერსალურობის „საიდუმლო“ არის ის, რომ მკვლევრები კონკრეტულ ემპირიულ მასალას მის თარგზე ჭრიდნენ და ნაკლებად ითვისებდნენ კონკრეტული ენების სპეციფიკას (ფუკუშიმა, 2000; სიფიანუ, 1992).

შემდგომმა კვლევებმა გამოავლინა ისიც, რომ მოდელის ავტორების მიერ მოწოდებული თავაზიანობის სტრატეგიები არ არის საკმარისი ისეთი რთული და ძნელად ხელშესავლები ფენომენის შესასწავლად როგორც ლინგვისტური თავაზიანობა, რადგან ეს უკანასკნელი არ უტოლდება მხოლოდ დადებითი თუ უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიებს. (ბლუმ-კულკა, 1992; იილენი, 2001) გაცხადდა ისიც, რომ ბრაუნისა და ლევენსონის კლასიკური მოდელის არც ერთი საკვანძო დებულება არ არის აბსოლუტური.

ბრაუნისა და ლევენსონის თეორიის კრიტიკა არ გახლავთ ამ სტატიის მიზანი. მათი მოდელის მნიშვნელობა ლინგვისტური თავაზიანობის თეორიის კვლევისათვის უდავოა. მე მხოლოდ შევეცდები მათი თეორიის თანამედროვე თვალთახედვით გადასინჯვასა და ამ მიმართებით მომავალი კვლევის შესაძლო მიმართულებების მოხაზვას.

ავტორები უდავოდ საინტერესო ნაშრომს იწყებენ თავაზიანობის განმარტებით, რომელიც განისაზღვრება, როგორც კომუნიკაციის აქტის ერთ-ერთი მონაწილის, კერძოდ, მოსაუბრის მიერ გამოყენებული სტრატეგია პოტენციურად აგრესიული მსმენელის გასაიარაღებლად (Politeness presupposes the potential for aggression as seeks to disarm it and makes possible communication between potentially aggressive parties (ბრაუნი და ლევინსონი, 1987)

სხვაგან ავტორები ამტკიცებენ, რომ კომუნიკაციური აქტის მონაწილენი *a priori* თავაზიანნი, გულწრფელნი და კეთილგანწყობილნი არიან. შესაბამისად, მათი მოდელი სწორედ ასეთი შემთხვევების დეკოდირებისთვის არის მოწოდებული (ბრაუნი და ლევინსონი, 1987).

გამოცდილებით დასტურდება, რომ ზემოთ მოყვანილი არც ერთი დებულება არ არის აბსოლუტურად ჭეშმარიტი, რადგანაც კომუნიკაციის პროცესი არც მონაწილეთა აბსოლუტური აგრესიულობით ხასიათდება და არც მათი აბსოლუტური კეთილგანწყობით. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც თავაზიანობის საბურველის ქვეშ მოქცეული კომუნიკანტები თვალთმაქცობენ, მანიპულირებენ თავაზიანობის სტრატეგიებით ან კიდევ ემორჩილებიან კულტურულ სოციუმში მიღებულ კონვენციებსა და ნორმებს .

მოდელის მიხედვით, ნებისმიერი სამეტყველო აქტი პოტენციურად საშიშია კომუნიკანტების სახისათვის და შეიძლება მისი რღვევაც კი გამოიწვიოს. შიში სახის რღვევისა ამ თეორიაში უკიდურესობამდე მიდის და ისეთი „უწყინარი“ სამეტყველო აქტიც კი, როგორცაა სუფრაზე, თანამეინახისათვის მარილის გადმოწოდების თხოვნა, შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს სახისათვის.

ცხადია, ეს მოდელი, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალისტური ბრიტანული კულტურისათვის არის მოწოდებული და ხაზს უსვამს მხოლოდ მოსაუბრის სტრატეგიას. ამდენად, მკვლევრის ყურადღების მიღმა რჩება მსმენელის პოზიცია, ასევე სოციუმის ან სოციალური ქვეჯგუფის მიერ დადგენილი და მისი წევრებისთვის თავსმოხვეული შეზღუდვები.

ისიც ცხადია, რომ როდესაც რაიმე ვერბალური ფორმა ენასა და კულტურაში დაფიქსირებულია გარკვეული კომუნიკაციური სტრატეგიის შესასრულებლად, დროთა განმავლობაში იგი კონვენციურად ასოცირდება ამ სტრატეგიასთან (მაგალითად, **please, thank you** ასოცირდება თხოვნისა და მადლობის გადახდის აქტებთან). ამ

სტრუქტურის გამოყენება კონკრეტულ კომუნიკაციურ სისტემაში, მისი სიხშირის გათვალისწინებით, დაკავშირებულია არა კომუნიკანტთა თავაზიან ქცევასთან, არამედ მათ მისწრაფებასთან დაემორჩილონ სოციალური კონვენციის წესებს, ანუ თხოვნის მეტყველების აქტის აქტუალიზაციის დროს იხმარონ პლუასე, და მადლობა გადაიხადონ ფრაზით **Thank you**. ამ საკომუნიკაციო ფორმათა აქტუალიზება კონტექსტში დღეს აღარც აღიქმება თავაზიანობად, არამედ გვევლინება ნორმად. თუმცა, მეორე მხრივ, მათი ამოვადება შეიძლება კონვენციის დარღვევადაც მოინათლოს.

ხშირ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნე, კომუნიკანტები მხოლოდ კონვენციისა და ნორმისადმი ერთგულების გამო ხმარობენ თავაზიან გამოთქმებს. ამის დასადასტურებლად კრისტის მოჰყავს საპარლამენტო პაექრობის მაგალითი, როდესაც მეტოქე პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთს მიმართავენ ფორმით **“honorable member”** და მესამე პირის ნაცვალსახელით, რაც შეესაბამება პარლამენტის სადისკუსიო ეტიკეტით მიღებულ წესებს და არ გამოხატავს მოსაუბრეთა რეალურ განწყობას (კრისტი, 2002). ლინგვისტური თავაზიანობის ფორმების ხმარების ასეთ კერძო შემთხვევებს, როგორც ითქვამს, ეს მოდელი არ ხსნის.

ბრაუნისა და ლევინსონის თეორია არ ასახავს სოციალურ ურთიერთობებს, ანუ მას აკლია „სოციალური თავაზიანობის“ გაგება, რომელიც ლიტერატურაში განიმარტება როგორც მეტყველების სიტუაციისათვის შესაფერისი ლინგვისტური ქცევა. ჯენი და არნდტი გარკვეულად მოგვაგონებენ გოფმანის მსჯელობას, როდესაც საუბრობენ სოციალურ თავაზიანობასა და ტაქტს შორის განსხვავებებზე (**Social politeness is like a system of traffic rules, while tact is more a matter of interpersonal driving styles and strategies**) (ჯენი და არნდტი, 1992).

ჩემი გამოცდილება ეთანხმება აზრს, რომ არ შეიძლება თავაზიანობის კვლევის დროს მხოლოდ ინდივიდუალურის განხილვა და მისი მოწყვეტა სოციალურისაგან. იმისათვის, რომ ვიცოდეთ, კომუნიკაცია თავაზიანია თუ არა, კომუნიკანტთა ქცევა უნდა შევადაროთ, ერთი მხრივ, იმ კულტურულ და სოციალურ სტანდარტებს, რომლებშიც ისინი აქტუალიზდება და, მეორე მხრივ, კონკრეტულ კონტექსტურ მონაცემებს.

მოდელში ასევე არ ჩანს, თუ საზოგადოების რომელი ქვეჯგუფისათვის არის მისაღები იგი. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც

არც ერთი სოციუმი არ არის ერთგვაროვანი. ყოველ კულტურაში არის ჯგუფები, რომლებსთვისაც თავაზიანობა დროის უბრალოდ კარგად აღიქმება (ბლუმ-კულკა, 1992). ასევე აქ არ განსაზღვრულა არც გენდერული სპეციფიკა, მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავებები თავაზიანობის აღქმისა და გამოხატვის პროცესში დიდ როლს თამაშობენ (ჰოლმსი 1995, მილსი, 2003).

ბრაუნი და ლევისონი ლინგვისტურ თავაზიანობას განიხილავენ სტრატეგიებისა და სუპერსტრატეგიების ტერმინებში, რომლებიც გრადუალურობით ხასიათდება. ყველაზე ნაკლებად თავაზიანად მიიჩნევა პირდაპირი სტრატეგია. შემდეგ, თავაზიანობის ხარისხის ზრდის პირობაზე, მას მოსდევს დადებითი და უარყოფითი სტრატეგიები და, ბოლოს, ქარაგმები. თეორიის მიხედვით, დადებითი თავაზიანობის სტრატეგიები იხმარება სოციალური ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობისას, ხოლო უარყოფითი სტრატეგიები გამოიყენება სოციალურად დისტანცირებულ მოსაუბრეებს შორის.³⁰

ცხადია, რომ მოდელის მიხედვით, ყველაზე თავაზიან სტრატეგიად მიიჩნევა ქარაგმები, ანუ ის შემთხვევები, როდესაც მოსაუბრე მეტყველების აქტს ქარაგმულად წარმოაჩენს. კვლევებმა დაადასტურა, რომ არც ეს აზრია ჭეშმარიტი. იგი შეიძლება მეტ-ნაკლებად დადასტურდეს ბრიტანულ კულტურაში, თუმცა ქარაგმები არც აქ აღიქმება ყველაზე თავაზიან ფორმებად. ზოგიერთ კულტურაში კი, მაგალითად, არაბულში, უარყოფითი სტრატეგიების გამოყენება, განსაკუთრებით ერთი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების მიერ, არათავაზიანად აღიქმება. მსგავსი სურათი იხატება ქარაგმების ხმარების შემთხვევაშიც, რომლებიც, მიუხედავად ირიბულობისა, კვლევების შედეგების მიხედვით, არ აღიქმება ყველაზე თავაზიანად (სიფიანუ 1992, ბლუმ-კულკა, 1992).

ბრაუნი და ლევისონი არ არიან თანამიმდევრულნი, როდესაც ჯერ დადებით და უარყოფით სტრატეგიებს თავაზიანობის დიამეტრულურად საწინააღმდეგო სტრატეგიებად მიიჩნევენ, ხოლო შემდეგ

³⁰ მოგვიანებით სკოლონი და სკოლონი გვთავაზობენ ტერმინთა შეცვლას ფაქტობრივად იმავე შინაარსის აღსანიშნად. რადგანაც ტერმინები „დადებითი“ და „უარყოფითი“ თავაზიანობა შეიცავენ ევალუაციურ კომპონენტს, ისინი გვთავაზობენ ნეიტრალურ ტერმინებს, რომლებიც საქმის არსს უკეთესად გამოხატავენ. ეს ტერმინები **involving** (დადებითი თავაზიანობის აღსანიშნად) და **distancing** (უარყოფითი თავაზიანობის აღსანიშნად) (სკოლონი და სკოლონი, 1995).

აცხადებენ, რომ ისინი ქცევის ორი განსხვავებული სახეა, რომლებიც, შესაძლოა, ანალიზის განსხვავებულ ფორმას მოითხოვდეს. ამგვარად, ზოგჯერ ეჭვქვეშ დგება ამ სტრატეგიების ფუნქციური ერთიანობის საკითხი (უერკჰოფერი, 1991). ჰარისს მოჰყავს ისეთი მაგალითებიც, როდესაც ორივე სტრატეგია თანადროულად იხმარება (ჰარისი, 2001).

ასევე საკამათოა მოდელის ერთ-ერთი ძირითადი კონცეპტი „სახე“. თეორიაში იგი ძლიერ ინდივიდუალისტურად არის წარმოჩენილი, თუმცა, ერთი მხრივ, გოფმანის ტერმინი და, მეორე მხრივ, ჩინური კონცეპტი, საიდანაც გოფმანმა ისესხა იგი, სახის როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ მხარეს თანაზომიერად შეიცავს. ობიექტური არ ვიქნები, თუ არ ვიტყვი, რომ ბრაუნი და ლევისონი საუბრობენ სახის საზოგადოებრივ ღირებულებაზეც, მაგრამ, როდესაც ისინი უღრმავდებიან სახის უარყოფით და დადებით კომპონენტებს, ანალიზებენ მხოლოდ მის ინდივიდუალურ ასპექტს.³¹ ამის გამო, ამ მოდელის მიხედვით, სახე ვერ ახერხებს ადამიანთა და სოციუმს შორის ურთიერთობის სპეციფიკის სრულად გახსნას (რუსიეშვილი, 2006).

ამ პრობლემამ აიძულა მკვლევრები, ეძებნათ მოვლენის ადეკვატურად აღმნიშვნელი ტერმინები. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. სპენსერ-ოუტის აზრით, ტერმინი „**rapport- management**“ უფრო სრულად ასახავს ამ ფენომენის როგორც ინდივიდუალისტურ, ისე სოციალურ მხარეს (სპენსერ-ოუტი 2000, 131-133).

ხსენებული თეორიის ერთ-ერთი ძირითადი დებულება სახის რღვევისათვის საშიში მეტყველების აქტებისაგან თავის დაღწევას ნებისმიერი მეტყველების აქტი სახისათვის საშიშია. ამგვარად, მოდელი სახისათვის საშიში მეტყველების აქტებისგან თავის დაღწევასა და სახის რღვევის რისკის შემცირებისაკენაა მიმართული და არ კონცენტრირდება უკვე აქტუალიზებული მეტყველების აქტის შემდგომი დეკოდირების პრობლემებზე. მოსაუბრის პოზიცია, მისი ინტენცია, სათავიდანვე პრობლემატურია, რადგანაც იგი საფუძველშივე სახიფათოა მსმენელის სახისათვის. თვით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მი-

³¹ უარყოფითი სახე იმპოზიციისაგან გათავისუფლებას ემსახურება, ხოლო დადებითი სახე — მოსაუბრის მიერ მინიჭებული იმიჯის ასახვას.

სი ინტენცია პოზიტიურია, მოსაუბრე არ არის დარწმუნებული, მსმენელი მას ადევნატურად გაუგებს თუ არა. ვერ ავხსნით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მეტყველების აქტი არავითარ საფრთხეს არ გულისხმობს და როდესაც იმპოზიციის ხარისხი მინიმალურია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი, ვთქვათ, ოჯახის წევრისგან მოდის. თუ ბრაუნისა და ლევინსონის მსჯელობის ლოგიკურ ხაზს მივყვებით, არც ერთი მეტყველების აქტი არ უნდა დასრულდეს, რადგანაც კომუნიკანტები მუდმივად ცდილობენ მისთვის თავის არიდებას, მაგრამ მიუხედავად ამ მცდელობისა, კომუნიკაცია მაინც ხდება, ანუ მეტყველების აქტები აქტუალიზდება. ამ ფაქტის ასახსნელად ავტორებმა გამოსავალი გრაისის მაქსიმუმში იპოვეს და მეტყველების აქტი წარმოაჩინეს, როგორც გრაისის რომელიმე მაქსიმის დარღვევა. ეს გაუმართლებლად მეჩვენება, რადგან პირდაპირი მეტყველების აქტის ინფერენციის შემთხვევაში კომუნიკანტები არც (ან ალარ) გადიან დედუქციის იმ საფეხურებს, რასაც გრაისი, მის კვალდაკვალ კი ბრაუნი და ლევინსონი ვარაუდობენ. მაგალითად, ავიღოთ თხოვნა **Could you open the door, please** (შეგიძლიათ კარი გააღოთ?) თხოვნის ეს უარყოფითი სტრატეგია, მსგავსად ბევრი სხვა თავაზიანი ფორმულისა, დღეს ავტომატურად აღიქმება. მდგომარეობას არც თავაზიანობის მარკერის — **please**- ხმარება ცვლის, რადგანაც იგი ნებისმიერი მეტყველების აქტს შეიძლება ახლდეს — თხოვნიდან ბრძანებამდე და ამდენად არ იხმარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ თავაზიანობის მარკერად. ასე მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება მოუწოდოს კლასს **Could you please be quiet**, და ამ კონტექსტშიც **please**, ისევე როგორც წინა მაგალითში, არ არის თავაზიანობის აღმნიშვნელი ფორმა.

ანალიზის დროს ბრაუნი და ლევინსონი ემპირიულ მასალას ეყრდნობიან, რაც, თავისთავად, ზრდის დასკვნების ჭეშმარიტების ხარისხს, მაგრამ მათი ანალიზი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ლინგვისტური გამონათქვამის, წინადადების სტრუქტურულ დონეზე წყდება (რასაც ავტორებიც მიუთითებენ). ეს გარემოება ყურადღების მიღმა ტოვებს დისკურსის ორგანიზაციის უფრო მაღალ, მეტა-პრაგმატიკულ დონეს.

მოდელი მომარჯვებულია მხოლოდ ექსპლიციტური, პირდაპირი მეტყველების აქტების დეკოდირებისათვის, შესაბამისად, იგი ვერ ხსნის ირიბ სამეტყველო აქტებსა და ინფერენციის გართულებულ შემთხვევებს ლინგვისტური თავაზიანობის როგორც ერთი კულტურ-

რის, ისე კულტურათა შორის სპეციფიკის კვლევის თვალსაზრისით.

საკამათო ასევე ინსტიტუციონალური დისკურსის პირობებში თავაზიანობის სტრატეგიების აქტუალიზაციის პრინციპებიც. ავტორები ვარაუდობენ, რომ მაღალი თანამდებობის პირები პირდაპირ დადებით სტრატეგიებს უნდა იყენებდნენ, ხოლო მათი ქვეშევრდომნი უარყოფითს. კვლევებმა არც ეს ვარაუდი ასახა აბსოლუტური სიზუსტით (დიამონდი, 1999).

ბრაუნისა და ლევინსონის მოდელი მოსაუბრის მოდელია. ამგვარად, იგი სრულად არ მოიცავს კომუნიკაციური სიტუაციის ყველა მონაწილესა თუ პარამეტრს. თუნდაც ამის გამო ვერ იქნება იგი უნივერსალური. ავტორები გამოსავალს პოულობენ ზიარი ცოდნის ცნებაში (მათი გაგება აქ უახლოვდება სპერბერისა და უილსონის ორმხრივი მანიფესტაციის ინტერპრეტაციას). მაგრამ ამ ცნებით ვერ ავხსნით იმ საორჭოფო შემთხვევებს, როდესაც თვით მეტყველების აქტის მონაწილენი ვერ ამბობენ დაზუსტებით, როგორ აღიქმება მათი საქციელი ანდა ვერბალური ქცევა მსმენელის მიერ — თავაზიანად თუ არათავაზიანად. გარდა ამისა, მეტყველების აქტის ინტერპრეტაციის დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ ვერბალური გამონათქვამები, ყურადღების მიღმა კი რჩება არავერბალური კომუნიკაციის მთელი სპექტრი — ყესტები, მიმიკა, დუმილი..

მოდელი გვთავაზობს უნივერსალურ ფორმულას, რომლის მიხედვით, ძალაუფლება არის თავისუფლების შეზღუდვა, ანუ ძალაუფლებასა და თავაზიანობის ვერბალურ გამოხატვას შორის არსებობს ცალსახა კორელაცია. თუ მოსაუბრე გაზრდის ძალაუფლებას, შესაბამისად, შემცირდება იმპოზიციის ხარისხი.

$$Wx = D (S, H) + P (S, H) + Px.$$

ამ ფორმულიდან იმპოზიციის წონა (Wx), ანუ თავაზიანობის ხარისხი შეიძლება გამოვითვლოთ თუ შევკრებთ კომპონენტთა სოციალურ დისტანციას (D), ძალაუფლებასა (P) და იმპოზიციის (R).

კვლევებმა გვიჩვენეს, რომ ეს ვარაუდი არ დასტურდება (სიფიანუ, 1992, ბლუმ-კულკა, 1992). კონკრეტულ შემთხვევებში ძალაუფლების შეფასება დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. მაგალითად, ინსტიტუციური, თანამდებობრივი ძალაუფლება შეიძლება არც დაემთხვეს რეალურ ძალაუფლებას. ძალაუფლება არ წარმოდგება როგორც მხოლოდ ინსტიტუციური დისკურსის კატეგორია, არამედ იგი უახლოვდება ლინგვისტური პროცესის აღწერას. ხელქვეითის პატი-

ვისცემა უფროსის მიმართ შეიძლება შეიცვალოს უფროსის ქცევის მიხედვით. ამითვე დარეგულირდება იმპოზიციის დონე და ძალაუფლების ხარისხი.

ფორმულის მეორე კომპონენტი არის სოციალური დისტანცია, ანუ დისტანცია კომუნიკანტთა შორის. იგი აქ ხასიათდება როგორც სტაბილური სიდიდე. კვლევებმა კი დაადასტურა, რომ არც ეს ცვლიდა სტაბილური, რადგანაც კომუნიკანტები არ მოქმედებენ ურთიერთობის გაყინულ ეტაპზე, მათ შორის დისტანცია შეიძლება შეიცვალოს. (უოტსი, 1992).

არამდგრადი აღმოჩნდა ასევე ფორმულის შემდეგი სიდიდე — იმპოზიცია.

ბრაუნი და ლევისონი ამტკიცებენ, რომ დახასიათებული კომპონენტები ქმნიან მყარ ფორმულას, რომელიც წარმატებით ხსნის ლინგვისტური თავაზიანობის გამოხატულების უმეტეს შემთხვევებს.

ამ ფორმულის ინტერპრეტაციის საფუძვლად ავტორები დებენ ზიარი ცოდნის ცნებას, თუმცა არ კონკრეტდება, თუ რა ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც კომუნიკანტები არ არიან დარწმუნებულნი, რამდენად დიდია ძალაუფლება ან სოციალური დისტანცია მათ შორის, ანდა ისინი განსხვავებულად აფასებენ ამ კატეგორიებს (უოტსი, 1992) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეფასება მაინც მოხერხდა, თითოეული კომპონენტის სტატუსი შეიძლება განსხვავდებოდეს კულტურიდან კულტურაში.

პოლმსის აზრით, ლინგვისტურ ფორმას თავისთავად არ შეუძლია თავაზიანობის ან არათავაზიანობის გამოხატვა. იმის ზუსტი გარკვევა, თუ რას გამოხატავს იგი, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტურ პარამეტრებზე დაკვირვების შემთხვევაში.

თავაზიანობა ხასიათდება მრავალფუნქციურობით. გარდა სოლიდარობისა და მოკრძალების გამოხატვისა, იგი გვევლინება სტრატეგიების ერთობლიობად, რომლებსაც ქმნიან სოციუმის წევრები, და უნდა განვიხილოთ როგორც სოციალურად ფიქსირებულ ფორმა, რომელიც არა არის დოგმატური, არამედ განსხვავდება კულტურებისა და ერთი კულტურის შიგნით მოქმედი სოციალური ჯგუფების ქცევის მიხედვით. კომუნიკაციის დროს მონაწილეები თვითონ ირჩევენ სტრატეგიებს, კონკრეტული მეტყველების აქტიდან გამომდინარე, ანუ მეტყველების აქტის ლინგვისტური თავაზიანობის თვალსაზრისით გამოკვლევა შეუძლებელია კონკრეტულ სოციალური ჯგუფში

მოქმედი ნორმებისა და მეტყველების აქტის კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.

შემდეგი პრობლემა არის პასუხი კითხვაზე, თავაზიანობა ორგანულად ახასიათებს რაიმე ლინგვისტურ ფორმას, თუ ეს მხოლოდ კონტექსტური მსჯელობისა და შეფასების შემდეგ დადგინდება? თუ ლინგვისტური თავაზიანობის კონკრეტული პარამეტრები კონტექსტურია, მაშინ ცხადია, რომ მეტყველების აქტის მონაწილენი მუდმივად უდარებენ მას მეტყველების აქტში აქტუალიზებულ სოციუმში მოქმედ სტანდარტებს.

შეუძლებელია არ დაეთანხმო ტეილორს, რომ ენა არის ნორმატიული პრაქტიკა, რომელსაც ჩვენ ვქმნით და ვუსადაგებთ მორალურ და კულტურულ ფასეულობებს (ტეილორი, 1992: 13).

თავაზიანობა შეიძლება იყოს მარკირებული, სტრატეგიული (მაგალითად, პოლიტიკური მეტყველება) და არამარკირებული (თავაზიანობის ფორმების რუტინული, ქვეცნობიერი გამოყენება).

შესაბამისად, კომუნიკაციის დროს მონაწილეები თვითონ ირჩევენ ლინგვისტურ ფორმებს და თავადვე ადარებენ მათ საზოგადოებაში მოქმედ სტანდარტებს; ანუ უპრიანია აქცენტის გადანაცვლება ინდივიდუალური მოსაუბრის სტრატეგიული ქცევის შესწავლისაგან, რომელიც აქამდე ექცეოდა ყურადღების ცენტრში, სოციუმის სპეციფიკის შესწავლისაკენ, რომელშიც მოქმედებს გენდერული, რასობრივი თუ კლასობრივი შეზღუდვები და რომელიც ხაზს უსვამს თავაზიანობის ლინგვისტური გამოხატვის შესწავლის საჭიროებას საზოგადოების სოციალური ჯგუფებისა და მათში მოქმედი ინდივიდების თვალსაზრისით.

ლიტერატურა

ბლუმ-კულკა, 1992 — Blum-Kulka, S . “ The meta-pragmatics of politeness in Israeli society” in Watts, r., Ide, s., and Ehlich, K (eds) *Politeness in Language: Studies in Its History, Theory and Practice*, Berlin and New York, Mouton de Gruyter, pp.255-280.

ბრაუნი და ლევისონი, 1987 — Brown, P ., and Levinson, S., *Politeness: some Universals in Language Usage*, Cambridge, CUP

დიამონდი, 1996 — Diamond, J. *Status and Power in Verbal Interaction: A study of Discourse in a Close-knit Network*, Amsterdam/ Philadelphia, John Benjamins

იილენი, 2001 — Eelen, G, *Critique of Politeness Theories*, Manchester, St. Jeromes Press

კრისტო, 2002 _ Christie, C. "Politeness and the Linguistic construction of gender in Parliament: An analysis of transgression and apology behaviour" in Linguistic Politeness and Political Research Group (ed) *Working Papers on the Web*

მილსი, 2003 — Mills, S. *Gender and Politeness*, CUP

ვენის და არნდტი, 1992 — Janney, R., and Arndt, H. Intracultural tact versus intercultural tact" in Watts, R., Ide, S., and Ehlich, K (eds) *Politeness in Language : Studies in Its History, Theory and Practice*, Berlin and New York, Mouton de Gruyter, pp.21-42

რუსიეშვილი, 2006 — rusiesvili, m. *erving gofmanis Teoriis evoluciiis Taobaze*. saenaTmecniero Ziebani, XXIII , Tbilisi

სიფიანუ, 1992 — Sifianou, M. *Politeness Phenomena in England and Greece*, Oxford, Clarendon

სკოლონი და სკოლონი, 1995 — Scollon, R., and Scollon , S., *W Intercultural Communication: A discourse Approach*, Oxford ,Blackwell

სპენსერ-ოუტი, 2000 — Spencer-Oatey, H " Rapport Management: a framework for analysis, in Spencer-Oatey, H (ed) *Culturally spaeaking: Managing Rapport through Talk Across Cultures*, London, Continuum, pp. 272-288

ტეილორი, 1992 — Taylor, T. *Mutual Misunderstanding: Scepticism and the Theorising of Language and Interpretation*, London, Routledge

უერკჰოფერი, 1992 — Werkhofer, K " Traditional and model view: the social constitution of the power of politeness", in Watts, R., Ide, S., and Ehlich, K (eds) *Politeness in Language: Studies in Its History, Theory and Practice*, Berlin and New York, Mouton de Gruyter, pp155-199

უოტსი, 1992 — Watts, R. " Linguistic Politeness and Politic verbal behaviour" in Watts, R., Ide, S., and Ehlich, K (eds) *Politeness in Language: Studies in Its History, Theory and practice*, Berlin and New Yourk, Mouton de Gruyter, pp.43-70

ფუკუჟიმა, 2000 _ Fukushima, S . *Requests and Culture: Politeness in British English and Japanese*, Bern, Peter Lang.

ჰარისი, 2001 — Harris, S., Being politically impolite: extending politeness theory to adversarial political discourse". in *Discourse and Society*, 12/4 pp.451-472

ჰოლმსი, 1995 — Holmes, J. *Women, Men and Politeness*, London, Longman.

MANANA RUSIESHVILI

Why is not Brown and Levinson's Model of Linguistic Politeness Universal

Summary

As is known, P. Brown and S. Levinson's model played an important role in the development of politeness theory.

At first the model was regarded as universal. However, later it proved not to be so.

The paper discusses some debatable questions of the Brown and Levinson theory and outlines possible research tendencies in the further evolution of the pragmatic theory of politeness.

ჯავახი სალუპი

გეოგრაფიული სახელების შესახებ საადი შირაზელის
„ბოლმსთანში“

შეიხ საადი შირაზელი (XII-XIII სს.) სპარსული კლასიკური პოეზიისა და პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ყურადღებას იპყრობს მისი ლირიკული ლექსები, ხოლო დიდი შემოქმედებითი ნიჭის წყალობით მან „შეძლო დიდაქტიკური ჟანრის საგმირო და რომანტიკულ ჟანრთან გათანაბრება“ (დავით კობიძე).

საადის ბიოგრაფია ნაკლებადაა ცნობილი. ამ მხრივ გარკვეულწილად ხარვეზს ავსებს მისი დიდაქტიკური ნაწარმოებები „ბუსთანი“ და „გოლესთანი“. ვიცით, რომ საადი ბევრს მოგზაურობდა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიიყვანა იგი ბედის უკუღმართობამ თუ საჭიროებამ. ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია „გოლესთანში“ მოხსენიებული გეოგრაფიული სახელების კვლევა, რაც შესაძლებელია შუქს მოჰფენს პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხს.

ესქანდერი ე (ალექსანდრია) — ქალაქი და ნავსადგური ეგვიპტეში, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ააშენა 331 წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე. პტოლომეების დინასტიის მმართველობის პერიოდში (305-330 წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე), ელინისტური კულტურის დიდი ცენტრი. ცნობილი იყო ქალაქის მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ჯერ იმპერატორმა იულიუს კეისარმა, ხოლო შემდგომ სხვა დამპყრობლებმა 390 წელს დაწვეს. ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობაა ზღვის პირას აგებული შუქურა, რომლის სიმაღლე 400 ფუტია.

ბასრე (ბასრა) — ქალაქი და ნავსადგური ერაყის სამხრეთით შათელ-არაბზე, ირანის ქალაქისა და ნავსადგურის ხორამშაპრის პირდაპირ. ბასრას რაიონი მდიდარია ნავთობითა და ფინიკის სავარგულებით. ნავსადგურს, როგორც ერთადერთ გასასვლელს თავისუფალი ზღვებისკენ, დიდი მნიშვნელობა აქვს ერაყის ეკონომიკისათვის.

ბა'ალბაქ (ბაალბექი) — ლიბანის სამხრეთით მდებარე ძველი ქალაქი, რომელიც ფინიკელებს ეკუთვნოდა. მას უწოდებდნენ ჰელიოპოლისს. პირველ საუკუნეში რომაელების კოლონია იყო. მოსახლეობა მისდევდა მზის კულტს და აგებული იყო სალოცავი ტაძარი.

ბაღდად (ბაღდადი) — ცნობილი ქალაქი მდინარე ტიგროსზე, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში აბასიანთა სახალიფოს ცენტრი იყო, დღეს ერაყის დედაქალაქია. სახელის ეტიმოლოგია აიხსნება ირანულ ნიდაგზე: ძვ. სპ. *bagadāta* > *baydad* — კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილია *bay* - „ღმერთი“, მეორე ნაწილი — *dāta* > *dād* ნამყო დროის მიმღეობა ზმნისა *dādan* - „ბოძება“, „მიცემა“, ე.ი. „ღმერთების მიერ ბოძებული“.

ბალხ / ბაალხ-ე ბამი აან (ბალხი / ბალხე ბამიანი) — დიდი ქალაქი ისტორიულ ხორასანში, დღეს ავღანეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ბალხი კარგადაა ცნობილი ძველ ირანულ წყაროებში: ძვ. სპ. *Bāxtri*, *Bāxθi*, ფალ. *Balx*, *Baxl*. ბამიანი, დასახლებული პუნქტი ბალხის მახლობლად, ცნობილი იყო კერპთაყვანისმცემელთა ტაძრებით.

თორქესთან (თურქისტანი) — ისტორიული თურქისტანის მხარე მოიცავდა შუა აზიის ტერიტორიას, ჩრდილოეთით ციმბირამდე, სამხრეთით — ავღანეთს, ინდოეთამდე, ხოლო აღმოსავლეთით — მონღოლეთამდე. თურქულენოვანი ტომები ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში გამოჩნდნენ შუა აზიის ტერიტორიაზე, ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას, არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტრუქტურა და, ძირითადად, ეწეოდნენ მეზობელი სახელმწიფოების ძარცვა-გლეჯას. საშუალო ირანული წყაროები („ზარერის იადგარი“, „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი“) იხსენიებენ თურქებს. „ირან-თურანის“ თემა ძალიან პოპულარულია სპარსულ ლიტერატურაში, გავიხსენოთ „შაჰ-ნამე“.

ჰეჟააზ (ჰიჯაზი) — არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთის მხარე მეწამულს ზღვასთან. აქ არის მუსლიმთათვის ცნობილი ქალაქები მექა და მედინა.

ჰალაბ (ალეპო) — ქალაქი სირიაში, ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრი.

ხათაა (ხათა) — მუსლიმური ავტორების მიხედვით, ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილი, მონღოლეთისა და თურქისტანის აღმოსავლური რაიონები.

ხორასანი (ხორასანი) — ცნობილი ოლქი ირანის აღმოსავლეთ ნაწილში. ტრადიციულად ირანის აღმოსავლეთ რეგიონს, სადაც შედიოდნენ სხვადასხვა ოლქები და ქალაქები, დღევანდელი შუა აზიის სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. სახელი **ხორასანი** — კომპოზიტი — პირველი ნაწილი ხორ < ხვარ - „მზე“, მეორე ნაწილი — აწ. მიმღეობა — **aasaan, aasi**-დან (გორგანის დიალექტი) — „სვლა“, „მოსვლა“ ზმნიდან, ე.ი. „ამომავალი მზის მხარე“. ხორასანი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არაბების მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ. აქ გადაინაცვლა იმპერიის ცენტრმა, აქ შეიქმნა მძლავრი კულტურული ცენტრები. უნდა აღინიშნოს, რომ ამისთვის ნიდაგი შემზადებული იყო უკვე სასანელების ეპოქაში, შუა აზიის სასანური სახელმწიფოების სოლდისა და ხორეზმის მეშვეობით. ამ რეგიონიდან არიან რუდაქი და ფირდოუსი. XIII საუკუნის თეჰქერე ასახელებს 70-მდე ხორასნელ პოეტს.

ხარაზმი (ხორეზმი/ხვარაზმი) — მხარე ცენტრალურ აზიაში. ძვ. სპ. ჰუვარაზმიში, — მხარე, რომელიც მდებარეობდა ამუდარიის ქვედა დინების გაყოფებით. მომდევნო საუკუნეებში აქ შეიქმნა ძლიერი სახელმწიფო; მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ბირუნი (X-XI სს.) წარმოშობით ხორეზმელი იყო. მას აღწერილი აქვს ძველი კალენდარი და დღესასწაულები. ხორეზმელი იყო დიდი მეცნიერი ზამანზარი. ხორეზმი შეიქმნა იურიდიული ტრაქტატები და სხვა სახის თხზულებები.

დაჯლე დიჯლე (ტიგროსი) — მდინარე ერაყში, რომლის სათავე თურქეთშია. უძველესი დროიდან დიდ როლს ასრულებდა ბაბილონის ცხოვრებაში. სწორედ ტიგროსზე დაამარცხა კიროსმა ნაბონაიდი. ტიგროსის სანაპიროზე გაიმარჯვა დარიოს I-მა და აქედან იწყება მისი მეფობის ხანა. აქემენიდების დაცემის შემდეგაც, სელევკიდების ხანაში, ტიგროსი ინარჩუნებს პოზიციებს, მის სანაპიროზე გაშენდა სელევკიდების დედაქალაქი, ხოლო VIII საუკუნეში — ბაღდადი, აბასელთა სახალიფოს დედაქალაქი.

დარ აა ე მალრებ (მალრიბის ზღვა) — ხმელთაშუა ზღვა. ამ ზღვის სანაპიროზე წასვლა საოცნებო რამ იყო და სასწაულის ტოლფასი, რაც მხოლოდ ამა ქვეყნის ძლიერთ შეეძლო.

დამეშე (დამასკო) — ქალაქი სირიაში და ახლა ამ ქვეყნის დედაქალაქი. მისი მოსახლეობის ნაწილი ქრისტიანი იყო, არაბებმა 639 წელს დაიპყრეს ქალაქი და შემდეგ იგი ხალიფატის დედაქალაქი გახდა.

დი აარბაქრ (დიარბექრი) — წინა აზიაში მდებარე ქალაქი, გაშენებულია ტიგროსის ნაპირზე თურქეთში, ცნობილია საფეიქრო წარმოებით.

რუმ (რუმი) — „აღმოსავლეთის რომი“ ანუ ბიზანტია, რომლის დედაქალაქი იყო კონსტანტინეპოლი, თანამედროვე სტამბოლი. ირანელებს ხანგრძლივი მეტოქეობა და ომები ჰქონდათ ბიზანტიასთან. ეს იყო სასანიანთა ეპოქის დასასრული, როდესაც ირანი პოლიტიკურად და ეკონომიკურად საკმაოდ დასუსტებული იყო. მაგალითად, ხოსროვ ფარვიზის დროს (591-628 წწ.) ბიზანტიელები შეიჭრნენ ირანში და განადგურეს მეფის სასახლე. ამ ომებმა მძიმე კვალი დატოვა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ისტორიაში, მათ შორის საქართველოშიც.

ზუზანი (ზუზანი) — ქალაქი იყო ხორასანში, ნიშაბურსა და გერათს შორის. ამჟამად შედის თორბათე ჰეიდარიეს რაიონში.

სენჯარ (სენჯარი) — ქალაქი ერაყის ჩრდილოეთით, მოსულის ახლოს, ძველი ტექსტების მიხედვით, იწერება სანგაარ.

შამ (დღევანდელი სირია).

შირააზ (შირაზი) — სახელგანთქმული ქალაქი ირანის სამხრეთში, საადისა და ჰაფეზის სამშობლო. აქ იყო დიდი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი ძველ და საშუალო ხანის ირანში.

თარაბლოს (ტრიპოლი) — ქალაქი და ნავსადგური ლიბანში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

თურ (თური) — ადგილი, სადაც სალოცავად მივიდა მოსე მოციქული და მას ღვთის წყალობა მოეფინა.

'არაყე (ერაყი) — ტრადიციულად ერთმანეთისაგან ასხვავებენ ორ ერაყს: 'არაყე 'აჟამ (ირანის ერაყი) და 'B რ B ყე 'არაბ (არაბული ერაყი — დღევანდელი ერაყი). საადის „გოლესთანში“ იგულისხმება „არაბული ერაყი“.

ქაბე (ქაბა) — ისლამის მთავარი სალოცავი, ტაძარი, რომელიც დგას მექის მეჩეთ ალ-ჰარამის ეზოს ცენტრში. მსოფლიოს მუსლიმები ლოცვის დროს პირით ქაბის (და მექის) მიმართულებით დგებიან.

ყუდს (ყუდსი) — ყუდს - „წმინდა“; ქ. იერუსალიმი.

ქააშლარ (ქაშლარი) — აღმოსავლეთ თურქისტანის ცენტრალური ქალაქი.

ქან'აან (ქანაანი) — პალესტინის ძველი სახელწოდება, იოსების

დაბადების ადგილი.

ქუყე (ქუფა) — ქალაქი ერაყში, რომელიც იმამ ალის (ალი იბნ აბი ტალიბი — 596-661, მეოთხე და უკანასკნელი მართლმორწმუნე ხალიფა, მოციქულ მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე) ხანაში ხალიფატის დედაქალაქი იყო.

ქუჰე ალვანდ (ალვანდის მთა) ცნობილი მთა ჰამადანის სამხრეთით, იხსენიება საშუალო სპარსულ ძეგლში „ხოსროვ ქავადის ძე და ყრმა“.

ქიშ (ქიში) — კუნძული სპარსეთის ყურეში, რომელიც ამჟამად მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრია.

ლებნან (ლებნანი) — სახელწოდება მთისა, რომელიც გადაჭიმულია მექიდან მედინამდე, მლოცველებისათვის სიმყუდროვის მიმცემი.

მარდუშთ მარდაშთ (მარდუშთი/მარდაშთი) — რაიონი ფარსში.

მისრ (მისრეთი/ეგვიპტე) — არაბული ქვეყანა, მდებარეობს აფრიკისა და აზიის კონტინენტზე. ეგვიპტეს ირანთან ურთიერთობა ჰქონდა ჯერ კიდევ აქამანურ ხანაში. ეგვიპტეში გალაშქრება მიზნად დაისახა ჯერ კიდევ კიროსმა, ხოლო განახორციელა იგი მისმა ვაჟმა კამბიზმა, მან აიღო ეგვიპტის მთავარი ქალაქები და გაჰყვა ნილოსის დინებას ოაზისებისაკენ. ეს ლაშქრობა წარუმატებელი აღმოჩნდა ირანელებისათვის, ამ ბრძოლაში დაიღუპა კამბიზი (დაახ. 530 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე). მომდევნო პერიოდში ეგვიპტე შედიოდა აქამანიანთა იმპერიის შემადგენლობაში. ალექსანდრე მაკედონელის მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ, ეგვიპტე გამოეყო ირანს. მეშვიდე საუკუნიდან აქ გავრცელდა ისლამი და იგი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია არაბული სამყაროსი.

მალრიბ (მალრიბი) — მალრიბად იწოდება ჩრდილოეთ აფრიკის არაბული ქვეყნები: მაროკო, ალჟირი და ტუნისი. სიტყვა „მალრიბ“ ნიშნავს „დასავლეთს“.

მაქქა (მექა) — მაქქა ალ-მუქქარამა (დალოცვილი ქალაქი მექა), მოციქულ მუჰამადის სამშობლო, მუსლიმთა მთავარი წმინდა ქალაქი ჰიჯაზში (საუდის არაბეთი). დიდი სავაჭრო ცენტრი, განთქმული თავისი სიმდიდრით.

ნახლე ე ბანი ჰააშემ (ჰაშემიტების „ფინიკნარი“) — მექიდან მიმავალ გზაზე რაიონის სახელწოდება.

ნახლე ე მაჰმუდ (მაჰმუდიანთ „ფინიკნარი“) — მექის ახლოს

მდებარე რაიონი.

ნილ (ნილოსი) — ცნობილი მდინარე აფრიკის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში, მსოფლიოში ერთ-ერთი უგრძესი მდინარე, მისი სიგრძე 6700 კილომეტრია. მდინარე ნილოსს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტის სახალხო მეურნეობაში.

ჰამადან (ჰამადანი) < სპ. სპ. *Hāmatān* < ძვ. სპ. *hangmatāna*. ირანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქი, მიდიის იმპერიის დედაქალაქი. აქ არის დამარხული დიდი ენციკლოპედისტი აბუ ალი იბნ სინა (ავიცენა — X-XI სს.).

ჰენდუსთან (ინდოეთი) — ქვეყანა აზიის სამხრეთ მხარეში, მისი დედაქალაქია დელი. ინდოეთი მოხსენიებულია უძველეს ირანულ წყაროებში. ცნობილია, რომ აქამანურ და შემდგომ სასანურ ხანაში ირანის საზღვარი აღმოსავლეთით აღწევდა ინდოეთამდე.

ამან (იემენი) — ქვეყანა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ მხარეში. დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, დედაქალაქი — სანა.

უნან (საბერძნეთი) — საბერძნეთ-ირანის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ აქამანურ ხანაში (VI-IV სს. წელთაღრიცხვამდე). დარიოს მესამის მეფობის დროს ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა ირანი და მოსპო აქამანიანთა დინასტია.

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი, 1966 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ. I-II, 1966-1996.

„არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი“, თარგმანი, გამოკვლევა, ფალაურ-ქართული ლექსიკონი დაურთო თ. ჩხეიძემ, თბ. 1975.

კობიძე, 1983 — დ. კობიძე, რუსთაველისა და საადის ზოგიერთი სენტენციის შესახებ, „აღმოსავლური ფილოლოგია“, V, თბ. 1983.

მოინი, 1996 — M. Mo'in, Persian Dictionary, V-VI, Tehran, 1996.

ნიბერგი, 1974 — H. S. Nyberg, A Manual of Pahlavi, II, Wiesbaden, 1974.

ჯუსტი, 1995 — F. Justi, Iranisches Namenbuch, Marburg, 1895.

JAVAD SALEH

Geographical Names in Sa'di's "Gulistan"

Summary

The paper discusses some etymological peculiarities of the geographical names encountered in Sa'di's didactic-philosophical work "Gulistan".

As is known, the famous 12-13th century Persian writer Sa'di lived more than a century: he spent his younger years travelling and devoted his older years to meditations over his life experience. In the paper the geographical names evidenced in "Gulistan" have comments of geographical, historical and etymological types.

სოფიო ტყეშელაშვილი

3 ბგერის საკითხი ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოა **გ**-ს დახასიათება: ზოგიერთი მკვლევარი მას კბილისმიერად თვლის (გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ბ. ჯორბენაძე), ზოგი — წყვილბაგისმიერად (პ. ფოგტი, რ. რობინსი, ნ. ვატერსონი, ტ. ფუტყარაძე), ზოგიც — ბაგისმიერად (თ. უთუგაიძე).

ფერეიდნულ დიალექტში **გ** ბგერის სამი ალოფონია მოსალოდნელი: კბილბაგისმიერი **გ**, მისი ყრუ ალოფონი [ფ] და წყვილბაგისმიერი სონორი[გ]. გამოქვეყნებულ ტექსტებში [ფ] დასტურდება მორფემათა ზღვარზე იმ შემთხვევაში, როცა პირველი სუბიექტის პირის ნიშანი **გ** გვაქვს ჩქამიერ ყრუ თანხმოვანთა წინ, ხოლო ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ პოზიციაში გვაქვს წყვილბაგისმიერი სონორი [გ]. ჩვენს ამ მოსაზრებას ამყარებს ფერეიდნულებთან გადამოწმებული მასალა.

გაანალიზებულ ფერეიდნულ ტექსტებში კბილბაგისმიერი ყრუ ნაპრალოვანი [ფ] გამოვლინდა წინანუნისმიერებიდან /წ, ც/-თან; მაგ.: დაფწეო, დაფწიფ, მოფწურავთ, მოფწელაყვე, დაფწვებით; მიფცე... უკანანუნისმიერებიდან გვხვდება /ჭ/-ს მეზობლობაში; მაგ.: შაფჭამოთ, დაფჭრით, დაფჭამტყე... უკანანუნისმიერებიდან კი კ-სთან; მაგ.: გადმოფკეცოთ...

კბილბაგისმიერი **გ** მორფემათა ზღვარზე წარმოდგენილია როგორც ხშულთა, ასევე ნაპრალოვანთა წინა პოზიციაში; კერძოდ, ვლინდება შემდეგი რიგის ხშულებთან: კბილისმიერთან: ვდეფ, ვტყუი, ვთესავ || ფთესავ, დობერავთ... წინანუნისმიერთან: ვწურავთ || ფწურავთ... უკანანუნისმიერთან: თავჯდომარე... თავჩი... უკანანუნისმიერთან: მოგქსოვ, შავქენ... მოგკლათ || მოფკლავთ, დავკრებთ || დაფკრებთ, შავკრავთ || შაფკრავთ...

მორფემის ფარგლებში კბილბაგისმიერი **გ** ვლინდება მხოლოდ

სპარსულ ნასესხობაში; მაგ.: ნავთი || ნაფთი.

ნაპრალოგენებიდან მორფემათა ზღვარზე კბილბაგისმიერი **გ** და-დასტურდა შემდეგ წინანუნისმიერ /ზ, ს/-თან: სარწყავზე, ჰყავს, მაი-წოვს, გახევს... სამივე სახის უკანანისმიერთან: ჩავლრი, დავლონდი... მივხედოთ, დავხურკლავთ... დავყრით, ჩავყრით...

სონორი **გ** ბაგისმიერებიდან გამოვლინდა მხოლოდ /ჟ/-ს მომდევ-ნოდ: მოხაპვა (მდრ., ხაპავს); წინანუნისმიერ და უკანანუნისმიერ ხშულებთან; მაგ.: ძველი... დაბრაწვა..., წვალემა... ჯვარი... ჩვარი... სა-მივე უკანანუნისმიერ ხშულთან: გვარი, დაგვა (< დაგავა)... ქვიშხედმა-თი... კვამლი, კვანთი (< კვანტი), ნაკვესი...

სონორი **გ** ასევე აქტიურია წინანუნისმიერ და უკანანუნისმიერ ნაპრალოგანთა მომდევნოდ; მაგ.: ზვავი... სვავი... შვილი, ონიკაშვი-ლი... უკანანუნისმიერ ნაპრალოგენებთან: ღვინო, დაყონღვა... ხვალ, ხვავი, ხვადაგი... ყველი, ყველა...

ფერეიდნულში **გ** ბგერას არნ. ჩიქობავა შემდეგნაირად გვიხასია-თებს: „ფერეიდნულში ვ ჩვეულებრივ წყვილბაგისმიერია; კბილბაგის-მიერი ვ სულ არ უნდა იყოს“ (ჩიქობავა, 1927, 200). **გ** ბგერის სო-ნორად მიჩნევასთან დაკავშირებით საინტერესოა **ხვან ხვე ხვი** ბგე-რათკომპლექსთა განხილვა. სპარსულ ენაში **ხვან** და **ხვი** წარმოით-ქმის როგორც **ხვან** და **ხვი**; **გ** ბგერა ამ კომპლექსში, როგორც წესი, არ გამოითქმება; მაგ.: ხვან > ხვან, ხვანპარ > ხვანარ, ხვიმ > ხვიმ, ხვიმთან > ხვიმთან...

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა ახსნილია: **ხვ** კომ-პლექსის წარმოთქმა გამარტივდა, ხოლო დამწერლობა ძველი დარჩა; შდრ.: სპარსული ხვანამ, რომლის ადრინდელი წაკითხვა შემოგვინა-ხა ქართულმა ხვანამში (გიუნაშვილი, 1987, 137).

ვინაიდან სპარსული ენისათვის დამახასიათებელი არ არის **ხვ** თანხმოვანთკომპლექსი, ამიტომ ფერეიდნულ დიალექტშიც, შესაბამი-სად, მოშლილია ეს კომბინაცია; კერძოდ, **ხვი ხვე** ბგერათკომპლექსე-ბი წარმოდგენილია როგორც **ხვი ხე** მაგ.:

შეხვეწება < შეხვეწება (ეხვეწება, მეხვეწება);

მოხეტა < მოხვეტა (დამიხეტა, და ხეტა);

მომსხილო < მომსხვილო;

ჭიხინი < ჭიხვინი;

ხიხინი < ხვიხვინი || ჯვიჯვინი...

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა შეიძლება ახსნილიყო

სპარსულის გავლენით, თუმცა **გი ვე** კომპლექსებს შესაბამისად შეედ-ლო მოეცა უნდა პალატალიზებული ხმოვნები; ფერეიდნულში პალა-ტალიზებული ხმოვნები არ გვაქვს, შესაბამისად, მოიშალა ე. წ. საუთ-ლაუტო პოზიცია (ფუტკარაძე, 1996, 21-25). საკითხის გადაწყვეტი-სათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფერეიდნულში ხვავი, ხვალ ტიპის ფუძეთა ჩვენებას. ჩვენ მიერ განხილულ ტექსტებში გამოვლინ-და **ხვა** კომპლექსი სიტყვებში: ხვალ, ხვავი... თუ მხოლოდ ვე, ვი კომპლექსის დელაბიალიზაცია ხდება, **გ**-ს დაკარგვის ახსნა თვითიმუ-ნიზაციით უფრო ლოგიკურია. ეს ფაქტი კიდევ ერთი საფუძველია **გ**-ს წყვილბაგისმიერ სონორად მიჩნევისათვის.

ლიტერატურა

ახვლედიანი, 1999 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის სა-ფუძვლები, თბ., 1999.

გიუნაშვილი, 1987 — ჯ. გიუნაშვილი, სპარსული ენის სა-ხელმძღვანელო, თბ., 1987.

რობინსი, ვატერსონი — რ. რობინსი, ნ. ვატერსონი, შენიშენე-ბი ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ, 4, 1968.

უთურგაძე, 1976 — თ. უთურგაძე, ქართული ენის ფონემა-ტური სტრუქტურა, თბ., 1976.

ფოგტი, 1961 — ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.

ფუტკარაძე, 1996 — ტ. ფუტკარაძე, ლაბიალიზაციისა და უმ-ლაუტის მიმართებისათვის (ხვესურულის, მოხეურის და ინგილოურის მიხედვით), არნ. ჩიქობავას საკითხავები, VII, მუშაობის გეგმა და თე-ზისები, თბ., 1996.

ფუტკარაძე, 1998 — ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

ჩიქობავა, 1927 — არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თა-ვისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, XII, ტფ., 1927.

ჯორბენაძე, 1998 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

SOPIO TKESHELASHVILI

The Question of the Sound *v* in the Fereidian Dialect of Georgian

Summary

იან შხაბაძე

In the Georgian scholarly literature the characterization of the sound *v* is controversial; G. Akhvlediani, A. Shanidze, B. Jorbenadze consider *v* to be dental, H. Vogt, R. Robinson, N. Waterson and T. Putkaradze regard it as bilabial T. Uturgaidze characterizes *v* as labial.

In the Fereidian dialect *v* presumably has three allophones: labiodental *v*, its voiceless allophone [ɸ] and bilabial sonorant *v*. The observations have proved that the labiodental *v* and [ɸ] are encountered on morpheme boundaries when the first person subjective marker *v* precedes a voiceless obstruent, whereas in the position following an obstruent the bilabial sonorant is evidenced.

In the linguistic literature the loss of *v* is explained as the self-immunization of the language; for the solution of the given problem the stems of the type *xvavi*, *xval* are important. Only the delabialization of the cluster *ve*, *vi* can be explained as self-immunization.

This can serve as a proof that *v* is a bilabial sonorant.

აღნიშვნა და სამყაროს ხაზი

ადამიანისა და მნიშვნელობის ევოლუცია თითქმის ტოლია; მნიშვნელობა ადამიანებთან ერთად გაჩნდა, მართალია, მათ ევოლუციის საკუთარი გზა განვლეს, მაგრამ, ისინი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთშემავსებელი აღმოჩნდნენ. მნიშვნელობისთვის მიმართულების მიცემისა და განსაზღვრულ ფორმაში მოქცევის საჭიროებამ დაუკავშირა მნიშვნელობა ადამიანის საქმიანობის მრავალსახეობას, რის საფუძველზეც წარმოიქმნა დიდი რაოდენობით თეორია და კონცეფცია, რომელთათვის კვლევის ერთადერთ საგანს მნიშვნელობის ყველა განზომილების შესწავლა წარმოადგენს.

XX საუკუნის ბოლოს ეს ხშირად სრულიად საპირისპირო სემანტიკური ძიებანი, რომლის წიაღშიც ნებისმიერ შეხედულებას მოექცნება ადგილი, ღია რჩება ყველა შესაძლო სემანტიკური პერსპექტიული ძიებისათვის, რომელთა შორისაც ალბათ გარკვეულ ადგილს დაიჭერს კ. იუნგის, ე. კასირერისა და სხვათა თეორიები, რომლებიც შესაძლოდ მიიჩნევენ მნიშვნელობის დაკავშირებას მითიურ ცოდნასა და პროტოტიპის სამყაროს ხაზებთან.

ცივილიზაციის წარმოშობის საწყის პერიოდში ენის მეტაფორული ფუნქცია, რომელიც ჩომსკისა და მის ოპონენტთა შორის შექმნილი ყველაზე სადავო საკითხი — ადამიანის თანდაყოლილი უნარია აღიქვას და გონისმიერი გახადოს სამყარო, განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანია მითოლოგიაში, ფოლკლორში, რიტუალში. როგორც კი მეტაფორული ფუნქცია უკავშირდება მითიურ სტერეოტიპებს, ეს კავშირი გარდაიქმნება რომელიმე სოციალური გაერთიანებისა და კონკრეტული ენათმეცნიერების მეტაფორული განზომილების ცოდნად. ამ ცოდნის ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი გამოვლინებანი ეფუძნება კონკრეტულ ხატოვან აზროვნებას, რომელიც ამავე დროს სრულად ატარებს უნივერსალურ არქეტიპთა მახასიათებლებს. შესაძლებლობის სემანტიკის სამყაროს ხაზები წარმოადგენს ჯაჭვთა მო-

ნაცვლეობას, რომლებზედაც აღბეჭდილია ინდივიდის, მისი სახელის ან სახელის შემცვლელის მიერ დატოვებული კვალი ან გეზი. ინდივიდის სახის ამოკითხვა, ანუ, რაც იგივეა, მისი მეტაფორული ქმედება, დამოკიდებული სამყაროს მისეულ ხაზზე, რომლის უსასრულო სიგრძის შემთხვევაში ინდივიდი ქრება. სემანტიკურ ფენომენთა ასეთი სახით განხილვა ლინგვისტური თეორიის ერთ-ერთი ახალი ვერსიაა.

მიმართება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შესაძლო სამყაროებს, წვდომის მიმართებაა ამ სამყაროთა სიმრავლეში. წვდომის მიმართების მნიშვნელობას რომელიმე სამყაროში ნებისმიერი ინდივიდის (ობიექტის) ამოცნობის (წვდომის) უნარი წარმოადგენს. ინდივიდთა შერჩევა შეუზღუდავია ისევე, როგორც ჩვენს შემთხვევაში, როცა ინდივიდებად შერჩეულ იქნა ეკლესიები და მათი მეტონიმური წარმომადგენლები — სამრეკლოები.

ინდივიდთა ამ სიმრავლეს შეადგენს თავისუფალ ცვლადთა სიმრავლე; როგორც კი ისინი აღმოჩნდებიან ორი ქვანტორისა და სინგულარული დესკრიფციის ოპერატორის მოქმედების არეში, ისინი მაშინვე ბმულნი ხდებიან, კონსტანტები ამ შემთხვევაში საკუთარი სახელები, ან სინგულარული დესკრიფციებია. ამრიგად, ყველა ეკლესია (სამრეკლო), სულ მცირე ერთი ეკლესია (სამრეკლო) მაგალითად, კომბრეის ეკლესია, სენტ-ილერის სამრეკლო, ვივიკის სამრეკლო, მარტენვილის ეკლესია, სენ მარი დე ფლერის ეკლესია, ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი, ინდივიდის შესაძლო სამყარო აიგება პრედიკატთა დროისეულ, სივრცის, მოდალურ და პირის კოორდინატებზე. წვდომის მიმართება განისაზღვრება ამ პრედიკატთა სიმრავლეზე და იგი ამავე დროს აღწერს ინდივიდის სამყაროს ხაზს, მის შესაძლო გარდაქმნებს შესაძლო სამყაროებში.

ჩვენ ავირჩიეთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკლესიები და სამრეკლოები, წარმოდგენილი და ნასესხები მ. პრუსტის მიერ „სვანის მხარის“ პირველ სამ ტომში, ზემოთ განხილული პრინციპების მიხედვით და ამით გზა გაუხსენით, ჩვენი აზრით, იმავე სიმრავლის სხვა ინდივიდთა ანალიზს. სამყარო, რომელშიც ეს ინდივიდები ცხოვრობენ, წარმოდგენილია პრუსტის მიერ თავის რეტროსპექტიულ მეხსიერებაზე დაყრდნობით; ამრიგად, ენა, რომლითაც ავებულობა პრუსტის მონათხრობის სამყარო, ხდება პირველი საფეხურის ენა და გადადის პოეტური დისკურსის უფრო მაღალ საფეხურზე. ინდივიდები წარმოდგენენ სახეებს, რომლებშიც თავმოყრილია რეალური ობიექტები

(რეალურად არსებული ეკლესიები) და წარმოსახვითი ობიექტები, ავტორის ფანტაზიის ნაყოფი (ბალბეკისა და კომბრეის ფიქტიური სახელები).

კომბრეის ეკლესია — ეს ტერმინი აერთიანებს ორ რეალურ ეკლესიას, ილიესა და ოტეის ეკლესიებს — განლაგებულია შესაძლო სამყარო n-ში, ტ — კოორდინატებზე და მიწერის ფუნქციით იგი განისაზღვრება პრედიკატთა იმ სიმრავლეზე, რომლებიც აღწერს საქმეთა მდგომარეობას მარტივი და რთული პროპოზიციებით :

(ეკლესია ძველი თაღით; თაღი შავია, დასეტყვილი (როგორც ცხრილი); გადახრილი, კუთხეებში ამოღრმავებული (არის კუთხეები, ის ამოღრმავებულია კუთხეებში); წინათ, სხვა სამყაროში, გლეხის ქალები შემოდოდნენ ამ ეკლესიაში, ისინი მიდიოდნენ, მათი მოსახამები ეხებოდა ემბაზს. გლეხის ქალის თითები მორცხვი იყო, თითები იღებდნენ წყალს, ნაკურთხი იყო წყალი, მოსახამები იძენდა ძალას; ძალა იყო დამანგრეველი, ისინი იძენდნენ ამ ძალას საუკუნეთა მანძილზე. ადრე უბრალო ეკლესია იყო. ჟილბერმა დაწვა ეს უბრალო ეკლესია. ახალ ეკლესიას სამრეკლო აქვს. სამრეკლო გრანდიოზულია. იყო ბაბუაწვერები. ეს ბაბუაწვერები არ შორდებოდნენ საიდუმლოს).

პრედიკატთა სიმრავლე, რომელიც კომბრეის მიეწერება, მრავლად გვხვდება პრუსტთან, დიდი რაოდენობით ჰიუგოსთან და მრავალ სხვა ავტორთან, მწერალთან, ფილოსოფოსთან, თეოლოგთან, პოეტთან, მხატვართან, მუსიკოსთან და ა.შ.

საკუთარი სახელი და სამყაროს ხაზი ყოველი ამ ინდივიდისა მატარებელია საკუთარი ისტორიისა და საკუთარ ღირებულებათა სისტემებისა. მხატვრული ტექსტის ასეთი ანალიზი ძნელი ჩანს, მაგრამ იგი სრულიად შესაძლოა და მომავალიც მას ეკუთვნის, ვინაიდან ადამიანის შემოქმედებითი პროდუქტი ყოველთვის აჭარბებს პირველი საფეხურის ტექსტებს; არქექტიპის გზა კონკრეტულად ისახება, გაივლის ინდივიდთა სისტემათა და ფასეულობათა ისტორიას და მკვლევარს ისეთსავე შესაძლო სამყაროს უსასრულობას უსახავს, როგორც ჩანს ლამბაქიდან ამოდიოდა და იშლებოდა პრუსტის მთელი დაკარგული დრო, ანდა კომბრეის ის გზა, რომელსაც პრუსტი მთელი ცხოვრება თავის გულში ეძებდა.

ლიტერატურა

ელიადე, 1969 — მირჩე ელიადე, მარადიული უკან დაბრუნების მიოთი, პარიზი, გაიმარი, 1969.

ჰარტი — ბ. პ. ჰარტი, „მონტეგიუს გრამატიკა, მენტალური რეპრეზენტაცია და რეალობა. "Conbemporary perspectives, p. 195-208.

IA PKHAKADZÉ

Désignation et ligne mondiale

L'évolution du sens et celle de l'homme ont presque le même âge. Le sens, étant apparu avec l'homme et tous deux ayant parcouru leur propre voie d'évolution, ils se sont révélés interdépendants et harmonieusement intercompensatoire.

Le grand besoin de canaliser le sens, de le revêtir d'une forme quelconque a nécessité son association aux multiples manifestations de l'activité humaine et l'élaboration d'une importante quantité de théories et conceptions ayant pour l'unique objet l'étude du sens dans toutes ses dimensions.

En cette fin du XX - ème siècle le statu - quo, au sein duquel coexistent et s'équilibrent les théories du sens quelques diverses qu'elles soient, il reste, néanmoins ouvert à toutes les perspectives des recherches sémantiques possibles, parmi lesquelles, celle - ci, issue des théories de K. Yung, de E. Cassirer et d'autres, trouve possible de lier le sens à la connaissance mythique et aux lignes mondiales des prototypes;

A l'aube de la civilisation, la fonction métaphorisante de la langue que est en même temps la capacité innée de l'individu de percevoir et de rationaliser l'univers se déploie surtout dans le folklore, la mythologie, le rite. Du moment que la fonction métaphorique s'allient aux stéréotypes mythiques, cette alliance se transpose en connaissance de la dimension métaphorique d'une communauté sociale et linguistique concrète.

Les manifestations conscientes ou inconscientes de cette connaissance

ont pour base le modèle (le stéréotype) de la pensée imagée concrète, mais qui est en même temps, pleinement porteuse de caractéristiques d'archétypes universelles.

Les lignes mondiales de la sémantique du possible représentent des successions des chaînes sur lesquelles se disposent des empreintes laissées et des trajectoires décrites par l'individu, par son nom et par des substituts des noms; le décodage d'une image de l'individu, c'est à dire, sa performance métaphorique dépend de la longueur de sa ligne mondiale, si elle est infiniment longue, alors l'individu s'annule. Cette façon de traiter des phénomènes sémantiques est une des plus récentes versions de la théorie linguistique.

Univers des objets (des individus) possibles:

Il y a des constants, des variables

Il y a l'opérateur temporel

Il y a l'opérateur modal

Il y a des prédicats unaires et relationnels

Il y a la fonction d'assignation

Il y a la fonction d'interprétation

$\alpha, \beta, \lambda, a, b, c$

t, t_1, t_2

M possible

P_1, P_r

f_α

f_1

Les linguistes préfèrent l'exploitation verbale des phénomènes aux formalismes taciturnes des logiciens, Donc:

Dans un monde possible des individus W la fonction d'assignation f_α assigne à un individu le prédicat unaire ou relationnel (à des individus) à un moment du temps et la fonction de l'interprétation f_1 cherche à dispenser soit l'extension (s'il s'agit de la langue des individus), soit l'intension pour la langue intentionnelle.

La relation reliant les mondes possibles établit le rapport d'accessibilité à l'intérieur de l'ensemble de mondes; cette relation veut dire que chaque individu peut être reconnaissable dans chaque univers possible.

La sélection des individus est arbitraire comme pour le cas donné, quand en qualité des individus ont été choisis les églises et les clochers le

représentant métonomique de celle - là.

Cet ensemble des individus se constitue des variables libres qui deviennent liés dès qu'ils tombent sous la dominance de deux quantificateurs et de l'opérateur de la description singulière; les constants dans ce cas s'identifient aux individus, porteurs de noms propres ou investis des descriptions singulières; {Ainsi, toutes les églises (les clochers) au moins une église (un clocher)... l'église de Combray, le clocher de saint-Hilaire, Saint-André - des champs, le clocher de Martinville, le clocher de Vieuxvicq, l'église de Martinville, Sainte-Marie-des-Fleurs, l'église de Balbec, Notre-Dame de Paris, Nikortsminda, Svétiskovéli...}

Le monde possible d'un individu s'établit sur l'ensemble des prédicats et de coordonnées temporelles, spatiales, modales et personnelles.

La relation d'accessibilité se définit sur l'ensemble de ces prédicats et elle trace simultanément la ligne mondiale de l'individu; ces transformations possibles à travers les mondes.

Les mondes possibles constituent tous les contextes inimaginables ou réels, saisis par les opérations temporelles, mondiales et personnelles par la fonction d'assignation de l'individu.

Les individus, exprimés par des variables libres ou liés, des constants ou des termes singuliers, sont sujets aux transformations possibles jusqu'à la disparition de l'individu lui-même ou de sa désignation; sa conservation à travers les mondes possibles est liée à la désignation de cet individu, plus concret, à la "dénotation stricte" dans la terminologie de Kripke; l'argumentation linguistique et son homologue logique visualisent des différents objectifs de ceux avancés par les logiciens formalistes et les philosophes; pour ceux-ci les modifications de l'individu trouve ses explications dans les termes des modalités de dicto-de ré; Les linguistes essaient de se limiter à l'analyse du sens des significations dans le sens suffisamment large du terme, c'est à dire dans la sémantique, métaphore, pragmatique, communication, poétique.

La fonction d'interprétation précise, soit le référent de l'individu au moyen du terme singulier, soit son sème au moyen de la description; ici encore les manières d'interprétation linguistique divergent sur la rigueur des raisonnements des résultats finals; les valeurs de vérité sont diluées dans les analyses sémantique et poétique du sens.

Nous avons choisi, comme nous l'avons mentionné, à analyser dans les

termes des principes présentés dessus les églises et les clochers évoqués par M. Proust dans les trois premiers tomes "Du Côté de chez Swan" et de cette façon nous croyons avoir ouvert la voie à l'analyse des individus du même ensemble.

Le monde dans lequel ces objets demeurent est reconstruit par l'imagination de Proust sur la base de sa mémoire rétrospective; de cette façon, le discours, au moyen duquel est bâti le monde du récit de Proust, excède évidemment le premier ordre et passe dans l'ordre supérieur du texte de la langue poétique; d'ailleurs, il est possible, à l'intention de la réduire au niveau du premier ordre. Les individus objets présentent des images qui amalgament des objets réels (des églises existant réellement) et les objets - fruit de l'imagination de l'auteur (les noms fictifs de Combray, de Balbec).

Par crainte d'être accusés d'essentialisme, les logiciens et les philosophes évitent de fixer l'individu sur la base de sa qualité essentielle. Les linguistes, affranchis des scrupules d'essentialistes, n'hésitent pas à organiser tous les réseaux de relations fonctionnelles autour du concept et des significations; chaque signification sous forme soit du terme singulier, soit de la description apparaissent dans tels ou tels points du monde possible.

D'après les faits prélevés à travers les peuples et les civilisations primitives, les temples et les sanctuaires ont un archétype extra-terrestre, conçu soit comme un "plan", comme une "forme", soit comme un "double" existant précisément à un niveau cosmique supérieur; la construction d'un temple, d'un sanctuaire ou l'installation de la croix équivalent à une "justification", à la "concrétisation" du territoire, à une transformation de "chaos" en "cosmos", à une nouvelle naissance, répétant ainsi la baptême (acte de création). La symbolisme du Centre se formule ainsi: au centre du monde c'est la montagne sacrée où se rencontrent le Ciel et la Terre; tout temple ou palais (par extension), toute ville sacrée ou résidence royale étant "une montagne sacrée", devient ainsi un centre qui est le point de rencontre entre le Ciel, la Terre et l'Enfer; le "Centre" est donc la zone du sacré, de la réalité absolue.

Un rituel se développe dans un espace consacré, distinct de l'espace profane et dans un "temps sacré", "en ce temps -là", lorsque le rituel a été accompli pour la première fois par un dieu, un ancêtre ou un héros; donc, tout rituel a un modèle divin, un archétype.

Telle est la définition conceptuelle du lieu sacré et du rituel, lié avec lui.

L'église est l'émanation chrétienne du temple, donc, un lieu sacré subsumant toutes les fonctions de ce dernier et le clocher est sa représentation métonymique.

La ligne mondiale d'un individu qui forme une chaîne de différentes manifestations (nom) de ce même individu se situe dans différents types de temps; le temps réel, mythique, imaginé; les lignes mondiales créent des ensembles qui s'entrecroisent sans que la quantité des individus varient. L'intervalle qui sépare les individus proustiens de leurs archétypes comptent des dizaines de siècles, mais une partie considérable de repères survit au temps, le contenu des individus eux-mêmes, le contenu des attitudes des participants, des enjeux mondiaux possibles (ici surtout subjectif) se modifiant radicalement:

L'église de Combray - ce terme singulier réunit deux églises réelles, celle d'Illier et d'Auteuil, se situe dans le monde n, sur les coordonnées t et se définit selon la fonction d' assignation, sur l'ensemble de prédicats, sur lesquels il s'interprète finalement, l'ensemble de prédicat décrit d'état de choses par des propositions simples et complexes:

{L'église au vieux porche, le porche est noir, grêlé (comme une écume métaphore...), dévié, creusé aux angles (il y a des angles; les angles, il est creusé à ces angles) (avant, dans un autre monde possible, des paysannes entraient à l'église, elles portaient. Des mantes, ... les mantes effleuraient le bénitier... les doigts des paysannes étaient timides; des doigts prenaient de l'eau, l'eau était bénite; les mantes acquéraient une force; la force était destructive, elles acquéraient cette force pendant des siècles...

... Avant il y avait la primitive église... Gilbert brûla la primitive église... La nouvelle église a un clocher... Le clocher est grandiose... Il y avait des aubépines; les aubépines ne se séparaient pas des mystères...} L'ensemble de prédicats se rapporte à Combray sur plusieurs pages chez Proust, sur de grandes quantités de pages chez Hugo et d'auteurs, écrivains philosophes, théologues, poètes, peintres, musiciens etc.

Le nom propre et la ligne mondiale de chacun de ces individus sont porteurs des histoires de chacun d'eux et de tous les systèmes de valeurs qui leur sont associés.

Cette analyse des textes littéraires étant compliquée, s'avère d'ailleurs possible et l'avenir lui appartient, puisque la production créatrice humaine excède presque toujours les textes du premier ordre; la voie de l'archétype a

sa réalisation concrète, elle passe par l'histoire des individus, des systèmes et des valeurs et ouvre au chercheur des multitudes d'univers possibles, comme d'une tasse de thé sortaient tout le temps perdu de Proust, où comme il cherchait toute sa vie le chemin de Combray dans son cœur.

Bibliographie

Eliade Mircea "Le mythe de l'éternel retour". Paris, Gallimard, 1969.

Partee B. H. "Montague grammar, mental representations and reality" In "Contemporary perspectives", p. 195-208.

იშაბ ჟაჟები

ქსოვილების აღმნიშვნელი სპარსულ-არაბული ლექსემების
შესახებ „ზაჰიანში“

წერილში განხილულია „ზაჰიანში“ დადასტურებული ქსოვილების აღმნიშვნელი სპარსული და არაბული წარმომავლობის ლექსიკა. საანალიზო მასალა მოხმობილია „ზაჰიანის“ ტექსტიდან, რომელიც გამოცემულია 1934 წელს „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების“ II ტომში, გვ. 369-445.

არირი — „ზაჰიანში“ ვკითხულობთ: „... ფარდავთა შიგან თეთრითა **არირითა** და გუარითა ფრქვეულსა ... სხედან“ (ზაჰიანი, 1934, 377). იუსტინე აბულადის აზრით, „არირი — არაბ. ჰარირ „აბრეშუმი, აბრეშუმის ქსოვილი, აბრეშუმეული“ (აბულაძე, 1934, 567). მ. მოინი გარდა „აბრეშუმისა“, მიუთითებს აგრეთვე შემდეგ მნიშვნელობებზე: „აბრეშუმის ტანსაცმელი“, „ობობას ქსელი“ (მოინი, 1996, 1352). „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში ამ სიტყვის ორი ფორმა დასტურდება — ჰარირი და არირი. მაგ., ჰარირი (ვერს. 1934, ტ. I, 849) და არირი (ვერს. 1934, ტ. II, 567). თავკიდური „ჰ“-ს დაკარგვა ნასესხებ სიტყვაში იშვიათობას არ წარმოადგენს: *hamxānagi* > ამხანავი.

ატლასი — „ზაჰიანში“ ვკითხულობთ: „... მოაღებინა ბერძნული ძვირფასისა ატლასები...“ (ზაჰიანი, 1934, 388). საბას განმარტებით, „ატლასი — ნაქსოვია, ლარი“ (ორბელიანი, 1949, 34). იუსტინე აბულაძე შემდეგნაირად განმარტავს ამ სიტყვას: „ატლასი — არაბ. ატლას *atlas* — ხალასი აბრეშუმეული, ანუ სატინა“ (აბულაძე, 1934, 568). ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „ატლასი არის გლუვი, ერთფეროვანი, უსახო აბრეშუმის ქსოვილი, რომლისაგან კარგებსაც აკეთებდნენ“ (ჯავახიშვილი, 1962, 177). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ატლასი — [არაბ. *atlas* „გლუვი“] აბრეშუმის პრიალა ქსოვილი“ (ქეგლ, 1953, 639). სიტყვა „ატლასი“ დასტურდება ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც (კოტაშვილი,

1985, 55). სპარსულ ენაში ლექსემა *atlas*-ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, იგი სინონიმია ტერმინ *parniyān*-ის („აბრეშუმის ჩინური მოხატული ქსილი) (მოინი, 1996, 248, 758; იგი აგრეთვე აღნიშნავს „სადა, უხაო“ ქსოვილს (მოინი, 1996, 298).

დიბა — ვერსიაში ვკითხულობთ: „კარგი **დიბითა** სტავრა ბერძნული მშრალად წახვიეს“ (ზაჰიანი, 1934, 413). საბას განმარტებით, „დიბა — ქართული არ არის, დებაგი ჰქვიან. დებაგი — ნაქსოვია, დიბა“ (ორბელიანი, 1949, 162, 167). იუსტინე აბულადის მიხედვით, „დიბა — სპ. *dibā* დიბა, ან *dibāh* დიბაჰ — საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის ქსოვილი, საუკეთესო აბრეშუმეული“ (აბულაძე, 1934, 583). ივ. ჯავახიშვილის აზრით, „დიბა მე-14 საუკუნემდე არ გვხვდება“ (ჯავახიშვილი, 1962, 176). ქართულ სალიტერატურო ენაში: „დიბა — [სპ. დიბა] ძვ. სახიანი აბრეშუმის ქსოვილი საუკეთესო ხარისხისა, ფარჩა“ (ქეგლ, 1953, 1165). ფალაურში დადასტურებულია *dēpāk*, არაბ. *dibāj* (მოინი, 1996, 1589).

ნახლი — ტექსტში ვკითხულობთ: „დარბაზისა კართა ჭრელითა ნახლითა მოარხავებული“ (ზაჰიანი, 1934, 399). საბას განმარტებით, „ნახლი — ნაქსოვია ძვირფასი“ (ორბელიანი, 1949, 481). იუსტინე აბულადის აზრით, „ნახლი — სპ. *naxl* ნახლ — ძვირფასი ქსოვილი, ძვირფასი ფარჩეული, ძვირფასი აბრეშუმეული“ (აბულაძე, 1934, 604). ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „საქართველოში გავრცელებულ ძვირფას ქსოვილთა შორის ნახლი-ც გვხვდება“ (ჯავახიშვილი, 1962, 176). ეს სიტყვა გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“: „ვეფხის ტყავი აცვია, ცუდად უჩნს სტავრა-ნახლები“ (რუსთაველი, 1951, 142 (690, ვ). ქართულ სალიტერატურო ენაში „ნახლი [სპ. ნახლ] „ძვ. ნაქსოვია ძვირფასი“ (საბა), - ფარჩეული, აბრეშუმეული“ (ქეგლ, 1953, 1450). სპარსულ სალიტერატურო ენაში — *naxl* ნიშნავს „პალმას“, „ფინიქს“ და „ქაღალდის, ქსოვილისა და ცვილისაგან გაკეთებულ ხელოვნურ მცენარეს“ (მოინი, 1996, 4691).

სტავრა — „ზაჰიანის“ ტექსტში ვკითხულობთ: „სრა-სახლი და დარბაზი ზემოთა და ქვემოთა სტავრითა... დაგებული“ (ზაჰიანი, 1934, 399). საბას განმარტებით, „სტავრა — სირმის ნაქსოვი“ (ორბელიანი, 1949, 622). იუსტინე აბულადის განმარტებით, „სტავრა — სპ. სიტაბრ, ან სიტავრ — 1) საკ. სქელი, მკვრივი; 2) ოქრო ნაქსოვი, სქელი ფარჩა. სტავრა სრული; სტავრა სამეფო სრაპალატის

შესაფერი. სრული აქ წარმოებულია სრისაგან“ (აბულაძე, 1934, 615). ქართულ სალიტერატურო ენაში: „სტავრა — ძე. 1. ძვირფასი ქსოვილი, სქელი ფარჩა, ოქროქსოვილი; 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი“ (ქეგლ, 1953, 1153). ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „ძველ საქართველოში გავრცელებული ქსოვილის სახელი სტავრა უნდა იგივე სიტყვა იყოს, რომელიც დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეებში ქსოვილის სახელად *staurax* სტაურაქსად იხმარებოდა და ბერძნულ სახელად არის მიჩნეული. სტავრა აგრეთვე ბიზანტიის ქსოვილად ითვლება, დას. ევროპაში იყო გავრცელებული და სტავრა ეწოდებოდა. XIII-XIV სს. ძეგლებში მოიპოვება. თვით ბიზანტიაში ასეთი ქსოვილის სახელი არ ჩანს, მაგრამ ძირი უეჭველად ბერძნულია და საბერძნეთიდან უნდა მოდიოდეს“ (ჯავახიშვილი, III, IV, 1962, 175). მ. ანდრონიკაშვილი „სტავრას“ უკავშირებს საშ. სპ. *staβr*-ს „მტკიცე, ძლიერი“; ახ. სპ. *sitabr*, ავ. *stawra* „მაგარი“ < არ. *stabhra* ძირიდან *stabh-*, ახ. სპ. *setabr* „სქელი, მტკიცე, მასიური“; *setabra* „...სქელი ქსოვილი“ > სტავრა (ანდრონიკაშვილი, 1966, 373; ნიბერგი, 1974, 180). სპარსულში დამკვიდრდა არაბ. ფორმა *estabraq* „აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი“ ... *estabraq*, *dibāya setabr* „სქელი დიბა“ (მოინი, 1996, 240).

ფარდაგი — ტექსტში ვკითხულობთ: „კარავი და ფარდაგი მინდორად გააღებინა“ (ზააქიანი, 1934, 373). საბას აზრით, „ფარდაგი — კედლის შესამოსია. კოზიმიტი მცირე ფარდაგი: სარკმელთ წამოსაფარებელია და კრეტსაბმელი უდიდესი ფარდაგია, კართა ჩამოსაკიდირი“ (ორბელიანი, 1949, 679). ეს სიტყვა გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“: „ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვღევ მოფარდაგულსა“ (რუსთაველი, 1951, 373, (344,1)). ისეთ კონტექსტში, როგორცაა „ფარდაგთა შიგან ... სხედენ“ (ზააქიანი, 1934, 373), „ფარდაგი“ უთუოდ აღნიშნავს „კარავს“, „მეფის კარავს“. ქართული „ფარდაგი“ უკავშირდება საშ. სპ. *pārdak/pārtak*-ს „ფარდა, რიდე“ (ანდრონიკაშვილი, 1966, 192-195). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ფარდაგი — [ვალ. ფარდაკ] 1. მსხვილი მატყლის ძაფის უხაო ქსოვილი საფენად და კედელზე გასაკრავად; 2. ძე. იგივეა, რაც „ფარდა“. სპ. *parda* (ქეგლ, 1953, 23). სხვა მნიშვნელობასთან ერთად, აგრეთვე ნიშნავს „მეფის კარავი“, „სქელი ჩამოსაფარებელი“ (მოინი, 1996, 732).

ქეჯიმი — „ზააქიანში“ ვკითხულობთ: „ქეჯიმი, აბჯარი, მუზარა-

დი, მშვილდი-ისარი, ხადაგი...“ (ზააქიანი, 1934, 415). საბას განმარტებით, „ქეჯიმი — სამკაულია, ცხენთა გვერდთა საფარი, შეჭედილი, ანუ ოქრომკედოვანი, მოსახდომელადცა და ომში საფარად“ (ორბელიანი, 1949, 711). იუსტინე აბულაძის განმარტებით, „ქეჯიმი — თურქ. *kejim* ქეჯიმ საჭურველი ომის დროს ტანის დასაფარავი, ბარგისტანი ცხენისა და სპილოსათვის (აბულაძე, 1934, 622). მ. ანდრონიკაშვილის აზრით, „ქეჯიმი — ჯავშანი, საჭურველი“. სპ.-თურქ. *kācīn*, *kācīm* და *kajim* — „ჯავშანი, საჭურველი“ (ანდრონიკაშვილი, 1966, 156-157). მ. მოინის ლექსიკონში დადასტურებულია *kajim/kajin*-ის ორი მნიშვნელობა: 1. მეომრის საჭურველი, რომელშიც ბამბის ნაცვლად გამოყენებულია აბრეშუმი. 2. ცხენის ბარგსთვეანი (მოინი, 1996, 2915-2916).

შარდი — „ზააქიანში“ ვკითხულობთ: „მოფარდაგული და ქვეშეთ ოქსინოთა და შარდითა დაგებული“ (ზააქიანი, 1934, 399). იუსტინე აბულაძის განმარტებით, „შარდი ან შადი ვტლ. *mala lectio*, — უნდა იყოს სპა. *šarb* წმინდა ძვირფასი ტილო. ეს სიტყვა ქართულში, - შემოჭრის იმ თავითვე, — წარყვნილა ხელნაწერებში და გვხვდება ან შადი-ს, ან და შარდი-ს სახით“ (აბულაძე, 1934, 624). „ვეფხისტყაოსანში“ 1951 წ. გამოცემაზე დართულ ლექსიკონში იუსტინე აბულაძე მიუთითებს: „შარდი — ძვირფასი ნაქსოვი, წმინდა, უძვირფასესი, მიზღური (ტილო)“, ე.ი. ამ სიტყვის „წარყვნილობაზე“ აღარ ლაპარაკობს. „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა“ (რუსთაველი, 1951, 65, (331,1)). ამ საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილს მითითებული აქვს საბას მიერ განმარტებული სიტყვა „შარდი“ — „ნაქსოვია..., რომელთამდე მწერალთა შარდად აღუწერიათ უმეცრებითა“-ო (ჯავახიშვილი, 1962, 168). ახ. სპ. *šarb*, რომელზეც მიუთითებდა ი. აბულაძე, აღნიშნავს „ძვირფას თხელ ქსოვილს ტილოდან“ (მოინი, 1996, 1996). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა „შარდს“ ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ორგანიზმიდან თირკმელებით გამოყოფილი სითხე; 2. ძე. ერთგვარი ძვირფასი ქსოვილი (ქეგლ, 1953, 328-329).

შარა — ტექსტში ვკითხულობთ: „რა დილას შავი შარა გაიხსნა და წითელი ვარდი გაიშალა“ (ზააქიანი, 1934, 422). სიტყვა **შარას**-ს ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. საბას აზრით, „შარა — ბრტყელი გზა“ (ორბელიანი, 1949, 783); ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „შარა — იგივეა, რაც გზატკეცილი. შარაზე

გამოიტანს, შარაზე გამოჰფენს, გამოიყვანს, საქვეყნოდ გამოაშკარავენს, გამოამჟღავნებენ. ქვეყნის შარაზე გადატ. საქვეყნოდ, საჯაროდ“ (ქეგლ, 1953,320). 2. იუსტინე აბულაძის განმარტებით, „შარა ან შარი. არაბ. ša'r შა'რ მატყლი, შალი, ტილო, შავი საბურავი (აბულაძე, 1934, 624); პირველი მნიშვნელობა უკავშირდება „შაპ-რაპ“-ს. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, „შარა“ — „დიდი გზა, შოსე“. სპარსული šāh-rāh „დიდი გზა, შოსე“ (სამეფო გზა), შარაგზა“. თუმცა შესაძლოა ეს სიტყვა მოეცა არაბულ šāra'-საც „ქუჩა, გზა“. *მრ. šūvarā*“ (ანდრონიკაშვილი, 1966, 162-163). მეორე მნიშვნელობა უკავშირდება არაბ.-სპ. ša'r-ს „ბეწვი“, „თმა“ (მოინი, 1996, 2008). როგორც შაპ-რაპ, ისევე შა'რ ქართულში ბგერით დონეზე მოგვცემდა სიტყვას „შარა-ს“.

ლიტერატურა

აბულაძე, 1934 — „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების II ტომზე დართული იუსტინე აბულაძის ლექსიკონი.

ანდრონიკაშვილი, 1966 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.

ანდრონიკაშვილი, 1996 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, თბ., 1996.

ზაქიანი, 1994 — ზაქიანი, ტექსტი, „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების II ტომი, თსუ, 1934.

კოტაშვილი, 1985 — ლ. კოტაშვილი, აღმოსავლური რეალიები ქართულ ხალხურ ზღაპრებში, თბილისი, 1985

მოინი, 1996 — M. Mo'in, Persian Dictionary, I-VI, Tehran, 1996.

ნიბერგი, 1974 — A Manual of Pahlavi, II, Wiesbaden, 1974.

ორბელიანი, 1949 — ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

რუსთაველი, 1951 — „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1951.

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, 1950-1964.

ჯავახიშვილი, 1962 — მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბილისი, 1962.

IHAB KAZEM

Persian and Arabic Lexemes Denoting Cloths in "Zaakiani"

Summary

The paper examines nine originally Persian and Arabic lexemes denoting various types of cloth. The lexemes are evidenced in "Zaakiani" ("Georgian Versions of "Shāh-Nāme", vol. 2, pp. 369-445 ed, in 1934).

ariri / hariri < Arab. harir - silk, silk cloth.

aṭlasi < Arab. atlas - pure silk, in Persian it also means "plain, patternless cloth.

diba < Pers. dibā/dibāh - high quality silk cloth. In Georgian the lexeme was not evidenced until 14 c.

naxli < Pers naxl - silk cloths; artificial plants made of paper, cloth and wax.

ṣavra < Medieval Pers. staṣr, N. Pers. setabr - thick, firm = Arab. precious silk cloth.

pardagi < Medieval Pers. curtain (shade) in "...pardagta šidan cxedan" (... sitting inside the pardagi) pardagi means "a tent".

kejimi < Pers. Turk. kačim / kačin warrior's armour containing silk cloth instead of cotton wool.

šardi < According to Eust. Abuladze Pers. šarb pure, precious canvas.

šara < Arab. ša'r - wool, woolen, canvas.

განანა ლამბაზიძე

ბანკამრძობული ზედასართავი სახელის სამანტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში

თითოეული ენობრივი ერთეულის ინფორმაციულობა არის მოცემული ერთეულის შინაარსის ზომა მის კონკრეტულ რეალიზაციაში. ენობრივი ერთეულის შინაარსი არის ნიშანთა ერთობლიობა ძირითადი და არაძირითადი, მთავარი და მეორეხარისხოვანი, მუდმივი და ცვლადი, კანონზომიერი და შემთხვევითი ნიშნებისა, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ცნებას. ჩვენს მიზანს წარმოადგენს გამოვიკვლიოთ, როგორ ხორციელდება ამ ნიშანთა რეალიზაცია ცნების სტრუქტურაში და როგორ ედებიან ისინი საფუძვლად განკერძოებულ ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის რეალიზაციას.

დიდი ხანია დგას საკითხი იმის შესახებ, სიტყვის მნიშვნელობები ცნების იდენტურია თუ არა. ეს საკითხი დღესაც აქტუალურია და მის შესახებ არ არსებობს აზრთა ერთიანობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი ლექსიკურ მნიშვნელობას და ცნებას აიგივებს და მათ აზროვნების ერთი რიგის კატეგორიად მიიჩნევს. მეცნიერთა მეორე ნაწილი უარყოფს მათ იგივეობრიობას.

ლექსიკური მნიშვნელობისა და ცნების თანაფარდობა სხვადასხვა მიმართებაში განსხვავებულია.

„სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არის სიტყვის შინაარსი, რომელიც აისახება ადამიანის ცნობიერებაში და ამკვიდრებს მასში საგნების, თვისებების, პროცესების, მოვლენების და ა.შ. შესახებ წარმოდგენებს“ (ლინგ. ენციკ. ლექ. 1990, 261). სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არის ადამიანის აზროვნებითი მოღვაწეობის პროდუქტი. ის დაკავშირებულია ცნობიერების მიერ ინფორმაციის რედუქციასთან აზრობრივი პროცესების ისეთი ხერხებით, როგორცაა: შედარება, კლასიფიკაცია, განზოგადოება.

„ცნება არის აზრი, რომელიც განზოგადოებულ ფორმაში ასახავს სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს მათი თვისებებისა და მიმართე-

ბების ფიქსაციის საშუალებით“ (ლინგ. ენციკ. ლექსიკ. 1990, 264). ცნება ასახავს საგნებისა და პროცესების ყველაზე ზოგად, შინაგან, არსებით თვისებებს.

ლექსიკური მნიშვნელობა და ცნება განსხვავდება ერთმანეთისაგან სტრუქტურის მხრივაც. ორივე მათგანს რთული სტრუქტურა აქვს.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურა განისაზღვრება სიტყვის, როგორც ნიშნის ზოგადი თვისებებით — მისი სემანტიკით, პრაგმატიკით, სინტაგმატიკით. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სემანტიკური ასპექტი უკავშირდება სიტყვის შინაგან ფორმას, ნიშანს, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს. სიტყვის მნიშვნელობის პრაგმატული ასპექტი მოიცავს ექსპრესიულ-ემოციურ შეფასებასა და მრავალფეროვან კონოტაციას. სიტყვის სინტაქსური ასპექტი (მიმართება სიტყვებს შორის) განისაზღვრება სინტაქტიკით — მისი კავშირებით შესიტყვებებში და წინადადებებში სხვა ენობრივი ერთეულების მნიშვნელობებთან და პარადიგმატურად — მისი პოზიციით სინონიმური რიგის შიგნით.

ცნებისა და მისი შესაბამისი ზოგადი სახელის თანაფარდობის საფუძველზე ვლინდება ცნების (მნიშვნელობის ცნებითი ნაწილის, სიტყვის აზრის) რთული სტრუქტურა. კონცეპტუალური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ემყარება კონცეპტუალური ველის, მოცემული ცნებითი სფეროს, ურთიერთდაკავშირებულ ცნებათა მოცემული ერთობლიობის ანალიზს, ცნების სტრუქტურაში მის შემადგენელ სტრუქტურულ ნაწილებად გამოიყოფა: (ლინგ. ენციკ. ლექ. 1990, 384).

1. სიგნიფიკატი (ლათ. *signifikatum*) — ენობრივი ნიშნის ცნებითი შინაარსი. იგი არის საგნის ან მოვლენის იმ ნიშანთა ერთობლიობა, რომლებიც არიან არსებითი მოცემული სიტყვით საგნებისა და მოვლენების სწორი დასახელებისათვის მოცემული ენის სისტემაში. სიგნიფიკატი ცნების ყველაზე უფრო სტრუქტურირებული ნაწილია და განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, მოცემული სიტყვის ადგილით ენის ლექსიკურ-სემანტიკურ ველში, ოპოზიციურ სისტემაში, სინონიმებში, ანტონიმებში, კონვერსიებში, პერიფრაზებში.

2. ინტენსიონალი — ცნების სწორი განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია საგნის ან მოვლენის „არსის“, „რაობის“ კატეგორიასთან. სიგნიფიკატი და ინტენსიონალი ახლოს არიან ერთმანეთთან,

მაგრამ სიგნიფიკატის ნიშანთა ერთობლიობა და ინტენსიონალი შეიძლება მთლიანად არ დაემთხვეს ერთმანეთს, რადგან ნიშნებმა, რომლებიც გამოიყენება საგანთა და მოვლენათა სწორი დასახელებისათვის, შეიძლება ვერ ამოწუროს მათი რაობა. ინტენსიონალში ყოველთვის ძალიან ღრმად აისახება სიტყვის „მიზეზობრივი ისტორია“.

3. დენოტატი (ლათ. **denotatum**) — ყველა რეალურ, არსებულ საგანთა კლასი, რომელთა მიმართ სიტყვა სწორად არის გამოყენებული (დასახელებისათვის) მოცემული ენის სისტემაში. სიგნიფიკატს, ინტენსიონალსა და დენოტატს შორის არსებობს რთული და ჭერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი მიმართებები. დენოტაციაში ჩართვა დამოკიდებულია არსებულის რეალურობაზე.

4. კომპრეჰენსია („განფენილობა“, „მოცვა“) — არის კლასიფიკაცია და მისი შედეგები, ანუ ყველა არაწინააღმდეგობრივად წარმოსადგენი საგანთა კლასი, რომელთა მიმართ მოცემული სიტყვა შეიძლება სწორად იყოს გამოყენებული (იმის მიუხედავად, არსებობენ ეს საგნები სინამდვილეში თუ არა, ცნობილია თუ უცნობია მათი არსებობა).

მაგალითად, სიტყვათა ისეთი კლასის სწორი კლასიფიკაცია, როგორცაა:

გერმანულში: „gehen“, „fahren“, „stehen“ — უმოძრაოდ ყოფნა ხმელეთზე, მიწაზე;

„fliegen“, „schweben“ — უმოძრაოდ ყოფნა, ლივლივი ჰაერში;

„schwimmen“ —?

რუსულში: „идти“, „ехать“, „стоять“.

„летать“, - „парить“,

„плыть“-?

ქართულში:

„წასვლა“, „გამგზავრება“, - „დგომა“

„ფრენა“ - „ლივლივი“,

„ცურვა“ - „ტივტივი“.

(ნიშანი ? აღნიშნავს, რომ გერმანულში და რუსულში არ გვაქვს სპეციფიკური სიტყვა, რომელიც აღნიშნავს: „უმოძრაოდ ყოფნას წყალზე“).

გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ენაში სტრუქტურულად უზრუნველყოფილია ადგილი (აღნიშნული ?), რომელიც არ არის შევსებული სიტყვით, თუმცა მისი წარმოდგენა არა-

წინააღმდეგობრივად შესაძლებელია.

მრავალი სამეცნიერო ტერმინი იქმნება ენაში, როგორც აღმნიშვნელი განსაზღვრული კლასიფიკაციის ფარგლებში არაწინააღმდეგობრივად წარმოსადგენი ბუნებისა და საზოგადოების შესაძლო მოვლენებისა, თუმცა ასეთი მოვლენები შეიძლება არ არსებობდეს და არ იყოს ცნობილი.

ცნებას შეიძლება ახლდეს კონოტაცია — ნიშნები, რომლებიც არ შედიან ცნებაში, არამედ გარს ერტყმიან მას სხვადასხვა ასოციაციის ძალით — ემოციური, ექსპრესიული, სტილისტური. ცნებისა და კონოტაციის კომპლექსს ხანდახან რთავენ სიტყვის პრაგმატიკაში, ხან კი მიაკუთვნებენ „ლექსიკურ ცნებას“.

ცნების სტრუქტურა აქ აღწერილია ენაში მისი ყველაზე უფრო გამოვლენილი ცნების ტიპის მიხედვით — ზოგად სახელთან მიმართებაში. არსებობენ ცნების სხვა ლოგიკური სისტემები (მოდელები), მაგ. კ.ი. ლუისის ოთხწევრიანი სტრუქტურა, გ. ფრეგეს ორწევრიანი სტრუქტურა და სხვა. ამ პრობლემებს შეისწავლის ახალი მიმართულება ლოგიკასა და ენათმეცნიერებაში „ენის კონცეპტუალური ანალიზი“.

სიგნიფიკატი და ინტენსიონალი, დენოტატი და კომპრეჰენსია ერთიანდება და ცნების სტრუქტურაში ძირითად ცნებით კომპონენტებად გამოიყოფა სიგნიფიკატი და დენოტატი. ეს ცნებითი კომპონენტები, როგორც ფენები კომპონენტები, შედის ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში და ქმნის მის სემანტიკურ ასპექტს.

კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მიგვაჩინა, რომ განკერძოებული ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში წარმოებს ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტის შემადგენელი ორი ცნებითი კომპონენტიდან „სიგნიფიკატი-დენოტატი“ — დენოტატური მნიშვნელობების, საგნის ნიშნის, მნიშვნელობის ცნებითი ბირთვის, აზრის ობიექტური, ნომინაციური, არასიტუაციური, კოგნიტიური, რეპრეზენტაციური, ფაქტიური, დიქტალური, საგნობრივ-რელაციური კომპონენტის აქტუალიზაცია, რომელიც აბსტრაქტირებულია პრაგმატული, მოდალური, სუბიექტურ-ემოციური, კომუნიკაციური დატვირთვისაგან.

სიტყვის მოწყობილობა ენაში არის ურთიერთობათა რთული კომპლექსი. ფონეტიკური სიტყვა, პირველ რიგში, გამოდის როგორც აზრის ნიშანი (სიგნიფიკატი) და მეორე ფონეტიკური სიტყვა გამო-

დის, როგორც საგნის ნიშანი (დენოტატი). დენოტატი, როგორც საგნის ნიშანი, ნებისმიერ კონტექსტში განსაზღვრულია. დენოტატს, როგორც საგნის ნიშანს, არ შეუძლია ჩაირთოს ნებისმიერი ნიშანი (საპირისპიროდ სიგნიფიკატის აზრის ნიშნისა, რომელიც ინტენსიონალის მრავალ ნიშანს აერთიანებს). დენოტაციაში ჩართვა დამოკიდებულია არსებულის რეალურობაზე. ნომინალურ სინტაგმაში განკერძოებული ზედსართავი სახელები ნებისმიერ კონტექსტში წარმოდგენილი არიან დენოტატური მნიშვნელობებით (არ იწარმოება სემური იერარქიული სტრუქტურა, არ გამოიყოფა კონოტაციური მნიშვნელობები) და შესაბამისად გამოხატავენ საგნის რეალურ, ბუნებრივ თვისებებს, რომლებიც უფრო ხშირად საგნის გარეგნული ფიზიკური მონაცემია: ფერი, ასაკი, სიდიდე და ა.შ.

Wally trug ein malvenfarbiges Tüllkleid, golddurchwirkt, mit einem kurzförmigen Ausschnitt. (ვაისკოფი, 1966, 575).

Und da machten sich die Störche heran und holten zwei besonders stramme Jungen, rosig und rund wie Ferkelchen. (პერმანი, 1963, 273).

Es sind große Madonnenaugen, schön und unschuldig, neugierig und lasterhaft zugleich. (ზელბმანი, 1968, 356).

... was er durch Brillengläser, rund und dick wie Schiffslucken, zu korrigieren versuchte. (მანი, 1958, 457).

Onkel August, braungebrannt, kam mit Liese und Wagen in der Hof gefahren. (შუბერტი, 1967, 72).

ინტეგრალური და დიფერენციალური ნიშნები ზედსართავი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში სხვადასხვა როლს ასრულებენ. სიტყვის ფუნქციონირებასა და განვითარებაში ხშირად სწორედ ინტეგრალური ნიშნებით გადმოიცემა ყველა თავისებურება ენის ცნების გამოხატულებისა, ამავე დროს ცნების განვითარებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს სიგნიფიკატი.

ლექსიკური მნიშვნელობა მიისწრაფვის ცნებისკენ, როგორც თავის საზღვრისკენ.

ნომინალურ სინტაგმაში რითმული განაწილების მიზნით ზოგიერთი ადიექტიური განსაზღვრება თავსდება **Vorfeld**-ში, ზოგი **Nachfeld**-ში. **Vorfeld**-ში თავსდებიან ზედსართავი სახელები სიგნიფიკატური მნიშვნელობებით, **Nachfeld**-ში განკერძოვდებიან ზედსართავი სახელები დენოტატური მნიშვნელობებით:

Ein schlechtes Foto, aber deutlich. (ფრიში, 2000, 53).

.. so daß den der junge Mann, froh, einen Anknüpfungspunkt zu haben dem Zugfuhrer eine Brasil anbot. (დურენმატი, 2000, 65).

Die Fresken ... viel bittere Geschichten, aber schön. (ფრიში, 2000, 55).

... eine teure Gegend, so nahe dem Kudamm. (შუბერტი, 1967, 161).

Ein schlechtes Foto, deutlich

სიგნიფიკატური მნიშვნელობა დენოტატური მნიშვნელობა

der junge Mann, froh.

სიგნიფიკატური მნიშვნელობა დენოტატური მნიშვნელობა

bittere Geschichten, schön.

სიგნიფიკატური მნიშვნელობა დენოტატური მნიშვნელობა

teure Gegend, nahe

სიგნიფიკატური მნიშვნელობა დენოტატური მნიშვნელობა.

ნომინალურ სინტაგმაში ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტები დაკავშირებულია მის შინაგან ფორმასთან, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელ სემანტიკურ და სტრუქტურულ ნიშანთან, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს.

ნომინალურ სინტაგმაში განკერძოებული ზედსართავი სახელის დენოტატური მნიშვნელობების აქტუალიზაციის საფუძველზე, ნებისმიერ კონტექსტში შენარჩუნდება განკერძოებული ზედსართავი სახელის შინაგანი ფორმა, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელი სემანტიკური და სტრუქტურული ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ კონტექსტში ხორციელდება განკერძოებული ზედსართავი სახელის პირველადი ნომინაციების რეალიზაცია, განკერძოებული ზედსართავი სახელის პირველადი ნომინაციები განსაზღვრავენ მის სემანტიკას, შენარჩუნდება განკერძოებული ზედსართავი სახელის სემანტიკური მნიშვნელობა და მატერიალური სახე:

Er führte sie in eine Gasse, so eng und düster. (ზეგერსი, 1979, 224).

...ohne daß er die Gabe besessen hätte, Gedanken und Gefühle, gute und böse, mit anderen zu teilen. (ზელბმანი, 1968, 77).
Die Zeit, die Zeit, furchtbar. (შუბერტი, 1967).

Die Mutter des Kleinen, rotbackig, mit glatten Haaren und kleinen Portierzwiebel. (შუბერტი, 1967, 68).

ასეთი ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურებიდან გამომდინარე, ნომინალურ სინტაგმაში განკერძოებული ზედსართავი სახელები ემსახურებიან ფაქტის აღნიშვნას, დაფიქსირებას და ნაკლებად დახასიათებას. ისინი გადმოსცემენ „ობიექტურ შეფასებას“ და ახდენენ საზღვრული სიტყვის თვისებების „ობიექტურ აღნიშვნა-დაფიქსირებას“, რომელიც თავისუფალია პრაგმატული, სუბიექტურ-ემოციური, კომუნიკაციური დატვირთვისაგან. განკერძოებული ზედსართავი სახელის შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარეობს მისი არსებითი სახელთან კავშირის, როგორც „ობიექტური“ სიტყვათაწყობის, ფორმა. ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე გამოვყოფთ ნომინალურ სინტაგმაში განკერძოებული ზედსართავი სახელით გამოხატული განსაზღვრების შემდეგ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს:

1. ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის გარეგნულ, ფიზიკურ და შინაგან თვისებებს:

Metzlers Gesicht sah aus wie ein Vollmond, rund und leer. (შუბერტი, 1967, 161).

Heinrich Ludwig, weißhäutig, rotbackig, blondhaarig, saß auf den Knien seines Onkels Oskar. (ველსკოფ-ჰენრიხი; 1967, 306).

Otilie, rundlich, hatte nicht einen einzigen Zug mit dem Vater gemeinsam. (ვაისკოფი, 1966, 22).

Vorn Heinz, groß und etwas verdrückt. (მუშგი, 2000, 249).

2. ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობას:

Ein blasser, magerer Mann, nervös, wie es den Eindruck machte, bemerkte. (დურენმატი, 2000, 65).

Er trat sich vor sich hin... ein nun gar nicht mehr junger Mann, sehr müde, mit gefurchtem Gesicht. (ნოლი, 1967, 116).

Daß sie es wieder gut machen würde, wenn jene, die geliebter Eltern, alt und krank. (ჰერმანი, 1963, 267).

3. ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ საგანთა გა-

რეგნულ ფიზიკურ თვისებებს:

Über Ecke hing ein Madonnenbild, barock, sehr gute Arbeit. (ველსკოფ-ჰენრიხი, 1967, 485).

Die drei Büsten von Cäsar, Cicero, Marc Aurel, ganz gelb und echt. (ბიოლი, 1968, 82).

In einem Garten hingen Hemden, steif wie Schloßgespenster. (ფედერ-შპილი, 2000, 209).

Ein Haus, sparsam verputzt. (შუბერტი, 1967).

4. ზედსართავი სახელები, რომლებიც განკერძოვდებიან აბსტრაქტულ არსებით სახელებთან:

Eine männliche Stimme, überforsch. (ვაისკოფი, 1966, 165).

Die Freundschaft mit Josef Prokop, einfach und klar an der Oberfläche,

hatte etwas Undurchsichtiges, Unbestimmbares in sich. (ვაისკოფი, 1966, 235).

5. ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ბუნების მოვლენების და ცხოველთა სამყაროს ამა თუ იმ თვისებებს:

... rechts und links standen die Bäume, morsch, rissig, gekröpft. (ჰერმანი, 1963).

Direkt neben der gewöhnlichen Kiefer wuchs die adlige Eiche, königlich auch ohne Blätterschmuck. (შუბერტი, 1967, 357).

...er sei eine Hirschkuh, eine reine, unschuldige. (კაუერი, 2000, 324).

Und schon bemerkte sie eine zweite Kringel, groß wie eine Ziegelstein. (ლაუბერი, 2000, 357).

ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ნომინალურ სინტაგმაში განსაკუთრებით დიდი როლდენობით განკერძოვდება I და III ჯგუფის ზედსართავი სახელები, შედარებით ნაკლებად IV და V ჯგუფის ზედსართავი სახელები.

ბიოლი, 1968 — H. Böll. Wanderer, Kommst du nach Spa ... „Mein trauriges Gesicht“. Erzählungen. Verlag „Progress“ 1968.

დურენმატი, 2000 — F. Dürrenmatt. Der Tunnel. Verlag „Menedsher“ Moshaisk 2000.

ვაისკოფი, 1966 — F.C. Weiskopf. Abschied vom Frieden. Aufbau-Verlag Berlin und Weimar 1966.

ველსკოფ-ჰენრიხი, 1967 — L. Welskopf-Henrich, Zwei Freunde. Mitteldeutscher Verlag Halle (Saale) 1967.

ზეგერსი, 1979 — A. Seghers. Agathe Schweigert. Ausgewählte Werke. Moskou Verlag „Progress“ 1979.

ზელბმანი, 1968 — F. Selbmann. Die Söhne der Wölfe. Mitteldeutscher Verlag Halle (Saale) 1968.

კაუერი, 2000 — W. Kauer. Der Mann mit dem Lexicon, Verlag „Menedsher“ Moshaisk 2000.

ლაუბერი. 2000 — C. Lauber. Martina. Verlag „Menedsher“ Moshaisk 2000.

ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990 — Лингвистический энциклопедический словарь под ред. В. Н. Ярцевой. Москва 1990.

მანი, 1958 — Th. Mann. Buddenbrooks. Verlag für fremdsprachige Literatur 1958.

მუში, 2000 — A. Muschg. Besuch in der Schweiz. Verlag „Menedsher“ Moshaisk 2000.

ნოლი, 1967 — D. Noll. Die Abenteuer des Werner Holt. (Roman einer Jugend). Aufbau-Verlag Berlin und Weimar 1967.

ფედერშპილი, 2000 — J. Federspiel. Das gelobte Dorf. Verlag „Menedsher“ Moshaisk 2000.

ფრიში, 2000 — M. Frisch. Skizze (Schinz). Verlag „Menedsher“ Moshaisk 2000.

შუბერტი, 1967 — D. Schubert. Acht Unzen Träume. Verlag neues Leben Berlin 1967.

ჰერმანი, 1963 — G. Hermann. Kubinke. Das neue Berlin 1963.

Semantic Structure of Detached Adjectives in Nominal Syntagma

Summary

Relations between a notion and a lexical meaning can be of various types; both have their own complex structure and characteristics.

The structure of a lexical unit is determined by its syntax semantics and pragmatics.

The structure of a notion consists of the following parts: 1. signification. 2. intentionality 3. denotation. 4. implication. The principle notional components being signification and denotation. The following meanings are actualized in them: basic notional meaning ie factive, non-situational, representative, objective-relational meaning. This is abstracted from a pragmatic, modal-subjective, communicative meaning.

In a nominal syntagma a detached adjective has a denotative meaning; ie it refers to real, natural features of an object, its physical, outer characteristics such as age, colour etc.

For the purpose of rhythmic structuring of an utterance some attributive adjectives are placed in Vorfeld (prepositional field) others - in Nachfeld (postpositional field).

Adjectives with signifiatory meanings are encountered in Vorfeld, whereas adjectives with denotative meanings are detached and placed in Nachfeld.

ხათუნა ლლონტი

პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მარკირება ბასული
საშუაღის პირველ მეოთხედში

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **ვ**- ძველ ქართულში **ო** და **უ** ბაგისმიერთა წინ არ იწერებოდა. „ძველი ქართული გულმოდგინედ იცავს წესს: წერე, როგორც გამოთქვამ. ამიტომ იქ გამოთქმასა და წერას შორის თითქმის სრული შესატყვისობაა. **ვ-ო**-სა და **უ-ს**თან არ ისმის... აზრის სიზუსტე მოითხოვს მის (**ვ**-ს) წერას. **და-ობლდი, მოუწოდე** პირველი პირიც იქნებოდა და მეორეც“ (იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., 1996, 23).

ძველი ვითარება ზოგჯერ XX ს-ის დასაწყისის პრესის ფურცლებზეც გვხვდება: „არ შემოძლია... გვერდი **აუარო**“ („განათლება“, 1916); „თუ **დაუმატებ**“ („ცნობის ფურცელი“, 1901); „მე... **უყუ-რებ**“ („ივერია“, 1904); „შეგვიძლია **უპასუხოთ**“ („დროება“, 1908); „**გაურბივართ**“ („ბათუმის გაზეთი“, 1914); „**უერთებთ** ჩვენ მწუხარებას“ (გაზ. „შრომა“, 1916); „მათ ანგარიში **გაუწიოთ**“ (გაზ. „ალიონი“, 1920).

მიუხედავად იმისა, რომ XX ს-ის გრამატიკულ ლიტერატურაში ყველა გრამატიკოსის მიერ გამოკვეთილი იყო **S₁** ნიშნის მარკირება ზმნაში, პრესამ, შეიძლება ითქვას, შეიმუშავა თავისი კანონი, რასაც ძველი მწერლობა უმაგრებდა მხარს. გარდა ამისა, ზოგიერთი პიროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობდა XX ს-ის დასაწყისის ლიტერატურულ ცხოვრებასა და, განსაკუთრებით, პრესის ენის ფორმირებაში. მაგ., ასეთი გავლენიანი პირი იყო გრ. ყიფშიძე, რომელიც ერთ-ერთ საბაეჭრო წერილში სწორედ **S₁**-ის ნიშნის, **ვ**-ს, გამო ეკამათება ს. ხუნდაძეს. „მე... ვერ **უდალატებ**“, — წერს იგი და შემდეგ დასძენს: „ამ **„უდალატებ**“-საც მიწუნებ, მაგრამ გამოტეხილი უნდა მოგახსენო... რომ **ვ**-ის ხმარება ყველგან აუცილებლად მიმარჩნია, მხოლოდ არა იქ, სადა იგი **ვ**-ინი უძღვის წინ **უ**-სა. ვერ ვიტყვი და ვერც

დავწერ: **ვუთხრათ, ვუძღვნათ, ვუწერთ**... **ვ**-ინი **უ**-ის წინად არსად ძველ მწერლობაში არ შეგხვდებათ“ („განათლება“, 1911).

1921 წელს, ასე ვთქვათ, „ჩამოიკრა ზარი“, კერძოდ, საგანგებოდ მოწვეულმა კომისიამ ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებელ პროექტში დაადგინა, რომ „პირველი პირის პრეფიქსი **ვ-უ**-ის წინ ყოველთვის უნდა დაიწეროს: **ვ-უკეთებ** და არა **უკეთებ** (მე მას); **ვ-უწერ** და არა **უწერ** (მე მას)“... მაგრამ დადგენილ კანონზომიერებას მაინც არ ემორჩილებოდნენ „განსწავლული“ პირები, რის გამოც ს. ხუნდაძე 1927 წელს¹ ამ საკითხს კვლავ მიუბრუნდა სათაურით — „მე უწერ, თუ მე ვუწერ?“ მიუხედავად იმისა, რომ სილოვანისათვის ხშირად ამა თუ იმ ფორმის დადგენისას სწორედ ძველი ქართული მწერლობაა ამოსავალი, კონკრეტულად, „ვისრამიანი“, „გეფხისტყოსანი“ და სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება, ხოლო ამ თხზულებებში **უ**-ს წინა პოზიციაში **S₁** პირის შემცველი ზმნები „სანახევროდ **ვ**-ითარის ნახმარი და სანახევროდ **უ-ვ**-ინოდ“, გრამატიკოსი მაინც ერთმნიშვნელოვნად წერს: „ჩემი აზრით, პირველ პირში **ვ** ყველა შემთხვევაში უნდა დარჩეს: **ვსწერ, ვუწერ... ვუშენებ, ვვარდები**“ და დასძენს: „მით უფრო, რომ ამით ორაზროვნობასაც თავიდან ავიშორებთ“ (**უშწერ, უშენებ, ვარდები**... მეორე პირის ფორმებია) (ხუნდაძე, 1927, 17).

რატომ არ იწერებოდა **ვ**- პრეფიქსი **უ**-ს წინ? მართალია, მეტყველებაში **უ**-ს წინ **ვ**- იკარგება, მაგრამ წერის დროს ამ თანხმონის გაუჩინარებას, ვფიქრობთ, თავისი ამხსნელი მიზეზებიც დაეძებნება. მისი საფუძველი საუკუნეთა სიღრმეში უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ **S₁**-ის ნიშანს ხანმეტ ტექსტებშივე მოეპოვებოდა ალომორფები. ამ ტექსტებში „პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ვარიანტებია: **ვ**- (ვიცი); **უ** (აღ-**უ**-მართე „აღვმართე“); **ხუ** (ხყო, [ხუ-იყო]); **ნული** (თუ ზმნა იწყება უ-თი, რომელიც: ა) ფუძისეულია (უწყი); ბ) სასხვისო ქცევის ნიშანია (მი-**ხ**-უგე მე მას სიტყუა)“ (სარჯველაძე, 1997, 74). იგივე ვითარებაა ჰაემეტ ტექსტებშიც (აღჰუმართე).

¹ 1911 წელს პოლემიკურ წერილში — „ქართული თუ ქართლური“ — სილოვანი ამ საკითხს არ ეხება, მაგრამ უყურადღებოდ არ ტოვებს გრ. ყიფშიძის ერთ წინადადებას, რომელიც შეიცავს ფორმას: **დაუგდოთ** (ჩვენ — ხ.დ.). იგი იმეორებს მოპაეჭრის სიტყვებს: „მაშ რას **დაუგდოთ** ყური“ და შემასმენელსა და პირდაპირ დამატებას შორის ნიშნის მოგებით მიუთითებს ფრჩხილებში: (თუ **დაუგდოთ**?).

ზ. სარჯველაძის გამოკვლევით, /ვ:/ჟ/ ფონემათა ოპოზიცია ძველი და საშუალო ქართულის მიჯნაზე მოიშალა. ამ დროისთვის გვაქვს არა ორი ფონემა, არამედ ერთი ფონემის ორი ალოფონი (ფაქტობრივი ვარიანტი) (სარჯველაძე, 1984, 293). აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, პირიქით, მოსალოდნელია შემდეგი დებულება: „ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში (კბილბაგისმიერი) **ვ** ზოგჯერ (წყვილბაგისმიერი) უმარცვლო **უ**-დ (უბრჯუდ) გადაიქცევა. ეს მაშინ ხდება, როცა ფორმაში მასთან ერთად არის კიდევ მესამე ობიექტური პირის ნიშანი **ხ** (ხანმეტ ძეგლებში) ან **ჰ** (ჰაემეტ ძეგლებში)“ (იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., 1996, 22).

პრესის ფურცლებზე დადასტურებული ზმნებიდან ირკვევა, რომ ანლატში დასმული **უ**-, რომელიც ხშირ შემთხვევაში სასხვისო ქცევის ნიშანია, ქვეცნობიერად იტევს (ითავსებს) პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქციასაც, რადგან **უ** (უფრო ზუსტად, უ) ძველ ქართულში **ვ**-ს (**S₁** ნიშნის) ფონეტიკურ ალომორფს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, **ვუ**-ს მხოლოდ **უ**-დ გამოთქმასა და წერას განაპირობებს ქართული ენის ერთგვარი ფონემატური წესი: „ერთი მორფემის ფარგლებში (ხაზგასმა ჩვენია — ხ.ლ.) ქართულმა ენამ არ იცის ფონემათა თანმიმდევრობა /ვ/+ლაბიალური ხმოვანი (/ვ/+ლ/ და /ვ/+ჟ/)“ (უთურგაიძე, 1976, 15]. ამის ერთ-ერთ მაგალითად თედო უთურგაიძე ასახელებს შემდეგს: „/ვლ-/, /ვჟ/ კომპლექსები¹ არ გვხვდება სიტყვის თავში... არ გვხვდება აუსლაუტში“... და შენიშნავს: „აღნიშნული ვითარების საფუძველზე შეიძლება მივიღოთ ფონემატური წესი: ქართულ ენაში /ვ/ იკრძალება /ლ, ჟ/ ლაბიალური ხმოვნების წინ, არ იკრძალება /ა ე ი/ ხმოვნების წინ“. შევნიშნავთ, რომ ლაბიალური ხმოვნებთან **ვ**- (მხედველობაში გვაქვს **S₁** ნიშანი) იკარგებოდა წერაშიც, ახლა **ვ**-ს გაუჩინარების, გამოუთქმელობის ფაქტი **ლ/ჟ** ხმოვნების წინ დასტურდება მეტყველებაში, რაც არ ითქმის **აჰხ** ხმოვნების წინა პოზიციაში მდგომ **ვ**-ზე. ვფიქრობთ, ენის ის ფონემატური წესი, რომელიც მორფემის ფარგლებში არსებობს (კერძოდ, **ვუ** და **ვლ** მორფემული კომპლექსი), თითქოს ქვეცნობიერად მოქმედებს მაშინაც, როცა **ვუ** მორფემას არ წარმოადგენს (**ვუ-თხარი/ჟთხარი, გავოცდი/ტაოცდი**).

¹ კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ აქ ლაბარაკია იმ კომპლექსზე (**ვლჟ**), რომელიც მორფემაა.

საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: არაქართველის ქართულად მეტყველებისას შეინიშნება **S₁** ნიშნის **ვ**-ს დაკარგვა **აჰხ** ხმოვნების წინა პოზიციაშიც. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ფრანჩესკო მაჯოს გრამატიკაში დამოწმებული ზმნის პირველი პირის ფორმა, სადაც **ი** ხმოვნის წინ უცხოელი გრამატიკოსი არ წერს **S₁** ნიშნად **ვ**-ს: მე **მოითანო**, მე **დაიბანო...** (მაშინ, როცა თანხმოვნის წინ აქ დასტურდება **S₁**-ის **ვ**: **გჩამე** (უთურგაიძე, 1999, 57-58).

მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ ოსის მეტყველებაში გვხვდება ასეთი ფორმები: „ბევრი საქმე მაქვს ჯაყოსა.. ვერ **მოიცალე**“, „ისეთი ლამაზი ქალი **მოიყვანე**, როგორც მთვარე“, „**ენაცვალე** იმის მადლსა...“ (ჯავახიშვილი, ტ. II, 1959, 236, 269, 271). ანალოგიური ფრაზები ახლაც ისმის არაქართველთა მეტყველებაში: „მე **წაიღე**“, „მე **გამოაცხადე**“, „მე **გაეყარე**“... მსგავსი მოვლენა ქართული სალიტერატურო ენის (და არა დიალექტების) განვითარების არც ერთ ეტაპზე არ დასტურდება. ამის მიზეზი კი უდავოდ ისაა, რომ **აჰხ** არასდროს წარმოადგენდა **S₁** ნიშნის ალომორფს.

დაბოლოს, მართლწერაში **S₁** პირის **ვ**-ს გაუჩინარების მიზეზად დავასახელებთ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ზ. სარჯველაძის მიერ გამოვლენილ ფაქტს: „ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში შენიშნულია **ვ** და **უ** გრაფემათა ურთიერთშენაცვლების ფაქტები“, რაც, ავტორის თქმით, ხანმეტ ტექსტებშიც შეინიშნება, ხოლო „ძველი ქართული ენის უკანასკნელი პერიოდის ძეგლებში დასტურდება **ვ** და **უ** გრაფემათა თავისუფალი ურთიერთმონაცვლეობა“. მაგალითებად მოხმობილია: „**ანუსებასა**“, „**მშუა** მან“, „**ხუალისაგან**“, „**გიყუარს**“, „**გუეტყ ს ღმერთი**“.

ვ და **უ** გრაფემათა ურთიერთმონაცვლეობა, ზ. სარჯველაძის აზრით, განაპირობა იმან, რომ უმნიშვნელოა „/ვ:/ჟ/ ოპოზიციის ფუნქციონალური დატვირთვა ძველ ქართულში, რაც ოპოზიციის მოშლის ერთ-ერთი გადაწყვეტი მიზეზი უნდა იყოს“. ავტორი შენიშნავს: „გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შესაძლებელია, ეს მონაცვლეობა ზოგჯერ მომდინარეობდეს იმ დიალექტური (ენობრივი) წრიდან, სადაც /ვ:/ჟ/ ფონემატური ოპოზიცია არ არსებულა“ (სარჯველაძე, 1984, 128). ჩვენი აზრით, **ვ** და **უ** გრაფემათა ურთიერთმონაცვლეობის ფაქტი მიაჩნდება, რომ სალიტერატურო ენის განვითარების განვლილ ეტაპებზე ისინი ერთი ხმის, ერთი ბგერის ორი

ალოფონია, რადგან უ და ვ-ს მონაცვლეობა არ იწვევს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას და ეს „ორი ბგერა ერთმანეთთან თავისუფალი ვარიირების მიმართებაშია“ (ნებიერიძე, 1991, 81). ასე რომ, უ ხმოვანი გარკვეულ შემთხვევებში იტევს ვ-ს ფუნქციას, ამიტომ მისი (ვ-ს) დართვა უ-ს წინ ზოგისთვის ჭარბფუნქციანობას იწვევდა — ერთი ფუნქციის ორმაგად გამოხატვას, რამაც, თავის მხრივ, ზმნათა ფორმებიდან ვ-ს გაუჩინარება განაპირობა.

არამ მარტიროსოვის თქმით, „ქართულში ვ არ არის მყარი ბგერა. იგი ხშირად იკარგება როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართულის თითქმის ყველა კილოში, უმთავრესად მაშინ, როცა მას მოსდევს ან წინ უსწრებს ბაგისმიერი ო და უ ხმოვანი. ჩანს, ვ-ს დაკარგვის მიზეზი ფონეტიკური გარემოა, რომელშიც იგი იმყოფება, ან ზოგჯერ — თვით ამ ბგერის თავისებური ფონეტიკური ბუნება“ (მარტიროსოვი, 1953, 253).

ამრიგად, ახალ ქართულში S₁ ნიშნის, ვ-ს, დაკარგვის სამი მიზეზი გამოვკვეთეთ:

1) უ ფონემა, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია ძველ ქართულში S₁ ნიშნის გამოხატვა იყო, ახალ ქართულშიც ქვეცნობიერად სწევს პირის ნიშნის ფუნქციას, რაც არ ხდება აქხ ხმოვნების წინ (სალიტერატურო ქართულში), რადგან მათ არასოდეს გამოუხატავთ S₁-ის ნიშანი.

2) თუ ამოვალთ თედო უთურგაიძის დებულებიდან, რომ ქართული მორფემისთვის არ არის დამახასიათებელი ვუ კომპლექსი, უნდა ვივარაუდოთ, ეს ფაქტორი ერთგვარ გავლენას ახდენს ვ (S₁ პირის ნიშნისა) და ზმნის დანარჩენი ნაწილის კუთვნილ უ ხმოვნის მეზობლობაზე.

3) ძველ ქართულში ვ და უ ბგერების ერთმანეთის მიმართ თავისუფალმა ვარიირებამ ახალ ქართულშიც პოვა ასახვა.

დაბოლოს, ეს არ ნიშნავს, რომ ვ-ს გაუჩინარება ბაგისმიერი ხმოვნის წინ ნორმა XX ს-ის დასაწყისში. ჩვენ მხოლოდ ნორმის დარღვევის მიზეზი აღვნიშნეთ. სალიტერატურო ნორმის დარღვევა იშვიათად ხდებოდა S₁ ნიშნის ვ-ს ჭარბად გამოყენების სახითაც. ამის ერთ-ერთი მაგალითია: „ვერ გამოვრკვევულვიყავ, თუ სად ვიყავი“ („ბათუმის გაზეთი“, 1913). აქ ვ გრაფემის სამჯერადი გამოყენებაა: I მართებულად ასახავს ვითარებას (S₁); III — ვიყავ — აქაც ვ სწევს S₁-ის ნიშნობას, მაგრამ რთულ მეშველზმნიან სიტყვაში

მეშველი ზმნის S₁-ის ნიშნის გამოხატვა არ უნდა ხდებოდეს; II შემთხვევა კი, ყველა ფონემატური გავებით, უმართებულოა.

ლიტერატურა

იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., 1996 — ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწილი I, მაინის ფრანკფურტი, 1996.

მარტიროსოვი, 1953 — ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV-XVIII საუკუნეთა კახურ ისტორიულ საბუთებში, იკვ, IV, თბ., 1953.

ნებიერიძე, 1991 — გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

სალიტერატურო ქართულისათვის, პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად, თბ., 1921.

სარჯველაძე, 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

უთურგაიძე, 1999 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

ფერაძე, სიხარულიძე, 1987 — ი. ფერაძე, ი. სიხარულიძე, ენის დაკვირვება, 1987.

ხუნდაძე, 1927 — ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927.

ჯავახიშვილი, 1959 — მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები, ტ. II, 1959.

KHATUNA GHLONTI

Marking the First Person Subjective in the First Quarter of the Last Century Summary

The first person subjective has been differently marked at various stages of the history of Georgian, the type of marking being determined by the vowel that followed the marker.

In Old Georgian, before the labial vowels o and u, S1 marker was not evidenced in the verb (type "me utxari"). In later centuries up to the beginning of the 20th c. the mentioned situation was encountered in the language of the press and sometimes in the language of literature. Grammarians insisted on the usage of the prefix v, nevertheless the press had its own rules.

The paper analyses the phenomenon in question and attempts to give phonomorphological reasons for the disappearance of the prefix v.

ინბა ზაღორი

სახელთა ფლექსიური კატეგორიები აფხაზურში

აფხაზური ენის სახელურ სიტყვაფორმათა სიმრავლეში არსებითი და ზედსართავი სახელები ძირითადად განსხვავდება სინტაქსური ფუნქციებითა და ლექსიკური მნიშვნელობით, ხოლო წმინდა მორფოლოგიური ნიშნებით ისინი, ერთი შეხედვით, ქვევრებს არ ქმნიან. მაგრამ უფრო ჩაღრმავებული განხილვა გვიჩვენებს, რომ მათ ახასიათებს არაერთი თავისებურება მორფოლოგიური თვალსაზრისითაც, რაც თავს იჩენს, უპირველეს ყოვლისა, იმ კატეგორიათა სტატუსში, რომლებიც მოეპოვება როგორც არსებით, ისე ზედსართავ სახელებს.

არსებითი სახელები აფხაზურში იცვლება დეტერმინაციის, სუბსტანტიური რიცხვისა და კუთვნილების კატეგორიათა მიხედვით.

კუთვნილების კატეგორია გამოიხატება არსებით სახელში, რომელიც ასახელებს კუთვნილ ობიექტს და მიუთითებს მფლობელის პირზე, რიცხვსა და სქესზე (არსებითი სახელის სქესი შეიძლება იყოს მამრობითი, მდედრობითი ან არაგონიერი)³². ეს კატეგორია შედგება გრამემათა ცხრა კომბინაციისაგან (არსებით სახელში შეიძლება გამოიხატოს მიმართებითი კუთვნილების მნიშვნელობაც). ნიშანი *გონიერი / არაგონიერი (აღამიანი / არა-აღამიანი)* შეიძლება ჩავთვალოთ არსებით სახელთა სინტაქტიკის ერთ-ერთი ნიშნის — სქესის ნაირსახეობად. გონიერთა და არაგონიერთა აღმნიშვნელი არსებითი სახელების დაპირისპირება ასე თუ ისე აისახება აფხაზური ენის სახელთა (აგრეთვე ზმნათა) უმრავლესობაში. სახელდობრ, იგი ვლინდება სუბსტანტიური რიცხვის კატეგორიაში, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ. ბუნებრივია, რომ ოპოზიციაში „გონიერთა ~ არაგონიერთა სქესის არსებითი სახელი“ მარკირებული მნიშვნელობაა „გონიერთა სქესის არსებითი სახელი“.

დეტერმინაციის ფლექსიური კატეგორია შედგება განსაზღვრულობისა (/ ზოგადობისა) და განუსაზღვრელობის გრამემებისაგან. არ-

³² ტერმინებისათვის „სქესი“ და „კლასი“ იხ. მელჩუკი 2000, 240.

სებითი სახელი განსაზღვრულ ფორმაში მიუთითებს ობიექტთა ერთობლიობის კონკრეტულ წარმომადგენელზე ან განზოგადებულად მთელ ერთობლიობაზე. ლექსიკონებში არსებითი სახელი მოცემულია სწორედ ამ, ა- პრეფიქსიანი ფორმით. არსებითი სახელი განუსაზღვრელ ფორმაში მიუთითებს ობიექტთა ერთობლიობის ერთ-ერთ წარმომადგენელზე კონკრეტიზაციის გარეშე (ლომთათიძე, 1954, 51). ამავე, -კ სუფიქსიანი, ფორმით შეიძლება აღინიშნოს ერთი ობიექტიც, და ეს მნიშვნელობა ზოგჯერ გამოიხატება განსაზღვრულობის მნიშვნელობასთან ერთად, მაგალითად: ა-ჟა-კ „ერთი [კონკრეტული] კურდღელი“. მიუხედავად იმისა, რომ „ერთის“ მნიშვნელობას მრავალ სხვა ენაშიც განუსაზღვრელობის მნიშვნელობის იდენტური გამოხატულება აქვს, აფხაზურში -კ „ერთი“ მორფემას ვერ გავაიგივებთ განუსაზღვრელობის -კ მაჩვენებელთან, რადგან ერთი კატეგორიის გრამემები (და მათი მაჩვენებლები) დეფინიციით ურთიერთგამომრიცხავია. ვერც იმას დავუშვებთ, რომ „ერთის“ მნიშვნელობა განპირობებულია განსაზღვრულობის მაჩვენებლის კონტექსტით, რადგან ერთი საგნის აღნიშვნა აფხაზურში შესაძლებელია მხოლოდ ხსენებული სუფიქსის დართვით და ეს მნიშვნელობა კონტექსტით არ არის შეზღუდული. ამავე დროს, „ერთის“ მნიშვნელობა გრამემად ვერ ჩაითვლება, რადგან იგი სავალდებულო მნიშვნელობას არ წარმოადგენს (მელჩუკი, 1997, 249).

სუბსტანტიური რიცხვის კატეგორია შეიცავს მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის გრამემებს. პირველი მათგანი ფორმალურად არამარკირებულია, ხოლო მეორეს გონიერთა და არაგონიერთა სქესის (კლასის) არსებით სახელებთან განსხვავებული გამოხატულება აქვს — შესაბამისად, -ცა და -ქა სუფიქსები (ლომთათიძე, 1954, 57; გრამატიკა, 1968, 43). გონიერთა სქესის სახელებს განუსაზღვრელ ფორმაში დაერთვის მრავლობითი რიცხვის ორივე მაჩვენებელი, ამასთან, -ცა სუფიქსი ყოველთვის წინ უსწრებს -ქა სუფიქსს, იგი თავსდება უშუალოდ ფუძის შემდეგ (მაგალითად, ჭკოგნ-ცა-ქა-კ "ვიდაც ბიჭები"). რადგანაც -ცა და -ქა ურთიერთმეთავსებადია, ისინი არ უნდა განვიხილოთ გონიერთა და არაგონიერთა სქესის ფლექსიურ მნიშვნელობათა გამომხატველ სუფიქსებად. მაშასადამე, -ქა ვერ ჩაითვლება გონიერთა სქესისა და მრავლობითი რიცხვის კუმულაციურ მაჩვენებლად; იგი მიუთითებს მხოლოდ ობიექტთა მრავლობითობაზე, რაც შეესაბამება გონიერთა / არაგონიერთა

სქესის (კლასის) მნიშვნელობათა ინტერპრეტაციას როგორც ენობრივი ერთეულის სინტაქტიკის ნიშნებისა, ანუ ისეთი ელემენტებისა, რომლებიც ასახავენ სხვა მორფოლოგიურ ერთეულებთან ამ ერთეულის შეთავსებადობის თავისებურებებს (მელჩუკი, 1997, 113). ის ფაქტი, რომ პირთა აღმნიშვნელ არსებით სახელებში, კერძოდ, ეთნიკური წარმომავლობის სახელებში, -ცა მორფემას ზოგჯერ -ქა ენაცვლება (მაგალითად, აშამახ'ცა / აშამახ'ქა „სომხები“), შეიძლება აიხსნას არაგონიერთა სქესის მნიშვნელობის არამარკირებულობით. საინტერესოა, რომ ადამიანთა აღმნიშვნელი ზოგიერთი (მცირერიცხოვანი) ლექსემა მრავლობით რიცხვში წარმოდგენილია როგორც არაგონიერთა აღმნიშვნელი (მაგალითად: აჰსა-ქა / აჰსა-Ø „ქალები“), მაგრამ მფლობელის მნიშვნელობით ასეთი სახელები წარმოგვიდგება როგორც გონიერთა აღმნიშვნელი (მაგალითად, აფჰეს ლნაპე „ქალის ხელი“, ზედმ.: „ქალი მისი<ქ>-ხელი“).

ყველა ზედსართავი სახელის სალექსიკონო ფორმაში დასტურდება ა- პრეფიქსი, რომელიც ამ შემთხვევაში გამოხატავს არა განსაზღვრულობას, არამედ ზოგადობას, მაგალითად: ა-ბზია „კარგი“, ა-ღტე „ფიცრული“, „ფიცრისა“. ზედსართავ სახელებს აქვთ სინტაქტიკის ნიშანი, რომელიც მათ მიაკუთვნებს ვითარებით ან მიმართებით ზედსართავ სახელთა რიცხვს (მელჩუკი, 2000, 215). ეს განსხვავება ვლინდება უპირატესად სინტაქსში, მაგრამ იგი დაკავშირებულია ზედსართავთა მორფოლოგიურ გაფორმებასთანაც. განუსაზღვრელ არსებით სახელებთან გამოყენებისას ვითარებით ზედსართავებს ემატებათ განუსაზღვრელობის -კ სუფიქსი, რომელიც სემანტიკურად არსებით სახელს უკავშირდება და აფორმებს მთელ სახელურ ჯგუფს, მაგალითად: შიყე ბზია-კ „კარგი წიგნი“. მიმართებითი ზედსართავები პრეპოზიციულია, ამიტომ განსაზღვრულობის ა- პრეფიქსი, რომელიც აფორმებს მთელ სახელურ ჯგუფს, დაერთვის არა არსებით სახელს, არამედ მიმართებით ზედსართავს, მაგალითად: განს. ა-ღტე ვნე „ფიცრული სახლი“. სახელთა სიმრავლეში ცალკე ქვეჯგუფს ქმნის -ტი ფორმანტიანი ზედსართავი სახელები — ისინი უპირატესად ფორმდება არსებითი სახელისგან განცალკევებით (ასეთ შემთხვევაში არსებით სახელს, ჩვეულებრივ, განსაზღვრული ფორმა აქვს), მაგალითად: ა-ბჟარა-ტი ა-ჟადა „შუა ოთახი“, მრ.რ. ა-ბჟარა-ტი ა-ჟადა-ქა. დანარჩენ შემთხვევებში შეიძლება ვისაუბროთ სახელური ჯგუფის განსაზღვრულობა / განუსაზღვრელობაზე და ჯგუფურ

მაჩვენებლებზე. კუთვნილების პრეფიქსი, განსაზღვრულობის პრეფიქსის მსგავსად, კონსტრუქციაში „-ტი“ ფორმანტიანი ზედსართავი + არსებითი სახელი“, ჩვეულებრივ, არსებით სახელს დაერთვის. შდრ., მაგალითად: სგ-ღტვ უნგ „ჩემი ფიცრული სახლი“, აბრა-ტი სგ-უნგ „ჩემი აქაური სახლი“.

არსებითი სახელისა და ვითარებითი ზედსართავისგან შემდგარ კონსტრუქციებში, რომლებშიც გამოიხატება მრავლობითი რიცხვის გრამემა, ვლინდება განსხვავება გონიერთა და არაგონიერთა სქესის არსებით სახელებს შორის. მრავლობითი რიცხვის სუფიქსი, რომელიც სემანტიკურად დაკავშირებულია არაგონიერთა სქესის არსებით სახელთან, დაერთვის არა მას, არამედ ვითარებით ზედსართავს და აფორმებს მთელ კონსტრუქციას. მაგალითად: აშხა ჰარაკ „მაღალი მთა“, აშხა ჰარაკ-ქა „მაღალი მთები“. გონიერთა სქესის არსებითი სახელის შემცველ ანალოგიურ კონსტრუქციებში გვაქვს რიცხვში შეთანხმება: მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლები დაერთვის როგორც ზედსართავს, ისე არსებით სახელს, ამასთან, არსებითი სახელი გაფორმებულია -ცა სუფიქსით, ხოლო ვითარებითი ზედსართავი, როგორც წესი, -ქა სუფიქსს დაირთავს, მაგალითად: აჭკენ-ცა ბზია-ქა „კარგი ბიჭები“. არაგონიერთა სქესის არამარკირებულობით არის განპირობებული -ქა სუფიქსის არსებობა ისეთ გასუბსტანტივებულ ზედსართავ სახელებში, როგორცაა ახო-ქა „ბავშვები“ < „პატარები“. ლექსემათა მცირე ჯგუფს, უპირატესად ადამიანის თვისებათა აღმნიშვნელ ლექსემებს, შეიძლება დაერთოს -ცა სუფიქსი, თუმცა დასაშვებია -ქა სუფიქსიანი ვარიანტებიც: აჭკენ-ცა ყვემ-ცა / ყვემ-ქა „ჭკვიანი ბიჭები“ (შდრ. გვანცელაძე, 2003, 49).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვითარებითი ზედსართავი სახელი იცვლება ადიექტივური რიცხვის (რიცხვში შეთანხმების), მაგრამ არა სქესის (გონიერთა / არაგონიერთა ნიშნის) კატეგორიის მიხედვით. ეს ეხება ნაცვალსახელურ ჩვენებით ზედსართავებსაც, რომლებიც არსებით სახელებთან ქმნიან კონსტრუქციებს -ტი ფორმანტიანი ზედსართავი სახელების მსგავსად (მაგალითად, არ-თ ა-შო-ქა „ეს წიგნები“). ნაცვალსახელური ჩვენებითი ზედსართავები ერთმანეთს უპირისპირდება დეიქსისის (სიახლოვის) ნიშნით და შეადგენენ ოპოზიციათა შემდეგ სამწევრა სისტემებს: „ახლოს ~ შორიახლოს [ხილვის არეში] ~ შორს“: აბრი / არი „ეს“, აბნი / ანი „ეგ“, უბრი / უი „ის“

(თარგმანი მიახლოებითია); მრავლობით რიცხვში, შესაბამისად: აბ-ართ / ართ, აბანთ / ანთ, უბართ / ურთ.

ნაცვალსახელური ლექსემები აფხაზურ ენაში, ისევე როგორც მსოფლიოს ენათა უმრავლესობაში, ქმნიან უაღრესად არაერთგვაროვან ჯგუფს, მათთვის დამახასიათებელია არაერთი პარადიგმატული თავისებურება. ზოგიერთი მნიშვნელობა, რომელიც მრავალ ენაში გამოიხატება ნაცვალსახელური ლექსემებით, აფხაზურში აღინიშნება ზმნური აფიქსებით (ასეთია, მაგალითად, კითხვითობის კატეგორიის მაჩვენებლები). ნაცვალსახელურ ლექსემათა დიდი ნაწილი, მათ შორის პირის ნაცვალსახელები, არ იცვლება მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით, თუმცა ცალკეულ ნაცვალსახელურ ლექსემებში გამოიხატება ზოგიერთი ფლექსიური მნიშვნელობა. მაგალითად, განსაზღვრებით ნაცვალსახელს **ახათა** „თვითონ“ მოეპოვება კუთვნილების კატეგორია, რომლის გრამემები გამოიხატება ისევე, როგორც არსებით სახელებში: **ს-ახათა** „მე თვითონ“, **შო-ახათა** „თქვენ თვითონ“ და ა.შ.

სახელთა სიმრავლეში მკვეთრად გამოიყოფა რაოდენობით რიცხვით სახელთა ჯგუფი. ეს სახელები განსხვავდება არსებითი და ზედსართავი სახელებისგან იმით, რომ მორფოლოგიურად არ გამოიხატავენ არც რიცხვის, არც კუთვნილებისა და არც დეტერმინაციის კატეგორიებს. რაოდენობით რიცხვით სახელს აქვს სქესის (გონიერთა / არაგონიერთა) ფლექსიური კატეგორია, რომელიც შედგება ორი გრამემისაგან: გონიერთა სქესი + არაგონიერთა სქესი. მოცემული გრამემები აირჩევა იმ ობიექტთა სქესის (გონიერთა / არა-გონიერთა ჯგუფის) მიხედვით, რომელთა რაოდენობასაც აღნიშნავს რიცხვითი სახელი. არაგონიერთა სქესის მნიშვნელობა რაოდენობით რიცხვით სახელებში წარმოადგენს ოპოზიციის არამარკირებულ წევრს და ფორმალურად არ გამოიხატება. კონსტრუქციათა შემდეგ ტიპში: “პირველი ათეულის რაოდენობითი რიცხვითი სახელი + არაგონიერთა სქესის არსებითი სახელი“, რომელსაც რთული სიტყვის სახე აქვს, აუცილებლად დასტურდება რიცხვით სახელთან სემანტიკურად დაკავშირებული -კ „ერთი“ მორფემა, მაგალითად: **ფ-შო-ყო-კ** „ექვსი წიგნი“ ანალოგიურ კონსტრუქციას ქმნის რიცხვითი სახელი **შო-კვ** „ასი“(შო-შო-ყო-კ „ასი წიგნი“), რომელიც გაგებულია „ერთ ასეულად“. პირველი ათეულის წევრობის მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ შესაბამის რიცხვით სახელთა ფუძეებში შემავალი -ბა ელემენტიც (**ფ-ბა** „ექ-

ვსი“), რომელიც გონიერთა სქესის რიცხვით სახელებში არ დასტურდება.

როთული სიტყვის ფორმა აქვს იმ კონსტრუქციასაც, რომელშიც გონიერთა სქესის რიცხვით სახელს მოსდევს არსებითი სახელის ფუძე და მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი, მაგალითად: **ფჳ-წაჳ-ცა** „ექვსი მოსწავლე“. მსგავსი როთული სიტყვების სინონიმურია შემდეგი ტიპის შესიტყვებები: „რაოდენობითი რიცხვითი სახელი + გონიერთა სქესის არსებითი სახელი მრავლობითი რიცხვის განსაზღვრულ ფორმაში“. ამგვარ შესიტყვებებში გვხვდება როგორც პირველი ათეულის, ისე სხვა ათეულთა რიცხვითი სახელები, მაგალითად: **ფჳკ ა-წაჳ-ცა** „ექვსი მოსწავლე“, **ფშგნჳჳაჳჳკ ა-წაჳ-ცა** „ოთხმოცი მოსწავლე“. „11“-დან მოყოლებული, არაგონიერთა სქესის რიცხვითი სახელები ფორმდება გონიერთა სქესის რიცხვით სახელთა მსგავსად — არსებითი სახელისგან განცალკევებით, მაგრამ აქვთ მხოლოდობითი რიცხვის ფორმა, მაგალითად: **ფშგნჳჳაჳ** „ოცე“ **წიგნი**“. ყურადსაღებია, რომ არაგონიერთა სქესის არსებითი სახელი ამგვარ შესიტყვებებში წარმოდგენილია განსაზღვრულობის პრეფიქსის გარეშე.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის პოსტპოზიციის შემთხვევაში ორივე სქესის არსებით სახელებს აქვთ განსაზღვრულობისა და მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლები, მაგალითად: **ა-შეჳ-ქა** **ფ-ბა** „ექვსი წიგნი“, **ა-შეჳ-ქა** **ფშგნჳჳაჳ** „ოთხმოცი წიგნი,; **ა-წაჳ-ცა** **ფჳკ** „ექვსი მოსწავლე“, **ა-წაჳ-ცა** **ფშგნჳჳაჳჳკ** „ოთხმოცი მოსწავლე“ (ციკოლია, 1973, 99).

შევაჯამოთ ზემოთ მოყვანილი მონაცემები და ჩამოვთვალოთ ის ფლექსიური კატეგორიები, რომლებიც გამოიხატება სახელებსა და მათ შემცველ კონსტრუქციებში.

1. **დეტერმინაცია**: არსებითი სახელები; ჯგუფი „არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი (-ტი ფორმანტიანი ზედსართავების გარდა)“; ჯგუფი „ტი ფორმანტიანი ზედსართავი + არსებითი სახელი“.
2. **სუბსტანტიური რიცხვი**: არსებითი სახელები; ჯგუფი „არაგონიერთა სქესის არსებითი სახელი + ვითარებითი ზედსართავი სახელი“.
3. **ადიექტიური რიცხვი**: ჯგუფი „გონიერთა სქესის არსებითი სახელი + ვითარებითი ზედსართავი სახელი“, ზედსართავი-დემონსტრაციები.
4. **გონიერთა / არაგონიერთა სქესში შეთანხმება**: რაოდენობითი რიცხვითი სახელები.
5. **კუთვნილება**: არსებითი სახე-

ლები; ჯგუფი „მიმართებითი ზედსართავი სახელი (-ტი ფორმანტიანი ზედსართავების გარდა) + არსებითი სახელი“.

ლიტერატურა

გვანცელაძე 2003 — თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, ტ.1, თბილისი, 2003.

გრამატიკა, 1968 — Грамматика абхазского языка. Фонетика и морфология. Сухуми, 1968

ლომათიძე, 1954 — ქ. ლომთაიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის. თბილისი, 1954.

მელჩუკი, 1997 — Мельчук И.А., Курс общей морфологии, т. I. Москва-Вена, 1997.

მელჩუკი, 2000 — Мельчук И.А., Курс общей морфологии, т. III. Москва-Вена, 2000.

ციკოლია, 1973 — მ. ციკოლია, სიტყვათა რიგი აფხაზურ ენაში. თბილისი, 1973.

INGA SHADURI

Inflected Nominal Categories in Abkhazian

Summary

According to the morphological markers Abkhazian nominal wordforms can be divided into the following groups:

1. nouns denoting the class of humans
2. nouns denoting the class of non-humans
3. Adjectives of manner
4. Relative adjectives formed with the formant t'i
5. Relative adjectives with no formant t'i
6. Pronominal adjectives with demonstrative meanings
7. A heterogeneous group of pronominal adjectives not changing according to the morphological categories.

The Abkhazian nominal wordform groups and constructions containing them have the following flectional categories;

Determination: nouns; "noun + adjective with no formant ti; "adjective with the formant t'i + noun."

The number of the Substantives: nouns; "noun denoting a non-human + adjective of manner".

Pronominal adjective with demonstrative meaning.

Agreement between human and non-human classes: cardinal numerals.

Possession: nouns: "adjective of manner (except the adjective with the formant t'i) + noun".

The morpheme -k _ meaning 'one' should not be identified with the -k _ the marker of indefiniteness, because the gramemes of one category (and their indicators) are incompatible by definition. Besides the meaning of 'one', cannot be considered to be a grameme since it is not obligatory.

ნათო შავჩაიანი

ბრუნების თავისებურებანი ქართულში მიზანიერულ სვანთა მატყველებად

სვანური ენა მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა და სწორედ ამიტომ არა ერთგზის ქცეულა მეცნიერთა კვლევის საგნად.

მეცნიერთა დიდი შრომისა და ძალისხმევის წყალობით არაერთ ლინგვისტურ საკითხს მოეფინა ნათელი. მიუხედავად ამისა, კიდევ ბევრი საკითხი რჩება კითხვის ნიშნის ქვეშ გამომდინარე იქიდან, რომ სვანური ენა განსხვავდება არა მარტო ქართულისაგან და მეგრულ-ჭანურისაგან, არამედ თვით სვანურის დიალექტებიც მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს (ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, რედუქცია).

მაშინ, როდესაც ქართულში ბრუნება მარტივია, სვანურ სახელთა ბრუნება უაღრესად რთულ სურათს იძლევა, იმდენად რთულს, რომ ამან ა. შანიძეს, სვანურის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ ფუძემდებელს, თავის დროზე ათქმევინა: „სვანური ბრუნების დღევანდელი სახე მეტისმეტად შეცვლილია იმასთან შედარებით, რაც ძველად უნდა ყოფილიყო, ამიტომ შედარებით უფრო ძნელია ნათლად გაერკვეს კაცი იმ არევ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს“ (შანიძე, 1981, 320).

XX საუკუნეში სვანური მასალის მეცნიერული შესწავლა ინტენსიურად წარიმართა, რასაც უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. დიდი მიღწევებია სახელთა ბრუნების შესწავლაშიც, თუმცა ამ კონკრეტული გრამატიკული კატეგორიის შესახებ მეცნიერთა ნაშრომებში დიდი აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგი მკვლევარი იზიარებს და ამტკიცებს სვანურის ნარევობას (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ს. ჯანაშია) და გამოყოფს ბრუნების რამდენიმე ტიპს და სისტემას, ხოლო ზოგი კატეგორიულად უარყოფს სვანურის ნარევობას და სხვა ენისგან რაიმე სესხებას (ა. ონიანი, კ. დონდუა).

ასეთი შეხედულებები და მოსაზრებებია ძირითადად სვანურში

ტრადიციული ოთხი დიალექტის შესახებ გამოთქმული, ხოლო რაც შეეხება ჩოლურულ მეტყველებას, იგი არანაკლებ საინტერესოა, მაგრამ რიგი მიზეზების გამო იგი არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და ამდენად სამეცნიერო ლიტერატურაში მწირი მასალა მოგვეპოვება. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ მეტყველებას დიალექტად მიიჩნევს (ა. ონიანი), ნაწილი კი მას ნარევ მეტყველებას უწოდებს და ეწინააღმდეგება მის დიალექტებში გაერთიანებას (ვ. თოფურია, ა. შანიძე). წარმოვადგენთ იმ ცნობებს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში მოგვეპოვება ჩოლურული მეტყველების შესახებ.

ა. ონიანის სიტყვით, „ჩოლურულ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობა საკმაოდ კომპაქტურად არის განლაგებული ცხენისწყლის ხეობის იმ ნაწილში, რომელიც ლაშხეთსა და ლენტეხს შორის მდებარეობს და საკმაოდ მანძილით არის დაშორებული როგორც ლაშხურ, ისე განსაკუთრებით ლენტეხურ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობისაგან... ხმოვანთა შედგენილობის მიხედვით ჩოლურულის გაერთიანება არ შეიძლება არც რომელიმე სხვა დიალექტში, რამდენადაც ის, მსგავსად ბალსზემოურისა, ლაშხურისაგანაც განსხვავდება (უმლაუტიანი ხმოვნებით) და ლენტეხურისა და ბალსქვემოურისაგანაც (გრძელი ხმოვნებით). ამავე დროს, სხვა ენობრივი (გრამატიკული, ლექსიკური, ინტონაციური...) თავისებურებებითაც ჩოლურული, ჩვენი აზრით, ისევე განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან, როგორც თითოეული მათგანი — ერთმანეთისაგან. ეს კი ჩოლურულის დამოუკიდებელ დიალექტად გამოყოფის საფუძველს იძლევა“ (ონიანი, 1998, 8).

ჩოლურულს აკაკი შანიძე ასე ახასიათებს: „უნდა შევნიშნო, რომ ჩოლურული ცალკე კილოს არ წარმოადგენს. ენობრივად იგი ორ ნაწილად იყოფა: ზემო ნაწილი ლაშხურის კილოკავია, ქვემო ნაწილი კი (სოფ. საყდარი, ბულეში, მუწდი) — ლენტეხურია. თუმცა უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ზემო ჩოლურულში უმლაუტებიც არის, რომლებიც მას ლენტეხურთან აახლოებს, ხოლო ქვემო ჩოლურულში გრძელი ხმოვნებიც, რაიცა მას ლაშხურთან აკავშირებს“ (შანიძე, 1981, 84).

ჩოლურული მეტყველება ვ. თოფურიას ნარევ დიალექტად მიაჩნია ქვემოსვანურში, ისევე როგორც ცხუმარული ზემოსვანურში (თოფურია, 2002, 62).

და მაინც, სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილის

საბოლოო განსაზღვრისთვის აუცილებელია მისი სპეციალური შესწავლა. ამ მიზნით ჩავიწერეთ ტექსტები ამ მეტყველებაზე მოსაუბრეთაგან, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ არა სვანეთში, არამედ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჭივჭავში.

სოფელ ჭივჭავში ცხოვრობს ასი კომლი, მცხოვრებთაგან უმეტესობა ჩოლურლები არიან, კონკრეტულად: ლეუმერლები, მუწდლები და ერთადერთი ოჯახი — საყდრიდან და ლაშხელები.

რადგანაც ჩვენ თვითონ ჩოლურული მეტყველება გვინტერესებდა, ტექსტები ჩოლურლებისგან, ორმოცდაათ წელს გადაცილებულთაგან ჩავიწერეთ, რადგანაც ახალი თაობის მეტყველება მკვეთრად განსხვავდება უფროსების მეტყველებისაგან.

ამჯერად ყურადღება გავამახვილეთ სახელებზე, რომლებიც ბრუნების თვალსაზრისით რაღაც თავისებურებებით გამოირჩევა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრუნების თვალსაზრისით ჭივჭავურ მეტყველებაში უმარტივესი სურათი გვაქვს.

გამოიყოფა ტრადიციული ექვსი ბრუნვა:

სახელობითი სხვა დიალექტების მსგავსად აქაც ნულოვანი ალომორფით არის გაფორმებული, მაგ.: ჭიშხ „ფეხი“, დინა „გოგო“, ლემეს „ცეცხლი“, გიმ „მიწა“, ჭურუ „ხვრელი“, თუეი „თვე“, ძულუა „ზღვა“, „ლარა „მინდორი, ჭალა“...

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნებია -დ და -ემ. ოღონდ გაბატონებულია -დ, ხოლო -ემ იშვიათად გამოვლინდება (ღერთ-ემ „ღმერთმა“, ჩი-ემ „ყველამ“, იმნ-ემ „რამ“?). სვანურ დიალექტებში ხშირია -დ-სა და -ემ-ის მონაცვლეობა, როდესაც, ფუძე ერთმარცვლიანია, ჭივჭავურ მეტყველებაში ეს მონაცვლეობა არ ხდება და ყველგან -დ მორფემა გვაქვს: ში-დ „ხელმა“ (ჭივჭაველი ჩოლურელი არც ერთ შემთხვევაში არ იტყვის „ში-ემ“-ს), დი-დ „დედამ“, მუ-დ „მამამ“, ვიჯ-დ „გველმა“... მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ორივე ალომორფია ერთად წარმოდგენილი, მაგ.: ღერთ-ემ-დ „ღმერთმა“, ჩი-ემ-დ „ყველამ“, იმნ-ემ-დ „რამ“?; თუმცა ასეთი მაგალითები მწირია ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში.

მიცემითი ბრუნვის ნიშანია -ს, რაც შეეხება საკამათო -ნ, -ა, -ჟ ელემენტებს, ესენი არ გამოიყოფა. იშვიათად თავს იჩენს -ამ ალომორფი -ს-ს მონაცვლედ, ზოგჯერ კი მასთან ერთად, მაგ.: დი-ს „დედას“, გიმ-ს „მიწას“, ბაჩ-ს „ქვას“, გაჩ-ს „დანას“, შდრ.: ხოჩა-ს || ხოჩ-ამ || ხოჩ-ამ-ს „კარგს“, ხოხრა-ს || ხოხრ-ამ || ხოხრ-ამ-ს „ნაკლებს“...

ფორმა, ხოლო ღერბეთ-ემ მხოლოდ აქა-იქ თუ შეინიშნება. ეს სიტყვა-ე შეინიშნოვნიანთა კლასს განეკუთვნება, ამიტომაც სრულიად კანონზომიერია მასთან ებ-იანი ერგატივი“ (ჩანტლაძე, 1998, 80-82).

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე აშკარაა და დამაჯერებლად გვეჩვენება ჩოლურული მეტყველების ა. შანიძისეული დაყოფა, რომ ლეუშერლების მეტყველება ძალიან ახლოს დგას ლაშხურთან (თუმცა ამ სოფელში მცხოვრები გვარები ოდითგან ზემოსვანეთიდან გადმოსახლებულნი არიან), რაც პირველ რიგში ხმოვნების სიგრძით გამოიხატება, თუმცა უმლაუტიც გვხვდება აქა-იქ, უფრო მეტად უმლაუტი მოუდის ა ხმოვანს. რაც შეეხება მუწედლებს, მათ მეტყველებაში ლეუშერლებისგან განსხვავებით უფრო ძლიერია უმლაუტიზაცია და ურედუქციობა, რაც აახლოებს მას ლენტეხურ დიალექტთან, თუმცა ხმოვანთა სიგრძეც ახასიათებს.
2. მუწედლებისა და ლეუშერლების ახალი თაობის მეტყველებაში პირველ რიგში შეინიშნება უმლაუტის გაქრობა იმ სახელებში, რომლებშიც უფროსებთან იგი ფიქსირდება, რასაც ვერ ვიტყვი ხმოვანთა სიგრძეზე, რომელიც უმლაუტისგან განსხვავებით უფრო მყარად ჩანს შენარჩუნებული
3. ჭიკჭავურ მეტყველებაში ბრუნების თვალსაზრისით უმარტივესი სურათი გვაქვს. აქ არც ერთი ბრუნვა არ ემთხვევა (ფორმალურად, ფუნქციურად) ერთმანეთს და ბრუნვის ნიშნების მრავალფეროვნებაც არ გვხვდება.
4. სვანურში ყველაზე საკამათო ბრუნვის, მოთხრობითის, ნიშნებიდან ჭიკჭაველთა მეტყველებაში დასტურდება -დ და -ემ. გაბატონებულია -დ, ხოლო -ემ იშვიათად გამოვლინდება. „ღერბეთ“ სახელში -ემ-იანი მოთხრობითი შედარებით ხშირად გამოიყენება უფროსი თაობის მეტყველებაში, ახალი თაობა კი ამ სახელში -ემ-იან მოთხრობითს თავს არიდებს.
5. წინადადებაში მსაზღვრელად გამოყენებული ნათესაობითის ფორმა ბრუნვის ნიშნისეულ თანხმოდან -შ-ს კარგავს და მხოლოდ ხმოვანია გამოყენებული

ლიტერატურა

თოფურია, 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბ., 2002.

ონიანი, 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

შანიძე, 1981 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, თხზულებანი, II, 1981.

ჩანტლაძე, 1998 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1998.

NATO SHAVRESHIANI

Peculiarities of Declension in the Speech of Svan Migrants in Kartli

Summary

The speech of Cholurian Svan migrants. aged over 50, was studied. At present their dwelling place is the village of Chivchavi in Tetrtskaro region. Special attention was focused on the declension system. In the speech of Chivchavians the case markers are not versatile, they do not coincide with each other either.

In the speech of Svan migrants the most debatable case of Svan, the Ergative, has two markers - d and -em. The marker -d is more prevalent. The Ergative with em in the noun 'GerbeT' is more typical of the speech of the older generation, the younger generation drops it as a rule.

ენის უარაზენიძე

ტექსტის ლიაობა გრაფიკულ-გრაფიკულ დონეზე

ყოველი სიტყვა იწერება განსაზღვრული ორთოგრაფიული წესის თანახმად. ნებისმიერი გადახვევა კონვენციონალური დაწერილობისაგან ჩვენ მიერ განიხილება როგორც ლიაობა გრაფიკულ-გრაფიკულ დონეზე, რომელიც სრულდება:

1) როცა სიტყვის დაწერილობაში მონაწილეობენ არა მარტო ანბანის ასოები, არამედ სხვა ნიშნებიც.

მაგალითი 1:

100 H2O („Hundertwasser“ ცნობილი ხელოვანის გვარია), Liebh@ber, Prozeß (ფიქსი, პოეტე, იოსი 2001, 194).

2) როცა მაიუსკულები იწერება არა წესების თანახმად, არამედ თვითნებურად:

მაგალითი 2:

besseR+Versicherung [ფოკუსი, 2002 N48, 29] სადაზღვევო კომპანიის R+V სახელწოდების ინტერპრეტაცია, რომლის მეშვეობით ხდება მკითხველის ყურადღების გადატანა რეკლამის ობიექტზე.

მაგალითი 3:

TraumpfadFinder, Sterndeuter, Wegbereiter [შპიგელი, 2001 N8, 185] სარეკლამო ტექსტის სათაურია. ორთოგრაფიული წესების დაცვით დაწერილ არსებით სახელს Traumpfadfinder შეიძლება ჰქონდეს ორგვარი ინტერპრეტაცია: 1) Traum და Pfadfinder „საოცნებო ბოისკაუტი“ ან Traumpfad + Finder „საოცნებო ბილიკის მპოვნელი“. მოცემული ფორმიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, რეკლამაში სწორედ ეს მეორე ვარიანტი იგულისხმება.

მაგალითი 4: (ტექსტი მოყვანილია სრულად):

DAS ZEBRA

als das zebra noch unbefleckt war, traf es am ende der strasse das pferd, das hatte striemen quer über den leib, für die es sich schämte vor den anderen haustieren. Das zebra starrte das pferd an, und da es frei und allein war, nahm es dem pferd die striemen ab und enteilte in die wildnis (რუმი, 143).

სათაური შესრულებულია მაიუსკულებით, ხოლო საკუთრივ ტექსტის კორპუსი მხოლოდ მინუსკულებით, რაც გერმანული ენის ნორმატიული გრამატიკის წესებთან წინააღმდეგობაში მოდის.

3) როცა ერთი სმოვნის ნაცვლად ავტორი თვითნებურად წერს რამდენიმეს, რათა გამოხატოს მოლაპარაკის ემოციური სიმძაფრე.

მაგალითი 5:

„Huuuh, die Flasche! Die Niete! Die Pflaume! Die Pulle...!“ , hört er, und kurz darauf das Geschrei der anderen: “Tooor !” [TIPP 2002 N1, 21].

4) როცა სიტყვას ემატება ზედმეტი სმოვანი:

მაგალითი 6:

Es giebt ein paar große Namen (რილკე, 572).

მაგალითი 7:

In den langen Jahren [...] vollzogen sich viele stille Entwicklungen in Rodin (რილკე, 527).

ხაზგასმული სიტყვების კორექტული ფორმებია „gibt“ და „Entwicklungen“.

5) როცა ირდევს სასვენი ნიშნების გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ დამოკიდებული წინადადება უკავშირდება მეორე წინადადებას (მარცხნიდან ან მარჯვნიდან) მძიმით (კარსი, ჰოისერმანი, 228). ხანდახან მძიმე შეიძლება არ იქნეს დასმული, როგორც მაგალითად, ამ ეგზისტენციალურ წინადადებაში ბრილიანტების რეკლამიდან:

მაგალითი 8:

Ein Stein der zwei für immer verbindet [ფოკუსი, 2002 N46, 143].

არსებით სახელს „Ein Stein“ და დამოკიდებულ წინადადებას „...der zwei für immer verbindet“ შორის არ დგას მძიმე.

ნორმიდან გადახვევად ჩაითვლება აგრეთვე სასვენი ნიშნების ჭარბი გამოყენება:

მაგალითი 9:

Kauf ! Mein! Buch! [Focus 2003 N19, 178].

6) როცა ირღვევა აბზაცის გაფორმების წესი:

მაგალითი 10:

Morgens, im September morgens, wenn ich zum Bahnhof ging, über den Platz mit den taunassen Taxis, die im ersten Schlaf waren, wenn der dünne Nebel über die Grünflächen zog und um die Gebüsch und der alt gewordene Orpheus in schlenkernd weiten Hosen heranschlich, seinen Platz an der Bedürfnisanstalt wieder zu beziehen, Inschriften zu lesen, etwa dazuzuschreiben, hoffnungslos, wenn der Junge auf den Weg zur Schule von der Straßebahn kam, jeden Morgen, beweglich und gespannt, aber schon mir dem Gesicht, den Augen eines Säufers, die kleine Falte an der Nasenwurzel, heiter und über der Stirn gleich den Haarschopf, naß und aufgedreht wie das Krönlein eines Wasserelfs, dann blieb ich immer stehn vor der Bahnhofstür, drehte mich noch einmal um, über den Platz zu sehen, bis dorthin, wo sich die Asphaltstraße anhob auf die Wölbung der Brücke zu und die Kuppelkirche dahinter, ehe ich mit dem Fuß gegen den schwingenden Türflügel stieß und auf den Schalter zueilte. (ბობროვსკი, 233).

ნაწარმოები იწყება ტექსტის ამ მონაკვეთით. იგი შედგება ერთი წინადადებისაგან, რომელიც იყოფა სამ აბზაცად. გარდა ამისა არცერთი აბზაცის დასაწყისში შეწვევა არ არის.

7) როცა ენობრივ ნიშანთა ნაცვლად გამოიყენება ისეთი ვიზუალური საშუალებები, როგორცაა სურათები. ისინი იპყრობენ მკითხველის ყურადღებას და იწვევენ მის დაინტერესებას. სურათი შეიძლება გახდეს რეალური სინამდვილის უფრო რაციონალური შემცვლელი, ვიდრე ენობრივი ნიშნები. სურათები იოლად ასახავენ იმას, რასაც ხშირ შემთხვევაში ვრცელი აღწერა სჭირდება. „სიტყვები სურათებთან ერთად ხანდახან წარმოადგენენ ერთი სინტაგმის ფრაგმენტებს. შეფარდება ტექსტსა და სურათს შორის კომპლემენტარულია, როდესაც ტექსტში არსებული ხარვეზები გადაილახება სურათ-

თის მეშვეობით ან არსებული სურათი კომენტარის გარეშე არაფრის მთქმელია“ (ნოტი, 493).

მაგალითი 11:

ჟურნალ „ფოკუსის“ ერთ-ერთ რეკლამაში [ფოკუსი, 2003 N18, 165]. სიტყვაში **Abo** (აბონემენტი) ლათინური **O** ასო გლობუსის სურათითაა შეცვლილი. ამ ფაქტს აქვს სიმბოლური დატვირთვა: ჟურნალ „Focus“-ს ჰყავს აბონენტები არა მარტო გერმანიაში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

ის, რომ ჩვენ მიერ განხილული მაგალითები ძირითადად სარეკლამო ენის სფეროს განეკუთვნებიან, შემთხვევითი არ არის. ზემოხსენებული სიტყვების „გადახალისება“ მიზნად ისახავს, მოახდინოს მკითხველზე გარკვეული ზეგავლენა და გამოიწვიოს მისი დაინტერესება რეკლამირებული პროდუქციით.

მაშასადამე, ტექსტის ლიაობა გრაფემულ-გრაფიკულ დონეზე სრულდება:

- 1) როცა სიტყვის დაწერილობაში მონაწილეობენ არა მარტო ანბანის ასოები, არამედ სხვა ნიშნებიც;
- 2) როცა მაიუსკულები იწერება არა წესების თანახმად, არამედ თვითნებურად;
- 3) როცა ერთი ხმოვნის ნაცვლად ავტორი თვითნებურად წერს რამდენიმეს, რათა გამოხატოს მოლაპარაკის ემოციური სიმძაფრე;
- 4) როცა სიტყვას ემატება ზედმეტი ხმოვანი;
- 5) როცა ირღვევა სასვენი ნიშნების გამოყენების წესი;
- 6) როცა ირღვევა აბზაცის გაფორმების წესი;
- 7) როცა ენობრივ ნიშანთა ნაცვლად გამოიყენება ისეთი ვიზუალური საშუალებები, როგორცაა სურათები.

ლიტერატურა

ბობროვსკი, 1084 — — Bobrowsky J. Es war eigentlich aus. In: Der Geschichtskalender 1985. Hrsg. von G. Bradatsch und J. Schmidt. Greifenverlag zu Rudolstadt.

ნოტი, 2000 — Noth W. Der Zusammenhang von Text und Bild. In: Handbücher zur Sprach- und Kommunikationswissenschaft. Hrsg. von A.

Burkhardt / H. Steger / H.-E. Wiegand. Walter de Gruyter. Berlin / New York. Bd. 16.1.

რილკე, 1978 — Rilke R. M. August Rodin, 3.Bd. Insel Verlag. Berlin.

რუმი, 1999 — Rühm G. Zebra. In: Aufschluss. Hrsg. von D. Krusche. 6. Auflage. Inter Ntiones.

ფიქსი, პოეთე, იოსი, 2001 — Fix U. / PoetheH. / Yos G. Unter Mitarb. von Ruth Geier. Textlinguistik und Stilistik. Lang. Frakfurt am Main / Berlin / Bern / Bruxelles / New York / Oxford / Wien.

შეიგელი, Der Spiegel 2001 N8

ფოკუსი, Focus 2002 N46

ფოკუსი, Focus 2002 N48

ფოკუსი, Focus 2003 18

ფოკუსი, Focus 2003 N19

ტიპი, TIPP 2002 N1

NINO SHARASHENIDZE

Text Openness on a Graphemic-Graphical Level

Summary

The paper focuses on the openness of a text. The phenomenon in question implies any kind of deviation from conventional rules viz.: usage of visual means like pictures instead of linguistic units, violation of the graphic form of a paragraph, addition of extra vowels to words, deviations from the rules of majuscule writing.

დარეკიანი ჩუბანიშვილი

ფერეიდნული კილოს შესწავლის ამჟამინდელი მდგომარეობა

ფერეიდანი და მისი ქართველობა დიდი ხანია იქცევა ქართული საზოგადოების ყურადღებას. როგორც ცნობილია, თითქმის ოთხი საუკუნეა, რაც ბედუკულმართობამ ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ირანში გადაისროლა, როგორც ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, მე-17 საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასმა ცეცხლითა და მახვილით გადაუარა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობას, ქართლის, კახეთისა და დღევანდელი საინგილოს ტერიტორიიდან 130000-ზე მეტი ადამიანი აყარა და ირანის გზას გაუყენა. ტყვეები ირანის სხვადასხვა კუთხეში ჩაასახლეს. ასეთად ასახელებენ ხორასნის, მაზანდარანის, ირანის აზერბაიჯანის, ქურთისტანის, ლურისტანის და სხვა ტერიტორიებს.

დღესაც გაისმის ქართული თეირანში, ისაპაჰანსა და ნაჯაფაბადში..., მაგრამ ქართველებით ყველაზე კომპაქტურად დასახლებული მხარეა ფერეიდანი, სადაც ამჟამად 45000-50000-მდე ქართულად მოლაპარაკე ადამიანი სახლობს. ეს მხარე წარმოდგენილია ორი ადმინისტრაციული ერთეულით: ფერეიდუნშაჰრის რაიონი (მარტყოფი) და დარან-მიანდაშთის რაიონი.

ფერეიდნის მაღალმთიან ადგილებში, ვიწრო ხეობებში მეომარ ქართველთა ჩასახლებით ირანის ხელისუფალნი მიზნად ისახავდნენ ქვეყანა დაეცვათ მომთაბარე ტომების თავდასხმისაგან და ეკონომიკურად გაეძლიერებინათ ეს მხარე. ფერეიდნელთა მეხსიერებას შემორჩა არაერთი ეპიზოდი სისხლისმღვრელი შეტაკებებისა და გმირული ბრძოლებისა. მეორე მხრივ, სწორედ ამ ბუნებრივმა პირობებმა, ერთგვარმა იზოლაციამ გარესამყაროსაგან ხელი შეუწყო ამ რეგიონში ქართული ენის, ქართული ცნობიერების შენარჩუნებას.

ფერეიდნელი ქართველები აღმოჩნდნენ სრულ იზოლაციაში მშობლიური გარემოდან. ისტორიამ არ შემოგვინახა არცერთი ფაქტი

ფერეიდნელთა რაიმე კონტაქტისა ქართულ სამყაროსთან, თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში.

პირველად საქართველოდან ფერეიდანს ესტუმრა ლადო აღნიაშვილი, რომელსაც ქართველი საზოგადოება იცნობს როგორც პედაგოგსა და ლოტბარს, პირველი ქართული გუნდის დამაარსებელს. არ შეიძლება მას არ დაფუფასოთ ის ღვაწლი, რომელიც მან დასდო თანამემამულეებს ფერეიდნელთა შესახებ ცნობების მიწოდებით. მან თავის მამულიშვილურ ვალად ჩათვალა ირანში გადასახლებულ ქართველთა მონახულება და მშობლიური ხმის მიწვდენა საკუთარ ნიადაგს მოწყვეტილი ქართველებისათვის. ეს იყო 1894 წელი. ლადო აღნიაშვილმა ბნელი და ფათერაკებით აღსავსე გზა განვლო, ირანში ერთი წელი დაჰყო, დიდი გაჭირვებით მიაღწია ფერეიდანს, მოიარა ქართული სოფლები და საინტერესო ცნობები ჩამოიტანა ფერეიდნელთა ყოფისა და მათი ქართული მეტყველების შესახებ. მაგალითად, ლადო აღნიაშვილს შეუნიშნავს: ჯ-ბგერა, რომელსაც დღესაც ხმარობენ მთის კილოებსა და ქიზიყურში (ველი, ჯორჯი...), -ჩი თანდებული (სახლჩი...), ყე ნაწილაკი (უთხრაყე...), **წავიდის, მივიდის...** ფორმები; მან ყურადღება მიაქცია „ძველ ქართულ სიტყვებს“ — **უბნობს, საბელი...** დიალექტურ ფორმებს: **ცხორი, თოლი, ღურბელი, ბლენა...** აგრეთვე, ფერეიდნელისათვის დამახასიათებელ ლექსემებს: ბუზუკი — „ბუზი“, „ბაყბაყი, ბაბაყუა — „ბაყაყი“, ფხაჭი-ფხუჭი — „ხერხი“, თაჟშტერა — „ციბრუტი“. მისი დასკვნით, ფერეიდნელების ლაპარაკი უახლოვდება კახურს, მისი ძველებური გამოთქმით, რომელიც დღეს უკეთ არის დაცული ქიზიყურში და „ნამეტნავ ფშავ-ხევსურეთში“ (აღნიაშვილი, 1896, 210-212). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანვე შეადგინა პირველი რუკა ფერეიდნის ქართული სოფლებისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ლადო აღნიაშვილმა პირველმა შეაფასა და დააფასა ფერეიდნელ ქართველთა შინაგანი სამყარო. მისი სიტყვებია: „... აქ დაუცავთ დღევანდლამდე ენა მამაპაპათა, ტიბი და სიძლიერე სულისა; აქ დღემდე ქართველი არ იგიწყებს, რომ ქართველია; ამბობს ამას შინ და გარეთ, მტერთანა და მოყვარესთან, ძლიერთანა და უძლურთან, ამბობს უშიშრად, მოურიდებლად, ამბობს და თავიც მოსწონს ამ თქმით...“

პატარა „სამაჰმადიანო საქართველოს“ შესახებ დიდი სიყვარულითა და აღფრთოვანებით აცნობა საზოგადოებას პავლე ლორთქიფანიძემ, ირანში ქართული ესკადრონის მეთაურმა, რომელიც

მოხვდა ფერეიდანში თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში (1916წ.).

უფრო მოგვიანოდ (1927წ.) ფერეიდანს სწვევია **ამბაკო ჭელიძე** თავისი მეუღლითურთ. მან რამდენიმე წელი დაჰყო ირანში, როგორც ახლად დარსებული საბჭოთა ბანკის მუშაკმა. თავისი შთაბეჭდილებები მან გაგვაცნო ნაშრომში „ფერეიდნელი ქართველები“ (1935წ.).

1944 წელს ირაკლი კანდელაკმა მოინახულა ქართული სოფლები და შეძლო დოკუმენტური ფილმის გადაღებაც. სამოციანი წლების ბოლოს გურამ პატარაია ესტუმრა ამ მხარეს და შექმნა დოკუმენტური ფილმი. საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა „ფერეიდნელი გურჯების“ შესახებ ზურაბ შარაშენიძემ, რომელიც 1965 და 1967 წლებში იმყოფებოდა ირანში და პირადად იცნობდა ბევრ ირანელ ქართველს. მის მონოგრაფიებში (ახალი მასალა ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბ., 1969 წ.; ფერეიდნელი გურჯები, თბ., 1979 წ.) ყველაზე სრულადაა თავმოყრილი მათ შესახებ არსებული ისტორიული წყაროების მონაცემები, უცხოელ და ქართველ მოგზაურთა შთაბეჭდილებები, ამავე დროს, ავტორის პირადი დაკვირვებანი. 1965 წელს თეირანში სამრეწველო-სავაჭრო გამოფენაზე მიავლინეს ირანისტი ნოდარ კოჭლაშვილიც, რომელმაც მრავალ ფერეიდნელ გურჯს ასწავლა ქართული ანბანი და მას შემდეგ დღემდე აქვეყნებს პრესაში სხვადასხვა ხასიათის წერილებს ფერეიდნელებთან დაკავშირებით.

1963 წელს გამოქვეყნდა გ. ჭიპაშვილის ნაშრომი „ფერეიდნელი ქართველები“, ხოლო 1990 წელს — მისი „ირანის ქართული მოსახლეობა“. 1987 წელს დაისტამბა გ. გოცირიძის გამოკვლევა „ქორწინება ფერეიდნელ ქართველთა ოჯახებში“. რეპატრიირებულ ფერეიდნელთა ადაპტაციის ეთნოგრაფიული და სოციალური ასპექტები შესწავლილია თ. ცაგარეიშვილის ნაშრომში „ფერეიდნელები საქართველოში“ (1981წ.).

ფერეიდნელ ქართველთაგან პირველი იოთამა ონიკაშვილი იყო, რომელიც მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ეწვია საქართველოს, ხოლო საუკუნის მიწურულს — ყოლამ-რეზა ონიკაშვილი და ყოლამ-ჰოსეინ ონიკაშვილი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სეიფოლა-ხან იოსელიანის — ფერეიდნელთა თავკაცის ჩამოსვლას თბილისში (1922-1923

წწ.), რადგან ფერეიდნული მეტყველების ნიმუშების პირველი პუბლიკაციები სწორედ მასთან არის დაკავშირებული (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ა. შანიძე).

ფერეიდნული კილო უნიკალურია სხვა ქართულ კილოებს შორის, რამდენადაც იგი მოწყვეტილია მშობლიურ გარემოს, მონათესავე კილოებსა და სალიტერატურო ენას და მაინც განაგრძობს არსებობას ოთხი საუკუნის განმავლობაში. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა: „იგი არის შედეგი ცოცხალ თქმაზე მოხდენილი ექსპერიმენტისა: საშუალება გვეძლევა მის მიხედვით გავივალისწინოთ, თუ რა სახეს მიიღებს ქართული მეტყველება უცხო ენობრივ წრეში მოქცეული, როგორ გაიშლება მისი იმანენტური ყოფის ტენდენციები და როგორ იმოქმედებს მასზე უცხო ენობრივი გარემო“ (არნ. ჩიქობავა, „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“).

ლინგვისტური კვლევა გარდა დიალექტზე უშუალო დაკვირვებისა, უპირველეს ყოვლისა, სანდოდ ჩაწერილ მასალას ემყარება. ამდენად ფერეიდნული მეტყველების ნიმუშების ფიქსირება თავიდანვე ძირითად ამოცანად იყო დასახული ქართულ მეცნიერებაში. დღემდე არსებული ფერეიდნული ტექსტები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირის მიერ არის ჩაწერილი, ამდენად განსხვავებულ ქრონოლოგიურ ჭრილში წარმოადგენს ფერეიდნული მეტყველების თავისებურებებს.

მათგან ყველაზე ადრინდელია არნ. ჩიქობავას მიერ გამოქვეყნებული მასალა (1927 წ.), რომელიც ჩაწერილია 1922-1923 წლებში სეიფოლა იოსელიანისგან. მისი ანალიზის საფუძველზე მკვლევარმა გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი (იხ. ბიბლ.), რომლებშიც წარმოდგენილია ფერეიდნულის ძირითადი თავისებურებები: ბგერითი შედგენილობა და ბგერათცვლილებები, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები, ლექსიკაში შენიშნული საინტერესო ერთეულები (ასეთია ვინის რეფლექსები, **ყე** ნაწილაკი და თანდებული, ზმნისწინთა სახეობები, არქაული მოვლენები და ნეოლოგიზმები, სპარსული ნაესხობანი და ცვლილებები არტიკულაციაში...). ხშირ შემთხვევაში შენიშნული მოვლენები შედარებულია სხვა ქართული კილოებისა და ქართველურ ენათა მონაცემებთან.

ავტორის დასკვნით, „სხვა კილოთაგან ქიზიყური, გარე (და შიგნი) კახური და მასთან კავშირში მყოფი მთიულური ყველაზე ახლო დგანან ფერეიდნულთან. ... ფერეიდნული ხომ კახურ-ქიზიყურ-ინგილოურის „ნაგლეჯია, ოღონდ უცნაური ბედის მქონე. ... შემონახული

არქაიზმების მიხედვით (პერმანსივის არსებობა, ნამყო უსრულსა და სრულში — **ეს** დაბოლოება, ვნებითის აწმყოში — **ის**, **ჯ** ბგერა და სხვა) შეიძლება ფერეიდნული მთის კილოებთან (თუ შური, ხეც-სურული, მოჭევეური) დაგვეახლოებინა“ (ჩიქობავა, 1927, 221).

ხუთი ათეული წლის შემდეგ (1975 წ.) გამოქვეყნდა მ. თოდუას და მ. მაჭავარიანის ფერეიდნული ტექსტები, რომლებიც ჩაიწერა მ. თოდუამ **ქერე** ღუნშაპრსა (1969 წ.) და თეირანში (1972-1973 წწ.) ტექსტებს ერთვის შენიშვნები და ლექსიკონი. საინტერესოა, რომ ამ შენიშვნებში ყურადღება მიექცა III პირის ნაცვალსახელსა (ანსი „ისინი“) და მის დეიქტურ ხმოვნით ელემენტებს (ა, ე, ი), მათს გადააზრებას სპარსული ენის გავლენით. კერძოდ, **ა** ხმოვანი ქართულისთვის უჩვეულო ფუნქციით დაიტვირთა — მოლაპარაკე პირისაგან შორს მყოფ საგანზე მიუთითებს (ანქ „იქ“, ანსი — „ისი“). ეს დაკვირვება სხვა საკითხებთან ერთად უფრო დაწვრილებითაა განხილული მ. მაჭავარიანის სტატიაში (მაჭავარიანი, 1985). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტექსტები ჩაწერილია სხვადასხვა პირისაგან და ძირითადად ასახავს ზემო მარტყოფის მეტყველების თავისებურებებს.

ფერეიდნული კილოს ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურის ზოგიერთ საკითხს მიუძღვნეს წერილები ირანისტებმა თ. ჩხეიძემ და თ. ცაგარეიშვილმა (ჩხეიძე, 1978; ცაგარეიშვილი, 1981).

უკეთესი პირობები შეიქმნა ფერეიდნულის შესწავლისათვის ფერეიდნულთა მცირე ნაწილის რეპატრიაციის შემდეგ საქართველოში (1972 წ.).

1973 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან შეიქმნა კომპლექსური ექსპედიცია, რომელმაც მიზნად დაისახა ფერეიდნულ ქართველთა შესწავლა ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. ქართველოლოგების თ. უთურგაიძისა, დ. ჩხუბიანიშვილის და ირანისტ ჯ. გიუნაშვილის მუშაობა ჩამოსახლებულ ფერეიდნულთა სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა. კახეთის რამდენიმე სოფელში ჩაწერილი ტექსტები (1974-1976 წწ.) გამოქვეყნდა ორ მონაკვეთად ლექსიკონებითურთ (იკე, XXI და იკე, XXIII, იხ. ბიბლ.). ყურადღება მიექცა ფერეიდნულთა ენობრივი ადაპტაციის პროცესს. ქართულ გარემოში ცხოვრებამ სწრაფად დააჩნია კვალი მათს მეტყველებას. ხელმეორედ ვიწერდით უკვე ჩაწერილ ტექსტებსაც და ახალ ეპიზოდებსაც, რომ დაკვირვებოლით ენობრივი სისტემის რა სფეროში და როგორ მიმდინარეობდა

თანამედროვე ქართული ენის (კახურისა და სალიტერატურო ენის) მოვლენათა დამკვიდრება მათს ყოველდღიურ სიტყვახმარებაში.

ფერეიდანში მოგზაურობა და ადგილზე იქაურ მეტყველებაზე დაკვირვება მხოლოდ 1998 წლის აგვისტოში მოხერხდა. ამგვარი ექსპედიციის ჩატარება შესაძლებელი გახდა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის ელჩის ჯემშიდ გიუნაშვილის დიდი მონდომებისა და მცდელობის შედეგად. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველ ენათმეცნიერებს (თ. უთურგაიძეს და დ. ჩხუბიანიშვილს) საშუალება მიეცათ ფერეიდნულ მეტყველებას ადგილზე დაჰკვირვებოდნენ.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადრე ჩაწერილი ტექსტები და გამოკვლევები ასახავდნენ ძირითადად ერთი სოფლის — ზემო მარტყოფის მეტყველების თავისებურებებს, ნათელი გახდება, რომ ახლად ჩაწერილი მასალა უაღრესად საინტერესოა და მოიცავს ქართველებით დასახლებული თორმეტივე სოფლის მეტყველების ნიმუშებს. ეს სოფლებია: მარტყოფი, სიბაქი ანუ ვაშლოვანი, ჯაყყაყი, ჩულრუთი (ჩულურეთი), შაპრაქი, ხუნგი, ხო განი, დაშქესანა, ბოინი, ახჩა, თორელი ანუ თელვი, აფუსი ანუ რუისპირი. სულ 100-მდე სხვადასხვა ხანგრძლივობის ფირია ჩაწერილი. ეს მასალა ყველაზე სრულია და მრავალფეროვანი, ჩაწერილია ადგილზე, ჩვეულ გარემოში, ამდენად ყველაზე მეტი სიზუსტითა და სიღრმით ასახავს დღეს ფერეიდნულისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

დაწყებულია მოპოვებული მასალის გადატანა ქალაქში, გზა-დაგზა დგება ლექსიკონიც. ტექსტების ერთი მონაკვეთი ლექსიკონითურთ გამოქვეყნებულია (უთურგაიძე, ჩხუბიანიშვილი, გიუნაშვილი, 2000). დღეს მიმდინარეობს მუშაობა ირანში ჩაწერილი ფერეიდნული ტექსტების ელექტრონული ვერსიის შესაქმნელად. უკვე შეტანილია კომპიუტერში 40-მდე მაგნიტოფონის ფირი. პარალელურად მიმდინარეობს კომპიუტერში შეტანილი ხმოვანი ფირებიდან ტექსტების აკრეფა სოფლებისა და მთქმელების მითითებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში მასალას ვაცვებდი თბილისში სტუმრად ჩამოსული ფერეიდნელების დახმარებით.

ფერეიდანში მოპოვებული მასალის საფუძველზე დამუშავდა რამდენიმე საკითხი და წაკითხულია მოხსენებებად ენათმეცნიერების ინსტიტუტის, რესპუბლიკის დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიებზე. ძირითადად დებულებები დაბეჭდილია თეზისების, მასალებისა

და სტატიების სახით. ქვემოთ შევხებით რამდენიმე საკითხს:

სხვადასხვა ქართულენოვანი სოფლის მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადი გახადა, რომ ფერეიდნული არ არის ერთგვაროვანი მისი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე. რიგი თავისებურებების საფუძველზე გამოიყოფა ზემო და ქვემო ფერეიდნული, რომელიც შეესაბამება ამ რეგიონის გეოგრაფიულ მდებარეობას და ადმინისტრაციულ დაყოფას, ზემო მარტყოფისა (ქერე ღუნშაპრის) და მის ზემოთ ხეობაში განლაგებული სოფლების (სიბაქი, ჯაყყაყი, ჩულურეთი) მეტყველებას **ზემო ფერეიდნული** ვუწოდოთ, ხოლო ქვემოთ, ისპაჰანისკენ მიმავალ გზაზე მდებარე სოფლების (დაშქესანა, ბოინი, ახჩა, თორელი, ხო განი) მეტყველებას — **ქვემო ფერეიდნული**.

ამ განსხვავებას კარგად გრძნობენ თვით ფერეიდნელებიც. მარტყოფელი მუხტარ დარჩიანიშვილი ამბობს: „ჩონ და ბოინელთ და ახჩაველთ ბევრ შაცვლილი გოქ სიტყოები... ერთ თა გოქ შუაჩი და რო და წყოფ სოვბარს, ეტყობის, რო ეს ბოინელია, ეს ახჩაველი და ეს მარტყოფელი, როგორც რო ვაშლი, ჭერემი და კიტრი“.

სხვაობა შეინიშნება ლექსიკაშიც და მორფოლოგია-სინტაქსის სეფროებშიც. კერძოდ:

ა) სინონიმურ წყვილთაგან ერთი მარტყოფშია დამკვიდრებული, მეორე — დაშქესანაში: **მარტ.**: თორნე, ბუდე, ყათული, ყრალი... **დაშქ.** თონდე, ბურდა, ყათული, გონჯი, ზოგჯერ დაშქესანაში სიტყვის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია: **მარტ.** ზოვი, კირტი, ქვევრი, ღელე..., **დაშქ.** ზუა, კურტი, „მეჭეჭი“, ქვევროვი, ღელო...

ბ) S-ის მრ. რიცხვის III პირის — **ეს** სუფიქსი ძველი ქართულის მსგავსად ყველა ტიპის ზმნას ერთვის ნამყო უსრულსა და სრულში (ისინი წავიდეს, დალაგდეს, ჭამდეს...), ქვ. ფერეიდნულში კი ქართული ენის დასავლური კილოებისთვის დამახასიათებელი — **ენ** სუფიქსი დასტურდება (ბოინელნი მოკლენ, ტალახი გააკეთენ...).

გ) დღეს ქიზიყურში გვხვდება **ყვე** ზმნური ფუძის **ყვე** სახეობა (მიყვეცი...), ქვ. ფ-ში — **ეც** სუფიქსი ანალოგიით სხვა ზმნებთანაც იხმარება (ჭამეცი, დალივეცი...), მარტყოფში მსგავსი წარმოება არ შეინიშნება.

დ) აშკარა სხვაობაა მაქვემდებარებელი კავშირების გამოყენების თვალსაზრისით. ზემო ფ-ის **რო** კავშირს ქვემო ფ-ში ნასესხები **ქე, ქი** კავშირები ცვლის.

ე) თვალში საცემია ნასესხობათა დიდი რაოდენობა ქვ. ფ-ში

(ზმნის ანალიზური ფორმები, კალკირებული ფრაზები...).

ვ) აშკარად გამოიკვეთება ქვ. ფ-ში — **აგ** — ზმნური სუფიქსის გაბატონების ტენდენცია (გააკეთავენ, დაალაგებენ, მააქტუავენ...) და სხვა (იხ. დ. ჩხუბიანიშვილი, ბიბლ.).

გამოქვეყნდა უცხოურ ჟურნალებში თ. უთურგაიძის ორი სტატია, სადაც მსჯელობაა ფერეიდნულ მეტყველებაზე კახურთან მიმართებით. ოთხასწლიანი ინოვაციებისა და სპარსულ ენასთან ურთიერთობის გათვალისწინებით ცალ-ცალკეა განხილული ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლები და ლექსიკა. ამ წერილში შეჯამებულია დ. ჩხუბიანიშვილთან და ჯ. გიუნაშვილთან ერთად წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგები. განსაზღვრულია ფერეიდნულის ადგილი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის (კახურის, ქართლურისა და ინგილოურის) დიალექტთა შორის (უთურგაიძე, ჩხუბიანიშვილი, გიუნაშვილი „დიალექტის ცვლილები-სათვის ისტორიულ ასპექტში“).

ფერეიდანში, როგორც ირანის მთელ ტერიტორიაზე ოფიციალური ენა სპარსულია, ეს არის რელიგიის, რადიოს, ტელევიზიის, განათლების, ეკონომიკური ურთიერთობების ვაჭრობის ენა, მაგრამ ქართული ჯერ კიდევ ფუნქციონირებს როგორც ოჯახის, ფერეიდნულ ქართველთა შინაური ურთიერთობის ენა. ფერეიდნელებს უყვართ თავისი ენა, განიცდიან, რომ მათ, ენას „ბეური ქარსი შა რევია“.

„...ჩონ ბარსულად არ ვამბობთა. ძრიალ საყორველია ჩონ ენა ჩონთი, ძრიალ საყორველია“, — მარწმუნებდა მარტყოფელი მოხუცი ქალი გულჩერა ხუციანი და ამაცობდა იმით, რომ მისმა შვილებმა ქართული იციან: „პირველა ყორმაც (ქალიშვილმაც) და ბიჭებმაც, თეირანს რომ არიან, სუ ჩონებურათ ამობენ, სუ ჩონ ქართულათ ამობენ“. მიუხედავად ამისა, საუბარში სპარსულ სიტყვებს ურევდა. ფერეიდნელები ბილინგვები არიან. მათი უმრავლესობა, განსაკუთრებით მამაკაცები და ახალგაზრდობა კარგად ფლობს ქართულსაც და სპარსულსაც. ერთი კოდიდან მეორეზე გადასვლა ავტომატურად ხდება. დროს თავისი მოაქვს. ცხადია, ქართული ენა თანდათან კარგავს თავის ფუნქციას და მათი დიდი ძალისხმევაც საჭირო, რომ მშობლიური ენა არ დაკარგონ.

— „პკანჭურებენ ენასაო, მაგრად ინახავენო“. — კანჭურებენ რა არის-მეთქი, ვკითხე, — „ა, ყმაწილს რო ვირზე შავსვამყე, ვეტყითყე, რო მაგრათ ჩაპკანჭურ (ჩაებლაუჭე), რო არ გადმოვარ-

დეთ“. ასე ებლაუჭებიან ფერეიდნელები თავის ენას, მათ ამ საქმეში უდავოდ დაეხმარება კონტაქტები ისტორიულ სამშობლოსთან, რაც დღითი დღე უფრო ინტენსიური ხდება.

ფერეიდნული მეტყველების ნიმუში

ღმერთო, იგრე არ მომკლა — თავი მოვნახო,
საქართველოს თა და გორა დავინახო.
ღამით მეძინა და სიზმარში ვიყავ,
ჩიტსავით მეცა ჩემ ბუდეჩი ვიყავ.
როგორ მინდა წაიდე საქართველოჩი,
ფევი დავადგა ჩემ დედას მიწაჩი.
მინდა ვიყო ელ ამ დედას მიწაზე,
ესევი დასწერე ჩემ სამარზე.
მეჯავრების, რო უჭრეტავ ემასა,
ქართველები კარგვენ დედას ენასა.

მთქმელი რეზა ხუციანი (ხუციშვილი) 64 წლისა

* * *

ქათალიშაჰს ერთ ქართველი შაერი ჰყუანდა. შეერს ამბობდეს ქართველი დარბარჩი და ქათალიშაჰ თითონაც შეერს ამბობდა. ერ დღეს ნამა გეესინჯა და ერთ შეერი დეეწერა და მო და ეს ქართველი მა თხოვა დარბარჩი და უჩინა, რო შენ რო ნამა კარგი შაერი ხარო — ემ ქართველს უთხარა — ეს შეერი, რო მე დამიწერია, როგორ აო.

შაერმა, ემ ქართველმა და ხედა, ჩამა კითხა და თქო, რო: — არაფერი ნამა არ არიო, ეს ყრალ რამეერიო, ეს გარდაავდეო.

ემას ძრიალ ყრალა მოოვდა. თქო: შაავდეთ ეს ზენდანჩიო. და იმაშინაც თავით ზენდანი თავლა დ ესევი იყო. — გაავდეთ ანქაო.

შაავდეს ერთ მოდდათი და ეს ზენდანჩი იყო და ერთ მოდდათის უკან უჭიქრა ემ ემემა, უჭიქრა ქათალიშამ და ერთ ნამა შეერი თავის ემეზე დაჰწერა. დაჰწერა და თქო, რო: — ანს ქართველ შაერიო რო კარგი შაერია, გამა ყვათ აბ' ეხლა რას იტყისო, ეს ძრიალ ნამა შეერი დამიწერიაო.

გამე ყუანეს და მისცა, გა კითხა და თქო: — როგორ არიო, რას ამბოფო, ესლა კარგი შეერიო?

ამან ასლან არ გააკირვა, ჰიჩ არ გააკირვა, არ გააკირვა და თავი და ხარა და წა და.

თქო, რო: — ჰო , მა სად მიხოლო, მო აბ' ექა რას ამბოფო?

თქო, რო: — მივალ ზენდანჩიო.

თქო, რო: — ახი რაათიო?

თქო, რო: — ესლა ძრიალ ყრალიაო, რადა ქთქოვო.

მთქმელი მაჰმადა სეფიანი (სეფიაშვილი) 65 წლისა

ზოგი სიტყვის განმარტება

ქათალიშაჰი — ყაჯართა დინასტიის წარმოდგენელი, ტახტზე ავიდა ალა მაჰმადხანის შემდეგ, მეფობდა 1797-1834 წწ.

ანს — ის

ანქ — იქ

ახი — ბოლოსდაბოლოს

დარბარი — მეფის კარი

ზენდანი — საპყრობილე

მოდდათი — დრო, ხანი

ნამა — კარგი

ყრალი — ცუდი

შეერი — ლექსი

შაერი — მელექსე, პოეტი.

DAREJAN CHKHUBIANISHVILI

On the Present Stage in the Studies of the Fereidianian Dialect of Georgian

Summary

The paper surveys the history of studying Fereidianian. The works of the authors who contributed to the research of the dialect it question are discussed. Special emphasis is placed on the result of the 1998 field work during which 12 texts in the Fereidianian dialect were recorded. As a result of the investigation of the given texts Upper and Lower Fereidianian have been singled out.

ყვითელი ფერის სემანტიკური ველი მებრულში

ყვითელ ფერს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შინა-არსობრივი დატვირთვა. მას ალქიმიკოსები მზის ფერად მიიჩნევდნენ, რადგანაც ოქრო „გაქვავებულ“ მზის სხივად წარმოედგინათ.

ძველ საბერძნეთში ყვითელი აპოლონის ფერად ითვლებოდა, ზოგჯერ ზევსის ღვთიურ ფერადაც აღიქმებოდა, ხოლო ჩინეთში საიმპერატორო ფერს წარმოადგენდა.

ქართული სასულიერო მწერლობა მდიდარია ყვითელი ფერის სახისმეტყველებით, რაც, ხშირ შემთხვევაში, ჩანაცვლებულა ოქროს ფერთან, ოქროს ფერადოვნება კი, თავის მხრივ, უკავშირდება სინათლის სიმბოლიკასაც (ელაშვილი, 1998, 131).

მეგრულში ყვითელი ფერის გამომხატველად გვაქვს ყვინთელი (ზუგდ.-სამურზ.) || ყვინთელი (სენაკ. მარტვ.), ჭანურში ნასესხები ფუძეა — „სარი“, სვანურში კი **ყუითელ** (გოგებაშვილი, 1999, 72).

ყვითელი ფერის სინონიმებია: **დღებერია** || **დღვებერია** || **დღვიბალი** — „ავადმყოფურად ყვითელი (და მსუქანი); (შდრ.: „დღვება“, გურ. „დღვლება“); **რტყიბალი** || **რტყ'ვ'ებელია** — „ნაავადმყოფარი ყვითელი“ (შდრ.: იმერ. „ტყვებერა“); **ყვიშალი** || **ყვეყერია** — 1. ავადმყოფობისაგან „გახუნებული“, გაცრეცილი ფერის სახისა“; 2. გახუნებულ ყვითელი ფერის ქსოვილზეც იტყვიან“); **ღვიშალი** || **ღვეყერია** — „ნაავადმყოფარი, უშნო ყვითელი ფერი“ (შდრ.: სვან. **ყუითე** — „ღვიძლი“).

ყვითელი ფერის სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდება შემდეგი კომპოზიტები: **ბია-შ-ფერი**³³ — „კომპისფერი (შდრ.: გურ., იმერ **ბია**), **მ'ბარუ-შ-ფერი** — „მბერავისფერი (მ'ბარუ — ყვითელი ფერის მატლი“), **დამორჩი-ლი-შ-ფურცელ-ი-შ-ფერი-ი** — შემოდგომის ფოთ-

³³ წარმოდგენილ კომპოზიტებში, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება მეგრული სათავის დამახასიათებელი ემფატიკური -'ი'- სმოვანი. მაგ.: ბია-შ-'ი'-ფერი-ი — „კომპისფერი“ და ა. შ. თეორიულად კი ყველა ფორმაში ივლისსხმება.

ლის („ფურცლის“) ფერი“, **თოფურ-იშ-ფერი-ი** — „თაფლისფერი“, **თითმერ-იშ-ფერი-ი** — „თუთისფერი“, **იბლ-იშ-პირ-იშ-ფერი-ი** — იელის ყვავილისფერი“, **კაჟ-იშ-ფერი-ი** „კაჟისფერი“, **კარინჩი-ფერი-ი** (რუს.) — „ყავისფერი“, **კარტოფილ-იშ-ი-ფერი-ი** — „კარტოფილისფერი“, **კვერცხი-შგურ-იშ-ფერი-ი** — „კვერცხის გულის ფერი“, **კობეშია-შგურ-იშ-ფერი-ი** — „კვანის გულისფერი“, **ლაქ-იშ-ფერი-ი** — „ლაქისფერი“, **ნიკელ-იშ-ფერი-ი** — „ნიკელისფერი“, **ობედ-იშ-ფერი-ი** — „აბედისფერი“, **წიჯილო-შ-ფერი-ი** — „ლომისფერი“, **ოქრო-შ-ფერი-ი** || **ოქრო-შ-ფერი-ი** „ოქროსფერი“, **რანგ-იშ-ფერი-ი** — „თაფლუჭის ფერი“ (**რანგ-ი** — თაფლის წყალსხსნარი), **რტყაბ-იშ-ფერი-ი** — „ტყლაპისფერი“, **რხინა-შ-ფერი-ი** — „ქინაქინისფერი“ (ღია ყვითელ ფერზე ითქმის), **სარანჯ-იშ-ფერი-ი** — „სარაჯისფერი“, **სემიჩქაშეთ-იშ-ფერი-ი** — „მწესუმზირას ზეთისფერი“, **სტაშ-ფილო-შ-ფერი-ი** — „სტაფილოსფერი“, **უფ-იშ-ფერი-ი** — „ოფლისფერი“, **ფურჩა-შ-ფერი-ი** — „ფურჩის ფერი“, **ქამენია-შ-ფერი-ი** — „გვირილას ფერი“ (შდრ. გურ. „ქამენია“), **ქვილით-იშ-ფერი-ი** — „ქვირითის ფერი“, **ქორთული ზაფანა-შ-ფერი-ი** — „ქართული ზაფანის ფერი“, **ქრავა-შ-ფერი-ი** || **ქრავა-ჭგურ-ა** — „ქარვისფერი, ქარვისებრი, **ღვინ-იშ-ფერი-ი** — „ღვინისფერი“, **ცონთე-შ-ფერი-ი** — „ყვითელი“ (ავადმყოფის ფერი), **ცუმურ-იშ-კვარწახ-იშ-ფერი-ი** — „ტყემლის კვარახისფერი“, **ჩა-იშ-ფერი-ი** — „ჩაისფერი“, **ჩხომ-იშ-ზეთ-იშ-ფერი-ი** — „თევზის ზეთისფერი“, **ძერწ-იშ-ფერი-ი** — „ტირიფისფერი, ძეწისფერი“, **წიწილა-შ-ნგნძგ-იშ-ფერი-ი** — „წიწილას ნისკარტისფერი“, **წურწურა-შ-ფერი-ი** — „გოგირდისფერი“ (შდრ. ძვ. ქ. „წუმწუმა“), **ხვიმა-შ-ფერი-ი** — „ხურმის ფერი“, **ხგაჯა-შ-ფერი-ი** — „ხსენის ფერი“ (ხგაჯა — „ხსენი“, ახალმოგებული ძროხის რძე), **ჭა-შ-ფერი-ი** — „ჩალისფერი“, **ჭუბურ-იშ-ფერი-ი** — „წაბლისფერი“, **სპილო-შ-ძვალ-იშ-ფერი-ი** — „სპილოსძვლისფერი“.

ყვითელი ფერით გამოხატულია:

1. სილაშე:

ზუგდ.-სამურზ.: მინდორც **ყვინთელი** ფუნცელეფი ქოფინგდგ — „მინდორში ყვითელი ფოთლები ეფინა“; **სტაფილოშფერი** კარანდა-შით (რუს.) ბალანაქ ბუა დოხანტუ — „ბავშვმა სტაფილოსფერი ფანქრით მზე დახატა“.

2. ავადმყოფობა:

ზუგდ.-სამურზ.: გვალი რტყაბიშფერი გეძგ — „მთლად ტყლაპის-

ფერი აძევს“. **კვერცხიშგურიშფერი** სახე ულუ — „კვერცხის გულის ფერი სახე აქვს“;

3. დაქადნება, წყევლა:

სენაკ.-მარტვ. ჭითა დო **ყვინთელ** ვამკოიქუნუდას! — „წითელი და ყვითელი არ ჩაგეცვას!“, ზუგდ.-სამურზ.: ზისხირს **თხუშურიშფერი** გინორთინუა — „სისხლს ჩირქისფრად (შდრ. ძვ. ქ. „თხრამლი“) გადაგიქცევ“.

4. შეურაცხყოფა:

ზუგდ.-სამურზ.: გვალი **გუნგაშფერი** გინორთუ ქომონჯი — „მთლად სიმინდის ნაგულის ფერი გამხდარა მისი ქმარი“; **ართო იტყვიბინანცია** — „მთლად გაყვითლებულია“.

5. თმის ფერი:

ზუგდ.-სამურზ.: **ღინაჭუბერიშფერი** თუმამი რე — „თიხისფერ-თმიანი არის“ (ღინაჭუბერი მოყვითალო თიხა); სენაკ.-მარტვ.: **ჭაშ-ფერი** თომა ულუ — „ჩალისფერი თმა აქვს“.

6. სახის კანი:

ზუგდ.-სამურზ.: **ქრავაშფერი** სახეამი — „ქარვისფერსახიანი“; **ცონთეშფერი** სეხე ნოღვენია — „ყვითელი (ავადმყოფური) სახე ჰქონია“.

ყვითელი ფერის აღმნიშვნელი **ყვინთელი** მეგრულსა (და სვანურშიც) ქართულიდანაა ნასესხები. ე. სოსელიას აზრით, ყვითელი მეგრულში ბაზისური ფერის შედარებით ახალი კატეგორიაა, რადგანაც იგი ნასესხები ტერმინოლოგიითაა აღნიშნული (სოსელია, 1999, 26); არნ. ჩიქობავა ქართველურ ენებში ამ ძირზე დაკვირვებამ და ქართული დიალექტების მასალის გათვალისწინებამ მიიყვანა სვანურ **ყვიჟე**-მდე („ღვიძლი“). ვინაიდან ღვიძლის დაავადება ადამიანის პირისახის ფერის შეცვლას იწვევს, საფიქრებელია, რომ ყვითელი თავდაპირველად იმ ფერს აღნიშნავდა, რომელიც ნაღვლის განთხევისას ადამიანის პირისახეს ჰქონდა (ჩიქობავა, 1938, 67). აღსანიშნავია, რომ მეგრულშიც ყვითელი, ძირითადად, ავადმყოფობას გამოხატავს (შდრ.: ზემოაღნიშნული **ღვიჟალი**, **ტყვიპალი**, **ტყვიპერა**, **დღვიბერია** ზედსართავები, რომლებსიგანაც ზმნები მრავლად იწარმოება: ოყვაიყინანცე — „ზედმიწევნით ყვითლობს“, ორტყიპი მანცე — „უმწიფარი კვანის ფერი აქვს (ავადმყოფურად ყვითლად გამოიყურება)“ და ა. შ.

მნიშვნელოვან კომპოზიტურ ფორმას წარმოადგენს **ცონთეშფე-**

რი — „ყვითლისფერი“, ვფიქრობთ, რომ მეგრულში ყვითელი ფერის აღმნიშვნელი სიტყვა იყო სწორედ **ცონთე**, ხოლო **ყვინთელი** ნასესხებია ქართულისგან. გვაქვს **ცონთესაგან** ნაწარმოები ზმნა **იყვინთინანც** — „ყვითლობს“. აღსანიშნავია ძველი ქართული ენის მასალების განხილვაც ამ თვალსაზრისით; ნ. ჩიქოვანის მიხედვით, ყვითელი ფერი თავდაპირველად ავადმყოფობას და ამით გამოწვეულ ჩახის ფერის შეცვლას, გაუფერულება-გაყვითლებას აღნიშნავდა (ჩიქოვანი, 1992, 87). ღვიძლი, ისევე როგორც გული, ძველთაგან ადამიანის ძირითად ორგანოდ იყო მიჩნეული, რაც არაერთ ძეგლშია დადასტურებული. გ. როგავას აზრით, ერთიანი წარმომავლობის ფუძე — ქართული **ღვიძლ**, სვანური **ყვიჟე** და ზანური **ღვინჯა** სემანტიკურად ფერ-ხორცის მიხედვით არის დაკავშირებული. ქართულ **ღვიძელ**-ფუძის ამოსავალი სახეობად გ. როგავას მიაჩნია *ყვიჟ-ელ (მდრ. სვან. ყვიჟე), სადაც **ელ**-სუფიქსის მახვილიანი **-ე** შემონახულ იქნა, ხოლო თანხმოვანი ელემენტი **-ლ** გაუჩინარდა. ზანურში **ღვინჯ-ალ** სახეობა უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი, სუფიქსში **ლ** თანხმოვანი მოკვეცილია (როგავა, 1979, 169-170).

ყვითელი ფერის ჯგუფში გაერთიანებულ კომპოზიტთა შორის განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს ოქროსფერს — **ორქოშფერი** || **ოქროშფერი**. თეოლოგიური თვალსაზრისით, ეს ფერი სიმბოლოა მარადიულობისა, სტატიური დინამიზმისა, აღნიშნავს ღვთიურ ჰარმონიას (ბორჯღაღის ფერია). „ვეფხისტყაოსანში“ ოქროსფერი მშვენიერ ფერთა შორისაა, ასეა ეს ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებშიც: „ესე არს თუალი იგი ნათლისა მსგავს, ხილვითა შუენიერ... ოქროსფერ“ (მატბ., კრ., 1959, 13).

მეგრულ ფერთა სამყაროშიც ოქროსფერი ზემისა და სიხარულის, დიდებულებისა და მარადიულობის სიმბოლიკის მატარებელია: „ქიანას ოქროშფერქე ქიგნადუ — „ქვეყანას ოქროსფერი დაედო“...

ლიტერატურა

გოგებაშვილი, 1999 — ც. გოგებაშვილი, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი სვანურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

სოსელია, 1999 — ე. სოსელია, სემანტიკური უნივერსალები

და ქართველური ენები: ფერთა კატეგორიზაციის მოდელები, თბ., 1999.

როგავა, 1979 — გ. როგავა, ქართულ **ღვიძლ**-ფუძის ამოსავალი სახეობისათვის, „არნოდ ღვიძლავას“, თბ., 1979.

ჩიქოვანი, 1938 — არნ. ჩიქოვანი, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ჩიქოვანი, 1992 — ნ. ჩიქოვანი, ფერთა ლექსიკისათვის ძველ ქართულში, თბ., 1992.

TSIRA DZADZAMIA

Semantic Field of Yellow in Megrelian

Summary

1. Similar to Georgian and Svan, yellow colour in Megrelian has positive as well as negative semantics.
2. Among the synonyms to yellow, the adjectives denoting the given colour and associated with illness are of particular interest.
3. In Megrelian the semantic field of yellow comprises a variety of forms, the important compound form being conte-S-peri. Presumably, the originally Megrelian word for yellow was conte, whereas qvinteli is a borrowing from Gergian. The verb derived from conte - icvintinanc is a proof of it.
4. In Megrelian yellow can be associated with beauty, illness, it can express a curse, threat, offence, it can denote haircolour, or complexion.

მარიკა წიგწივაძე

ბაზუბერობისა და თვითკომპიუტერული ფენომენი
დიალოგურ დისკურსში

(ინფორმაციის მისაღებად)

დიალოგური დისკურსი განიხილება როგორც სამეტყველო-აზრობრივი ურთიერთობა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა მდგომარეობის აღმნიშვნელი პრაქტიკული მოთხოვნებით განპირობებული ინფორმაციის მიწოდება და გაცვლა. სამეტყველო ურთიერთობა დისკურსულ ხასიათს ატარებს, რადგანაც იგი ცალკეული აქტებისაგან შედგება. თითოეული აქტი კი ქმნის სოციალურ-კომუნიკაციურ ველს, რომლის ძირითად კომპონენტებად გვევლინება: ადრესანტი და ადრესატი; სამეტყველო სიტუაციის არაკომუნიკაციური კონსტიტუენტები, რომლებიც საუბრის დროს კომუნიკანტთა მიკროსამყაროს ქმნიან, რის გამოც ნებისმიერ მომენტში შეიძლება მათი მსვლელობის საგნად გადაქცევა; თავად შეტყობინება (მესიჯი) და ის დრო და ადგილი, რომლის ფარგლებშიც მოცემული სამეტყველო აქტი ხორციელდება. აღნიშნული ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების თანაფარდობა ატარებს მყარ და ციკლურ ხასიათს, რაც განაპირობებს კომუნიკაციის სამეტყველო აქტების სტერეოტიპურობას. სამეტყველო აქტის სოციალურ-კომუნიკაციურ ველზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დიალოგური დისკურსის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს მისი ინტერსუბიექტურობა და ინტერაქციულობა. უახლეს ლინგვისტურ ლიტერატურაში ინტერაქციულობის ცნება გაიგება როგორც კომუნიკანტთა თანამონაწილეობა სამეტყველო ურთიერთობის პროცესში, ინტერსუბიექტურობა კი — როგორც ფსიქოლოგიურად და ფენომენოლოგიურად განცდილი ერთობლიობა (გულდინი, 1991; მაკაროვი, 2003, 39). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დიალოგური დისკურსის წარმატებით განხორციელება მთლიანად არის დამოკიდებული ისეთ ფსიქოლოგიურ და პრაგმატიკულ ფაქტორთა ერთობლიობაზე, როგორიც არის კომუნი-

კანტთა მოტივი, ინტენცია, პრესუპოზიციითა ჯამი, ანუ ფონური ცოდნა, ექსპექტაცია, მეტყველების დროს მათი როლებრივი თავისებურებები, ენობრივი და სამეტყველო კომპეტენცია და ურთიერთობის უშუალო სოციალურ-კულტურული კონტექსტი (ბრაუნი, 1995; წიგწივაძე, 2006).

დიალოგური დისკურსის ინტერსუბიექტური და ინტერაქციული გაგების ფონზე, მისი წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მასში მონაწილეთა კომუნიკაციური თანამშრომლობა. დისკურსის თანამედროვე თეორიაში მითითებულია, რომ დიალოგი წარმოადგენს ინფორმაციის შესამებაზე ორიენტირებულ თამაშს (**information-matching-game**), რომლის მსვლელობის დროსაც კომუნიკანტებმა უნდა დაიცვან გარკვეული წესები (კარლსონი, 1993; გუმპერზი, 1982; კიფერი, 1979; შიფრინი, 1994). ამ მხრივ საყოველთაო აღიარება მოიპოვა პ. გრაისის ლინგვისტურმა კონცეფციამ, რომელიც ცნობილია კომუნიკაციური თანამშრომლობის პრინციპის სახელწოდებით. ამ თეორიის თანახმად, სამეტყველო ურთიერთობის პროცესში პარტნიორები უნდა ხელმძღვანელობდნენ თანამშრომლობის, ანუ კოოპერაციის პრინციპით, რომლის არსიც მდგომარეობს ნორმალურ პირობებში კომუნიკანტთა შორის ურთიერთგაგების დამყარებაში. პ. გრაისის მიერ შემუშავებული თანამშრომლობის პრინციპი მიზნად არ ისახავს საუბრის ლინგვოპრაგმატიკულ დახასიათებას, მაგრამ იგი გვთავაზობს კომუნიკანტთა სამეტყველო ქცევის ნორმების დამარეგულირებელ პოსტულატებს, რომელთა ერთობლიობაც უზრუნველყოფს ურთიერთობის წარმატებით განხორციელებას. ეს პოსტულატები ქცევის ოთხი ძირითადი კატეგორიის, ანუ მაქსიმის (**maxims**) სახით არის წარმოდგენილი, ესენია:

1) რაოდენობრიობის, ანუ ინფორმატულობის მაქსიმა, რომლის თანახმადაც გამონათქვამი ზუსტად იმდენ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს, რაც საჭიროა ურთიერთგაგების დამყარებისათვის. იგი ექსპლიციტურულია პოსტულატი: „თქვენი გამონათქვამი არ უნდა შეიცავდეს იმაზე ნაკლებს ან მეტს, რაც საჭიროა“;

2) თვისობრიობის, ანუ ჭეშმარიტების მაქსიმა, რომელიც უზრუნველყოფს გამონათქვამის უტყუარობას, მის სარწმუნოებას და გამოხატულია პოსტულატებით: „ნუ იტყვით იმას, რაც ტყუილი გგონიათ“. „ნუ იტყვით იმას, რისი თქმის საფუძველიც არ გააჩნიათ“;

3) დამოკიდებულების, ანუ რელევანტობის მაქსიმა, რომელიც ურთიერთობის რეფერენტული ხაზის განვითარებას ემსახურება. იგი წარმოდგენილია პოსტულატით: „ნუ გადაუხვევთ საუბრის თემიდან“;

4) ხერხის, ანუ აზრის მკაფიოდ გამოხატვის ენობრივ საშუალებათა მაქსიმა, რომელიც არეგულირებს გამონათქვამის ლექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურირების პროცესს. მოცემული მაქსიმა რეალიზებულია პოსტულატებით: „ერიდეთ გაუგებარ გამონათქვამებს“. „ერიდეთ არაერთმნიშვნელოვნებას“. „იყავით მოკლე“. „იყავით ორგანიზებული“ (გრაისი, 1985, 222-224).

დისკურსის ანალიზის თეორიის განვითარებამ მკვლევართა ყურადღების გარკვეული კონცენტრირება მოახდინა ისეთ პრობლემაზე, როგორც არის დისკურსის წარმატება-წარუმატებლობა. ამ მხრივ, უაღრესად საინტერესოდ და მნიშვნელოვნად გვესახება დიალოგურ დისკურსში გაუგებრობისა და თვითკორექციის მოვლენების კვლევა იმ ენობრივ-პრაგმატიკული თუ კულტურული ფაქტორების გამოვლენისა და განზოგადების მიზნით, რომლებიც აფერხებენ კომუნიკაციის მსვლელობას. მიგვაჩნია, რომ მიღებული განზოგადებები ხელს შეუწყობს დისკურსის სამეტყველო სტრატეგიების შემდგომ სრულყოფას.

ჩვენ გამოვიკვლიეთ კითხვა-პასუხის ფორმის მიკროდიალოგები, რომლებშიც გაუგებრობის ფენომენი დაფიქსირებულია ადრესატის მიერ კითხვით — **What do you mean?** ან შემხვედრი კითხვით, რის შემდეგაც საუბრის დამწყები ახდენს ადრესატის კითხვით მითითებული ინფორმაციული ლაკუნის შევსებას თავის საწყის გამონათქვამში. საკვლევ მასალად აღებული გვაქვს დიალოგური ნაწყვეტები თანამედროვე ინგლისურენოვანი ნაწარმოებებიდან, რომლებიც მაქსიმალური მიახლოებით ახდენენ დისკურსის იმიტაციას რეალურ სამეტყველო სიტუაციაში. ემპირიული მასალის კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ დიალოგურ დისკურსში შეიძლება წარმოიქმნას ორი ტიპის გაუგებრობა: რეფერენციისა და პრესუპოზიციის გაუგებრობა.

თავდაპირველად განვიხილოთ რეფერენციის გაუგებრობის შემთხვევები მათი გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორებისა და ტიპობრიობის წარმოსაჩენად. წინამდებარე სტატიაში რეფერენცია განიხილება როგორც ენობრივი ნიშნების შეპირისპირება რეალურად თუ ჰიპოთეტურად არსებულ საგნებთან ან მოვლენებთან, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი განხილვის ზონაში ექცევიან. რეფერენციის პროცესი

იმართება მეტყველი სუბიექტის მიერ მისი კომუნიკაციური ინტენციის შესაბამისად, რა დროსაც იგი ენობრივ საშუალებათა შერჩევას ახდენს ადრესატის ფაქტორის, კონტექსტური ინფორმაციის და კონკრეტული სამეტყველო სიტუაციის გათვალისწინებით.

ემპირიული მასალის განზოგადება ცხადყოფს, რომ დიალოგურ დისკურსში რეფერენციის გაუგებრობა, პირველ რიგში, წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც საუბრის მიკროთემის შემოყვანა ხდება საკუთარი სახელით. მაგალითად:

1. _ Do you know what my biggest regret is?
_ What's that, Colin?
_ That none of you ever met **Carol**.
_ **Who?**
_ **Carol. My ex-fiancee. She drowned, you know.**
(Ayckbourn A., Absurd Person Singular, p. 139)

2. _ Where did you say he'd gone?
_ He's gone to see **Mrs. Tanner**.
_ **Who?**
_ **Hugh Tanner's mother.**
_ Oh, I see.
_ She's been taken ill _ a stroke. Hugh's abroad, as you know, so jimmy has gone to London to see her. He wanted me to go with him.
(Osborne j., Look Back in Anger, p. 64)

ჩვენ მიერ მოყვანილ ორივე მაგალითში ილუსტრირებულია გაუგებრობის ფენომენი, რომელიც გამოწვეულია საუბრის დამწყების მიერ მსჯელობის საგნის, ანუ მიკროთემის შემოყვანით საკუთარი სახელის საშუალებით. ლინგვისტურ ლიტერატურაში საკუთარი სახელები განიხილება მკაცრ, მოუქნელ იდენტიფიკატორებად (კრიპკეს ტერმინოლოგიით „რიგიდ **designators**“ — კრიპკე, 1982), რაც განპირობებულია მათი ნიშნობრივი სპეციფიკურობით. იმის გამო, რომ საკუთარი სახელები მოკლებულნი არიან კონცეპტუალურ მნიშვნელობას და მასთან ერთად ინფორმატულობას, მათი ფუნქციონირება ტექსტში მკაცრად ლიმიტირებულია და განპირობებულია გარკვეული ლინგვოპრაგმატიკული ფაქტორებით. როგორც წესი, საკუთარი სახელები გამოიყენება ადრესატისათვის ცნობილი ობიექტის რეფერირე-

ბისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეფერენტი დაფიქსირებული უნდა იყოს ადრესატის ცნობიერებაში პრაგმატიკული ფონური ცოდნის სახით ან კონტექსტური ინფორმაციის საშუალებით, რის საფუძველზეც მას შეუძლია მოახდინოს მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცნობი საგნის შემოყვანა ტექსტში საკუთარი სახელით გამოიწვევს გაუგებრობას ადრესატისათვის და დამატებითი ინფორმაციის მიწოდების გარეშე მისთვის შეუძლებელი გახდება რეფერენტის (ე.ი. კონკრეტული ექსტრალინგვისტური საგნის) იდენტიფიკაცია. სწორედ ასეთი შემთხვევაა მოცემული ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში, სადაც გაუგებრობა აღმოიფხვრება მაშინვე, როგორც კი ადრესატს მიეწოდება დამატებითი ანთროპოლოგიური ინფორმაცია იმ პიროვნებასთან დაკავშირებით, რომელიც მოცემულ მომენტში საკუთარი სახელით შემოყვანილ საუბრის ახალ თემას წარმოადგენს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც საკუთარი სახელით შემოყვანილი მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია მოითხოვს ადრესატის კულტურულ ფონურ ცოდნას. ცნობილია, რომ რამდენადაც მაღალია ადამიანის ინტელექტუალური დონე, იმდენად შესაძლებელია საუბრის დროს გამოჩენილ პიროვნებათა გვარის ან სახელის გამოყენება. კულტურული ფონური ცოდნის უქონლობა ხშირად წარმოშობს გაუგებრობის ფენომენს, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ადრესატს. ამგვარი ტიპის უაღრესად საინტერესო შემთხვევა აქვს იუმორისტულ ფერებში აღწერილი ცნობილ ამერიკელ მწერალს ჯინ ვებსტერს თავის ნაწარმოებში „გრძელფეხება მამილო“. ამ წიგნის მთავარი გმირი, ჯერუშა ებოტი, ობოლთა თავშესაფრიდან ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო კოლეჯში ხვდება, სადაც პირველკურსელებს უკვე აქვთ გარკვეული ცოდნა კულტურის სხვადასხვა დარგში, მათ შორის ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ბუნებრივია, რომ ობოლთა თავშესაფარში გოგონა მოკლებული იყო ამგვარი ცოდნის მიღების შესაძლებლობას, რის გამოც მისი კულტურული ფონური ცოდნის დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება კოლეჯის სხვა სტუდენტების დონეს. იგი თანაკურსელების დაცინვის საგანი ხდება, როდესაც მიქელანჯელოს გვარის პირველად გაგონებისას, მსოფლიოში ცნობილი ეს იტალიელი მოქანდაკე მთავარანგელოზად მიიჩნია მისი გვარის ჟღერადობის გამო; ხოლო გამოჩენილი ბელგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში მორის მეტერლინკი, პირველკურსელი ეგონა. კულტურ-

რული ფონური ცოდნის შევსების ძირითად გზას კითხვა წარმოადგენს. ჭეშმარიტებაა, რომ რაც უფრო მეტს კითხულობს ადამიანი, იმდენად იზრდება მისი ინტელექტუალური დონე. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ეს ჭკვიანი გოგონაც ენციკლოპედიაში ცდილობს მოიძიოს ის ინფორმაცია, რომელიც მის გონებაში მანამდე არსებულ კულტუროლოგიური ხასიათის სიცარიელეს შეავსებს. ამაზე მეტყველებს გრძელფეხება მამილოსადმი მიწერილი ქვემოთ მოყვანილი ჯერუშას წერილი:

"October 10th

Dear Daddy-Long-Legs,

Did you ever hear of Michael Angelo? He was a famous artist who lived in Italy in the Middle Ages. Everybody in English Literature seemed to know about him and the whole class laughed because I thought he was an archangel. He sounds like an archangel, doesn't he? The trouble with college is that you are expected to know such a lot of things you've never learned. It's very confusing at times. But now, when the girls talk about things that I've never heard of, I just keep still and look them up in the encyclopedia.

I made an awful mistake the first day. Somebody mentioned Maurice Maeterlinck, and I asked if she was a Freshman. That joke has gone all over the college. But anyway, I'm just as bright in class as any of the others – and brighter than some of them!

Jerusha Abbott.

Wednesday".

(Webster j., "Daddy-Long-Legs" p. 20)

დიალოგურ დისკურსში რეფერენტის გაუგებრობის მეორე ტიპობრივ შემთხვევას წარმოადგენს საუბრის ახალი თემის შემოყვანა მესამე პირის რომელიმე ნაცვალსახელით. ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში პირის ნაცვალსახელები განიხილება როგორც დეიქტური ლექსიკური ერთეულები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაც მდგომარეობს ურთიერთობის სამეტყველო აქტის ორგანიზებაში, ახდენენ რა ადამიანთა და საგანთა იდენტიფიცირებასა და დიფერენცირებას არა მათთვის ობიექტურად დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით, არამედ მათი როლით სამეტყველო აქტში. აქედან გამომდინარე, პირის ნაცვალსახელები ქმნიან დახურულ სისტემას იმ კომუნიკაციური და არაკომუნიკაციური პირის/პირთა ან საგნის/საგანთა აღსანიშნავად, რომელთა ერთობლიობაც სამეტყველო აქტის

სოციალურ-კომუნიკაციურ ველს ქმნის. შესაბამისად, პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელებს კომუნიკაციურად მარკირებულ, ხოლო მესამე პირის ნაცვალსახელებს არამარკირებულ წევრებად განვიხილავთ, რადგანაც ისინი აღნიშნავენ იმ პირს ან საგანს, რომელიც მეტყველების პროცესში კომუნიკანტთა მგრძობელობით აღქმას ექვემდებარება და მათი მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

ემპირიული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მეტყველი სუბიექტისა და მსმენელის (ადრესანტისა და ადრესატის) აღმნიშვნელი პირველი და მეორე პირის დეიქტური ნაცვალსახელები დიალოგური ტექსტის ძირითად მაორგანიზებელ ერთეულებად გვევლინება. მათი ფუნქციონირება არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვებს (კონტექსტუალურ ინფორმაციას ან კომუნიკანტთა ფონურ ცოდნას), რამდენადაც სამეტყველო აქტების ციკლური მონაცვლეობისას, დიალოგური ურთიერთობის ერთიანი ფსიქო-ფიზიკური გარემო განაპირობებს მათ ერთმნიშვნელოვან შეპირისპირებას შესაბამის რეფერენტებთან. ემპირიული მასალის განზოგადება ასევე ცხადყოფს, რომ მესამე პირის ნაცვალსახელები ფუნქციური სინკრეტისზმით ხასიათდებიან, რადგანაც სამეტყველო სიტუაციიდან და საკუთარი ნიშნობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე ამა თუ იმ ექსტრალინგვისტური ობიექტის მსჯელობის საგნად გამოყოფისას მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ რეფერენციის ორ მექანიზმში: დეიქტურსა და კორეფერენტულში. ენობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მესამე პირის ნაცვალსახელთა დეიქტური ფუნქციონირება განპირობებულია კომუნიკანტთა მიერ მსჯელობის საგნის ექსტრალინგვისტური რეფერენტის მგრძობელობით-ვიზუალური აღქმით. ასეთ დროს რეფერენციის დეიქტურ საშუალებათა ცნებითი შინაარსის განზოგადებულობას ავსებს ამ საგნის უშუალო ფიზიკური არსებობა სამეტყველო სიტუაციაში. ნათქვამის საილუსტრაციოდ გავაანალიზოთ შემდეგი ტექსტობრივი ფრაგმენტი:

"Scarlett looked up and saw Melanie at the top of the stairs. Melanie's eyes took in the scene below in it's entirety, **the sprawling blue-clad body** in the red pool, Scarlett, bare-footed and gray-faced, clutching the long pistol.

"Scarlett", she whispered, "we must get **him** out of here and bury **him**. **He** may not be alone and if they find **him** here..." _ She steadied herself on Scarlett's arm.

"**He** must be alone", said Scarlett. "I didn't see anyone from the upstairs"

window. **He** must be a deserter."

(Mitchel M., *Gone with the Wind*, p. 368)

მოცემული ტექსტი ორ ლოგიკურ-სემანტიკურ ნაწილად, ანუ ზეფრაზულ ერთიანობად იყოფა. აქედან, პირველი წარმოადგენს აღწერითი ხასიათის თხრობას, სადაც ავტორი სამეტყველო სიტუაციის ვერბალურ სურათს ქმნის მეორე ნაწილში მოცემული დიალოგისათვის, რომლის კომუნიკანტებადაც სკარლეტი და მელანი გვევლინებიან. თხრობითი ნაწილი შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სროლის ხმაზე როგორ გამოვარდება მელანი თავისი ოთახიდან კიბის თავზე და დაინახავს სისხლის გუბეში გაშლართულ ლურჯფორმიან იანკის გვამს და გაფითრებულ, ფეხშიშველ სკარლეტს, რომელსაც ხელში იარაღი აქვს ჩაბლუჯული. შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, მელანი ხვდება, რომ საჭიროა გვამის დაუყოვნებლივ თავიდან მოშორება, რაც კომუნიკაციურ პროგრამას წარმოადგენს მასა და სკარლეტს შორის გამართული დიალოგისათვის. მსჯელობის საგნის უშუალო არსებობა სამეტყველო სიტუაციაში განაპირობებს დიალოგის დამწყობის მიერ მის დეიქტურ რეფერირებას ნაცვალსახელით „**him**“, რომელიც ამ შემთხვევაში კომუნიკაციურად რელევანტურია და ინფორმატულად თვითსაკმარისი, რადგანაც ადრესატის მიერ ექსტრალინგვისტური რეფერენტის იდენტიფიცირებას უზრუნველყოფს მოკლული ჯარისკაცის ვიზუალური აღქმა. ამ ტიპის დიალოგურ დისკურსში მსჯელობის საგნის დეიქტური იდენტიფიკაცია სავსებით ბუნებრივია, რადგანაც მისი რეფერირება ატრიბუტული სახელადი ფრაზით — „**the sprawling blue-clad body**“, ამ სამეტყველო სიტუაციაში გამოიწვევდა კომუნიკაციურად გაუმართლებელ ჭარბსიტყვაობას.

ენობრივი მასალის კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა ასევე დავგედინა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მეტყველების პროცესში მსჯელობის საგნის ექსტრალინგვისტური რეფერენტი კომუნიკანტთა მგრძობელობით აღქმას არ ექვემდებარება, დაუშვებელია მისი პირველადი რეფერირება მესამე პირის რომელიმე ნაცვალსახელით. ასეთ დროს ნაცვალსახელის გამოყენება ცალმხრივია და ბადებს გაუგებრობას კომუნიკანტთა შორის. პრონომინალური ლექსიკური ერთეულის ცალმხრივობა ამ ტიპის სამეტყველო სიტუაციაში განპირობებულია იმით, რომ იგი კომუნიკაციურად რელევანტურია და ერთმნიშვნელოვანი მხოლოდ მეტყველი სუბიექტისათვის, რადგანაც მსჯელობის საგნის რეფერენტი ფიქსირებულია მის ცნობიერებაში ჯერ კიდევ

ვერბალურამდე სტადიაში, მაშინ როდესაც ადრესატისათვის ნაცვალსახელით შემოყვანილი საუბრის თემა უსაგნოა, რამდენადაც სიტყვის ზოგადი სემანტიკა არ იძლევა რეფერენტის იდენტიფიკაციის საშუალებას. ამის გამო ადრესატი იძულებულია კითხვით დააფიქსიროს საწყისი გამონათქვამის სტრუქტურაში გაუგებარი კომპონენტი, რის შემდეგაც საუბრის დამწყები ახდენს თავისი რეპლიკის კორექტირება-დაზუსტებას, რითაც ხდება გაუგებრობის ფენომენის ლიკვიდირება და კომუნიკაცია უბრუნდება მის ჩვეულ კალაპოტს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კითხვა-პასუხის ფორმის ორ დიალოგურ ერთიანობას:

1. "**She up there?**

– **Who?**

– **Lady!**

– **No."**

(Williams T., *Orpheus Descending*, p. 294)

2. "**Where is he now, locked up?**

– **No, he's dead.**

– **It's hereditary, isn't it?**

– **What?**

– **Madness**

– **Sometimes.**

(Delaney S., *A Taste of Honey*, p. 43)

მოცემულ დიალოგებში საუბრის დამწყების მიერ კითხვით გამონათქვამში მესამე პირის ნაცვალსახელის „she“(1) და „it“(2) დაუდევარი გამოყენება არღვევს კომუნიკაციური თანამშრომლობის პრინციპებს, კერძოდ, აზრის მკაფიოდ გამოხატვის მაქსიმას. შედეგად წარმოიშვება გაუგებრობის ფენომენი, რაც განაპირობებს ადრესატის მიერ კითხვითი ფორმის რეპლიკის პროდუცირებას, სადაც გაუგებრობის ფენომენი დაფიქსირებულია სპეციალური კითხვითი სიტყვით „who“(1) და „what“(2). ამას მოსდევს საუბრის დამწყების მიერ ადრესატის უზრუნველყოფა მსჯელობის საგნის იდენტიფიცირებისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაციით, რის შემდეგაც ორივე დიალოგში გრძელდება რეფერენტულ-თემატური ხაზის განვითარება. ჩვენი აზრით, ილუსტრირებულ კითხვა-პასუხის ფორმის დიალოგურ ერთიანობებში მსჯელობის საგნის რეფერირების დროს დაშვებული დაუდევრობა განპირობებულია აზრობრივი პროცესების სწრაფი დინებითა და დროის ფაქტორით, რაც ზეპირმეტყველების ერთ-ერთ მთავარ

მახასიათებელს წარმოადგენს. სიჩქარე და დაუდევრობა რეფერენტის ენობრივი საშუალებების შერჩევის დროს ხშირად დიალოგის პარადოქსად გადაიქცევა, წარმოშობს რა შემდგომ ჭარბსიტყვაობას საწყისი გამონათქვამში არსებული ინფორმაციული ლაკუნის შესავსებად.

დიალოგურ დისკურსში საუბრის ახალი თემის ენობრივი გაფორმების დროს დაშვებული დაუდევრობა ზოგჯერ განპირობებულია მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში მეტყველი სუბიექტის აფექტური ფსიქო-ემოციური მდგომარეობით, რის გამოც იგი კარგავს უნარს გაითვალისწინოს ადრესატის ფაქტორი და ქვეცნობიერად სრულ იგნორირებას უკეთებს საწყისი გამონათქვამში მოცემული ინფორმაციის აღქმის შესაძლებლობას. ჩვეულებრივად, ასეთ შემთხვევაში ხდება შესაბამისი კომუნიკანტთა პრაგმატიკულ მიმართებებს შორის, რაც კიდევ უფრო ადრმაგებს პრონომინალური ლექსიკური ერთეულით განხორციელებული რეფერენტის გაუგებრობას. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ნაწყვეტს რ. ფ. უორენის რომანიდან „მეფის მთელი მხედრონი“, რომლის თხრობით ნაწილშიც ავტორი ქმნის დისკურსის სამეტყველო სიტუაციის ვერბალურ სურათს, ხოლო პირდაპირ მეტყველებაში რეალიზდება დიალოგი დედასა და შვილს შორის:

"There was a noise down the hall from my mother's room, a sound like moaning. The door was open and I ran in. She was sitting on the edge of her bed, clutching the white bedside telephone in her hand, staring at me with wide, wild eyes... She pointed her finger at me and cried out:

"**You did it, you did it, you killed him!**"

"**What?**" I demanded, "**What?**"

"**You killed him!**"

"**Killed who?**"

"**You killed him!**" She began to laugh hysterically...

"**Killed who?**" I demanded, shaking her.

"**Your father**", she said, "**Your father and oh! You killed him.**"

(Warren G. P., *All The King's Men*, p. 317-318)

ილუსტრირებული ტექსტობრივი ფრაგმენტის დიალოგურ ნაწილში მოცემულია რეფერენტის გაუგებრობა, რომელიც, ჩვენი აზრით, ორი ძირითადი მიზეზით არის წარმოქმნილი: 1) საუბრის დამწყების (ე.ი. დედის) მიერ ქვეცნობიერად ახალი თემის შეუსაბამო

პრეზენტაციით **it** და **him** ნაცვალსახელებით გამონათქვამში — „**You did it, you did it, you killed him!**“, რაც თავისთავად განპირობებულია მეტყველი სუბიექტის აფექტური ფსიქო-ემოციური მდგომარეობით, რომლის დროსაც მას დაკარგული აქვს თვითკონტროლის უნარი; და 2) მოსაუბრეთა ინფორმაციული ფონური ცოდნისა და პრაგმატიკული მიმართებების შეუსაბამობით. საუბრის დამწყების მიერ წარმოთქმული ზემოაღნიშნული რეპლიკების გაგონებისას მსმენელს არ შეუძლია მოახდინოს მათი შინაარსის აღქმა-დეკოდირება, რადგანაც მოცემულ მომენტში კომუნიკანტთა აზროვნება ერთი მიმართულებით არ მიედინება. ჯერ ერთი, ადრესატს (ე.ი. შვილს) არ გააჩნია ინფორმაცია მომხდარი ფაქტის, მოსამართლე ირვინის თვითმკვლელობის შესახებ. მეორეც, კომუნიკანტებს სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ სამყაროს სურათზე (დედამ იცის, რომ შვილის მამა მოსამართლე ირვინია, მაშინ როდესაც შვილს მამად სულ სხვა პიროვნება მიაჩნია.) და შესაბამისად მათი ექსპექტაციაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ყოველივე ამის გამო, ადრესატს არ შეუძლია აღიქვას პირველ რეპლიკაში მოცემული ინფორმაცია იმ ქმედების შესახებ, რომელსაც მას მიაწერენ — „**You did it, you did it!**“. იგი თავის გაოცებას გამოხატავს შემხვედრი კითხვით „**What?**“, რომელიც გაუგებრობის აღმნიშვნელი საყოველთაოდ ცნობილი ფრაზის „**What do you mean?**“ ელიპტიკურ ფორმას წარმოადგენს. გაუგებრობის ფენომენი კიდევ უფრო ღრმავდება მომდევნო რეპლიკაში „**You killed him!**“, სადაც ახალი მსჯელობის საგნის შემოყვანა პრონომინალური სუბსტიტუტით **him** შეუძლებელს ხდის ადრესატის მიერ მოკლულის იდენტიფიცირებას. რეფერენტის გაუგებრობას ადრესატი აფიქსირებს კითხვა-ციტაციით „**Killed who?**“, რომლის საშუალებითაც იგი მოითხოვს ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსებას საწყის გამონათქვამში. მაგრამ საუბრის დამწყები იმდენად ალელვებულია, რომ იგი ძლივს ახერხებს ადრესატის მოთხოვნის დაკმაყოფილებას დესკრიფციით „**Your father**“, რითაც შვილს თითქოსდა ეძლევა საშუალება მოახდინოს მსჯელობის საგნის იდენტიფიცირება. და მხოლოდ ექიმის მოსვლისა და მისგან ინფორმაციის მიღების შემდეგ ხდება შესაძლებელი ადრესატისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი მესიჯის სწორი აღქმა-დეკოდირება. ეს ნიშნავს იმას, რომ სახეზე გვაქვს არშემდარი დიალოგი დედასა და შვილს შორის, რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც კომუნიკაციის ჩავარდნის (**communicative failure**) ერთ-ერთი შემთხვევა.

ზოგჯერ ახალი თემის შემოყვანა ნაცვალსახელთა საშუალებით ქმნის სწორი დიალოგის ცრუ, მოტყუებით ეფექტს. ამ დროს რეფერენტის გაუგებრობის გამომყვანება ხდება არა ადრესატის მიერ რეპლიკის გაგონებისთანავე, არამედ თავად დამწყები მოსაუბრის მიერ გარკვეული მოცულობის კონტექსტუალური ინფორმაციის დაგროვების შედეგად, რომელიც არღვევს მის ექსპექტაციას, დამყარებულს სამყაროს მისეულ ხატზე. გავანალიზოთ მაგალითი:

"I looked down at her.

"But it has happened to me. It has happened to me. And he is gone."

"I'll find him", I said, ready to go.

"It won't do any good."

"He'll listen to sense", I said.

"Oh, I don't mean Adam, I mean _ "

"Stark?"

She nodded."

(Warren G. P., *All The King's Men*, p.354)

ილუსტრირებულ ტექსტში სწორი დიალოგის ცრუ ეფექტის შექმნა და რეფერენტის გაუგებრობის ნაგვიანები გამომყვანება განპირობებულია ერთმანეთისაგან გამომდინარე შემდეგი ენობრივ-პრაგმატიკული ფაქტორებით: 1) საუბრის დამწყების ფსიქო-ემოციური განწყობით აიხსნება ახალი თემის ქვეცნობიერი პრეზენტაცია ნაცვალსახელით **he** რეპლიკაში „**And he is gone**“, რომლის ზოგადი სემანტიკაც აღქმის დროს ადრესატს არ აძლევს საშუალებას მოახდინოს რეფერენტის სწორი იდენტიფიკაცია; 2) ადრესატს გარკვეული სამეტყველო-ენობრივი კომპეტენცია გააჩნია. მესამე პირის ნაცვალსახელის გაგონებისთანავე, რომელიც ტექსტში ჩვეულებრივად ფუნქციონირებს სუბსტიტუტის როლში როგორც ექსტრალინგვისტური საგნის მეორადი ნომინაციის ერთ-ერთი საშუალება, ადრესატი ლოგიკურად აკავშირებს მას ადამთან, პიროვნებასთან, რომელიც კომუნიკანტთა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა აღნიშნულ რეპლიკამდე, და ამ ფაქტორის გათვალისწინებით აკეთებს შესაბამის განაცხადს — „**I'll find him. He'll listen to sense**“; 3) თითოეული კომუნიკანტის სამეტყველო-აზრობრივ ქმედებაში ერთ-ერთ კომპონონენტად ჩართულია მათი ექსპექტაცია. ექსპექტაციის არსი მდგომარეობს ადამიანის უნარში, თანდაყოლილი და შეძენილი გამოცდილების საფუძველზე წინასწარ განჭვრიტოს და დააპროგნოზოს მოვლენათა განვითარების

შესაძლებელი მიმართულება. აქედან გამომდინარე, ექსპექტაცია გარკვეულწილად განაპირობებს გამონათქვამის სემანტიკას და იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი არ ამართლებს და არღვევს ერთ-ერთი კომუნიკანტის ექსპექტაციას, წარმოიქმნება გაუგებრობის ფენომენი, რომელიც აუცილებლად დაფიქსირდება შესაბამისი რეპლიკით. წინამდებარე ტექსტში ექსპექტაციას არღვევს გამონათქვამი — „He'll listen to sense“, რომლის გაგონებისთანავე საუბრის დამწყები ხვდება, რომ ადრესატმა არასწორად მოახდინა მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია და დაუყოვნებლივ ახდენს მის გამოსწორებას რეპლიკით — „Oh, I don't mean Adam, I mean —“, რომელიც უკვე იძლევა ექსტრა-ლინგვისტური რეფერენტის დადგენის შესაძლებლობას.

საუბრის ახალი თემის პრონომინალური სიტყვით შემოყვანას ხშირად თან სდევს გამონათქვამის თვითკორექტირების პროცესი, რომელიც ე.წ. „ნაგვიანვე გააზრების“ („afterthought“) გამოხატულებას წარმოადგენს (შეგლოფი, ჯეფერსონი, საქსი, 1977). ასეთ შემთხვევაში, თვითკორექტირების პროცესი (selfrepair) გულისხმობს მეტყველი სუბიექტის მიერ ადრესატის ფაქტორის დროულ გათვალისწინებას, კერძოდ იმას, რომ საუბრის ახალი თემა შემოიყვანა ზოგადი მნიშვნელობის მქონე პრონომინალური სიტყვით, რომელმაც შეიძლება გაუგებრობა შეუქმნას ადრესატს. აცნობიერებს რა ასეთ შესაძლებლობას, მეტყველი სუბიექტი დაუყოვნებლივ ახდენს კორექტირებას მსჯელობის საგნის ენობრივ გაფორმებაში და საუბარში შემოჰყავს დენოტაციური მნიშვნელობის მქონე დესკრიფცია, რომელიც აკონკრეტებს პრონომინალური სუბსტიტუტის მნიშვნელობას და შესაბამისად უზრუნველყოფს ადრესატის მიერ საუბრის თემის სწორ იდენტიფიცირებას. თვითკორექტირების პროცესი ენობრივ გამოხატულებას ჰპოვებს კატაფორულ სტრუქტურებში, რადგანაც კორეფერენტული ურთიერთობების დამყარება პრონომინალურ სუბსტიტუტსა და მისი მნიშვნელობის დამაკონკრეტებელ სახელად ფრაზას შორის ხდება პერსპექტულად, ტექსტის ხაზოვანი განვითარების გზით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ თვითკორექციის შემცველი დიალოგური ერთიანობის ორ მაგალითს:

1. „_ Know what **she** used to say? **Ben's mother**, I mean. **She** used to say it before **she** died . . . **She** used to say that. Southern women painted a triangle of rouge on their faces as if they were going out to scare the hypotenuse.

_Who could have blamed her?“

(Hellman L., The Autumn Garden, p. 134-135)

2. „_ Well, Mother, how do you like it? **Our first Christmas dinner in the new house**, I mean?

_ Tz - Tz - Tz ! I don't know what your dear father would say!

(Wilder T., Long Christmas Dinner, p. 8)

მოცემულ დიალოგებში საუბრის ახალი თემის შემოყვანა ხდება მესამე პირის ნაცვალსახელებით „she“ და „it“. მათ ექსტრა-ლინგვისტურ რეფერენტებს შესაბამისად წარმოადგენენ ერთ-ერთი მოქმედი პირის, ბენის დედა(1), და საშობაო წვეულება ახალ სახლში(2). მათგან არც ერთი არ ექვემდებარება საუბრის დროს კომუნიკანტთა მგრძობელობით-ვიზუალურ აღქმას. აცნობიერებს რა იმ ფაქტს, რომ ადრესატი არ უზრუნველყო მსჯელობის საგნის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ინფორმაციით, მეტყველი სუბიექტი დაუყოვნებლივ ახდენს თავის გამონათქვამში ამ ინფორმაციული ლაკუნის შევსებას კატაფორულად დესკრიფციული სახელადი ფრაზით, რომელსაც იგი გამოყოფს განკერძოებულად მომდევნო გამონათქვამში. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში გამონათქვამი „I mean“ წარმოადგენს თვითკორექტირების პროცესის ლექსიკურ მარკერს.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული გაუგებრობის ფენომენის ყველა შემთხვევა გამოწვეულია მეტყველი სუბიექტის მიერ, რომელმაც არ გაითვალისწინა ადრესატის ფაქტორი მისი სოციო-კულტურული და პრაგმატიკული ფონური ცოდნით და საუბარში ახალი თემის ინტროდუქცია მოახდინა საკუთარი სახელით ან ნაცვალსახელით, რომლებიც მოკლებულნი არიან ინფორმატულ და, მასთან ერთად, იდენტიფიკატორულ საკმარისობას. ამით მან დაარღვია კომუნიკაციური თანამშრომლობის პრინციპი, კერძოდ — აზრის მკაფიოდ გამოხატვის მაქსიმა, რითაც პროვოცირება გაუკეთა კომუნიკაციის ჩავარდნის შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ უცხო ენის სწავლების პროცესში ყურადღება გამახვილდეს სამეტყველო პოსტულატების შესწავლასა და დაცვაზე, რადგანაც მათი გაცნობიერება და შემდგომში უნარ-ჩვევებში გადასვლა არის საწინდარი დისკურსის წარმატებით განხორციელებისა. ავტომატიზირებულ ჩვევაში გადასული ამ წესების ცოდნა დაეხმარება მოლაპარაკეს დროულად გაითვალისწინოს ადრესატის ფაქტორი და მოახდინოს საკუთარ გამონათქვამებში ენობრივი უზუსტობების

თვითკორექტირება, რითაც უზრუნველყოფს დისკურსის შეუფერხებელი მსვლელობას.

ლიტერატურა

წიგწივაძე, 2006 — მ. წიგწივაძე, დიალოგური დისკურსი, როგორც სოციოკულტურული ფენომენი და მისი ენობრივ-პრაგმატიკული ასპექტები. // „ენა და კულტურა“, ფილოლოგიური სერია №3, 2006, თბილისი, გვ. 196-203;

გრაისი, 1985 — Г. Грайс, Логика и речевое общение. В кн.: Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI: Лингвистическая прагматика. М.: "Прогресс", 1985, с. 217-237;

მაკაროვი, 2003 — М. Макаров, Основы теории дискурса. Москва: "Гнозис", 2003;

კრიბკე, 1982 — С. Крипке, Тождество и необходимость. — В кн.: Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII: Логика и лингвистика (Проблемы референции). М.: "Радуга", 1982, ст. 340-375;

ბრაუნ, 1995 — G. Brown, Speakers, Listeners and Communication: Explorations in Discourse Analysis. Cambridge, New York, 1995;

კარლსონი, 1993 — L. Carlson, Dialogue games: An Approach to Discourse Analysis. Boston, 1993;

გუდვინი, 1991 — C. Goodwin, Conversational Organization: Interaction Between Speakers and Hearers. New York, 1991;

გუმპერზი, 1982 — J. Gumperz, Discourse Strategies. Cambridge, MA, 1982;

კიფერი, 1979 — F. Kiefer, what do Conversational Maxims Explain? // "Linguistic Investigations", v. 3, №1, 1979, p. 80-90;

შეგლოფი, ჯეფერსონი, საქსი, 1977 — A. Shegloff, G. Jefferson, H. Sacks, The preference for self-correction in the organization of repair in conversation. // "Language", v. 53, № 2, Baltimore, 1977, p. 361-382;

შიფრინი 1994 — D. Shiffrin, Approaches to Discourse. Blackwell, 1994.

MARIKA TSIVTSIVADZE

Misunderstanding and Self-repair in Dialogue Discourse

(on the material of English)

Summary

The paper investigates the phenomena of misunderstanding and self-repair in dialogue discourse. Special attention is drawn to those linguistic, psychological, socio-cultural and pragmatic factors that might lead to a misunderstanding between the communicants and finally end with discourse failure. One of such factors being introduction of a new topic by means of pronouns and proper names. Due to their nature (i. e. lack of conceptual meaning and informativeness) the linguistic units in question when used as identifiers, violate the principles of communicative cooperation and conversational maxims.

This subconscious inaccuracy in the presentation of a new topic may be ascribed to the speaker's psychological disposition at the moment of speaking as well as to the difference between the communicants' pragmatic attitudes and socio-cultural aspects of their background knowledge. In reference to this special emphasis should be placed on the phenomenon of self-repair. The analysis and generalization of the two phenomena might be helpful for teachers of English in their classroom work.

ლუიზა ხაბაჟრიძე, ლილი ლომთაძე

სატირისა და იუმორის გავლენა ბიბლიური ფრაზეოლოგიკის სემანტიკაზე

ბიბლიური შესიტყვებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ფრაზეოლოგიკით ერთი ნაწილის სემანტიკური ცვლა ირონიულმა დატვირთვამ განაპირობა. მარკ ტვენი ერთგან აღნიშნავდა: „იუმორის, სატირისა თუ ანეკდოტის პირობა არა კეთილდღეობა, არამედ პრობლემებია“. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავახსენდეს მწერალ აზიზ ნესინის სიტყვები: „იუმორის ცნებაშია სატირა და ხუმრობა, დაცინვა და კომედია, ტრიუკი და კარიკატურა, ანეკდოტი და მახვილსიტყვაობა, ალეგორია და ენობრივი დიალექტიზმიც კი... იუმორი განსხვავდება ეროვნულ აღქმაშიც. მასში აისახება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მისი სოციალური და კულტურული დონე, ეროვნული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და ისტორია. იუმორია წინაპირობა აურაცხელი ანეკდოტის შექმნისა... ხალხის ინტერესების გამომხატველ იუმორს ჩვენ ხალხურ იუმორს ვუწოდებთ. იგი პატიოსანთა ხელში პოლიტიკური ბრძოლის იარაღია ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინააღმდეგ. პატიოსნის დაცინვას კი არასოდეს ექნება ჭეშმარიტი იუმორის დატვირთვა“, „ფიქრები იუმორის თაობაზე“, გავ. „ჩვენი მწერლობა“, 2004, №4, გვ.11);

აქვე დავძენთ, რომ ჩვენი მასალების მიხედვით ირონია მიემართება არა შესიტყვებებში გამოთქმულ აზრს, არამედ მას, ვისაც ან რასაც ამ ფრაზეოლოგიკით ახასიათებენ.

რძისა და თაფლის ქვეყანა // აღთქმული ქვეყანა („გარდამოვედ განრინებად მათდა ხელისაგან მეგვიპტელთასა, გამოყვანებად მათდა ქუეყანასა კეთილსა და ფრიადსა, ქუეყანასა მას გამომადინებელსა სძისა და თაფლისასა“, — დაჰპირდა ღმერთი მოსეს; გამოსვლათა 3,8; „და ესერა მე წარვაგლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, სადა დაგიცვეს შენ გზასა ზედა, რა თა შეგიყვანოს შენ ქუეყანასა მას რომელ აღვითქუ შენ“, — აღუთქვა უფალმა მოსეს;

გამოსვლათა 23,20) — სიმდიდრე, კეთილდღეობა; ცრუ დაპირება. დღესდღეობით გვხვდება ძირითადად მეორე მნიშვნელობით, ირონიული გაგებით: „გვპირდება მთავრობა რძის და თაფლის ქვეყანას, მაგრამ არ ჩანს,“ „ათი წელია გვატყუებენ, ასე იცხოვრებთ და ისე იცხოვრებთ, აგვიგეს კომკები. სადაა ბატონო, მაგენის აღთქმული ქვეყანა?“ (დსკი);

„რძე, თაფლი და ერბო“ სიმდიდრის აღმნიშვნელ ფრაზადაც გვევლინება. მაგ.: „ოჯახში ერბო და თაფლი უწვეთავს,“ „ისეთ ოჯახში შევიდა ლოლას ქალიშვილი, სულ რძე და თაფლი უწვიმთ“. მშრომელ, ბარაქიან კაცზე იტყვიან: „ერბო სდისო“. გამოთქმა დასტურდება ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივშიც“: „განა მე კი თითები-დამ ზეთი და ერბო მწვეთდა თუ?!“ — ეუბნება მომაკვდავი ქმარი ოთარაანთ ქვრივს (ი. ჭავჭავაძე, 1974).

ქსუ დიალექტოლოგიის ინსტიტუტის სვანური მასალების მიხედვით „რძისა და თაფლის“ ქვეყნად მხოლოდ სასუფეველი მოიაზრება. მაგალითად, სვანეთში მიცვალებულთა შესანდობარში ამბობენ: **„თქვენი მიცვალებულები იყოს იქ, სადაც რძით და თაფლით წვიმს და ბამბით თოვს“**, ესე იგი, სამოთხეში. ვფიქრობთ, აღნიშნული გაგება უნდა უკავშირდებოდეს მეზობელი მუსლიმი ჩრდილო-კავკასიელების გაგლენას. ყურანის თანახმად, უფლის სამკვიდრებელ ადგილას რძის შადრვენები და თაფლის მდინარეები მოედინება;

ლეღვის ფოთლი (ემშაკის მიერ ცდუნებული ადამ და ევას შესამოსელი; „და განხუნეს თუალნი ორთანივე და აგრძნეს, რამეთუ შიშუელ იყვნეს, და შეკერეს ფურცელი ლეღვისა და ქმნნეს თავთა თვისთა გარე-მოსარტყმელნი“; შესაქმე 3,7) — ნიღაბი, ყალბი საფარველი; ქალთა ჩაცმულობის აღსანიშნავი გამოთქმა: „ამ პარლამენტში პატიოსანი ხალხი მთავრობამ ლეღვის ფოთლად გამოიყენა“ (2003 წლის პარლამენტის ტელეტრანსლიაციიდან); „თანამედროვე ახალგაზრდობა ლეღვის ფოთლით შემოსილი დადის“, „გადიარევი, კაცი, რაფერ ლეღვის ფოთლებ ჩაცმულები დადიან ეს გოგოები...“ (დსკი)

აბრაამის წიაღი (აბრაამი (ებრ. მამა მრავალთა) - ძველი აღთქმის მამა, ღვთისსათნო და მოყვარული. წმიდა მამათა განმარტებით, აბრაამის გვერდით განისვენებენ სხვა ღვთისმოყვარული ადამიანები. ამიტომაც მიცვალებულის საპანაშვილო ლოცვებში გვაქვს: „სულმან მიცვალებულსმან წიაღსა შინა აბრაამისთა განისვენოს და

ნათესავმან მისმან დაიმკვიდროს ქვეყანა") — კარგი, სანეტარო ადგილი; სიკვდილი. დღესდღეობით გვხვდება მხოლოდ სიკვდილის მნიშვნელობით, ზოგჯერ ირონიული დატირთვით: „განისვენა იოსელიანმა წილსა შინა აბრაამისათა"...(დსკი)

იოსებად თავის მოჩვენება // იოსებ მშვენიერი („და იყო იოსებ კეთილ სახითა და შუენიერ ხილვითა ფრიად"; შესაქმე 39,6) საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ქონა: „მყავს ეგეც მშვენიერი იოსები", „მაგას ბიბლიური იოსებ მშვენიერი გონია თავი, ისე დადის" (დსკი);

გამოთქმა შედარებით იშვიათია. პარალელურ ფორმებად ფართო საზოგადოებაში გვხვდება ფრაზები: „თავი ღმერთად მოაქვს", „თავი კიტრად მოაქვს", „ყენის თავს მოაქვს თავი", „თავი კინოვარსკვლავი (აღენ დელონი // დიკაპრიო // სოფი ლორენი // კლავდია შიფერი) ჰგონია"...(დსკი);

მამა აბრამის ბატკანი (ძველი აღთქმის მიხედვით, ღვთისმოყვარე აბრაამს ღმერთმა გამოსაცდელად ერთადერთი შვილის — ისააკის მსხვერპლშეწირვა მოსთხოვა. მან, როგორც ღვთისმოშიშმა, სათნო და მართალმა კაცმა, მართლაც მიიყვანა უსაყვარლესი ძე სამსხვერპლოზე. სწორედ ამ დროს ღმერთმა ანგელოზი მოუვლინა აბრაამს, რომელმაც კრავი მოუყვანა მას, რათა შვილის სანაცვლოდ შეეწირა: „ნუ მიჰყოფ ხელსა შენსა ყრმასა მაგას ზედა, ნუცა უყოფ მას ნურარას. აწ უწყი, რამეთუ გემინის შენ ღმერთისა და ჰრიდებ ძესა შენსა საყუარელსა ჩემთვის... აჰა ესერა ვერძი ... და შესაწირი იგი მსახურებლად ისააკის წილ, ძისა თვისისა"; შესაქმე 22,12-13) — მიაშიტი, უცოდველი, კეთილი; მოჩვენებითი, თითქოსდა უცოდველი. გამოთქმა დღეს გვხვდება მხოლოდ მეორე მნიშვნელობით, ირონიული გაგებით: „ეგონა მისი რძალი მამა აბრამის ბატკანი იყო, მარა კი გამოუფაცვანა წარბები"; „ვიცოდი მაგი რა მამა აბრამის ბატკანიც იყო და მიტო არ ვენდე"... (დსკი);

მონანიე მაგდალინელი (მარიამ მაგდალინელი — ცოდვილი ქალი, რომელიც ქრისტემ ხალხს არ ჩააქოლინა და მისგან სიძვის ეშმაკები განდევნა. მარიამმა ცრემლებით დაბანა მაცხოვარს ფეხები და საკუთარი თმებითვე შეუმშრალა. მარიამმა დარჩენილი სიცოცხლე სინანულსა და ღვთის სამსახურში გაატარა. ამიტომაც ღირსი შეიქნა აღდგომილი მაცხოვარი კაცთაგან პირველს ეხილა; იოანე 8; 20) — ცოდვების დამვიწყებელი, მოჩვენებით პატიოსანი. გამოთქმა ძირითა-

დად გვხვდება ირონიული დატირთვით: „ეგ მონანიე მაგდალინელი, ყველამ იცის, ახალგაზრდობაში ვინც იყო, ახლა დაბერდა, აღარ შეუძლია და ნოტებზე ლაპარაკობს (მაღალფარდოვნად ზნეობაზე მოსაუბრე)," „მაგ მონანიე მაგდალინელის ჭკუის სასწავლებელი რა მჭირს, არავის დავიწყებია ვინც იყო" (დსკი);

შენიშვნა: მრეველი კრძალულების მიზნით აღნიშნულ გამოთქმას არ იყენებს... (მარიამ მაგდალინელი ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. წმიდა დედა მოციქულთა სწორადაა მიჩნეული თავისი შემდგომი ცხოვრების გამო), (იხ. ლ. ხაჭაპურიძე, 2005);

ნოეს მტრედი (წარღვნის შემდეგ ნოემ მტრედი გაუშვა კილოზნიდან, რომელმაც უკან ზეთისხილის რტო მოუტანა. ნიშნად იმისა, რომ ორმოცდღიანი წვიმა შეწყდა: „და მოაქცია მისამართ ტრედმან მიმწუხრი და აქუნდა ზეთისხილისა ფურცელი ხელითა პირსა შინა მისსა. და ცნა ნოე, რამეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქუეყანისა"; შესაქმე. 8,11) — იმედის მომცემი, სასიხარულო ამბის მომტანი; ცრუ მოიმედე, ფარისეველი. გამოთქმა დღეს გვხვდება ძირითადად მეორე მნიშვნელობით ირონიული გაგებით: „მყავს ეგეც ნოეს მტრედი. მაგის კეთილი სიტყვით რომ ტყუვდები ვერ ხვდები? გაიგე, ეგ გოგო თავისთვის უფრო ცთილობს ვიდრე შენთვის"... (დსკი);

სოლომონ ბრძენი (ძველი აღთქმის ერთ-ერთი დიდი წინასწარმეტყველი, დავით მეფესალმუნის ვაჟი, რომელიც გამოირჩეოდა დიდი სიბრძნითა და გონიერებით. მას მიეკუთვნება ძველი აღთქმის წიგნები: იგავნი, ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქებათა-ქება) — ჭკვიანი, ბრძენი; უჭკუო, რეგენი. დღეს, ძირითადად გვხვდება მეორე მნიშვნელობით, ირონიული გაგებით: „სოლომონ ბრძენმა რა გირჩია, იყო ჭკუასთან ახლოს მაგის ნათქვამი?" „გამოვიდა ეგეც სოლომონ ბრძენი, ჩემი საქმე მე უფრო ვიცი თუ მაგან?" (დსკი);

მარხვის გატეხვა // მარხვის ჭამა (მარხვა რელიგიური რიტუალი, რომელიც გარკვეულ პერიოდში კრძალავს ხორცის, კვერცხისა და რძის პროდუქტების გემოს ხილვას) — აკრძალული საკვების მიღება: „მარხვა გატეხე, ყველი დავინახე, ვერ მოვითმინე და შევჭამე", „თუ მარხვას ჭამ, მღვდელი არ გაზიარებს", „შიშხინა კუბატები რო დავინახე, კი გამიტყდა მარხვა" (დსკი).

შენიშვნა: მარხვის გატეხვას უნდა უკავშირდებოდეს სვანური „ხატ ოთკუაშ", სიტყვასიტყვით „ხატის გატეხვა" ანუ ფიცის, აღთქმის უარყოფა, დარღვევა

(ფიცის გატეხვა). ესე იგი, ხატისათვის მიცემული პირობის (სიტყვის) შეუსრულებლობა, დარღვევა (სვანური ტრადიციის მიხედვით, ადამიანს ხატზე დააფიცებენ ამა თუ იმ საქმის შესრულებას). მეგრული მასალების მიხედვით — მარხვა „პიჩვანი“ — სიტყვა-სიტყვით ნიშნავს პირის დაცვას, შენახვას.

მარხულობა დღეს ირონიული ნიშნითაც გვხვდება: „მორწმუნე ქმარი შეხვდა, ქალებში მარხულობს ხშირად“ (დსკი); ე.ი. მექალთანე, მოჩვენებით მორწმუნე;

წმიდა წყლის დაღევა (ძველი აღთქმის მიხედვით, ებრაელთა ჩვეულების თანახმად, რომ გაეგოთ მრუშობაში ეჭვმიტანილი ადამიანი მართალი იყო თუ სცოდავდა, მას ეკლესიაში მღვდელმთავარი შეასმევდა წმიდა წყალს. თუ კაცი შემცოდე იყო, უმალ გასივდებოდა. ეს იყო უტყუარი საზომი მტყუან-მართლის გარჩევისა: „და მოიღოს მღვდელმან მან წყალი წმიდაი ცხოველი ჭურჭელითა კეცისაითა“ (რიცხვთა 5,17); გელათის მონასტერში არსებობს ხატი, რომელზედაც ყოვლადწმიდა დედოფალი სურით ხელში სვამს წმიდა წყალს, რითაც მან ურწმუნოთ დაუმტკიცა, რომ ძე ღვთისა უთესლოდ ჩაესახა სულიწმიდის ძალით) — უპატიოსნო, მეძავი, ხელმრუდი: „არაა ნუცას რძალი წმინდა წყლის დამლევი, როგორც ვატყოვ“ (დსკი);

აღნიშნული შესიტყვება ლექსიკონებში მართალი, პატიოსნის მნიშვნელობით გვხვდება; დღეს ძირითადად გამოიყენება უარყოფით ფორმაში და ირონიული დატვირთვით.

შენიშვნა: ფრაზის განმარტება ლექსიკონებში ბიბლიურ სიუჟეტს არ უკავშირდება. მითითებულია, რომ წყალი ქართულში სათაყვანო საგნადაა მიჩნეული. იგი სიწმიდესა და სისუფთავეს უკავშირდება (იხ. თ.სახოკია, 1979, გვ.873);

წითელი კვერცი // წითელი კვერცხის გორება (სისხლით გამოსყიდული სიცოცხლის, დედამიწის სიმბოლო ქრისტიანობაში. კვერცი იღებება ვნების კვირაში წითელ პარასკევს, ნიშნად მაცხოვრის ჯვარცმისა და სისხლის დათხვევისა. აღდგომის მეორე დღეს მიცვალებულთა საფლავზე კვერცხს გადააგორებენ, ნიშნად იმისა, რომ მაცხოვარმა ჯოჯოხეთიდან გამოიხსნა სულები და ზეცას დაუბრუნა. ქრისტეს აღდგომამ საფუძველი ჩაუყარა მიცვალებულთა მომავალ აღდგომას) — „საალერსო, მოსაფერებელი“; „გამორჩეული, განსაკუთრებული“. ფრაზა დღეს გვხვდება ძირითადად მერე მნიშვნელო-

ბით ირონიული გაგებით: „მე ვუთხარი: ჩვენ რომ არ მოგვყვები, წითელი კვერცი ხარ? ან ჩვენთან იქნები ან წახვალ აქედან-თქვა“; „უგორე ახლა ამას წითელი კვერცი“, „მე მაქვს ბედი? შინ და გარეთ ყველას წითელი კვერცი უნდა უგორო“ (დსკი);

დსკი სვანური მასალების მიხედვით გვაქვს შესიტყვება: „ჯგრაგო ხან მამ ხი?“ — წმიდა გიორგის სახელზე შეწირული ხარი კი არ ხარ? (წმიდანებზე შეწირული ხარები განსაკუთრებული პატივით სარგებლობენ. ყველაფრის უფლება აქვთ (ნათესს თუ გააფუჭებენ ვერ დაუშლიან და თავისუფლად დადიან, სადაც მოესურვებათ) სანამ დაკლავდნენ). მსგავსი დატვირთვა აქვს ხევსურულშიც შესიტყვებას: „კობალას ხარი ხომ არ ხარ?“

დედის ცხონება // კურთხევა — გაახარეთ, სიკეთე უყავით; ლანძღვა-გინება. დღეს გვხვდება ძირითადად მეორე მნიშვნელობით, ირონიული გაგებით: „ისეთი ამბავი ატეხა სულ დედა უცხონა მეზობლებს“, „პარლამენტში ერთმანეთს სულ მკვდარი და ცოცხალი უკურთხეს.“

შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნულმა გამოთქმამ ერთგვარი ეგფემისტური გაგება შეიძინა. მოცემული შესიტყვების სემანტიკურად პარალელური ფორმებია: „მკვდრების მიწიდან ამოყვანა“, „მკვდრების მიწაში არ დაყენება (არ გაჩერება)“: „გიათ ისეთი დღე დამითია, მკვდრები ამომიყვანა მიწიდან“, „ჩემი მეზობლის ბიჭს გლახა სიმთვრალე აქ და გუშინ ვინცხაზე ისე იყო გაბრაზებული, მკვდრები არ დოუყენა მიწაში“, „სულ უნდა ეფერო, თუ არა, თუ გაბრაზდა ქვტრეფს არ გაგჩერეფს მიწაში, იმნაირია“ სამეგრელოში ჩაწერილი მასალების მიხედვით გამოთქმა „ღურეღეფს უჩხონუანქ“ (მკვდრებს უცხონებ) უმეტესად გვხვდება დაქადნება, დამუქრების მნიშვნელობით.

შენიშვნა: შესაძლებელია, ზემოთ აღნიშნული გამოთქმა რელიგიური აკრძალვის წლების ნაყოფი იყოს, ისე როგორც ფრაზები: „ემმაკის ფეხი“, „ემმაკუნა“, „ემმაკუნები უხტის თვალეზში“, „გაემმაკებულია“. აქ ემმაკის, როგორც ბოროტი სულის არსი შეცვლილია და მოცემული გამოთქმები ანცი, მოუსვენარის მნიშვნელობით გამოიყენება;

ლოცვა-კურთხევის აღება (მიცემა, გატეხვა) (საეკლესიო რიტუალი, მღვდლისაგან დალოცვის გამოთხოვა) — ნებართვა; გვხვდება ირონიული დატვირთვით ლანძღვა-გინების აღსანიშნავად: „მამამ

ლოცვა-კურთხევა მომცა, ავადმყოფობის გამო მარხვის დღეებში რძის ნაწარმი მივიღო"; „მამაჩემისგან ლოცვა-კურთხევა ვერ ავიღე, არ მიშვეფს ექსკურსიაზე“, „სანამ თავისახლს წავიდოდი, ჩემმა ქმარმა კარგი ლოცვა-კურთხევა მომცა“, „ჩემი მეუღლე, ეკლესიაშიც რომ მოვდივარ, მაშინაც კაი ლოცვა-კურთხევას მატნევს, ისეთი უხეირო კაცია“ (დსკი).

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ბიბლიურ ფრაზეოლოგიზმთა ნაწილს სემანტიკა დღეს შექმნილმა ირონიულმა დატვირთვამ შეუცვალა, რაც ამ შემთხვევაშიც, როგორც ზემოაღნიშნული მეცნიერები მიუთითებდნენ: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაა გაპირობებული, „იუმორში აისახება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მისი სოციალური და კულტურული დონე, ეროვნული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და ისტორია.“

ლიტერატურა:

განმარტებითი ბიბლია, 1987 — Талковая библия (в 3-х томах), С-ПБ., 1911-1913, второе издание, Стокгольм, 1987.

დსკი — ქსუ, დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალები, 1993-2005.

ვაისმანი, 1991 — А. Ваисман, Греческо-русский церковный словарь, М., 1991.

თოფურია, ქალდანი, 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

მცხეთური ხელნაწერი, 1985 — მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1985.

ნესინი, 2004 — ა. ნესინი, „ფიქრები იუმორის თაობაზე“, გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2004, №4, გვ.11.

ორბელიანი, 1991-1993 — სულხან საბა-ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, II, , თბ., 1991, 1993.

სახოკია, 1979 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

ფსალმუნნი, 1989 — ფსალმუნნი მეფის დავითისა, თბ., 1989.

ძველი აღთქმა, 1989 — წიგნი ძველისა აღთქმისანი, თბ., 1989.

ჭავჭავაძე, 1974 — ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1974.

ხაჭაპურიძე, 2005 — ლ. ხაჭაპურიძე, ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულები ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში, ქუთ., 2005.

LUISA KHACHAPURIDZE, LILY LOMTADZE

The Influence of Satire and Humour on Biblical Phraseological Units

Summary

The study has proved that certain biblical phraseological units (the promised land, Abraham's lamb, Noah's dove, Solomon the Great etc.) have developed ironical semantics.

The study has shown that the irony refers to the person or thing implied by the unit. The change in question can be explained by social and economic factors.

განანა ხოფარია

ფრაზეოლოგიის ფენომენი ლინგვისტიკისა და კულტურის მიჯნაზე

სამყაროს ენობრივი სურათის შესწავლის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება სამყაროს კონცეპტუალური სურათის პრობლემას, რომელიც ასახავს ადამიანისა და მისი ყოფიერების სპეციფიკას, მის ურთიერთობებს სამყაროსთან, მისი არსებობის პირობებს; სამყაროს ენობრივი სურათი ადამიანის სამყაროს სხვადასხვაგვარი სურათების ექსპლიცირებას ახდენს და სამყაროს განსაკუთრებული აღქმით (ხედვით) აისახება. ენა და კულტურა, როგორც შედარებით დამოუკიდებელი ფენომენები, ერთმანეთს უკავშირდებიან ენობრივი ნიშნების მნიშვნელობებით, რომლებიც ენისა და კულტურის ონტოლოგიურ ერთიანობას უზრუნველყოფენ. აქედან გამომდინარე, თითოეული კონკრეტული ენა წარმოადგენს თვითმყოფად სისტემას, რომელიც თავის კვალს ტოვებს მისი მატარებლის ცნობიერებაში და სამყაროს მათეულ სურათს აყალიბებს. როგორც ვ. ჰუმბოლდტი წერდა, „ენა — ესაა სამყარო გარეგანი მოვლენების სამყაროსა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის“. მაშასადამე, წარმოადგენს რა ჩვენს საცხოვრებელ გარემოს, ენა არ არსებობს ჩვენს გარე, როგორც ობიექტური მოცულობა, ის თვითონ ჩვენშია, ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს მეხსიერებაში და იცვლის მოხაზულობას აზრის ყოველი მოძრაობის, ყოველი ახალი სოციალურ-კულტურული როლის შესაბამისად (მასლოვა, 2001, 60).

კულტურა ცოცხლობს და ვითარდება „ენობრივ გარსში“. თუკი პრიმიტიული კულტურები „საგნობრივი“ იყო, თანამედროვე კულტურები სულ უფრო მეტად ვერბალური ხდება. ენა ემსახურება კულტურას, მაგრამ არ განსაზღვრავს მას. ენას შეუძლია ვერბალური ილუზიები, რეალობის შემცველი ერთგვარი სიტყვიერი მირაჟი.

„კულტურა — ეს არის ერთგვარი ისტორიული მეხსიერება და ენაც, მისი კუმულაციური ფუნქციის წყალობით ინახავს მას, უზრუნ-

ველყოფს რა თაობათა დიალოგს არა მარტო წარსულიდან აწმყოში, არამედ აწმყოდან მომავალში“ (თელია, 1999, 226).

სამყაროს ენობრივი სურათი იქმნება სხვადასხვა საღებავით, რომელთაგან უფრო მკვეთრი მითოლოგიები, მხატვრულ-მეტაფორული სიტყვები, კონოტაციური სიტყვები და სხვა. სამყაროს ჩვენეული აღქმა ნაწილობრივ სამყაროს ენობრივი სურათის ტყვეობაში იმყოფება. ყოველი კონკრეტული ენა თავის თავში მოიცავს ნაციონალურ, თვითმყოფად სისტემას, რომელიც განაპირობებს მოცემული ენის მატარებლის მსოფლმხედველობას და აყალიბებს სამყაროს მათეულ სურათს. ენა შედის კულტურაში, ვინაიდან ნიშნის „სხეული“ წარმოადგენს კულტურულ საგანს, რომლის ფორმაშიც განსაზღვრულია ადამიანის ენობრივი და კომუნიკაციური უნარი; ნიშნის მნიშვნელობა — ეს ასევე კულტურული წარმონაქმნია, რომელიც მხოლოდ ადამიანის საქმიანობაში წარმოიქმნება.

რაც შეეხება კულტურას, იგი ასევე შედის ენაში, ვინაიდან ის მთლიანად ტექსტშია მოდელირებული.

წარმოადგენენ რა განსხვავებულ სემიოტიკურ სისტემებს, ენასა და კულტურას ბევრის საერთო აქვთ: 1. კულტურა, ისევე, როგორც ენა, ადამიანის მსოფლმხედველობის ამსახველი ცნობიერების ფორმაა; 2. კულტურა და ენა ურთიერთშორის წარმოებულ დიალოგში არსებობენ; 3. კულტურის სუბიექტი ყოველთვის არის ინდივიდი ან სოციუმი, პიროვნება ან საზოგადოება; 4. ნორმატიულობა ენისა და კულტურის საერთო ნიშან-თვისებაა; 5. ენისა და კულტურისათვის დამახასიათებელია ანტონომია „დინამიკა-სტატიკა“.

ენა და კულტურა ურთიერთკავშირში არიან: ა) კომუნიკაციურ პროცესებში; ბ) ონტოგენეზისში; გ) ფილოგენეზისში, ხოლო ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ენაში, როგორც ფენომენში, უპირატესია განწყობა მასობრივი ადრესატის მიმართ, მაშინ, როდესაც კულტურაში ელიტარულობა ფასობს; მართალია, კულტურა ნიშანთა სისტემა (ენის მსგავსად), მაგრამ მას თვითორგანიზების უნარი შესწევს (მასლოვა, 2001, 67).

ფრაზეოლოგიზმები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ სამყაროს ენობრივი სურათის შექმნაში. ისინი „ერის ცხოვრების სარკეს“ წარმოადგენენ. ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის ბუნება მჭიდროდაა დაკავშირებული ენის მატარებლის ფონურ ცოდნასთან, პიროვნების პრაქტიკულ გამოცდილებასთან, მოცემულ ენაზე

მოლაპარაკე ხალხის კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებთან. ფრაზეოლოგიური ერთეული მიაწერს ობიექტს ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ასოცირდებიან სამყაროს სურათთან, გულისხმობენ მთელ დესკრიფციულ სიტუაციას (ტექსტს), აფასებენ მას, გამოხატავენ დამოკიდებულებას მისადმი. თავისი სემანტიკით ფრაზეოლოგიური ერთეული მიმართულია ადამიანისა და მისი საქმიანობის დახასიათებისაკენ. ფრაზეოლოგიზმებით შექმნილი სამყაროს ენობრივი სურათის გაანალიზებისას შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ნიშნები: **ბეიორაციულობა, ანთროპოცენტრულობა**. ეს უკანასკნელი გამოიხატება მისი ორიენტაციით ადამიანზე, ანუ ადამიანი წარმოადგენს ყველა საგნის საზომს.

ფრაზეოლოგიური შედგენილობის შესწავლა კულტურის კონტექსტში ნაყოფიერი ნიადაგია იმ ენობრივი საშუალებებისა და ხერხების გამოსავლენად და აღსაწერად, რომლებიც ფრაზეოლოგიურ ნიშნებში განასახიერებენ კულტურულად ნიშნად შინაარსებს, რითაც მათ კულტურას „ენის“ ნიშნების ფუნქციას ანიჭებენ. გამოდიან რა ამ როლში, ფრაზეოლოგიზმები არა მარტო გამოხატავენ და ახდენენ თაობათა შორის ტრანსლირებას, არამედ აყალიბებენ კიდევ ამ ორი განსხვავებული სემიოტიკური სისტემის განუწყვეტელ დიალოგში ერის — ენის მატარებლის კულტურულ თვითშეგნებას.

ფრაზეოლოგიზმების კულტურული მნიშვნელობის აღწერის სისრულისათვის აუცილებელია მათ მნიშვნელობაში ყველა იმ იმპლიციტური კულტურული შინაარსის გამოვლენა, რომლებიც ქმნიან შუამავალ როლს ენასა და კულტურას შორის, რასაც **ადასტურებს ფრაზეოლოგიზმებით განპირობებული კულტურული შეფერილობა** სხვადასხვა ტიპის დისკურსში.

ლინგვოკულტუროლოგიის ინტერესთა ცენტრში დგას ენისა და კულტურის ურთიერთქმედების გამოკვლევა და აღწერა თანამედროვე კულტურულ-ნაციონალური თვითშეგნებისა და მისი ნიშნადი პრეზენტაციის დიაპაზონში. ეს სინქრონული ორიენტაცია არსებითად განასხვავებს მას ეთნოლინგვისტიკისაგან. მისი ძირითადი ამოცანები დაიყვანება ენის მონაცემებით ენაში კულტურული, ხალხურ-ფსიქოლოგიური წარმოდგენებისა და „განცდების“ რეკონსტრუქციაზე მათ დიაქრონულ მოძრაობაში, რომელიც უმდიდრეს მასალას იძლევა კულტურათა შედარებისათვის.

ასეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლინგვოკულტუროლოგიის

ფარგლებში კონტრასტული ანალიზის ჩარჩოებში შემუშავებული კვლევისა და აღწერის ხერხების ინტეგრაციას. ფრაზეოლოგიზმების კონტრასტული აღწერის შედეგები ნათელს ჰფენენ ეთნიკურ ლოგიკას. ენობრივ ნიშნებში ასახული გაკულტურებული სამყაროს ხედვა აღიბეჭდება მათ შინაგან ფორმაში. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ მყდავდება ფრაზეოლოგიზმების ხატოვნად მოტივირებულ საფუძველში, რომელიც ტრანსლირდება ამ ნიშნებით და რომელიც თანამედროვეობას გადმოსცემს ეთნოსის, ხალხის, ერის მიერ სამყაროს კულტურული ათვისების პროცესში ჩამოყალიბებულ კოლექტიურ წარმოდგენებს.

ფრაზეოლოგიის ფენომენის ლინგვოკულტურული კვლევისათვის აუცილებელია:

ა) კულტურულად მარკირებული სიგნალების გამომყდავების ყველა ხერხის გამოვლენა ფრაზეოლოგიური ნიშნების შედგენილობაში და მათი შეფარდების დადგენა კულტურის ამა თუ იმ კოდთან და მის „ენასთან“;

ბ) ამ საფუძველზე კულტურული კონოტაციის ცნების დაზუსტება;

გ) კულტურული კონოტაციების ტიპოლოგიის შემუშავება.

კულტურის ძირითად ღერძს, რომელიც მას სამყაროს განსაკუთრებულ ნაწილად აყალიბებს, წარმოადგენს ერთობლიობა განწყობების, ანუ მენტალური ნიმუშებისა, რომლებიც პრესკრიფციების როლს ასრულებენ სოციალური და სულიერი ცხოვრებისეული პრაქტიკებისათვის. კულტურის განწყობები, რომლებიც ამა თუ იმ ნიშნად ფორმას იძენენ, ქმნიან (თუკი ე. კასირერის მეტაფორას გამოვიყენებთ) „სიმბოლურ სამყაროს, რომელშიც ადამიანი თავის ცხოველქმედებას ახორციელებს“ (თელია, 1999, 18).

კულტურული განწყობები, რომლებიც სხვადასხვაგვარ ცხოვრებისეულ პრაქტიკებში სოციალური ან სულიერი ორიენტაციის როლს ასრულებენ, ამყდავენ პირდაპირ ან ირიბ კავშირებს კულტურის მითოლოგიურ შრეებთან, რელიგიურ გამოცდილებასთან, სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკურ და მეცნიერულ შემეცნებასთან და ა.შ. ეს საფუძველს გვაძლევს განვიხილოთ კულტურა სემიოტიკურ ასპექტში, როგორც განსაკუთრებული „ენა“, რომლის ნიშნადი შინაარსი ასახულია საგნობრივად და ქრონოტიპულად განსხვავებული ტექსტების თეზაურუსებში აღბეჭდილი კოდების პანქრონულ ერთობლიობაში.

ურთიერთდაშვების პროცესში ეს ტექსტები ქმნიან ერთიან ინტერ-ტექსტუალურ კულტურულ სივრცეს, რომელშიც „შინაარსობრივი ძვრების ხაზებია“ მონიშნული.

აქედან გამომდინარე, **კულტურის კონტექსტში ფრაზეოლოგიის** შესწავლისას აუცილებელია „შინაარსობრივი ძვრების ხაზების“ (რ. ბარტის მიხედვით) გათვალისწინება წყარო-ტექსტში ხაზგასმული მისი კულტურემების (ი. სოროკინის ტერმინოლოგიით) თავდაპირველი კულტურული მნიშვნელობიდან იმ მნიშვნელობამდე, რომელსაც მათთან შეფარდებული ფრაზეოლოგიზმები ავლენენ სინქრონულად განხილულ ტექსტში (თელია, 1999, 20).

ფრაზეოლოგიზმების კულტურული მნიშვნელობის გამოვლენა გულისხმობს მათ შეთანაფარებას იმ კონცეპტუარომქმნელ სფეროსთან, რომელშიც ისინი კულტურის კონსტანტების როლს იძენენ.

ფრაზეოლოგიზმების ხატოვან საფუძველში იჭრება სიმბოლოები, რომელთა რეფერენცია ხორციელდება, როგორც „საგნის“ ან მენტო-ფაქტის საკუთარი შინაარსის, ისე მთლიანად ხატის შინაარსის მიმართ (მაგალითად, ჯვრის ტარება; მიწის მარილი; სულის წარწყმედა და მისთ.); ეტალონები, რომლებიც რომელიმე ობიექტის თვისების გამოვლენის ოდენობას „ზომავენ“ მისი საწინააღმდეგო ბუნების მქონე ობიექტის ნიშან-თვისებებით (მაგალითად, თითოეულ კაპიკს და-ჰკანკალებს; მისჩერებია, როგორც ცხვარი ახალ ფარებს; არც ერთი წვეთი სიბრალული და ა. შ.); მითოლოგიები (მაგალითად, სისხლის დაღვევა, ამოწოვა, რაც ვამპირის მითოლოგიას უკავშირდება).

ამიტომ **ფრაზეოლოგიის შესწავლისას კულტურის კონტექსტში** აუცილებელია ხატოვან საფუძველში **სიმბოლარიუმის** იმ ელემენტების ამოცნობა, რომელზედაც ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობათა ჩამოყალიბების მეტაფორულ (უფრო ფართოდ—ტროპულ) პროცესში მონაწილეობენ. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობათა ყველა იმ ელემენტის გამოვლენა, რომლებიც მათ კულტურულ სემანტიკას მიეკუთვნებიან და უზრუნველყოფენ მათ უნარს — გამოყენებულ იქნენ კულტურის „ენის“ სიმბოლარიუმის პრეზენტაციის საშუალებად.

კულტურის ენა — ესაა მისი ტექსტებით, თეზაურუსებით, კოდებითა და სიმბოლარიუმებით შექმნილი განსხვავებული დონეებიანი ნიშანთა სისტემა.

ფრაზეოლოგიის ფენომენის შესწავლის მიზანს ლინგვისტი-

კისა და კულტურის მიჯნაზე წარმოადგენს იმ მექანიზმების გამოკვლევა და აღწერა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება ფრაზეოლოგიზმების, როგორც ბუნებრივი ენის ერთეულების ურთიერთქმედება **კულტურის „ენის“ კულტურულ სემანტიკასთან**. ამ მექანიზმის მოქმედების შედეგს წარმოადგენს სწორედ კულტურული სემანტიკის პრეზენტაცია ფრაზეოლოგიზმებით და ამგვარად მათ მიერ კულტურის „ენის“ ვერბალიზებული ნიშნების ფუნქციის შესრულება.

ლიტერატურა

მასლოვა, 2001 — В. А. Маслова. Лингвокультурология. М., 2001.
თელია, 1999 — В. Н. Телия. Фразеология в контексте культуры. М., 1999.

MANANA KHOPERIA

Phenomenon of Phraseology from Linguo-cultural Standpoint

Summary

Linguo-cultural investigation of phraseology aims at:

1. Revealing culturally relevant extralinguistic factors that are reflected in phraseological units.
2. Stating linguistic means that have cultural reference and hence code culturally relevant information.

რამდენი ტექსტები, ჩაიწერა რ. ლანდინამ 1984 წ.

ბაკურაძე დიმიტრი 79 წლის, სოფ. გლოლა

... ადრე გურგენა თან გაჰყევ, საქმე იცი იქაურ. წავიდენ და რომ გადახედეს ღორეფსა, ბოდიში, ბეჟან გული უხარდებდა, გურგენ გული უწუხდებდა. მიტო, რომ ისი სუსტია, არაფერი შეუძლია და ის მაგარია. ჩაერია ახლა და ხოცამ ღორეფსა და ერთი ღორია. მოდი ბიძა გურგენო, ქილი აართვიო, ასორმოცათ შეთავდებო, ასორმოცი მოკლა. წაადგა ეწყინა... რას ამოიღეფს ის. წამოდგა, ამოჰკრა და ამოიღო. უთხრა, რომოო ბიძა ბეჟანო, ქალს რატო არ სთხოვილოფოო, რო დახოცენს ე ღორები, რო დაჯდეს, მოისვენეს. კარქსა ვეძეფ და ვერ ვბოულოფ, ცუდი არათ მექებებო. მე ვიციო შენი საქალოო. ბახეთ მანიჯა რქვიაო. ქალია აფრასიონი, მზევით ამომავალიო. მეცა მცოდნია ე ქალიო, თუც არის ავი საშოვნი და ბოლოს დალატუანიო. ესე იგი, ხვდებოდა ისი, რომე ეს ვერას გაუკეთებდა და კარქი, წადი შენო სახში, კაი ამბავი მიუტანეო და მე უნდა წავიდე მანიჯასთანო. წავიდა ახლა, მოვიდა წყაროზედან და გაჩერდა იქანა და მოვიდა ქალი. მანიჯამ დაინახა და ეს ვილაცა არისო და გამოაგზავნა მოსამსახურე. წადი წყალი მომიტანეო და გაიგენო ვინ არისო ეგ. მივიდა და უთხრა რომოო:

ვაი, ძმაო, დაკარქულო, შეწყობილო, ერავლითაო

რათ არ ყმანი თან გახლავან, რათა ზიხარ მარტო რხმლითაო.

მო ბეჟანი აქ მოსულა მანიჯაის სათხოვარათა. ვინც რო მანიჯას მიჩვენეფს... ღმერთი იყონ თამდები, ვინც რო მანიჯას... ყურშა ყურით, თავგვირგვინით, ტახტი ოქროთ მორიკულიო, ღმერთი იყონ თავდებული, არ უმტყუნო ქადებულიო. — ბეჟანმა უთხრა. წავიდა და მოახსენა, რომოო, ბეჟანიაო. არიქა, რავარმე იქნება შემოვიყვანოთო. ჰოდა, შევიდა ახლა და ამ ქალთანა და გაიგნეს ახლა ერავლეთ, ბეჟანი მოსულაო და უნდა დაიჭირონ და მოკლან. ჰოდა, ორ-ოლი ხელით ულევენ ორნი, ორნი ულევენ ორ-ოლი

ხელითა, რომ უნდა დაათრონ ახლა. სვემდა ორისავ ხელითა. დაათვრის ბეჟან სვიანი, წაიქცა ავლის ხევითა. აბა, რას გაუძლებდა ქვეყანას, წაიქცა ავლის ხევითა, დაადგეს. შენი გამძალე რაიაო — ბეჟანს ჩასძახიან. რა ჩემი გამძალეო, ჩემი გამძალე არაფერი არ არიო, რაია მაინცო? ჩემი გამძალე არისო ჩემი შვილის ბაწარიო. ხელისა და ფეხის თითეფში რო ჩამაბანო, ჩემი გამძალევა აღარ შეიძლებო, დანარჩენი არაფერიო. სადა გაქო მე ესე... ასე ალაპარაკებენ. მანიჯასა აქო შენახულიო. წავიდეს და ის მოითხოვო, ბაწარიო სავარჯიშოთო. ესე ატყუებენ, რას მოსცემდა-ყე. ჰოდა, წამოიღეს და რომა სხნიან, შვიდი კაცი მოკლა ი გასხნაზე იმ ბაწარმა. ჰოდა, მოიტანეს ახლა, ჩააბეს ხელისა და ფეხის თითეფში და ბეჟან გაიძარო. ღმერთი მომეცენ თავდები, აღარ ვიძვრიო. ჩვენც ეგ გვინდაო.

ახლა, ფირანია ერთი, ხემწიფეა. ფირანს წიგნი მოუვიდა, ზედ მიართვეს ჭამაზედა, ფირანი სიცილათა სწყდა, ითამაშა ბანაზედა. თქვენ ბეჟანს რავა დაიჭვრდითაო. გამოიხედა დილაზედა, ანდა ნახა ამართული. ვა თუ ბეჟანი შიგ ეცვან, საქმე იყონ გამართული. ჩამორჩობა უნდა ახლა, მარა იმის შეუკითხავათ... ცხენზე შეჯდა, გაიჭენა, ესე იგი, ბოდიში, და მოუბოჭდა, მაკეთ იყო ეს ცხენი. მივიდა და, ერთი სიტყვა შარშან გითხარ და მეორე შარშანწინო, ნულარ მოვჰკლავთ ბეჟან გმირსა, ნულარ გავაახლეფთ სისხსაო, მტერობის ხე გამხმარია, ნულარ გაუნელდეფ ძირსაო. მოურიგდეთ როსტომს, უკანა ქვეყანათაზე მავალსაო, ჯარი თუ გინდა ის მოქცემს მისდღეჩი დაუღეგარსაო.

ფირან ეგ სიტყვა ვინ გითხრა, ეგ სიტყვა დასაჯერია,

ნეტარ ხარ ოქრო და ვერცხლი, მარგალიტი უშუველიაო.

აბა, რა მოუხეხოთო. რა და დიდი ორმო ამოსთხარეთაო, რასაც ქვას მოაგორებ, დაადევი ზეითითო. მანიჯა ს ცალი თვლით საჭვრეტელი გაუკეთეთო, რომ სჭვრიტონო ცალი თვლითაო, ისეთი ინტერესობა იყო. დაადეს ახლა ქვა, ჰოდა, ეს ორმოში ჩაუშვეს. მიდის მანიჯა, ე. ი. და ჩაუშვეს წყალსა და მიდის მანიჯა და ან კრუშკით ან იმითი აწვდის. ვერსაითა სწვდება, მარტო საჭვრეტელი გაუკეთეს, სჭვრიტონ ცალი თვლითაო. ჰოდა, ახლა როსტომი, ის რომა თქვეს, რომოო მიუდგეთ როსტომს უკანაო. გაიგნო ახლა ეს ამბავია და შეიკაზმა ცხენი, ის, ბოდიში, ცხენჯორა, შეიკაზმა და გადაჰკიდა ახლა გმირებნი, გადაჰკიდა ამაზედა. რო არავინ გაიგნო

ახლა, რომე ეს მიდის და ი ქვის გადმოგდება უნდა. ჰოდა, ბოდიში, ქალი დასტოვა ორსულათ. დააბარეს, რომეო ვიცი ვაჟი მეყოლებათ. დააბარა, ვიცი ვაჟი მეყოლებათ, ზურაბი დამირქმითო და წინ და უკანა ტანტასა ვარდი უყვავეთო. შეებით ღიჯ-ღიჯაები, იმით ვიცნოფო და გამომიგზავნეთ მეო. ჰოდა, წავიდა ახლა ეს და მიდის ახლა და, გაიგონე, გამოიარა ებრაელმა. ჰოდა, სადგისი ჰკრა ამ იმას, მეშოკეთსა. შეიზნიკნეს ე გმირები. აწი რაც ამანო ქნანო, ის ნართის ქალაქმა ცნანო — ამ ებრაელმა. მოდი აქა, რა სთქვიო, რა სთქვიო. ასე ვთქვიო. არაო, გამოსწვადე ენაო და იმაზე შეგატყოფო — როსტომა უთხრა. გამოსწვადე ენა, ამოჰკრა და ამოაგლიჯა. იმითა ლუგლუგობო... გასაგებია? ამოჰკრა და ამოაგლიჯა, წადიო და ილუგლუგეო აწიო. წამოვიდა ახლა და მივიდა მანიჯასთან და უთხრა, რომოო წაიღე ფული, იყიდე რაც ბაზარზე შეშა შემოვიდენო და მომიტანე იქანაო. იყიდა ე შეშა, მიიტანა და რომ დაწვეს, დაღამდა, დაწვა ხალხი, წაუტიდეს ამ შეშას ე ცეცხლი, ესე იგი, რომ სინათლე იქნენ აქანა. ამოჰყარნა ეს შვიდი გმირი, უთხრა რომო აბა, ამ ქვას ასწიეთ და გადაიღეთ იქითო. დააბლაუჯნეს (< დაებლაუჯნეს), მარა ბაცური ვერ უქნეს. მივიდა ახლა ე როსტომი. ღმერთო და ჩემო გამჩენოო, თუ ძველი ვიყო ა ერავლი ციხეზედაო წვერში მატყორცნიე ეს ქვაო. თუ საშუალო ვიყო — შუაზე მატყორცნიე და თუ ბერი ვიყო, ძირში მაინც მიმაწევიეო, რომ ძირი მაინც(ც) მოუთხარო ამ ციხესაო, ესე იგი, ერავლის ციხეს, ხემწიფის ციხეს. დაავლო ამ ქვას ა ხელი, გაუშვა და შიგ შუაე გადაანგრევია, ჩემო ბატონო, და ბეჟან, ამოდიო, შეუსხნა და ეგრე ვერ ამოვალო. თუ გურგენას მომაკვლიეფო, ბიძამის(ს), ი ღორეფთან რომ იყო. მივიდა, რა უქენიო, ბეჟანი რა უქენი და ღორეფის სისხში გადამიყვანო. აი, უყურე შენ. ჰოდა, ამოვალ, თუ გურგენას მომაკვლიეფ, ამოვალო თუ არა და... რავა მოგაკვლიეფთ, ქვე მოკლავო. აბაო, ვაშლიო მაინც მასროლიე შუბშიდო. ვაშლი, თუ გინდა ათი ისროლეო, ოციო. იმისი ნასროლი ვაშლი რავა (?) იქნებოდა. კარქი, ახლა, ამოიყვანა აწი და უთხრა, რომეო გამიშვიო ახლა შენო აი ერავლეთშიდაო, თუ ერთი ფეხზე გაუშვაო კაციო. რას ლაპარაკობო, წამოე მოზღდევს ახლა ხალხი. ესენი გაუგნია და მოზღდევენ, შეუკვრია ჯარი და მოზღდევენ. აუშვა ისარი უმაღ როსტომმა. დაასვა ე ისარი ხალხის წინა. რო დაჯავურებინან და ვერავინ ვერ ამოსწვადე. მივიდა ერთი და რას შვრებითო. ესო ისარი ისარიო, ნასროლი როსტომის არისო, ამას

თქვენ ვერ ამოსწვდითო; ჰოდა, შეეხვეწნეს, რომე მოდიო, ამოსწვადეო. მეეცალენითო, მოვიდა, ამოსწია ნეკითა და ამოილო თავისი ისარი. დაბრუნდეს და წავიდეს. დაბრუნდეს და წავიდეს. წამოიყვანეს ახლა ეს, მანიჯა მოჰყავს. მოვიდეს სახშიდა, კამპანია გააკეთეს, ჩემო ბატონო, და ახლა ესროლე ისიო შუბში და ესროლა ვაშლი შუბშიდა და გაათავა ზედ იმაზე. ეს იყო ბეჟანის ისტორია.

*
* *

ნიკო ბერიშვილი, 80 წლის, სოფ. გლოლა

გრიგოლიშვილი ყოფილიყო ერთი, კაი მონადირე. ასულიყო ემგენის უკან, რა თქმა გინდა, მოეკლა არჩვი. რომ წამოსულიყო, ზეით, ჯვარი იყო გაკეთებული და წყლის მა... რო დაღამდა, არჩვი ჰკილია ზურგზედა და მოეწია კაცი უკანა და გაჩერდით ერთიო და მოისვა თოფსა ხელი. რა გინდაო, თოფი არა გჭირდებაო ჩემთანაო. აბაო რა გინდაო და რა მინდაო და გადადიო და უთხრა, რო ხალხს მოუყარე ხვალე თავიო. უქმი უქმესო, ერთმანეთი იწამეთ, ნათესაობას ნუ დაარღვევთო, მარხვას ნუ გასტეხთ, თვარა იმისთანა შავ ბუზეფს გამოუშვამ, თქვენს ნადგამს არ დავსტოვეფო, მერე მე რათი დავაჯერო, რაფი დავაჯეროო და ტაბაშნიცეები იცოდეს ძველებური. აილო ხელათ, დააწყეო იმაზე კარქათ, აი ამითი დააჯერე, თუ არ დაგიჯერეფს ხალხიო. მოვიდა, ეს არჩვი მოიყვანა ღამე და სიმაში ჰყავდა ჰკვიანი და შეუთვალა, რომეო წამოო, ამოო ჩემო სიმამროო და რა გინდა, ვიციო მოიყვანდიო ნადირსაო, მარეო ხვალ სა წამივა, ხვალ ამოვალო. არაო, ამაღამა მაქ საქმეო. ამოვიდა, უთხრა, ასე მოვინახე, ასე მოვინახეო და შენ რას მეტყვიო. შენო, შვილო, რაც დაგაბარა იმ კაცმაო, ისე მოიქეც. ხვალ მოუყარე ხალხსა თავიო და თუ გაგიგონებენ — გაგიგონებენ და თუ არაო და შენიო ვალი მოიხადე და ეგ არიო. მეორე ღღე(ს) მოუყარა ხალხსა თავი და ზოგი ამბოფს სიზმარი ხომ არ ეზმანაო, ზოგი — მართალი იქნება, ზოგი რაო და... ზოგმა დაუჯერა, ზოგმა არა. ზაფხულზე ჩამოსულა მერე ოსი დიგორელი, ვეძაზე ჩამოსულა და მომკვდარა იქავე. ახლა ბუზები ეხვევიან თურმე რამე და შავათაა გასივებული ე დიგორელი და ზოგი ამბოფს დავმარხითო, ზოგი ამბოფს, რომეო

პატრონები გადმოვლენ დამარხვენო და როცა იყო დამარხეს, არ გაუჩნდა პატრონი და გაჩნდა მერე ჟამი. დილას გამოივლის ადამიანი კორდზე, სალამოს აღარ არის, მორჩა. მიყო ხელი თურმე და ეს სოფელი გაწყდა სულ. კოდუნეები იყო იქაო, მუხაან კოდუნაეფს უძახიან. ცხრა ცხვარულელი დარჩაო უპატრონოთო. ამ ძაღლემაო რომ ვერაფერი ჭამეს, წაუსვესო ხელიო და სჭამდესო სულ იმასაო მერე, იმ თხა-ცხვარსაო და ისე დასუქდეს ეს ძაღლებიო და მგლებათ გადიქცესო, რო ძაღიან. აღარა ზოგადდეს თხა-ცხვარსაო უპატრონობითაო. გაწყდა ხალხი, რომ არც დამარხავი ჰყავდა, არც პატრონი და ყვავი და ყორანი სჭამდა ზეზე ხალხსაო. წავიდაო ბერიო მერეო და დაიძალაო, წაიღო საზღოო. წავიდა, გაიარა და რო გაგრილდაო, მერეო ჩამოვიდაო ის ბერიო და ე ხალხი გაგრილებულიაო ერთი-მეორეო და ილოცაო და აქ წმინდა გიორგი ააშენებიაო მერეო, აი, სალოცავი რომეა. იმაზე მერეო მოჰყვეს ეს ბაკურაძეც, ეს ბერიძე... გამრავლდა ხალხი და სოფელი და გვარებიო. და ეს ნანდვილათ ეს ამბავი... მიყვებოდა, ბებიაჩემი მიყვებოდა, უყვებოდა ბაბუაჩემ ალექსის. იმითან წარმოშობა არავინ არ იცოდა ძველებური, ი ბებიაჩემი რომ იყო და ეს ამნაირათ იყო, რომ ჟამ(მ)ა გაწყვიტა ე ხალხი, ი დიგორელი რო მოკვდა აქა, იმიდან გადაედვა იმ ქალსა, მოსპო სულე ხალხი, საქონელიც უპატრონო დარჩა, სულ ყველაფერი უპატრონო და მასუკან მერე ამ იმითი მომრავლდა ხალხი, ლოცვითა, ზოგი რავა, ზოგი საით მოვიდა, ზოგი საით, იმრავლა და ეს იყო გლოლის წარმოშობა.

სარჩამი

ლ. ავალიანი — დალალი და დალაქი სიტყვათა ფორმოზორი-
სემანტიკური ანალიზისათვის 3

ნ. აკობია — პრაგმატული კატეგორიების განხილვა საგაზეთო სტატიის
მიხედვით..... 8

მ. არეშიძე — სემიტიური წარმომავლობის ერთი სიტყვის
მნიშვნელობისათვის ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში 18

ც. ახვლედიანი — საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკა..... 21

ნ. ბაგრატიონ-დავითაშვილი — პირთა კომბინაციების შედეგად
გამოვლენილი ზოგი თავისებურება ორპირიან ზმნებში 29

ე. ბალიაშვილი — საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა სემანტიკური
კვლევის ფორმები (5Ws & H) 37

ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი — ქართული ზმნური სისტემების
ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი და მისი პრაქტიკული
ღირებულება 58

ე. გეგეშიძე — ენობრივი პოლიტიკა ამიერკავკასიის ფედერაციის
საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით..... 64

ლ. გოქსაძე, ნ. რუხაძე — მიმართვის ფორმები ინგლისურ, ქართულ
და რუსულ წერილებში 85

მ. გუგუნავა — ლიტერატურული ტექსტის კინემატოგრაფიული
ტრანსპოზიცია, ანუ ფილმის გლობალური ინტერტექსტუალური
კავშირი ლიტერატურულ პირველწყაროსთან 92

ნ. დარასელია — შორისდებული როგორც მიკროტექსტი
და ტექსტი 100

რ. დოლიძე — რომანის ეკრანული ადაპტაციის თავისე-
ბურებანი 105

ე. თოფურია — შეპირისპირებულ ენათა სისტემური სპეციფიკით
დეტერმინირებული თარგმნითი ტრანსფორმაციები..... 111

ხ. კაკავა — ლაბილიზებული თანხმონის შემცველი ორწევრა
კომპლექსები აფხაზურში 115

მ. კინწურაშვილი, თ. ფხაკაძე — ციტაციის როლი ბერნანოსის
შემოქმედებაში..... 124

თ. კუკულაძე — რედუქციის საკითხი ანთროპოტოპონიმებში (ქვემო
აჭარის მასალის მიხედვით)..... 130

თ. ლომთაძე — ქართული სასკოლო ჟარგონი 135

ბ. მაჭავარიანი — აფიქსაციით ნაწარმოები მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში.....	141
ბ. მაჭავარიანი — ლოკალურ პრევერბთა და მასდარულ ფუძეთა შემცველი მცენარეთა სახელწოდებანი აფხაზურში.....	149
თ. მებუკე — ეპიკური პროზის ძირითადი ჟანრები	154
მ. მიქაუტაძე — იყუენენ, ქუველ, იშუენენ... ტიპის ფორმათა ანალიზისათვის	165
მ. მიქაძე — მეორე სუბიექტური პირის გამოხატვა თანამედროვე ქართულ ენაში.....	172
ლ. ნოზაძე — ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი და მასთან დაკავშირებული პრობლემები.....	185
მ. რუსიევილი — რატომ არ არის პ. ბრაუნისა და ს. ლევისონის ლინგვისტური თავაზიანობის მოდელი უნივერსალური?.....	201
ჯ. სალექი — გეოგრაფიული სახელების შესახებ საადი შირაზელის „გოლესთანში“.....	212
ს. ტყეშელაშვილი — ვ ბერის საკითხი ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში	219
ი. ფხაკაძე — აღნიშვნა და სამყაროს ხაზი.....	223
ი. ქაჭიში — ქსოვილების აღმნიშვნელი სპარსულ-არაბული ლექსემების შესახებ „ზააქიანში“.....	232
მ. ღამბაშიძე — განკერძოებული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში	238
ხ. ღლონტი — პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მარკირება გასული საუკუნის პირველ მეოთხედში.....	248
ი. შადურა — სახელთა ფლექსიური კატეგორიები აფხაზურში.....	255
ნ. შავრეშიანი — ბრუნების თავისებურებანი ქართლში მიგრირებულ სვანთა მეტყველებაში	263
ნ. შარაშენიძე — ტექსტის ღიაობა გრაფემულ-გრაფიკულ დონეზე	270
დ. ჩხუბიანიშვილი — ფერეიდნული კილოს შესწავლის ამჟამინდელი მდგომარეობა	275
ც. ძაძამია — ყვითელი ფერის სემანტიკური ველი მეგრულში	285
მ. წივწივაძე — გაუგებრობისა და თვითკორექციის ფენომენი დიალოგურ დისკურსში	290
ლ. ხაჭაპურაძე, ლ. ლომთაძე — სატირისა და იუმორის გავლენა ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკაზე	306
მ. ხოფერიანი — ფრაზეოლოგიის ფენომენი ლინგვისტიკისა და კულტურის მიჯნაზე.....	314
რაჭული ტექსტები (ჩაიწერა რ. ლანდიაშვილი)	320

Contents

L. Avaliani — Formal and Semantic Analysis of the Words dalali and dalaki	7
N. Akobia — Investigating Pragmatic Categories In Newspaper Articles	17
M. Arashidze — The Origin and Meaning of the Word manšur in Sul Khan-Saba Orbeliani's Dictionary.....	20
T. Akhvlediani — Language Policy in France.....	28
N. Bagration-Davitashvili — Some Peculiarities of Bipersonal Verbs Revealed as a Result of Person Combinations.....	36
E. Balashvili — Forms of Semantic Investigation of Informational News Articles	56
K. Gochitashvili, G. Shabashvili — Functional and Semantic Analysis of the Georgian Verb System and its Practical Value	63
E. Gegeshidze — Language Policy According to the Legislative Acts of the Caucasian Federation.....	84
L. Gokhadze, N. Rukhadze — Forms of Address in English, Georgian and Russian Languages	91
M. Gugunava — Cinematographic Transposition of a Literary Text or Global Intertextual Relation of a Film with its Literary Source	99
N. Daraselia — Interjection as a microtext and a text.....	104
R. Dolidze — Screen Adaptation of a Novel.....	110
E. Topuria — Translational Transformations Determined by Systemic Specificity of Contrasted Languages.....	114
K. Kakava — Two-member Consonant Clusters with a Labialized Component in Abkhazian.....	123
M. Kintsurashvili, T. Pkhakadze — The Role of Quotations in Bernanos' works	129
T. Kukuladze — The Question of Reduction in Anthroponyms (on the material of Lower Acharan).....	134
T. Lomtadze — Georgian School Jargon.....	139
N. Machavariani — Abkhazian Plant Names Formed by Affixation.....	148

N. Machavariani — Abkhazian Plant Names Containing Location Preverbs and Masdar Stems	153
T. Mebuke — Main Genres of Epic Prose	164
M. Mikautadze — Analysis of the Forms of iquvnen, kuvel, išuvnen Type	171
M. Mikadze — Expression of the Second Subjective Person in Modern Georgian	184
L. Nozadze — Dictionary of Synonyms of the Georgian Language and Some Problems Connected with it.....	200
M. Rusieshvili — Why is not Brown and Levinson's Model of Linguistic Politeness Universal	211
J. Saleh — Geographical Names in Sa'di's "Gulistan"	218
S. Tkeshelashvili — The Question of the Sound v in the Fereidanian Dialect of Georgian.....	222
I. Pkhakadzé — Désignation et ligne mondiale	226
I. Kazem — Persian and Arabic Lexemes Denoting Cloths in "Zaakiani".....	237
M. Ghambashidze — Semantic Structure of Detached Adjectives in Nominal Syntagma	247
Kh. Ghloni — Marking the First Person Subjective in the First Quarter of the Last Century.....	253
I. Shaduri — Inflected Nominal Categories in Abkhazian	261
N. Shavreshiani — Peculiarities of Declension in the Speech of Svan Migrants in Kartli	269
N. Sharashenidze — Text Openness on a Graphemic-Graphical Level.....	274
D. Chkhubianishvili — On the Present Stage in the Studies of the Fereidanian Dialect of Georgian.....	284
T. Dzadzamia — Semantic Field of Yellow in Megrelian.....	289
M. Tsivtsivadze — Misunderstanding and Self-repair in Dialogue Discourse (on the material of English).....	305
L. Khachapuridze, L. Lomtadze — The Influence of Satire and Humour on Biblical Phraseological Units	313
M. Koperia — Phenomenon of Phraseology from Linguo-cultural Standpoint ...	319